

K 243089
3 0V



რეგან რამიშვილი

ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ქართული

ვაზისა და ჯვინის

ისტორია

F 77785
3



რევაზ რამიშვილი

**ქართული ვაზისა
და
ღვინის ისტორია**

ისტორიულ-არქეოლოგიური და
ამპელოგრაფიული გამოკვლევა

[2000]



რ. რამიშვილი
(1933-1998)

K243089

სკეპ-2010
შემოწმებული

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა


ბიოგრაფია

გამოჩენილი მევენახე, სელექცია-ჯიშთმცოდნეობის უბადლო მკვლევარი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ რამიშვილი დაიბადა 1933 წლის 5 თებერვალს, თბილისში, ღვაწლმოსილი მეცნიერის, ქართული ვაზის დიდი მესაიდუმლის მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1961 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო პროფ. მაქსიმე რამიშვილის მიერ დაარსებულ დიდი ამპელოგრაფიულ კოლექციაში. იმავე წელს ჩააბარა გამოცდები მებაღეობის, მევენახეობის და მღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. გვერდით ამოუდგა სახელოვან მამას და სპეციალური საგნების შესწავლასთან ერთად, შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას. სამეცნიერო დარგში მისი საქმიანობა წარიმართა ორი მიმართულებით: ვაზის სელექციისა და ვაზის ველური და გავლურებული ფორმების გამოვლენა-შესასწავლად.

1963 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ქართული ჯიშების სელექციის საკითხებზე. 70-იან წლებში მამა-შვილის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობით გამოყვანილ იქნა ცნობილი სელექციური ჯიშები: „ვარძია“, „კოლხური“, „ივერია“, „ქცია“ და სხვ.

1978 წელს აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგედ. ამვე წლიდან დაიწყო აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა აგრონომიულ ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა მევენახეობის და ამპელოგრაფიის კურსს; იგი აქტიურად მონაწილეობდა ვაზის მსოფლიო ჯიშთა კოლექციის გაფართოება-განახლებაში. ამავე დროს, ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხეობებსა და ტყეებში, ეძებდა ვაზის ველურ თუ გავლურებულ ფორმებს, ახდენდა მათ სისტემატიზირებას, აღგენდა პერბაროუმებს და ცალკეული საყურადღებო



ეჭემპლარები გადმოქონდა ამპელოგრაფიულ კოლექციაში, ეს დაუჯილავი შრომა დაედო საფუძვლად მის სადოქტორო დისერტაციას „ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ვაზის გენეტიკურ-ფენოლოგიური გამოკვლევა“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1988 წელს, იალტის „მაგარაჩის“ ვაზისა და ღვინის ინსტიტუტში. 1990 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონ რევაზს, მევენახეობის ისტორიაში ღრმად ჩახედულ მეცნიერს და ფართო ერუდიციის მკვლევარს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მევენახეობის როლი და მნიშვნელობა ერის სულიერსა და მატერიალურ ყოფაში, ამიტომაც სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის ასაღორძინებლად და კრიზისიდან გამოსაყვანად, ამპელოგრაფიული კოლექციის გადასარჩენად და მის გადასატანად მუხრანის სასწავლო მეურნეობაში, სადაც მან მხოლოდ 300 ქართული ჯიშის გადატანა მოასწრო. სამწუხაროდ, ამ დიდი წამოწყების ბოლომდე მიყვანა მან ვეღარ შეძლო. იმედია, მისი თანამოაზრეები, კოლეგები და მოწაფეები წარმატებით გააგრძელებენ რევაზ რამიშვილის მიერ დაწყებულ საქმიანობას. გარდაიცვალა 1998 წელს, დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

წინამდებარე მონოგრაფია „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“ წარმოადგენს ხანგრძლივი შრომით შექმნილ ორიგინალურ ნაშრომს, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია მის მიერ მოპოვებულ მრავალრიცხოვან მასალაზე და არქეოლოგიურ მონაცემებზე.

ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საფუძვლები, ვაზს დასაბამიდანვე ეკავა გამორჩეული ადგილი.

ვაზი – ეს უნიკალური ფენომენი – ქართველისთვის მარტო საარსებო წყარო როდია; ღვთაებრივია მისდამი სიყვარული, რომლის ახსნა – მისი მიზნობრივი ასპექტები, ფილოსოფიურ სფეროს მიეკუთვნება, იგი ამ ორი ფენომენის ისტორიაში არის საძიებელი. მათი ბედის განუყოფლობა ისტორიამ დაადასტურა. დღევანდელობამ კი კიდევ უფრო წარმოაჩინა და სარწმუნო გახადა.

ამ დარგის განვითარების დონე, ანარეკლია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობისა. იმედისმომცემია ისიც, რომ ქართველ კაცს, საბედისწერო პირობებშიც კი, ბედის ანაბარა არასოდეს მიუტოვებია ვაზი. ომებისაგან იავარქმნილი ამოისუნთქავდა თუ არა, ვაზის გამწვანებას მოჰკიდებდა ხელს. ასეა, დღესაც რაც უკეთესი მომავლის იმედს იძლევა.

აქედან გამომდინარე, ვაზის კულტურაზე, მის ისტორიაზე თუნდაც ერთი სტრიქონის შექმნა, მით უმეტეს, ახალი, ორიგინალური ნაშრომის დაწერა და წიგნად გამოცემა დიდი პატივია, ვალის მოხდაა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე. სწორედ ამ მოტივით ვაფასებთ საქართველოს აგარარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგის, აწ გარდაცვლილი რევაზ მაქსიმეს ძე რამიშვილის წიგნს „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“ (მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულ-არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა).

საქართველოს მევენახეობასა და მეღვინეობაზე, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიაზე, სამამულო თუ უცხოელი მკვლევარების, მეცნიერების, მოგზაურების მიერ მრავალი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი და წიგნი დაიწერა. ამ სფეროში გაუმუქებული თითქმის აღარაფერი დარჩა... მაგრამ თანამედროვე გამოკვლევები, მეცნიერული მიდგომები, მათი მრავალმხრივი ანალიზი საშუალებას იძლევა მეტი სისრულით, სიახლითა და დამაჯერებლობით იქნას გაუმუქებული ამ ათასწლოვანი ისტორიის ცალკეული მონაკვეთი, პერიოდები, მათი ურთიერთგავშირი.

ადრინდელი შრომებისაგან განსხვავებით, პროფ. რევაზ რამიშვილის წიგნის ორიგინალობა იმითაც არის განპირობებული, რომ იგი დაწერილი და დამუშავებულია აგრონომიული განათლების მქონე მევენახე-მეცნიერის, სელექციონერის, ვაზის ჯიშთმცოდნეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის მიერ, რაც თავისთავად იშვიათობას წარმოადგენს.

არქეოლოგიურ, ისტორიულ, პალეონტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ თუ სხვა წყაროებსა და მონაპოვრებზე დაყრდნობით, ასევე ამპელოგრაფიული გამოკვლევებით იგი ერთხელ კიდევ აღმსრულებელს კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის კერის პირველდღობას ამიერკავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოს ტერიტორიაზე, ამგვარი დასკვნის დამაჩვენებლობა განმტკიცებულია ფაქტობრივი მასალით, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო ამპელოგრაფიული ნიმუშით ვაზის წიპწებით, რომლებიც ჩვ. წ. ა.-მდე 7-5 ათასი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება და, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უძველესია მთელს მსოფლიოში.

ქართული ვაზის ჯიშების დეტალური ამპელოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, გამოყოფილია აგრეთვე, ვაზის კულტურულ ფორმათა წარმოშობის ორი ძირითადი – კოლხეთისა და ალაზნის კერა. ესეც მნიშვნელოვანი შენატენია უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევათა შორის.

წიგნის აგებულების, მისი ცალკეული თავის განხილვას არ შევუდგები. გამოვყოფ მხოლოდ თავს – „ველური და ველურად მოზარდი ვაზი ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მათი კავშირი კულტურულ ვაზის ჯიშებთან“.

ველური და ველურად მოზარდი ვაზი საქართველოში პროფ. რ. რამიშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას საქართველოში პროფ. რ. რამიშვილი ერთადერთია, ვინც ასე მასშტაბურად, პროფესიული და მეცნიერული სიღრმით შეისწავლა ეს მეტად მნიშვნელოვანი და მანამდე შეუსწავლელი სფერო. ადვილი წარმოსადგენია როგორი ტიტანური შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო ამ სერიოზული და ურთულესი სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი ექსპედიციები საქართველოს ტყეებსა და ხეობებში, საინტერესო ეგზემპლარების ფიქსირება, გადატანა საყოლექციო ნაკვეთში და სხვა.

პროფ. რ. რამიშვილის მიერ გამოვლენილი და კულტურაში გადმოტანილი იქნა ვაზის 40-მდე ველური ფორმა, აქედან რამოდენიმე, მათი მაღალი სამეურნეო თვისებების გამოვლინების შედეგად, ავტორის მიერ, რეკომენდებულია სამრეწველო სორტიმენტის შესავსებად.

პროფ. რ. რამიშვილს აწუხებდა ის, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი იყო მოსაძიებელი, რაც დიდ და ხანგრძლივ ექსპედიციურ და საძიებო მუშაობას მოითხოვდა, სამწუხაროდ მან მეტი ველარ მოასწრო.

საძიებელი კვლავაც ბევრია, კვლევა კი თანამედროვე ეტაპზე, დიდიხონს შესუსტდა. არადა მსოფლიო არენაზე, სწორედ დღეს, უსაზღვროდ დიდია ინტერესი საქართველოს, როგორც კულტურული ვაზის ერთგვარად დასაზღვრების და შევენახეობის უძველესი ქვეყნის მიმართ.



შევენახეობა-მეღვინეობის დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ტერმინი „ღვინო“ მსოფლიო ლექსიკონის საგანძურში შეიძლება სწორედ ქართულიდან იყოს შესული. ამ სფეროში მეტი დამაჯერებლობის შესატანად, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაკვალევზე, ძიების გაგრძელება ისევ იქნება საჭირო.

ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის, საქართველოს შევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შექმნა, მისი აყინძვა თუნდაც რამდენიმე ტომად, სახელმწიფოებრივი და სამური საქმეა.

წიგნში შემოკლებული სქემით – პროგრამით, რეგიონალურ ასპექტში, დახასიათებულია ქართული ვაზის გენოფონდი. ვაზის ცნობილი ჭიმები შეფასებულია, როგორც ჭვენი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთა დაცვა და გადარჩენა სახელმწიფო ზრუნვის საგანია. დიდი სიფაქრით არის მოტანილი გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის, დიდი მამულიშვილის პროფ. მაქსიმე რამიშვილის ისტორიული შეფასება, რომელშიც ქართული ვაზის ჭიმები გატოლებულია ეროვნული კულტურის ისეთ ხელთუქმნელ ძეგლებთან როგორცაა სვეტიცხოველი, ბანა, ნიკორწმინდა და სხვა მრავალი.

წიგნის ლირსების შეფასებას ამით დავამთავრებ. დავებნ მხოლოდ, რომ დღევანდელი საქართველოს პირობებში, ამგვარი პათოსით დაწერილი წიგნის მნიშვნელობა დიდზე დიდია.

წიგნის ავტორის პროფ. რევაზ რამიშვილის მეცნიერული არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ამას იმ ოჯახურმა გარემომ – შეუწყო ხელი, რომელშიც იგი დაიბადა, აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერი-მკვლევარი, პედაგოგი და მამულიშვილი. იგი მემკვიდრეა გამოჩენილი ქართველი შევენახე-მეცნიერის, ვაზის სელექციისა და ამპეოლოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარის მაქსიმე რამიშვილისა, რომელმაც გამოიკვლია, აღწერა და ტომებად გამოსცა ქართული ვაზის ჭიმები – ამპეოლოგრაფია; ორიგინალური სახელმძღვანელოები შევენახეობაში, ამპეოლოგრაფიაში. პროფ. მ. რამიშვილი, პროფ. ვ. ქანთარიასთან ერთად, სახელოვანი გამგრძელებელია შევენახეთა იმ სკოლისა, რომელსაც საფუძველი აკად. სოლომონ ჩოლოყაშვილმა ჩაუყარა.

ოჯახურმა გარემომ – ვაზისადმი სიყვარულმა, აგრეთვე მშობრო-
თანამშრომლობამ ქართული არქეოლოგიური სკოლის არაერთ
წარმომადგენელთან, რომელთა შორისაც გახლავთ მისი უფროსი ძმები, პროფ.
რამინ რამიშვილი, მკვლევარს საშუალება მისცა სამეცნიერო მიმოქცევაში
შემოეტანა უნიკალური არქეოლოგიური მასალა, რომელიც შექს ჰფენს
საქართველოს ვაზისა და ღვინის ისტორიას ძვ.წ. VI-V ათასწლეულებიდან
მოყოლებული გვიან შუასაუკუნეებამდე. ამდენად, არც არქეოლოგიურ
და ისტორიულ წყაროების მომარჯვება და მისი პროფესიულ დონეზე
ანალიზი იყო პროფ. რევამ რამიშვილისთვის შემთხვევითი.

ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს ახალი თაობა (შვილები და
შვილიშვილები), მათაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ამ ეროვნული
დარგების წინსვლის საქმეში.

აქვე დიდი გულისტკივილით მინდა ვამცნო მკითხველს, რომ წიგნის
გამოცემა ავტორის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. ჯანმრთელობამერყვეულმა,
მაგრამ მიზანსწრაფულმა შინაგანმა ძალამ შეაძლებინა ქვეყნისა და თავისი
პროფესიის უსაზღვრო სიყვარულის მქონე კაცს – ამ ორიგინალური
ნაშრომის გამოსაცემად მომზადება. მაგრამ მან გამოცემა ვერ შეძლო,
ყველასათვის ცნობილი მიზეზის – უსახსრობის გამო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ამ წიგნის გამოცემის საჭიროება
სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული იმ საზოგადოების მიერ, ვინც ამ დარგის
სიყვითით ცხოვრობს და კარგი პერსპექტივითაც.

დაფიქრება გემართებას.

შევასხენებ ვისაც ეს ხელეწიფება: მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად,
დიდი საერო საქმეების კეთებამ მოუტანა უკვდავება და აღიარება
სახელოვან მამულიშვილებს დავით სარაჯიშვილს, ძმებს ზუბალაშვილებს
და სხვებს.

საქართველოს მომავალს კიდევ უფრო მეტად სჭირდება და უნდა
შევიძლოთ კიდევ საერო საქმეების კეთება სახელოვან წინაპართა მსგავსად.

აკად. ნოდარ ჩხარტიშვილი

კალენდარული წლის დასაწყისის მნიშვნელობა

დღემთა, როდესაც მრავალი ათასი წლის წინათ ადამიანი შექმნა, არსებობის შესაფერისი პირობები მისთვის უკვე მოგვარებული ჰქონდა. თვით დღემთა მისცა მას, თავდაპირველად სარჩოს მოძიების, ხოლო მოგვიანებით მოყვანის უნარიც. უკვე არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ პირველყოფილი ადამიანი თავს ტყით ინახავდა და არ არის გამორიცხებული, რომ ამ ბუნებრივ საცავში ხორციან და სხვადასხვა მცენარეულ საკვებთან ერთად, უპირველესთაგანი ხორბლის და ვაზის ნაყოფი იჭებოდა.

ადამიანმა, როდესაც მუდმივად აღვივდა დასახლდა, ტყიდან სხვა მრავალ სასარგებლო მცენარესთან ერთად, სავარაუდოა, ვაზიც გამოიტანა, კარმიდამოზე გააშენა და მის მოვლა-გამოყენებას შეუდგა. ეს ისტორიული პროცესი, მცენარეების ვარაუდით ამ 7-10 ათასი წლის წინ უნდა დაწყებულიყო და თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაზის არსებობა დედამიწის ზურგზე ათეულ მილიონ წლებს ითვლის, შეიძლება ითქვას, რომ იგი ადამიანის მიერ სულ ახალი მოშინაურებულია. სრულიად ბუნებრივია, რომ მოშინაურებულ მცენარეთაგან, დროთა განმავლობაში, კაცობრიობისაგან ყველაზე დიდი პატივი და ყურადღება ხორბალსა და ვაზს ხვდა წილად... პური ხომ დასაბამიდან არსობის წყარო გახდა, ყურძენი-ღვინო საღმრთო საკვებ-სასმელი, ხოლო პურღვინო ადამიანური არსებობის სიმბოლოა.

როდის და სად გაჩნდა ვაზი? როდის დაიწყო ადამიანმა მისი საკვებად გამოყენება? როდის მიაგნო საღმრთო სასმელის – ღვინის დაშვადების საიდუმლოებას? აი კითხვები, რომელიც ყველა დაინტერესებულ ადამიანს უნდა დასაწყისად და რომლის პასუხიც ათასწლეულების სიღრმეში უნდა ვეძიოთ.

ამ თვალთახედვით ვაზის ისტორია ორ ასპექტში უნდა იყოს განხილული: 1. უმუშაოდ მცენარის ისტორია, რომელიც რამდენიმე ათეულ მილიონ წელს მოიცავს და 2. მევენახეობის, როგორც დარგის ისტორია, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათასწლეული წლით შემოიფარგლება. წიგნში, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ მკითხველს, შევეცდებით პასუხი გავცეთ დასმულ კითხვას. მაგრამ ვიდრე შეუდგებოდეთ



თხრობას, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ ვისაუბროთ ვაზის ბოტანიკური რაობის შესახებ.

მსოფლიოში გავრცელებული ვაზის ყველა სახეობა და ჯიშის მიეკუთვნება ვაზისებრთა ოჯახს, რომელსაც *Vitaceae* (Lindl.) Juss. (ვიტაცე) ანუ *Ampelideae* Kunth (ამპელიდე) ეწოდება.

ჟ. პლანშონის კლასიფიკაციის მიხედვით *Vitaceae* Lind იყოფა ორ ქვეოჯახად: *Leoideae* (ლეოიდე) და *Vitoideae* (ვიტოიდე). *Leoideae*-ში შედის ერთი გვარი *Lea* (ლეა) და 65 სახეობა. *Vitoideae*-ში გავრთიანებულია 14 გვარი და 700-ზე მეტი სახეობა. *Vitoideae* შემავალი გვარებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია *Vitis* L. *Vitis*-ი ვაზისებრთა ოჯახში იგი ერთადერთი გვარია, რომელსაც ადამიანი პრაქტიკაში იყენებს. იგი შეიცავს ორ ქვესახეობას – *Euvitis* Planch (ეუვიტის) 70-მდე სახეობით და *Muscadinia* Planch (მუსკადინია), რომელშიც შედის ორი სახეობა – *v. rotundifolia* და *v. munsoniana*. *Vitis*-ში შედის 18 ჩრდილოამერიკული, 11 – ტროპიკულ-აღმოსავლეთაზიური და ერთი ევროპულ-აზიური სახეობა.

ამერიკულ სახეობებიდან, მხოლოდ რამოდენიმეს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მათი უმრავლესობა ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებაში, საძირე კომპონენტად გამოიყენება, საჭმელად კი მხოლოდ ერთი სახეობა *V. labrusca* L. გამოდგება.

აღმოსავლეთ-აზიურ სახეობებსაც შეზღუდული გამოყენება აქვთ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამო, მაგრამ ისინი მაღალი ყინვაგამძლეობით გამოირჩევიან, ამიტომ მათ კომპლექსურადგამძლე ჯიშების მისაღებად იყენებენ ჰიბრიდიზაციაში.


ევრაზიური სახეობის – *V. vinifera* L. გავრცელების არეალი მეტად ფართოა. იგი დიდი პოლიმორფიზმით ხასიათდება, მასში უამრავი სახესხვაობა, ფორმა და ჯიშია გავრთიანებული, რომლებიც სამ ქვესახეობად იყოფა: 1. გარეული ან ველური ვაზი – *v. vinifera* L. subsp. *silvestris* Gmel, ველური ფლორის ბუნებრივი ელემენტი; 2. შუალედური ვაზი – *v. vinifera* L. subsp. *silvestris* Ramishv და 3. კულტურული ვაზი – *v. vinifera* L. subsp. *sativa* D. C. რომელიც უამრავ ფორმასა და ჯიშს მოიცავს (156).

ისტორიული კვლევის თვალთახედვით, *Vitis*-ის გვარის უამრავი წარმომადგენლიდან განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ევრაზიული სახეობა *v. vinifera* L. იწვევს, ვინაიდან მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი შევენახეობა და მეღვინეობაა განვითარებული, სწორედ ამ სახეობის ჯიშები და ფორმები ჭარბობს.

ვაზის ფილოგენეზური ისტორიის, მეტნაკლებად რეალური სურათის შექმნა ყოვლად შეუძლებელია პალეონტოლოგიური მასალების ანალიზის გარეშე.

ამ, უაღრესად რთული და სადაო საკითხის ირგვლივ მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება. ვერ კიდევ გასულ საუკუნეში ენგლერმა (58) შეადგინა მესამეული პერიოდის მცენარეული სამყაროს ისტორიის საპორტამ (169) და მარიონმა (169) წარმოადგინეს მცენარეული სამყაროს შორის კულტურულ მცენარეთა პალეონტოლოგიური ისტორია, ხოლო შტუმერმა (181) ისტორიული ვაზის განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობის მეთოდი შემოგვთავაზა. ვაზის პალეონტოლოგიური ისტორიის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რეიდს და ჩანდლერს (159), ბერტის (24), კირხეიმერს (91), კრიშტოპოვიჩს (93), ღოროფეევს (54), ნეგრულს (125), კაცს (80) და სხვ.

საქართველოში მოღვაწე მეცნიერებიდან აღსანიშნავია: ა. კოლაკოვსკი (89, 90), რომელმაც შავი ზღვის სანაპირო ზოლის პლიოცენი გამოიყვლია, კ. ჩოჩივა (206), ლ. რუხაძე (162, 163) და ბ. სოლოვიოვა – შეისწავლეს სოხუმის ტორფნარების პოლოცენის ფლორა; ნ. რატიანი (158), რომელმაც საკმაოდ სრული ანალიზი გაუყეთა დასავლეთ საქართველოს მესამეულ რელიქტებს, კერძოდ კი ვერაზიულ სახეობაში შემავალ ველურ ვაზს (*V. silvestris* Gmel), ი. რამიშვილი (141) – პალინოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეისწავლა დასავლეთ საქართველოს პონტოური ფლორა და ა. შ.



სურ. 1.

საქართველოს ისტორიული – პროვინციების რუკა

საქართველოს ისტორიული პროვინციები I. ქვემო ქართლი, II. ჭავჭავეთი, III. მესხეთი, IV. თორი, V. თრიალეთი, VI. კახეთი, VII. ერწო-თიანეთი, VIII. ფშავი, IX. თუშეთი, X. ხევსურეთი, XI. შიოთღეთი, XII. ხევი, XIII. შიდა ქართლი, XIV. იმერეთი, XV. გურია, XVI. აჭარა, XVII. სამეგრელო, XVIII რაჭა, XIX ლეჩხუმი, XX სვანეთი, XXI აფხაზეთი.

როგორც დასახელებული მეცნიერების შრომებიდან არცერთი ვაშის უპირველესი წინაპარი, დაახლოებით 60 მილიონი წლის წინად, მემორხორი ერის ზედა ცარცის პერიოდში დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა იყოს გაჩენილი. ამ მეცნარეს უკვე ჩვენს ეპოქაში *vitis teutonika* A. Br. შეეძგვა. შემდგომ, დროის გარკვეულ მონაკვეთში მან ევროპაში გადაინაცვლა, სადაც საკმაოდ ხანგრძლივი დროით (50 მლნ. წელი) დასახლდა. ამ სახეობის არსებობის უტყუარი საბუთი, ყურძნის წიპწები და ფოთლის ანაბეჭდები მრავლად არის ნაპოვნი დასავლეთ ევროპის მესამეული პერიოდის ნაფენებში.

ევროპის კონტინენტზე, თანამედროვე კულტურული ვაშის ევრაზიული სახეობის *v. vinifera* L.-ის მსგავსი ფორმები კი შედარებით მოგვიანებით (მესამეულ პერიოდში, კერძოდ მიოცენში, 30-25 მლნ. წელი) ჩნდება. ვარაუდობენ, რომ მათი ევროპული მგზავრობა ატლანტიკის რომელიმე კუნძულთა ჯგუფიდან ან დასავლეთ აზიიდან უნდა დაწყებულიყო და ამ ხანგრძლივი გადაადგილების პროცესში ერთერთი ძირითადი ჭაგასაყარი სამხრეთ კავკასიის ტერიტორია უნდა ყოფილიყო. ვაშის ევრაზიული სახეობის ამ ტერიტორიაზე გაჩენაც ხომ მესამეულ პერიოდს, მხოლოდ ოლიგოცენს (40-30 მლნ. წელი) უკავშირდება.

ვაზნაირ მეცნარეთა ევროპისკენ მიგრაციის ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი ა. კრიმტოფოვიჩის მიხედვით შემდეგი სცენარით წარმართულა: ზედა ცარცის პერიოდში, დედამიწის ჩრდილოეთ განედებზე ჩნდებიან ფორმები, რომლებიც *Vitaceae*-თა ოჯახის ამერიკულ სახეობებისკენ იხრებიან. ისინი, როგორც ვაზნაირთა ყველაზე ძველი წარმომადგენლები, ევროპაში შემოდინა ისლანდიიდან – *v. islandica*-ს, ხოლო აზიაში *v. sachalineansis*-ის სახით და მიოცენისა და პლიოცენის ევროპაში *v. teutonica*-ს სახით აგრძელებენ არსებობას. მიოცენიდან ევროპაში ჩნდებიან *v. vinifera*-ს მსგავსი ფორმები, თავდაპირველად *v. praevinifera* Sap.-ს, ხოლო შემდგომ *v. vinifera*-ს სახით. სავარაუდოა, რომ ევროპაში *v. vinifera* L. ატლანტიკური ხმელეთიდან ან კუნძულების ჯგუფიდან შემოვიდა. სავარაუდოა, აგრეთვე რომ ამ სახეობის მსგავსი ტიპები, თავდაპირველად დასავლეთ აზიაში ჩამოყალიბდა, რის შემდეგ დასავლეთ ევროპის შედარებით სამხრეთ რაიონში გადაადგილდნენ. ამრიგად, პალეონტოლოგიური მასალების მიხედვით, *v. vinifera* L. ძველ ხმელთაშუა ზღვის აუზის მესამეული პერიოდიდან შეინიშნება.



პლიოცენის ეპოქაში, ევროპის ტერიტორიაზე კვლავ *v. teutonika* პრევალირებს, რომელიც ამავე დროს ამერიკულ სახეობებთანაც აქვს მსგავსებას ნათესაობას. საქსონიის ზედა ოლიგეცენის ფენებში ფიქსირდება კულტურული ვაზის მსგავსი, გრძელნიკარტიანი წიპწების მქონე ფორმებიც, მაგრამ უკვე შუა პლიოცენიდან, ევროპაში ველური ვაზის მსგავსი ფორმები – *v. silvestris* Gmel. ვრცელდებიან, ხოლო მანამდე არსებული ამერიკული სახეობები ქრებიან და მხოლოდ პერიოდისათვის მთლიანად *v. silvestris* Gmel (ველური ვაზი) და *v. vinifera* L. (კულტურული ვაზი) – ით იცვლებიან.

v. vinifera L.-ის ტიპის ვაზის ფორმების ევროპაში შეღწევის პროცესი სავარაუდოა, აგრეთვე აღმოსავლეთიდანაც, კერძოდ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ტეტისის ზღვის სანაპიროებიდან. ტეტისის ზღვა ცარცის პერიოდში არსებობდა და უზარმაზარი ტერიტორია ეკავა – უკიდურესი აღმოსავლეთიდან სამხრეთ ევროპამდე, რომლის ცენტრალური განშტოება დასავლეთ ციმბირის გზით, პოლარულ აუზამდეც კი აღწევდა. მის სანაპიროზე უმდიდრესი სუბტროპიკული ფლორა ყვაოდა, სადაც ვაზს ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

დასავლეთ ევროპის ეოცენური ფლორიდან საყურადღებოა რეიდის და ჩანდლერის (159) მიერ შესწავლილი ლონდონის თიხები, რომლებიც ტროპიკულ-სუბტროპიკული კომპლექსით ხასიათდებიან. იმდროინდელი ცენოზების საერთო სიაში მოტანილია ვაზისებრთა (*Vitaceae*) ოჯახის წარმომადგენლებიც – *Vitis* და *ampelopsis*, მაგრამ როგორც პ. დოროფევი (54) აღნიშნავს ისინი ამ ოჯახის გადამწეებულ გვარებს ეკუთვნიან.

Vitis L.-ის გვარის გავრცელების არეალი რომ ფართე იყო, ადასტურებს აგრეთვე 1951 წელს ჩულიმის (დასავლეთ ციმბირი) ქვედა წელში, პლიოცენის ფენებში ნაპოვნი ყურძნის წიპწები, რომლებიც *v. teutonika* A. Br. ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ წიპწის ტიპიურ ფორმებისაგან განსხვავებით, რომელთაც სამკუთხედისებრი მოყვანილობა აქვთ, მათი ფორმა მომრგვალო-ოვალურია, ცილინდრული ან ბლაგვი ფუძით. ამ ნიმუშებით ისინი ინგლისის ოლიგოცენის ფენებში აღმოჩენილ *Vitis Hookeri* Heer.-ის წიპწებთან დგანან ახლოს (43), ხოლო ამ უკანასკნელის მსგავსება *v. vinifera* L. და *v. silvestris* Gmel.-ის წიპწებთან აღნიშნული აქვს ფ. კირხეიმერს (91). ასევე საინტერესოა როსტოვის ოლქში, მესამეული პერიოდის გამიწვლებულ ფენებში აღმოჩენილი წიპწები, რომლებიც *v.*

teutonika A. Br. მიკუთვნება, მაგრამ როგორც გაიჩვენა შესაძლებელია მათი *v. praevinifera* Sap.-ზეც მიკუთვნება.

კავკასიის ტერიტორია, ისევე როგორც ევრაზიის სხვა რეგიონები, მრავალფეროვანი და მდიდარი განათხარი ფლორით გამოირჩევა, რომლის ისტორია პალეობოტანიკური მატრიანის მიხედვით 50 მლნ. წლის წინ იწყება. კავკასიის და მათ შორის საქართველოს პალეობოტანიკური კვლევა მნიშვნელოვნად გაფართოვდა აქ-20 საუკუნის 60-70-იან წლებში, რის შედეგადაც ვაზთან დაკავშირებული, სხვადასხვა ეპოქის ახალი ფაქტობრივი მასალა იქნა მოპოვებული. ზევ არ შევუდგებით ამ მასალის



სურ. 2

ვაზის ფოთლის ანაბეჭდი სამხრეთ საქართველოს შესამეული ერის ფენებიდან

ანალიზს, მას ალბათ სპეციალისტები გააკეთებენ, მაგრამ შევეცდებით შევხვით ზოგიერთ ისეთ საკითხს, რომელიც თანამედროვე ევრაზიული ვაზის - *v. vinifera* L. წარმოშობასთან არის დაკავშირებული.

1973 წ. გამოცემულ „ნამარხი მცენარეების კატალოგი“ შეტანილია საქართველოს ნეოგენური და მეოთხეული ფლორის ზოგიერთი წარმომადგენელი, კერძოდ *v. parasilvestris* Kirchh. (წიპწა), *v. silvestris* Gmel. fossilis (წიპწა, ფრთოლი), *v. cf. silvestris* Gmel (წიპწა), *v. cf. vin* L.

(წიპწები) და სხვ. აღნიშნულ კატალოგში მოტანილი მასალების სხვა წყაროებთან შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ ჭერ კიდევ არ არსებობს ამათუიშ ნამარხი ვაზის წარმოშობის ერთიანი კონცეფცია ამის და სამტკიცებლად საყმარისია ლ. რუხაძის (162, 163) და ნ. რატიანის (158) გამოკვლევები, რომელთაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვთ ზეენთვის საინტერესო ვაზის გენეზისის საკითხებში.



სურ. 3

გაქვავებული ვაზის შერქვანი ქვსათიბის ნაყრძალიდან (სამხრეთ საქართ.)

თანამედროვე ევრაზიული სახეობის – *v. vinifera* L.-ის და ნამარხი ფორმების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ *v. parasilvestris* და *v. silvestris fossilis* ნიშანთვისებათა ფართო ამპლიტუდით ხასიათდება, ამავე დროს, *v. silvestris foss.* გაცილებით შორს დგას თანამედროვე *v. silvestris* Gmel.-დან, ვიდრე *v. parasilvestris* Kirch. ამ უკანასკნელს გაცილებით მეტი მსგავსი ნიშნები აქვს, არა მარტო თანამედროვე *v. silvestris* Gmel.-თან, არამედ კულტურული ვაზის სახეობასთანაც (*v. vinifera* L.). ასე, რომ თანამედროვე *v. silvestris* Gmel. (გარეული ვაზი)-ის წარმოშობა *v. parasilvestris* Kirch.-დან უფროა

დასაშვები ვიდრე *v. silvestris* foss.-დან. არ არის გამორიცხული აგრეთვე *v. parasilvestris* Kirchh.-დან კულტურული ვაზის (*v. vinifera* L.) ფორმების წარმოშობაც.

პალეობიოლოგების მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე გარეულ (*v. silvestris* Gmel.) და კულტურულ (*v. vinifera* L.) ვაზს იმდენად ბევრი აქვთ საერთო, მსგავსი ნიშნები და ნაკლები განმასხვავებელი, რომ მათი ცალკე სახეობად მიჩნევა არასწორი იქნება. ეს მოსაზრება ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენს მიერ ჩატარებულმა, თანამედროვე კავკასიური ვაზის ამპელოგრაფიულმა და კლასტერულმა ანალიზმა. ეს ვაზები განხილული უნდა იყოს ერთი, ამ შემთხვევაში ევრაზიული სახეობის – *v. vinifera* L.-ის ორ ქვესახეობად – *ssp. silvestris* Gmel. (გარეული ვაზი) და *ssp. sativa* D. C. (კულტურული ვაზი). ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით საუბარი გვექნება თავში „ველეურად მოზარდი ვაზი“.

ამგვარად, უკანასკნელ წლებში ჩატარებული პალეობოტანიკური კვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ პლიოცენის ეპოქის საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, *Vitis*-ის გვარის მრავალი წარმომადგენელი არსებობდა, რომლებიც ამავე ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე დედამიწის ამათუიმ ნაწილში გადაადგილდა, მაგ. კოლხეთის პალეოფლორაში დაფიქსირებული ფორმა *v. betulifolia* Biels et Gilig ამჟამად ჩინეთის ტყეებშია გავრცელებული, ხოლო თავის პირველსამყოფელში სრულიად მოისპო და ადგილი მთლიანად თანამედროვე *v. silvestris* Gmel. დაუთმო. ასევე, პონტოურ იარუსში ნაპოვნია, ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე გავრცელებული *Parthenocissus quinquefolia* (L.) Planch. მტერის მარცვლები, კიმერიულ ნაფენებში კი ამავე გვარის იდენტური *sterculia* sp. მტერიანები.

ერთი სიტყვით, მცენარეთა პალეობოტანიკური კვლევა მეტად ხანგრძლივ და ბუნდოვან პერიოდს მოიცავს, რის გამოც ზუსტი დასკვნების გაკეთება ხშირად გაძნელებულია.

ვაზის ფილოგენეზის შესწავლაში, პალეობიოლოგიურ მასალებთან ერთად, მეცნიერებს დიდ დახმარებას უწევს არქეოლოგიურ-ისტორიული მონაპოვარი, რომელთა ასაკი ბევრად ახალგაზრდა, ხოლო ნივთიერი მტკიცებანი გაცილებით მრავალფეროვანი, საიმედო და უტყუარია.

თანამედროვე ვაზის ევრაზიული სახეობის (*v. vinifera* L.) ფილოგენეზის შესწავლაში, პალეობოტანიკურ მასალასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მონაპოვარს. ამ პროცესში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კარპეოლოგიურ ანალიზს ენიჭება.

ამ თვალსაზრისით ძვირფას ინფორმაციას, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ყურძნის წიპწები იძლევა, რომელთა კონსისტენცია და ბოტანიკური ნიშნები, თუკი მექანიკურად არ დაზიანდა, საუკუნეების განმავლობაშიც კი უცვლელი რჩება. გარდა ამისა, ყურძნის წიპწაში თავმოყრილია გენეტიკურად კონსტანტური ისეთი ნიშნები (მოგრძო ფორმა, ქალაძის მღებარეობა, ნისკარტის ფორმა, სიგრძე და სხვ.), რომლებიც სხვა სახეობის მცენარეებს არ გააჩნია. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს ფრანგი მეცნიერები პ. ვილა და ლ. რაუზი აღნიშნავდნენ: „*v. vinifera*-ში შეშავალი უამრავი ფორმის ბოტანიკური ნიშნები განსაკუთრებით წიპწაშია თავმოყრილი და ვაზის ისეთი ნაწილები, როგორიცაა რქა, ფოთოლი, ნაყოფი და სხვ. მეტად ცვალებადია“ (63). ამავე შეხედულების არიან ა. ბონე (26), ა. პოტეზნია (137), ფ. კრიმპასი (92), პ. ოლმო (130), ე. შიმანი (172), ა. ნეგრული (126, 127) და სხვები.

წიპწის აღნაგობა, მისი ცალკეული ბოტანიკური ნიშანი და რაც მთავარია ამპელომეტრიული მარკენებლები, გვარის შიგნით, სახეობებისა და ზოგ შემთხვევაში, ჯიშის სამეურნეო ხასიათის (საღვინე, სასუფრე) დადგენის საშუალებასაც კი იძლევა.

არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ყურძნის წიპწების უძველესი არქეოლოგიური მონაპოვარი ევროპაში ძველი წელთაღრიცხვით IV-III ათასწლეულის მიჯნით თარიღდება და ძირითადად ვაზის ველურ ფორმებს (*v. silvestris* Gmel.) მიეკუთვნება (181, 24, 172).

საინტერესო მასალებია აღმოჩენილი ევრაზიის კონტინენტის სამხრეთის ოლქებში, როგორც ყურძნის წიპწების, ასევე ვაზის სხვა ნაწილების სახით. მაგ. თურქეთის ტერიტორიაზე ე. წ. კორკუთეფზე, ძ. წ. 4500-3000 და 2600-2300 წლების ფენებში მიცვლულია *ssp. silvestris* Gmel. დანახშირებული წიპწები (173). აღრებრინჯაოს ხანის საინტერესო მასალაა მოპოვებული, ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე. აქ,

კ. 2450



დანახშირებულ წიპწებთან ერთად ნაპოვნია ვაზის ნაყოფის, კლერის/ და მარცვლის კანის ნარჩენები (160).

გვიანბრინჯაოს ხანის საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა აღმოჩენილი იტალიის, იორდანის და ყირიმის ტერიტორიებზე, როგორც წიპწების ასევე მათი ანაბეჭდების სახით (173, 179). უფრო გვიანი პერიოდის წიპწები და ფოთლის ანაბეჭდებია მიცვლელი კვიპროსზე და საბერძნეთში (173), მსგავსი მასალებია მოპოვებული რომის იმპერიის დროინდელ ფენებში იტალიის ტერიტორიაზე და ა. შ.

უკანასკნელი ოცდაათი-ორმოცი წლის განმავლობაში საქართველოში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვაზთან დაკავშირებული უამრავი მასალა აღმოჩნდა, რის საფუძველზეც, ადრე გამოქვეყნებულ მასალებთან შედარებით, 1500–2000 წლით გაღრმავდა ამ მცენარის ისტორია (155).

როგორც ვხედავთ, კარპოლოგიური მონაპოვარი უდიდეს ინფორმაციას იძლევა დარგის ისტორიის შესწავლის პროცესში, მაგრამ ამ მასალებს წმინდა ფილოგენეზური მნიშვნელობაც აქვს. იგი საშუალებას გადაძლევს კავშირი დავამყაროთ თანამედროვე ვაზის კულტურულ ჯიშებთან, ველურად მოზარდ ფორმებთან და უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მცენარის გაცულტურების პროცესზე.

ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული წიპწების და ვაზის სხვა ნაწილების ნარჩენების უმდიდრესი კოლექცია, საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს, რაც ამ ხანგრძლივი პერიოდის ყველა ისტორიული ეპოქის დახასიათების საშუალებას იძლევა. ამასთან დაკავშირებით უღრმესი მადლობა მინდა გადაუხადო ყველა არქეოლოგს, რომელთაც ამ უნიკალური მასალის თავმოყრის საშუალება მოგვცა.

ამიერკავკასია – შიველესი კერა

ადამიანს, დასაბამიდან საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ ვაზი ტყიდან გამოეტანა და კულტურულ მცენარედ ექცია. ეს კი, როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდარა.

უძველესი ნივთიერი საბუთი, რომელიც ამიერკავკასიაში, წინა შია – ახლო აღმოსავლეთში და საერთოდ სამი ზღვის (ხმელთაშუა, შავი და კასპიის) აუზში კულტურული ვაზის არსებობაზე მიუთითებს ადრეული ენეოლითის (8 ათასი წელი დღეიდან) ხანას მიეკუთვნება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სამხრეთ საქართველოში,

სოფელ შულავერის მახლობლად, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიული მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიციამ, 1965 წელს გამოავლინა უცვლელი ნამოსახლარი, სადაც დიდძალი ბოტანიკური, ოსტეოლოგიური თუ სხვა ნივთიერი მასალა (ირმის რქის სახნისი, ხორბლის, ქერის მარცვლები, ყურძნის წიპწები და სხვ.) იქნა აღმოჩენილი (231, 99). მონაპოვართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყურძნის წიპწები. მორფოლოგიური და ამპელომეტრიული მონაცემების ანალიზის შედეგებით, რაც ამჟვე დროს მრავალი თანამედროვე ვაზის ჯიშის წიპწებთან იქნა შეჭერებული, შულავერის წიპწები კულტურულ ვაზს - *V. vinifera L. ssp. sativa D. C.* უახლოვდება.


პირველი ნიმუში - 6 ცალი, ე. წ. „დანგრეულ გორაზე“ გაჭრილი საძიებო თხრილის თიხატყეპნილი იატაკზე იქნა აღმოჩენილი, ხოლო მეორე - ოთხი ცალი, იმავე სოფელში ე. წ. „შულავერის გორაზე“, № 1 შენობის ჩრდილოეთით. ათივე წიპწა კარგად არის შემონახული, მუქი ყავისფერია, სიგრძე 5,1 - 6,1 მმ შორის მერყეობს, ნისკარტის სიგრძე 1,0-1,5 მმ-ია, ქალაძა მომრგვალოა და წიპწის ზედა ნაწილში მდებარეობს. მუცლის ღარები კარგად არის გამოსახული ხუთ წიპწაზე და ნისკარტისკენ პარალელურად არიან განწყობილნი.

აღნიშნული წიპწები, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვით V-IV ათასწლეულით არის დათარიღებული, უძველესია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ევრაზიის კონტინენტზე.



სურ. 4.

ყურძნის წიპწები სოფ. შულავერის ენეოლითური ნამოსახლარიდან (ძვ.წ. V-IV ათასწლეულები)



სურ. 5

ურძნის წიწები სოფ. შულავერის დანგრეული გორიდან. ძვ. V ათასწ.

მიღებული შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოს, როგორც ვაზის ფორმათა წარმოქმნის გენეტიკური ცენტრის პირველადობას და რომ აღნიშნულ მხარეში, ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში შეიღი—რვა ათასი წლის წინათ მიწათმოქმედებისა და კერძოდ მევენახეობის, როგორც დარგის ჩანასახები არსებობდა. კულტურულ ვაზისათვის დამახასიათებელი ნიშნების მქონე ფორმების არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ამ მცენარის „მოშინაურების“ ხანგრძლივი და რთული პროცესი, იმდროინდელი ადამიანის „სელექციური მეთოდების“ ცოდნის დონის გათვალისწინებით, დიდი ხნის დაწყებული უნდა ყოფილიყო.

* * *

თითქმის ორი-სამი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ადამიანმა ვაზი ტყიდან თავის საცხოვრებელთან გადმოიტანა, ყურძენზე და მითუმეტეს მისგან დამზადებულ სასმელზე არაავითარი წყარო არ გაგვაჩნია.

და აი, მსოფლიოს წარღვნის შემდგომ პერიოდში, მესამე ათასწლეულის ანუ ბრინჯაოს ხანის დასაწყისის ფენებში ჩნდება, როგორც ნივთიერი არქეოლოგიური, ასევე წერილობითი საბუთები, რომლებიც საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებენ ამიერკავკასიაში მეღვინეობის არსებობაზე.

ამ თვალთახედვით უაღრესად საინტერესო მასალებია მოპოვებული აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლის სოფელ ურბნისში.

არქეოლოგ ა. ჯავახშვილის მიერ 1963 წელს ურბნისის მახლობლად, „ქვაცხელების“ ნასახლარზე მოპოვებული აღრებრინჯაოს ხანის მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. აქ აღმოჩენილია დიდი ზომის კაჟიანი ნამგლები,

მარცვლეულის ნავისებური საფეკვავეები, სხედასხვა ზომის და ფორმის ქურჭელი და ბოლოს ირმის რქის სახნისი, რომელიც გამწევი ძალის გამოყენებაზე გვაფიქრებინებს. რაც შეეხება ხორბლის, შერიის მარცვლებს და ყურძნის წიპწებს, ნათლად მიუთითებს, რომ მესამე ათწლეულის დასაწყისში ამ მხარეში მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი იყო (87, 228). ამ მონაპოვრიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია წიპწის (ერთი ცალი)* – არსებობა, რომელიც ნამოსახლარის უკიდურესი ქვედა (C_1) ფენის შენობის ბაქანზე, დაპირქვეავებული თიხის მცირე სასმისის ქვეშ აღმოჩნდა და რადიონახშირბადის (C_{14}) მეთოდით ძვ. წ. 2800 წლით დათარიღდა. იგი ოდნავ დაზიანებულია, მაგრამ ამპელოგრაფიული ნიშნები კარგად ემჩნევა. წიპწის სიგრძე ნისკარტიანად უდრის 6 მმ, სიგანე – 4 მმ, ხოლო ნისკარტის სიგრძე – 1,1 მმ. ხანდაზმულობის მიუხედავად ბუნებრივი ფერი თითქმის შენარჩუნებული აქვს, იგი მუქი ყავისფერია, ქალაძა და მუცლის მხრის ღარები კარგად ემჩნევა, მხოლოდ ოდნავ არის დაზიანებული (სურ. 6).



სურ. 6

ყურძნის წიპწები, ურბნისი, ქვაცხელას ნამოსახლარიდან. ძვ. წ. III – ათასწ.

ერთი წიპწის მონაცემებით, რასაკვირველია არ შეიძლება ამ ეპოქის ვაზის ჯიშთა ან უფრო სწორედ ფორმათა რაობაზე მსჯელობა, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ხელთ არის საკმაოდ დიდი ხნის გაკულტურებული ვაზის წიპწა, რომელიც კულტურულ ვაზთან *v. vinifera* L. ssp. *sativa* D. C. უფრო ახლოს დგას, ვიდრე ველურ ფორმებთან ssp. *silvestris* Gmel. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ იგი თიხის სასმისის ქვეშ იქნა ნაპოვნი. როგორც ჩანს ადგილობრივი ბინადარი უკვე იცნობდა ყურძნიდან სასმელის მიღების საიდუმლოებას.

* წიპწების რამოდენიმე ეჭმებლარი თბილისის ისტორიულ მუზეუმში, პროფ. ა. ჯავახიშვილიან ინახება, მათი ამპელოგრაფიული ანალიზი არ ჩავეიტარებია.

მეორე ნიმუშიც (თერთმეტი ცალი), რომელიც არქეოლოგ/ს. ნადიმაშვილის მიერ 1959 წელს სოფელ ურბნისთან ე. წ. „ხიზანანთგორბზე“ იქნა მოპოვებული, ძვ. წ. მესამე ათასწლეულს მიეკუთვნება. წიპწების ანალიზი იმავე წელს ჩაატარა პროფ. მ. რამიშვილმა. ძირითადი ნაწილი წიპწებისა ჩვენს კოლექციაშია დაცული, ხოლო რამდენიმე ცალი ქ. მოსკოვში, ტიშირაბევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მევენახეობის კათედრის გამგეს, პროფესორ ა. ნეგრულს გადაეგზავნა, რომელიც იმხანად მევენახეობის ისტორიის საკითხებზე მუშაობდა და ამ თემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა (126). წიპწების აღწერილობა გამოქვეყნებული აქვს არქეოლოგ ა. ბოხოჩქესაც (28).

ა. ნეგრულის შრომაში დასახელებული წიპწები შუა აზიაში, აშხაბადთან აღმოჩენილ წიპწებთან ერთად, იმდროინდელ სსრკ-ს ტერიტორიაზე უძველეს ნიმუშად არის მიჩნეული (შულავრის წიპწები, შედარებით მოგვიანებით აღმოჩნდა). სამწუხაროდ, ს. ნადიმაშვილის მონაპოვარი, მისივე განმარტებით, გლეხების მიერ მიწის სამუშაოთა შესრულების დროს არის აღმოჩენილი, ამდენად მოსალოდნელია დარღვეულიყო სტრატოგრაფია და აქედან გამომდინარე დათარიღებაც არ შეეფარდებოდეს სინამდვილეს, მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს შეცდომა (ამ შემთხვევაში მოსალოდნელია 500-1000 წელი), დასახელებული წიპწები მაინც დიდ ყურადღებას იმსახურებს. პირველ ყოვლისა თვალში საცემია მათი დიდი ზომები - სიგრძე 5,5-7,5 მმ, ნისკარტის სიგრძე - 1,0-2,0 მმ და დაბეწილი, მსხლისებური ფორმა; ქალაქი კარგად არის გამოსახული და წიპწის ზედა ნაწილში მდებარეობს, ხოლო მუცლის ღარები ნისკარტისკენ პარალელურად არიან განწყობილნი. ამ მონაცემებით ისინი თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს ვაზის კულტურულ სახეობას (*ssp. sativa*), ხოლო ქართლში ამჟამად გავრცელებული ჭიმებიდან ყველაზე მეტად სასუფრე-სალვინე ჭიმს ბუდემურს უახლოვდება (სურ. 7).



სურ. 7

ურბნის წიპწები, ურბნისის ხიზანანთგორბიდან. ძვ. წ. III- ათასწ.

როგორც ვხედავთ, შიდა ქართლის ამ, შედარებით მცირე მონაცემთა უკვე ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ხალხური სელექციის უფრო მაღალი დონე შეიმჩნევა, საღვინე ვაზის ჭიმბთან ერთად („ქვაცხელის“ მონაპოვარი) აღვივებს იყავებს სასუფრე ან სასუფრე-საღვინე ვაზის ჭიმბიც („ხიზანანთ გორა“).

თუ გავანალიზებთ ჩვენს მიერ მოტანილ V-III ათასწლეულების მასალებს, აშკარად შეიმჩნევა ვაზის, როგორც კულტურული მცენარის დახვეწის პროცესი, რაც წიპწების მოცულობის ზრდამდე გამოიხატება. მართალია ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც მცენარეთა გაკულტურება სტიქიურ, ემპირიულ ხასიათს ატარებდა, სრულიად კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა წიპწის და ყურძნის მარცვლის ზომების ურთიერთდამოკიდებულება. ა. ნეგრულის მიხედვით (127), მათ შორის პირდაპირ კორელაციური კავშირია და მარცვლის ერთ მილიმეტრზე, წიპწის მატება 0,27 მმ-ს უდრის. თუ ამ შეთოდით ვიხელმძღვანელებთ, შულავერში მოპოვებულ წიპწებს, რომელთა სიგრძე 5,1-6,1 მმ-ია, შეესაბამება 14-16 მმ სიგრძის მარცვლები.

ცნობილია, რომ წიპწებს სხვადასხვა პირობებში პოულობენ (ქვევრში, საწნახელში, შენობა-ნაგებობაში, ნანგრევებში, მიწის სიღრმეში და ა. შ.) და მათი უმრავლესობა დანახშირებულია (ხანდაზმულობის მიხედვით). როგორც ირკვევა, ათასწლეულების განმავლობაში ისინი მოცულობაში საკმაოდ იცლებენ, რაც 8-10%-ის ფარგლებში მერყეობს. ამასთან დაკავშირებით სპეციალური ცდებია ჩატარებული, წიპწების ტიგელში გამოწვით (127). თუ ამ შესწორებასაც გამოვიყენებთ, მივიღებთ, რომ შულავერის წიპწები საწყის პერიოდში იქნებოდა დაახლოებით 6,5-7,5 მმ, ეს კი 18-19 მმ სიგრძის ყურძნის მარცვლებს შეესაბამება. სურათი რომ უფრო ნათელი იყოს დავუმატებთ, რომ ვაზის ფორმათაწარმოქმნის ალანის კერის ვაზის ჭიმბიდან ჩინურის მარცვლის სიგრძე 14-18 მმ-ია, რქაწითლის - 17-19 მმ, თავკვერის - 15-17 მმ, საფერავის - 17-19 მმ, გორული მწვანის - 15-19 მმ.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, რომ საქართველო, ფილოგენეზური თვალსაზრისით ვაზის ფორმათა - წარმოქმნის და შევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უპირველეს კერად ვიგულისხმობთ არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ვერაზიის კონტინენტზე.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ი. კიციძის (86) მოსაზრებას, თითქოს აღრე

ბრინჯაოს ხანის საქართველოში (ურბნისის მაგალითზე) არ არსებობს მევენახეობის და მეღვინეობის დამადასტურებელი მასალები. მისი აზრით აღმოჩენილი წიპწები არასაკმარისი საბუთია და რომ დეტალურად შევეყენებოდნენ აზრი არ აქვს. სწორედ, რომ ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწები არის საბუთი ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნისა, რაც სხვა წყაროებითაც დასტურდება (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

შუამდინარეთის საიდუმლოებანი ანუ რას გვიაგვობს ლურსმული წარწერები

„და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქუეყანისა,
და დასხა ვენახი და სუა ღვინისაგან და
დაითრო...“
დაბადება IX, 20

ცნობილია, რომ ბიბლიიდან დამოწმებული ფრაგმენტი მსოფლიოს წარღვნისა და ნოეს კიდობნის არარატის მთაზე დაშვების შესახებ, IV–III ათასწლეულების მიჯნაზე მომხდარ მოვლენებს ასახავს და იგი შუმერულ ლეგენდებზე დაყრდნობილ ეპოსიდან მომდინარეობს.

ყოველივე გვიანდა გაეამაზვილოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე: ვაზი (საუბარია ვაზის ევრაზიულ სახეობაზე) ნორმალური სითბოს და ტენის მოყვარული მცენარეა. იგი მკაცრ ზამთარს ვერ ეგუება და -20°C და უფრო დაბალ ტემპერატურაზე იყინება. თუ გავითვალისწინებთ, რომ არარატის ველი ზღვის დონიდან 900–1000 მეტრზე მდებარეობს, სადაც ზამთარში ტემპერატურა ყოველწლიურად ეცემა მინუს 20° -ზე დაბლა, ბუნებრივია ბიბლიური ნოე თავისი სახლეულით სხვა, ვაზისათვის უფრო ხელსაყრელი კლიმატის მქონე მხარეში დასახლდებოდა.

შუმერულ-აქადური ლურსმული წარწერების მიხედვით, რომელიც ბიბლიური წარღვნის შესახებ პირველწყაროს წარმოადგენს, შუმერთა მეფე ზიუსუდრა აქადურად უთნაფიშთიმი (ნოეს პროტოტიპი) თავისი სახლეულით, არარატის მთიდან საკმაოდ მოშორებულ ადგილას დასახლებულა!

შუმერულ-აქადური ლურსმული წარწერები სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასაც გვაწვდის. აღნიშნულ ენებზე შექმნილი პირველი მხატვრული ნაწარმოები გილგამეშის ცხოვრების შესახებ, ითვლება

პირველწყაროდ ვაზისა და ღვინის, მვეენახეობისა და მეღვინეობის, როგორც სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგის არსებობის შესახებ. ამ უძველესი ისტორიული დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ მცენარე წარღვნას გადაურჩა (თუკი რეალურად იყო ასეთი გლობალური შემთხვევა) შუმერთა მიერ წარმოსახულ სამოთხის (წალკატის) ერთ-ერთი ატრიბუტი ყოფილა:

„...მარჯანს ასხია თავისი ნაყოფი,
ვაზი იხვევა ხილვად კეთილი,
ლილაქვას ფოთლები ასხია,
ნაყოფიც ასხია ხილვად საამური...“

გილგამეში, IX დათა, V სვეტი

...ხოლო ამ ღვითური მცენარის ნაყოფებიდან დაყენებული სასმელი – ღვინო არა მარტო ღმერთებისა და მეფეებისათვის, არამედ უბრალო მოკვდავთათვისაც იყო განკუთვნილი:

„ვინც საკმელი გაჭამა ღვთაებრიობის ღირსი
ღვინო გასვა მეუფეობის ღირსი“.

VII დათა, III სვეტი

და კიდევ:

„ბადაგი, ლუდი, ზეთი და ღვინო
მდინარის წყალივით ვასვი ხელოსნებს“.

XI დათა, 72, 73 ხაზი.

ბუნებრივია იბადება კითხვა: სად უნდა ყოფილიყო ქვეყანა, ვაზი ასეთ ღვითურ სასმელს რომ იძლეოდა?

ლურსმული წარწერებიდან ირკვევა, რომ შუმერებს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონდათ. ისინი უამრავი რაოდენობის მარცვლეულს, ფინიკს და მეცხოველეობის პროდუქტებს აწარმოებდნენ, რომელიც მუზობელ ქვეყნებში გაქონდათ. სამაგიეროდ მცირე აზიიდან შემოქონდათ ხე-ტყე, ლითონი, ნელსაცხებლის მასალა; ეგვიპტიდან – საამშენებლო ქვა, ძვირფასი ლითონები; ინდოეთიდან სპილოს ძვალი, ხოლო სამხრეთ ამიერკავკასიიდან უმთავრესად ღვინო. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაჩვეულებრივი ხეხილის ბაღები ჰქონდათ (მაგ. ლაგამის უნიკალური სარწყავი ბაღები), სადაც მრავალი ეგზოტიკური მცენარე ხარობდა, ვაზს, განსაკუთრებით მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ქვემოწელში, მაღალი ღირსების ან როგორც თვითონ უწოდებდნენ, სამეფო ღვინის მოცემა არ შეეძლო, ამიტომ იძულებული იყვნენ იგი სხვა, მოსაზღვრე

ტერიტორიებიდან ან ქვეყნებიდან შემოეტანათ. ყოველივე ანას კი საქარაენო გზების გარეშე ვერ მოახერხებდნენ. როგორც ირკვევა, შუმერები არც გზების ნაკლებობას განიცდიდნენ. ერთ-ერთი ასეთი გზა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთით, სპარსეთის ყურის სანაპირო ზღვაზე ურდში იწყებოდა. იგი ჩრდილოეთით ქალაქ ლაგაშისკენ მიემართებოდა, სადაც ორ ტოტად იყოფოდა, ერთი – აღმოსავლეთით, ირანისაკენ უბვევდა, მეორე – ჩრდილოეთით, ნიფურისკენ. აქედან კი ერთი გზა დასავლეთით, ხმელთაშუაზღვისპირეთისაკენ გადადიოდა, ხოლო მეორე, მცირე აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ოლქებამდე აღწევდა (196). სწორედ ამ უკანასკნელიდან, სხვა საქონელთან ერთად შემოჰქონდათ ის ღვინო, რომელსაც დიდი მოწონება ჰქონდა, როგორც წარჩინებულთა, ასევე დაბალ ფენებს შორის. საინტერესოა, რომ ლაგაშის ქვეყანაში ყურძნის მოსავლის აღებას, დამზადებულ პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას ქალი ხელმძღვანელობდა (186).

შუმერებს ერთ მეტად მნიშვნელოვან სფეროშიც ეკუთვნის პრიორიტეტი. ისინი ითვლებიან მცენარეთა ინტროდუქციის (თანამედროვე გაგებით) ფუძემდებლებად. ყოველ შემთხვევაში ლურსმული წარწერები ამ ფაქტზე მყაფიოდ მეტყველებს.

ასირიული გადმოცემის თანახმად, მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში შუმერთა აქადური დინასტიის დამაარსებელსა და ყველაზე გამოჩენილ მმართველ სარგონ დიდს (2369–2314 ძ. წ.), რომელიც თავდაპირველად მეწაღე ყოფილა, ამ დარგის სიყვარული, ძლევამოსილი მმართველი რომ გახდა, არც მამინ განელებია. ერთ-ერთი მორიგი ლაშქრობიდან დაბრუნებისას, მას კაპადოკიიდან თავის ქვეყანაში ღვინის ორ ჯიშთან, ვარდთან და სხვა მცენარეებთან ერთად ვაზიც შემოუტანია (135). თუ გავითვალისწინებთ, რომ კაპადოკიას ამიერკავკასიისთან გარკვეული სიახლოვე ჰქონდა, არ არის გამორიცხებული, რომ ეს ვაზი სწორედ ამ მხარიდან ყოფილიყო შემოტანილი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის ცნობილი გერმანელი მკვლევარის ვ. ჰენის ლინგვისტურ-ფლორისტული ანალიზი: „ვაზის ქემმარიტი საშობლო კასპიის ზღვის მახლობლად მდებარეობს. უღრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზები უზარმაზარ ხეებზე გადახლართული და მშვენიერი მტყუნებით ხიბლავს ადამიანს. იქ და მის მახლობლად: კახეთში, სამეგრელოში, სომხეთში, სადაც დღესაც შემორჩა უძველესი წეს-ჩვევები და რაც ბერძნების და რომაელების თხზულებებიდან არის ცნობილი, მოყავთ ნარინჯისფერი, ბალზამური სიტყბოს მეტად არომატული ვაზის ჯიშები,

ხოლო უცეთილშობილესი კახური საფერავი ისეთ მუქწითლად შეღებრილ წვეწვანს იძლევა, რომ ამ წვეწვანით მანდილოსნები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებსაც კი უწერენ“-ო. შემდეგ მკვლევარი განაგრძობს: „...აქედანვე სემიტური ტომების საშუალებით, ვაზი ქვემო ევფრატის და დასავლეთის მიმართულებით ე. წ. მცირე აზიაში ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან და სხვა ირანელებთან (ავტორი რატომღაც დასახელებულ ტომებს ირანელებთან აერთიანებს. რ. რ.), ხოლო შემდგომ, როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე ზღვით, საბერძნეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა. ბერძნების ყველაზე ადრინდელ მოჭაურობათა შედეგად ეს დემონური სასმელი იტალიის საზღვრებში მოხვდა, ხოლო შემდეგ დანარჩენ ევროპაში (37). „ეფიჭრობით ავტორის შრომიდან მოტანილი ფრაგმენტი მრავალმხრივია საყურადღებო. ეს მოსაზრება, უცვე მკვლევართა შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ფლორისტული მასალებითაც დასტურდება. სამწუხაროდ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკიდან შემოჭრილი მავნებლის ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა გავრცელების შედეგად, ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტყეებში, ბუნებრივად მოზარდი ვაზის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამგვარ ტენდენციას ხელი შეუწყო აგრეთვე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების მასობრივმა გავრცელებამ და ტყეების განადგურებამ, რამაც ბუნებრივად მოზარდი ვაზის განადგურებაც გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ვაზის ფორმათაწარმოქმნის პროცესი მაინც არ შეწყვეტილა, რაზედაც წყაროებისა და მცირე მდინარეების სიახლოვეს აღმოცენებული ბუნებრივი თესლნერგებიც მეტყველებს.

ვ. ჰენის ციტირებულ მოსაზრებას, თითქოს საუკუნეების სიღრმიდან ებმანება სპარსული და ძველებრაული ლეგენდები, რომელთა მიხედვითაც ვაზის წარმოშობის უძველეს კერად ამიერკავკასიას მიიჩნევენ.

სპარსული ლეგენდის მიხედვით, სახელგანთქმული მეფის შამირამის შვილმა უფლისწულმა ბადამმა სიკვდილს გადაარჩინა ფასკუნჯი (ან არწივი), რომელსაც გველი აღრჩობდა. მადლიერმა ფრინველმა მეფეს მცენარის თესლები მოუტანა. მეფემ თესლები დაათესინა და აღმოცენდა მშვენიერი ვაზი. ვაზმა ნაყოფი – ლამაზი მტევნები გამოიღო. ყურბენი დაწურეს და მიიღეს საუცხოო სასმელი – ღვინო. ამის შემდეგ, მეფის ბრძანებით მთელს ქვეყანაში ვენახის ზვრები გააშენეს. როგორც ლეგენდიდან ირკვევა ფასკუნჯი, რომელმაც ყურბენის წიპწები მოუტანა მეფეს, ჩრდილოეთის ქვეყნიდან მოფრინდა. ირანის ჩრდილოეთით კი როგორც ცნობილია ამიერკავკასია

მდებარეობს. მაგრამ ჩრდილოეთის მხარე (სპარსულად „ქუჩტი აპარტი“) მისი ზოგადი მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს იგი საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული კავკასიის აღმნიშვნელი გეოგრაფიულ-პოლიტიკური ტერმინი ყოფილა.

ებრაული გადმოცემის მიხედვითაც, ვაზის სამშობლოდ „ჩრდილოეთის ქვეყანა“, ამიერკავკასია, კერძოდ სამხრეთ კავკასია და არარატის მხარე ივარაუდება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გ. ჩიტაიას ლინგვისტურ-ისტორიული ექსკურსი. „ამ ორი გადმოცემიდან, აღნიშნავს მეცნიერი, ერთი, ებრაული, სემიტური სამყაროდან მომდინარეობს, ხოლო მეორე, სპარსულ-ირანული ე. ი. ინდოევროპული სამყაროდან. პირველი მათგანი კულტურული ვაზის სამშობლოდ გამოიციხავს ისეთ ძველ ცენტრს, როგორიცაა სირია-პალესტინა, ხოლო მეორე – სპარსეთს. ორივე ეს გადმოცემა ვაზის კულტურის წარმოშობას სამხრეთ კავკასიას უკავშირებს, იმ ტერიტორიას, რომელიც ოდითგანვე ამორიგენი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული და ამდენად ამორიგებავს სემიტურისა და ინდოევროპული ჩამომავლობის მოსახლეობის პირველობას ამ დარგის მურყნობის წარმოშობის საკითხში“ (202).

ადრებრინჯაოს ხანის მეორე ნახევრიდან, შუა ბრინჯაოს ხანის დამდეგამდე, მევენახეობასთან და მეღვინეობასთან დაკავშირებული მასალები კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება არა მარტო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, არამედ კულტურული ვაზის გავრცელების მთელ არეალში – წინა და შუა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ევროპის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში. ეგვიპტის უძველესი კედლის მხატვრობათა მრავალფეროვნება და ფარაონთა აკლდამების უმდიდრესი ნივთიერი მასალა, ნათლად მეტყველებს იმკამინდელ მევენახეობისა და მეღვინეობის კულტურაზე (59). ძველი მესოპოტამიის (მესოპოტამი ბერძნულად შუამდინარეთს ნიშნავს) აღმოსავლეთ მთიანეთში, მეფეთა და ქურუმთა საყვარელ საქმეს კვლავ ღვინის დაყენება და სმა წარმოადგენდა. ღვინო ითვლებოდა მსხვერპლშეწირვის მთავარ ატრიბუტად, რაც დროთა განმავლობაში ზრდისა და სიმწიფის სიმბოლოდ გადაიქცა. მაგალითად, ძველ ხეთებს ტაძრის კედელზე გამოსახული ნაყოფიერების ღმერთი ვაზის მტყენებით ჰქონდათ შეწყული (186).

კაცობრიობის განვითარების ამავე ეტაპზე, ადამიანთა წარმოსახვაში ჩნდება დედა – ბუნების, დედა – მიწის ბრწყინვალე კულტი და ნაყოფიერების

კულტთან დაკავშირებული რიტუალები (228). ან მოვლენებმა რეალური ასახვა ჰპოვა ამიერკავკასიის მუზოზელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებშიც. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში, კერძოდ შუალავერში აღმოჩენილი, სიმბოლური ნიშნებით შემკული ქალის სტატუეტი, შერბე გამოსახული ხე-მცენარით, რომელიც ქალის უბიდან არის აღმოცენებული. როგორც ჩანს ამ ქანდაკებაში ქალის, სიცოცხლის და ნაყოფიერების სიმბოლურაა შერწყმული. ქალი დედა, მიწის გამოხატულებაა, რომელიც მცენარეულ სამყაროს შობს და მფარველობს (220) არ არის გამორიცხული, რომ ეს სიცოცხლის ხე ვაზთან იყოს დაკავშირებული.

შუა ბრინჯაოს ხანიდან მთელს ამიერკავკასიაში ფართოდ ვითარდება მეთუნეობა, მეტალურგია, მეცხოველეობა, მიწათმოქმედება და სხვა დარგები, რაც ძირფესვიანად ცვლის მოსახლეობის სამეურნეო-ყოფით მდგომარეობას (87). სამწუხაროდ ეს ხანა საქართველოში ნამარხი წიპწებით სუსტად არის წარმოდგენილი, მაგრამ სხვა არქეოლოგიური მასალების მიხედვით, მევენახეობის და მელვინეობის განვითარება კარგად შეიმჩნევა. ამის დამადასტურებელია საყოველთაოდ აღიარებული თრიალეთის კულტურა.

ტომის ბელადების უმდიდრეს ყორდანულ სამარხებში, რომლებიც მეორე ათასწლეულის პირველნახევარს ეკუთვნის დიდი რაოდენობით აღმოჩნდა: ღვინის თემბატყასთან დაკავშირებული ორნამენტებით და სიცოცხლის ხის გამოხატულებით დამშვენებული თიხის, ოქროს და ვერცხლის ნაწარმი, სხვადასხვა სახის მორთულობა, თასები და ფიალები. ამ მასალიდან სრულიად განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბაჭაღლო ოქროდან დამზადებული, ძვირფასი თვლებით მოქედილი თასი, რომელსაც ძველი აღმოსავლეთის ცნობილ ტორვეტყულ ძეგლებს შორის ბადალი არ მოეპოება (სურ. 8). იგი საქართველოს ბრინჯაოს ხანის საიუველირო



სურ. 8
სასმისი ოქროსი, მოთვალეული, თრიალეთიდან.
ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი.

ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია (95). ასევე საინტერესოა მთლიანი ფურცლიდან დამზადებული ცილინდრული ფორმის ვერცხლის სასმისი, რომელიც ორი ჰეიდური ფრზისაგან შედგება (სურ. 9).



სურ. 9

სასმისი ვერცხლის, რელიგიური პროცესის გამოსახულებით. თრიალეთი. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი.

გამოსახულია 23 ჭიტიანი მამაკაცი, ხელში დიდი, მოგრძო ფორმის თასებით, რომლებიც სიცოცხლის ხესთან მჯდომ ღვთაებისავენ მიემართებიან (96). ორივე თასის შედარებით მომცრო ზომები და ნატიფი ფორმა მიუთითებს, რომ ისინი ღვინის სასმელად იყო გამოყენებული. ამავე პერიოდს ეკუთვნის 1966 წელს გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით, სამხრეთ საქართველოში ბედენის ზეგანზე გათხრილი 12 გორასამარხი (ყორანი), სადაც სხვა მეტად საინტერესო მონაპოვართა შორის, ყურძნის წიპწები და ვაზის რქებია აღმოჩენილი. ჩვენ სამუალებმა არ გვაქვს წარმოგიდგინოთ ამ წიპწების ამპელოგრაფიული მასალები, ვინაიდან გ. გობეჯიშვილს ისინი საანალიზოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში გადაუგზავნია, მაგრამ თვით ფაქტი, სამხრეთ საქართველოს ამ მაღალმთიან, არასავენახე ზონაში ყურძნის წიპწების აღმოჩენისა, მეტად საყურადღებოა.

ბედენის ზეგანი მდებარეობს ქ. თეთრიწყაროდან 20–25 კმ მანძილზე ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით ზღვის დონიდან 1700–1800 მ სიმაღლეზე (29), სადაც ამჟამად სათიბ-საძოვრებია და ვაზის, რძეხეობის ადგილობრივი ფლორის ელემენტების არსებობა გამოირიცხებულია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყურძენი (ან ღვინო) აქ დაბლობი სამიწათმოქმედო ზონიდან ამოქონდათ. ამგვარი ე. წ. „სამთო მელვინეობის“ ტიპი, ვენახების გარეშე, უკანასკნელ დრომდე შეიმჩნეოდა საქართველოს ბევრ მაღალმთიან რაიონში (189, 156). როგორც გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, ბედენის მონაპოვარი გენეტიკურად თრიალეთის კულტურას უკავშირდება, სადაც კარგად არის წარმოდგენილი მევენახეობისა და მელვინეობის ამსახველი მასალები (სურ. 10).



სურ. 10

ვაზის რქის ნაშთები. ბედენის ყორღანიდან. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისი

სამხრეთ საქართველოს ეს ზონა იმითაც არის საინტერესო, რომ მდ. ქციის და მამავერას ხეობებში, ზღვის დონიდან 1000–1200 მ. სიმაღლეზე, დიდი რაოდენობით არის გავრცელებული ველურად მოზარდი ვაშები, რომელთა ფილოგენეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეურნეობის ისტორიულ პროცესთან.

შუა ბრინჯაოს ხანა, საქართველოს ტერიტორიაზე, კერამიკული წარმოების ფართო განვითარებით ხასიათდება. ხდება ამ ნაკეთობათა დიფერენციაცია, დიდი ზომის ქვევრებთან ერთად ხმარებაში შემოდის, სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის, მცირე მოცულობის ქურჭლები,



სურ. 11.

ღვინის სასმისების რამდენიმე ნიმუში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოდან.

სასმისები და სხვა, რომლებიც უდაოდ ღვინის დამზადებასა და გამოყენებასთან იყო დაკავშირებული (სურ. 11).

მეორე ათასწლეულის დასასრულისათვის, ამიერკავკასიის და წინა აზიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა სახელმწიფო ნაირი – ურარტუ რომელმაც თავის სიძლიერეს IX–VII სს ძ. წ. მიაღწია. ნაირი – ურარტუს კულტურული გავლენა, რაც საზოგადოების განვითარებასა და სრულყოფაში გამოიხატებოდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც წინა აზიის ჩრდილოეთით და ამიერკავკასიაში იყო განლაგებული. ეს ქვეყნები სწორედ ურარტუს ფით აღიჭვამდნენ ძველი აღმოსავლეთის კულტურას (111, 135):

ურარტუს მევენახეობა-მელღინეობის მაღალ დონეს როგორც დღემდე შემორჩენილი ლურსმული წარწერები, ასევე არქეოლოგიური მონაცემები ასაბუთებს. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში მევენახეობა და მელღინეობა ურარტულთა მოსვლამდე გაცილებით ადრე არსებობდა. ურარტუს ეპოქაში, მხოლოდ არსებული ბალ-ვენახეების და საირიგაციო სისტემების გაფართოვებასა და მშენებლობას მიეცა ფართო გასაქანი (47, 77, 134, 217). ურარტუში მოწყობილი უზარმაზარი სარწყავი არხები არა მარტო საშფოო მეურნეობებისათვის, არამედ მთელი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი (111). ანალოგიური სარწყავი სისტემებია აღმოჩენილი ამიერკავკასიის სხვა რაიონებში, კერძოდ კი იბერიაში (87).



სურ. 12

თიხის საღვინე ჭურჭლების ნიმუშები. დასავლეთ საქართველოდან ძვ. წ.

I ათასწლეულის პირველი ნახევარი

მევენახეობა და მეღვინეობა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო, კოლხური სამყაროს ირგვლივ არსებული უამრავი თქმულება თუ წერილობითი წყაროც მეტყველებს. ამით შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უძველესი ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ; რომელიც ძ. წ. XIV-XII სს მოვლენებს ასახავს. როგორც აპოლონ როდოსელის (III ს ძ. წ.) არგონავტიკიდან ვიგებთ, ბერძენი იასონის მხლებლებმა შეაღწიეს რა კოლხეთის მეფის აიეტის სამფლობელოში, მრავალ საოცრებათა შორის ჩვენთვის საინტერესო საოცრებაც იხილეს:

„ვაზის ღერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთილები; დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს, დაბლა კი ოთხი მარად უმრობი წყარო შადრევნად მოჩუბჩუბებდა, ჰეფესტი ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკენი. ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე – წყარო წყალი აწყარა, პლეიადების ჩასვლის ეამისათვის ეს შადრევანი თბებოდა ხოლმე, და ცაზე მათი ამოსვლის ეამს კი ყინულზე ცივი, ბროლივით სუფთა მოწანწყარებდა ლოდის ხვრელიდან დაუშრეტელი მაცოცხლებელი“.

აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, III, 220.

ქვეყანა, სადაც ღვინო, რძე და ზეთი შადრევანივით ამოჩქვებდა (რაც უთუოდ პოეტის სიუზვის გამოშხატველი ეპითეტია) ჭეშმარიტად ძლიერი უნდა ყოფილიყო არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. გავიხსენოთ უმდიდრესი და უძლეველი შუმერების მიერ დატოვებული ლურსმული წარწერა: „ბადაგი, ლუდი, ზეთი და ღვინო, მდინარის წყალივით ვასვი ხელოსნებს“, რაც საოცარი სიზუსტით ეხმიანება კოლხეთის შესახებ

აპოლონიოს როდოსელისეულ აღქმას. შუა ბრინჯაოს ხანაში, მევენახეობა-მეღვინეობას, რომ ასეთი დონისთვის მიეღწია, მაღალი ინტელექტის მქონე ხალხის მრავალსაუკუნოვანი, გეგმზომიერი შრომა იყო საჭირო. სურ. 12.

ვაზისა და ღვინის წარმოშობის ლეგენდები, საბერძნეთში, შედარებით გვიან, პომპროსის დროინდელ ეპოქაში (VIII-VII სს ძ. წ.) შეიქმნა და ღვთაება დიონისეს კულტს მიეწერება, ხოლო მეორე მხრივ, ასტრალურ ღვთაებას – ვერძს და სირიუსს. ასევე გვიანდელია ეგვიპტური თქმულება ოზირისის შესახებ, ვაზის კულტურის ჩასახვასთან დაკავშირებით (202).

კოლხეთში მევენახეობის უძველესი ტრადიციების არსებობის შესახებ, უნიკალური მასალებია მოპოვებული ქართველი არქეოლოგების მიერ, რომელთა შორის აღსანიშნავია სოფელ ანაკლიასთან, დიხა-გუძუბას ბორცვზე და სოფ. ნოსირთან გამოვლენილი ძეგლები (სურ. 13).



სურ. 13

ურძის წიპწები ანაკლიადან (კოლხეთი) ძვ. წ. II ათასწლეული.

დიხა-გუძუბას დასახლება ენეოლითის ხანას ეკუთვნის და ანტიკურ ხანამდე არსებობდა. აქ აღმოჩენილი, საუცხოოდ შენახული მცენარეული ნარჩენები – ფეტვისა და ხორბლის მარცვლები, წიფლის ნაყოფები, რკო, თხილი და სხვ., ამავე დროს ვაზის რქის ნაწილები, მრავალრიცხოვანი ქვის იარაღები, საფქვავეები და სხვ. მეურნეობრიობის მაღალ დონეზე მიუთითებს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ამ უაღრესად საინტერესო ნამოსახლარზე უფრო ძველი, ნეოლითური სადგომებიც არის მიცვლელი, რაც ასევე საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედების სურათს იძლევა (40; 223). უაღრესად საინტერესო, შეიძლება ითქვას უნიკალური მასალა აღმოჩნდა სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში 1976 წელს. ერთ-ერთი ნამოსახლარი ბორცვის კულტურულ ფენაში, არქეოლოგ ე. გოგაძის მიერ მიცვლელი იქნა ვაზის მერქნის ნარჩენები, რომელიც მის მიერვე დათარიღებული იქნა მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრით. ე. გოგაძის გადმოცემით, მონაპოვარს, რომელიც თითქმის ჰაერგაუმტარ თიხატყეპნილ ფენაში იყო


მოკცეული, მთლიანად შენარჩუნებული ქონდა მალღარი ვაზისათვის დამახასიათებელი აღნაგობა – ფესვები, ფესვის ყელი, შტამბი, განშტოებები და რქები. გათხრის დამთავრების შემდეგ, პერსე მოხვედრისთანავე მისი განსაკუთრებით მისი წვრილი განშტოებები და რქები თითქმის მთლიანად დაიშალა და ისე დაზიანდა, რომ სტრუქტურა მთლიანად დაერღვა. დაშლადამთავრებას გადაურჩა მხოლოდ შტამბის ქვედა, მსხვილი ნაწილი (სურ. 14), რომლის მიკროსტრუქტურული ანალიზი ჩატარდა საქართველოს



სურ. 14

ვაზის მერქნის ნაშთი ნოსირიდან (კოლხეთი) ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი.

მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილებაში პროფესორ თ. კეხელის მიერ. პროფ. კეხელის ოფიციალურ დასკვნაში ვკითხულობთ: „ნიმუში ვაზის ძირითადი ღეროს ანუ შტამბის ნაშთია, რომელსაც შერჩენილი აქვს ვაზის მერქნისათვის დამახასიათებელი ანატომიური ნიშნები: საკმაოდ დიდი ზომის ქერქლები და რთული (რამდენიმე შრიანი) გულგულის რადიალური სხივები. ძირითადი მასა კი სქელგარსიანი ტრაქეიდებია. მერქანს, ზოგიერთ ადგილას შერჩენილი აქვს ქერქის (მეორადი ლაფნის) ქსოვილი და კამბიუმის შრე (სურ. 15).



სურ. 15

ნოსირის ვაზის მერქნის ანატომიური სრუქტურა

მიკროანალიზმა, რომელიც მთლიანად დაზიანებული და დაშლილი ნაწილებიდან მხოლოდ სათანადო შლიფის გაკეთების შედეგად მოხერხდა, ვაზისათვის დამახასიათებელი შედეგი მოგვცა. სტრუქტურული მონაცემები თანამედროვე ვაზთან შედარებისას იძლევა საფუძველს, რომ იგი მიეკუთვნოს ვაზის მერქანს, საკმაოდ ხნიერს და იმ ნაწილს, სადაც ღერო ფესვის ყელს უერთდება“.

რკინის ფართოდ ათვისების ხანაში, საქართველოში ძირფესვიანი ცვლილებები ხდება. პირველ რიგში, საწარმოო ძალთა განვითარების ფონზე, ქართველურ ტომთა კონსოლიდაციასთან ერთად, თანდათანობით იცვლებოდა მეურნეობრიობის ხასიათი. ქვეყნის მიწათმოქმედების დონე უფრო მაღალ ხარისხში აღის და მასშტაბურობას იძენს. მოსახლეობის ბარის ზონაში კონცენტრაცია საფუძველად ედება სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას. ჩნდება სრულიად ახალი სამეურნეო კატეგორიები: „დაბლარი მევენახეობა“, ღვინის სპეციალური სახლი „მარანი“ და სხვ.; იქ სადაც ტენის დეფიციტი შეიმჩნეოდა სრულყოფილ სახეს იღებს სარწყავი სისტემები; მრავლდება დარგთან დაკავშირებული ინვენტარ-იარაღები; მტკიცედ მკვიდრდება მევენახეობასა და მეღვინეობასთან დაკავშირებული საკულტო-სარიტუალო ინსტიტუტები და ა. შ. (1, 8, 28, 97, 98, 146, 210, 216).

ამავე ხანაში ფართოვდება ვაზის ჯიშობრივი ასორტიმენტი და გავრცელების არეალი, უმჯობესდება თვით ვაზის ჯიშის ამპელოგრაფიული

მაჩვენებლები, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია აზნის ურძნის წიპწების ძირითადი ნიშნების დახვეწაში გამოიხატება, ამის დამადასტურებელია უფლისციხის და სამთავროს (X-IX სს დ. წ.) დიდი ტერიტორიაზე (VIII-VII სს დ. წ.) და ცოტა მოგვიანებით კასპში, ციხიავორას ტერიტორიაზე (IV-III სს დ. წ.) მოპოვებული ურძნის წიპწები და სხვა ნივთიერი მასალები (სურ. 16-17).



სურ. 16

ურძნის წიპწები უფლისციხიდან ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი.



სურ. 17

ურძნის წიპწები მცხეთიდან (სამთავრო) ძვ. წ. X-XI სს.

1970-იან წლებში, თბილისის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი რ. აბრამიშვილი) აღიწერა დიდი მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე. წ. „თრელიგორაზე“ აღმოჩენილი იქნა უძველესი ნამოსახლარი (I). ნამოსახლარი გვიანბრინჯაოს და ანტიკური ხანის დასაწყისის ფენებში (VIII-VI სს დ. წ.), მევენახეობასა და

მელნიერობასთან დაკავშირებული დიდძალი მასალა გამოვლინდა. მოწმეში მთლიანად ჩარგული ქვევრები, ვერძის და ხბოს თავის გამოსახულებიანი ღვინის ქურჭელი და სასმისები, ალუბასტრისგან დამზადებული რაქები, დიდი ზომის თიხის ორნამენტირებული ქურჭლები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამპელოგრაფიულად სრულიად დახვეწილი, კულტურული ვაზის წიპწები, რომლებიც ამჟამად გავრცელებულ ცნობილი ჯიშების, ჩინურისა და გორული მწვანის წიპწებს ემსგავსება (სურ. 18).



სურ. 18

ყურძნის წიპწები თრულივორადან (თბილისი). გვიანი ბრინჯაო

დასახელებული ტერიტორია იმითაც არის საინტერესო, რომ უკანასკნელ პერიოდამდე უმაღლეს დონემდე აყვანილი საწყავი მეურნეობის წყალობით, წალკოტად იყო ქცეული, მევენახეობას წამყვანი ადგილი ეკავა და სწორედ ზემოდ დასახელებული ჯიშებიდან მაღალი კატეგორიის, საკმაოდ ალკოპოლიანი, ამავე დროს მსუბუქი და არომატიული ღვინოები ღვებოდა.

მალლარი, ოლიხნარი, ღაბლარი

ადამიანი, როგორც აღინიშნა თავდაპირველად ყურძენს ტყეში აგროვებდა, შემდეგ მან ვაზი ტყიდან გამოიტანა, მაგრამ მისი იმდროინდელი ცოდნა-გამოცდილება და ფანტაზია ტყის სინამდვილეს ვერ სცილდებოდა, მან ვაზის საყრდენად კარმიდამოსთან ახლოს მოზარდი ხემცენარე შეარჩია, ვაზი მიურგო და ტყესთან შედარებით უკეთესი პირობები შეუქმნა. გაცილებით გვიან ვაზის მოშენების ამგვარ წესს „მალლარი“ შეერქვა.

ტერმინი „მალლარი“ პირველად ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის

1745 წლის ხელნაწერში გვხვდება იმერეთის და ეგრისის სიზღვიანობის აღწერისას: „არამედ სვირს ზეთს, აღმოსავლეთის კერძოს... და არს ესე ქუეყანა... ნიგვზნარ, ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, უწოდებენ მალლარსა ანუ ბაბილოსა. ღვინო მრავლად და კარგი... ალწერისას აღნიშნავს: „...ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მალლარი; გურიასა და ოდიშშიც მსგავსად ყოფილა „ვენახნი მალლარნი, ღვინო კეთილი“.

აღმოსავლეთ საქართველოს ალწერისას, ვახუშტი არსად არ ახსენებს მალლარს, გულისხმობს, რომ როგორც წესი, ვენახი დაბლარად იყო გაშენებული. გამოდის, რომ „მალლარი“, როგორც ვახის ფორმირების წესი, თავდაპირველად მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, მაგრამ შემდგომ ძირითადად დასავლეთ საქართველოში შემორჩა, რაც უთუოდ ქართველიანმა კლიმატმა განაპირობა. თუმც, საინგილოში სადაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით რბილი სუბტროპიკული ჰავაა, მალლარის ეჭუმპლარები დღესაც საკმაოდ გვხვდება.

მალლარი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამოდენიმე სინონიმით არის ცნობილი, რომელთაგან ყველაზე ძველი – „ბაბილოა“ და V-VI საუკუნეების საბუთებში და დაბადების ქართულ თარგმანშია მოხსენებული. მეორე სინონიმი, „დობირა“, როგორც ჩანს „მალლართან“ ერთად დამკვიდრდა, ხოლო მესამე – ქიზიყში ყოფილა გავრცელებული „შამობილის“ სახელწოდებით (224).


„მალლარმა“, თითქმის –5 ათასი წლის განმავლობაში ალტერნატიული ფორმირების გარეშე იარსება, ვიდრე ადამიანმა გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ნახევარში. განსაკუთრებით კი რყინის ფართოდ ათვისების ხანაში არ მიაგნო ვახის აღზრდა-ფორმირების სრულიად ახალ წესს, „დაბლარს“. მაგრამ ეს გარდატეხა, ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. მაღალ ხეზე ასული ვახი ადამიანს გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა მოვლის თვალსაზრისით, რაც ხმელი და ზედმეტი ტოტების შეჭრა-დამოკლებამი გამოიხატებოდა. ამას თან ერთვოდა ყურძნის კრეფის სირთულე, რაიც წმირად უბედური შემთხვევებითაც კი მთავრდებოდა. ყოველივე ამან აიძულა ადამიანი, დროთა განმავლობაში უფრო მოხერხებული საყრდენი შეეკმნა. ამიტომ, მაშინდელმა მევენახეებმა, ალბათ უკვე ნაკლებტენიან აღმოსავლეთ საქართველოში იწყეს საყრდენის დადაბლება. თავდაპირველად მკირე ზომის ხეების გამოყენება სცადეს, მოგვიანებით, საყრდენი კიდევ უფრო გაამარტივეს და ვახს მოჭრილი, რამოდენიმე ტოტანი ხე – 2-2,5 მეტრი სიმაღლის, – მსხვილი ქიგო (სარი)

შეუყენეს. ამ სახის საყრდენს ქართველმა მეურნემ, გასულ საუკუნეში (შესაძლებელია უფრო ადრეც) „ოლიხნარი შეარქვა“ და როგორც შემდგომ გაირკვა იგი დაბლარ მევენახეობაზე გადასვლის გარდასვლის სატაპი აღმოჩნდა (45).

„ოლიხნარი“, როგორც ი. ჭავჭავაძის აღნიშნავს, მეგრული წარმოშობის ტერმინია. იგი ისეთივე სიტყვაა, როგორც „ოჯალში“, რაც ხეზე გასაშვებ ვახს ნიშნავს (მოგვიანებით ეს უკანასკნელი ვახის სახელწოდებად იქცა). ამგვარად, „ოლიხნარი“ ლიხნარზე ანუ მაღალ ბუჩქნარზე გასაშვები ვახის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (224).


„დაბლარ“ მევენახეობაზე გადასვლა, როგორც აღინიშნა საეტაპო მოვლენა იყო საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიაში, იგი სამრეწველო მევენახეობის გაჩენას უკავშირდება, ეს უკანასკნელი კი ვენახში ჩასატარებელი სამუშაო პროცესების და ამ უკანასკნელისათვის საჭირო ინვენტარის სრულყოფას მოითხოვდა.

ბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის, საქართველოს (ძვ. წ. VIII-VII ს.ს.), ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ვახის გასხვლისათვის საჭირო ინსტრუმენტები, „წალდი“ და „სავაზე“ (სურ. 19, 20). წალდის



სურ. 19

ვახის სასხლავები ბრინჯაოსი აღმოსავლეთ საქართველოდან. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში.




სურ. 20

წილდის ნიმუშები ბრინჯაოს (კოლხეთი) განკუთვნილი მალლარი ვენახის გასასხლავად. ქვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი

გავრცელების არეალი, ძირითადად კოლხეთის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა და იგი თავისი კონსტრუქციის წყალობით მხოლოდ მალლარის გასასხლავად გამოდგებოდა, ხოლო „საეაზე“ („საეაზე ნამგალი“), ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და დაბლარის გასასხლავად იყენებდნენ (8, 28, 97, 98), მაგრამ არსებობს კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს სასხლავი ნამგლებიც, რომლებიც მევენახეობისათვის ხელსაყრელ ზონებშია მოპოვებული. როგორც ჩანს, მათ წაღდთან ერთად, „მალლარიდან“ „დაბლარზე“ გადასვლის პროცესში წარმოშობილი შუალედური ფორმის „ოლიხნარის“ გასასხლავად იყენებდნენ (28).

დაბლარში, სამრეწველო მევენახეობის დამკვიდრებამ ახალი პრობლემები შეუქმნა მევენახეს. პირველ რიგში საჭირო გახდა ვენახის გაშენების, ვაზის გასხლისა და ჭიგოზე ფორმირების წესების მიგნება. ასევე პრობლემური იყო მოწეული მოსავლის დაბინავება – გადაამუშავების და მიღებული ღვინის შესანახი სათავსოების მოწყობა.

ჭიგოზე, დაბლარად ფორმირებული ვაზის ე. წ. „ქართული ფორმის“ შემუშავება, რომელიც დღესაც საფუძვლად უდევს ვაზის გასხვლა-ფორმირებას, სწორედ ამ ეპოქაში უნდა მომხდარიყო.



სურ. 21

შუასაუკუნეების ვაზის სასხლავები (სავაზეები) რყინის

თავდაპირველად, დაბლართან ერთად მალლარის და ოლიხნარის წესით ფორმირებული ვაზებიც შენდებოდა, თანდათან ასეთი შერეული ნარგაობა პოზიციებს თმობდა, მაგრამ მთლიანად არ გამჭრალა. ამის საბუთად თუნდაც გასული საუკუნის 20-30-იანი წლების კახეთის ვენახებიც კმარა. აი რას წერს 1876 წ. გამოცემულ მევენახეობის სახელმძღვანელოში ე. ჭორჭაძე: „უწინ (იგულისხმება მე-19 საუკუნის 30-იანი წლები) ჰქონდათ კახეთში პატარა მამა-პაპეული ვენახები, რომლებშიაც იდგა წმირი ვაზები, და რომელსაც აყრიდნენ ბლომად სასუქსა და ამას გარდა შიგადაშიგ ვაზებშია იდგა წმირი ფურცელი ე. ი. თუთის ხე ჭიის აბრეშუმის სახმარებლად და აგრეთვე სხვადასხვა ხეხილის ხეები, რომელზედაცა აგრეთვე ამცვებული იყო ვაზები“. (233). დაბლარი მევენახეობის პარალელურად ბუნებრივ მალლარებსაც სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით საქართველოში ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა შემოჭრამდე, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ლიტერატურულ წყაროებში (37, 121, 197).

აღნიშნული ეპოქის არქეოლოგიური მონაპოვრიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კერამიკული ნაეეთობანი. ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ ყალიბდება დიდი მოცულობის საღვინე ქურქელი – ჰევერი (სურ. 22), ხდება მცირე ზომის ღვინის ქურქულების დიფერენციაცია, რასაც ადასტურებს, სავაზეებთან ერთად აღმოჩენილი სამტუჩა დოქები



სურ. 22

ჭვევრის ნიმუში, გვიანი ბრინჯაოს ხანა.

კამარახევიდან, დიდი ზომის ჭვევრები, სხვადასხვა ზომის ღვინის მოსაკავებელი თუ გადასაღები ჭურჭლები სამთავროდან და ყურძნის წიპწები (146, 210). როგორც ჩანს, ამავე პერიოდს ეკუთვნის საღვინე ჭვევრების, ურარტუელებისგან განსხვავებული, მიწაში მთლიანად ჩარგვის ადგილობრივი, ქართული წესი.

ცნობილია, რომ ურარტუელები ჭვევრებს მიწაში შუაწელამდე ათავსებდნენ (135). ასეთი, ნახევრადმიწველი მდგომარეობა ღვინოზე უარყოფითად მოქმედებდა, რაც გარეტემპერატურის რყევით იყო გამოწვეული. ქართველმა მეღვინეებმა ჭვევრის მიწაში მთლიანი, ყელამდე ჩარგვა ამჯობინეს, რითაც ღვინოს სტაბილური ტემპერატურა და ღვინის დავარგების იდეალური პირობები შეუქმნეს.

რკინის ფართოდ ათვისების ხანის მთელ მონაცვეთზე, მევენახეობა და მეღვინეობა უფრო პოპულარული ხდება. ღვინო არა მარტო სასმელია, იგი იმდენად არის იდეალიზირებული, რომ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში პოულობს გამოხატულებას, განსაკუთრებით კი გამოყენებით ხელოვნებაში. ამის ერთადერთი ნათელი გამოხატულებაა ცენტრალურ კავკასიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლები, რომლებიც ფუნქციონალური, მხატვრულ-დეკორატიული და სტილისტური ერთიანობით გამოირჩევიან. როგორც ჩანს, ამ ხელოვნებას მკვეთრად გამოხატული გამოყენებითი ხასიათი ჰქონდა, სამემსრულებლო ღირსებას ხელოსნის თუ ხელოვნის რაფინირებული დონე განაპირობებდა (220).

ჩვენთვის საინტერესო თემატკასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს სამთავროს, თლიის და ჩაბარუხის სარტყლები.

მცხეთის მახლობლად, სამთავროში აღმოჩენილ სარტყელზე გამო-
სახულია ფანტასტიკური და სანადირო ცხოველები – ირმები, ტახი,
ფრინველი, თევზი, თხა და ღვინის სმის სცენა – ორი მამაკაცი საშალო მობ-
რდილ სასმისებს უჭახუნებენ (სურ. 23). მეორე ეჭვმპლარზე, რომელიც



სურ. 23

ღვინის სმის სცენა (პურობა), გამოსახული ბრინჯაოს სარტყელზე, მცხეთა-
სამთავრო, სამარხი № 276. ძეწ. VIII-VII სს.

ჯავის რაიონის სოფელ თლიასთან იქნა ნაპოვნი, ირმეზე ღვთაებრივი
ნადირობა და ქალღვთაებათა რიტუალური ღვინის სმის სცენა ასახული,
(220) ხოლო მესამეზე, რომელიც ჩრდილოეთით საქართველოში, მდინარე
არაგვის აუზში იქნა აღმოჩენილი გამოსახულია მამაკაცი ღვთაების ფიგურა
სასმისით ხელში (სურ. 24). იმდროინდელი ხალხის რელიგიურ
წარმოდგენათა ორიგინალური გამოხატულებაა მამლის კულტის გამოჩენა.
მამალი, როგორც ჩანს, დედამიწისა და მზის დამკავშირებელს წარმოადგენს,
იგი ითვლებოდა მზიურ ფრინველად, რომელიც ყოველ დღით ამცნობდა
დედამიწაზე მყოფთ, სინათლისა და სითბოს დადგომას.

მამლის კულტის არსებობა მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული
მასალითაც დასტურდება. მაგ. აბალი წლის დილას, ოჯახის უფროსი სახლს
შემოუვლიდა და „ვაზის პურის“, დოჭი ღვინის და ყვერული მამლით ხელში
ვენახში მიდიოდა, სადაც უზვის მოსაელის თხოვნით ლოცვას ადავლენდა,
შემდეგ ყვერულს მიწაში ჩაფლავდა, ღვინის დაყოლებით „ვაზის პურის“



სურ. 24

ქალღვთაებათა ნადიმი და ღვინის სმის სცენა გამოსახული ბრინჯაოს სარტყელზე ლიახვის ხეობა, სოფ. თლია. ძვ.წ. VIII-VII სს.

ნაწილს შეჭამდა, ნაწილი კი მამალთან ერთად კვლავ სახლში მიჭონდა. როგორც ჩანს, ვაზისა და მამლის ერთმანეთთან დაკავშირება სიუხვისა და მოსავლიანობის სიმბოლოთა კატეგორიას მიეკუთვნება (146).

რკინის ფართოდ ათვისების შემდგომ ხანაში, (ძვ. წ. VIII-VI სს) მასაც თან მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მკვეთრი გაუმჯობესება, მევენახეობა-მელვინეობა კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარდა, ვახის კულტურის და, განსაკუთრებით, დაბლარი მევენახეობის გავრცელებამ წამყვან სასოფლო-სამეურნეო ზონებში, რასაც თან სდევდა მიწაზე კერძო საკუთრების სწრაფი დამკვიდრება, საგრძნობლად დააჩქარა საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესი. მრავალწლიანი სასოფლო კულტურები და, მით-უმეტეს მევენახეობა, რა თქმა უნდა ველარ იგუბდა მიწის სათემო (საზოგადოებრივ) საკუთრებას. მიწის, როგორც სიმდიდრისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უმთავრესი წყაროს მისაკუთრება (შემოღობვა) ცალკეული, აღზვევებული ოჯახების მიერ აჩქარებდა კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესს და სტიმულს აძლევდა მსხვილი მიწათმფლობელობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას და სარწყავი მიწათმოქმედების კიდევ უფრო გაფართოებას. ყურადსაღებია, რომ ამ პერიოდის სარწყავი არხების მშენებლობის ტრადიციების ჩამოყალიბება, სწორედ მევენახეობასთან არის დაკავშირებული.

მსხვილი საირიგაციო სისტემების მშენებლობა და გაფართოება, წერილობითი წყაროების ჩვენებით, ემთხვევა ელინისტური პერიოდის დამდგეს (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედი). ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მკვედონელი, რომელიც 11 თვის განმავლობაში ებრძოდა მცხეთის დასავლეთით მდებარე ქალაქ სარკინეს, „...დადგა სარკინესა დასავლეთ კერძო, და დასცა ვენახი და რუი გამოიღო ქსნით, და დასხა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისაითა და ჰქვიან ადგილსა მას ნასტაგისი“ (118). დაახლოებით ამავე პერიოდს ეკუთვნის ურბნისის, ტირიფონის, მუხრანის, თელოვნის სარწყავი არხები, რომლებიც ძირითადად ვენახების მოსარწყავად იქნა აშენებული (86). ცოტა მოგვიანებით იქმნება ისეთი მსხვილი სარწყავი სისტემები, როგორიცაა არაგვის, რუსთავის და ალაზნის.

ალაზნის არხი 119 კილომეტრზე იყო გადაჭიმული და 53 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა. ამ მონაცემებით, როგორც ი. კიკვიძე აღნიშნავს, მას ტოლი არ ჰყავს საქართველოს სარწყავ სისტემებში. ასეთი დიდი არხის მშენებლობას და ექსპლოატაციას საკმაოდ ძლიერი ხელისუფლება

ესაჭიროებოდა, ხოლო ასეთად ალბათ სამეფო სახლი და ალავერდში არსებული მთვარის ტაძარი უნდა ყოფილიყო. ეს ტაძარი, ს. ჯანაშიას ვარაუდით იმ ადგილას უნდა მდგარიყო, სადაც ამჟამად ალანდურ ეკლესიაა, ხოლო იქვე მახლობლად არსებული სოფელი ალვანის ტაძრის სახლიდან უნდა იყოს კავშირში, ალავერდი ალვან-გვერდის განვითარება უნდა იყოს (230). სწორედ ალვანის მინდვრები ირწყვებოდა მდინარე ალაზნიდან გამოღებულ რუბებით და პირველი ბალ-ვენახებიც აქ უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ალვა და ვენახი ღვთაების ხატებად იყო მიჩნეული, ხოლო ხეივანი ხე ალვანი უნდა იყოს (87, 194).



სურ. 25

ურძნის წიპწები სოხუმიდან, ძვ.წ. VI-IV სს.



სურ. 26

ურძნის წიპწები ნასტაყისიდან (სადგური ქსანი), ძვ.წ. IV-III სს.



სურ. 27

ყურძნის წიპწები საგარეჯოდან, ძვ.წ. III საუკუნე



სურ. 28

ყურძნის წიპწა ურბნისიდან, ძვ.წ. II-I სს.



სურ. 29

ყურძნის წიპწები ურბნისიდან, ახ.წ. V-VI სს.



სურ. 30

ყურძნის წიპწები ურბნისიდან, ახ.წ. VII-VIII სს.

სურ 31



ყურძნის წიპწები ციხიაგორიდან (კასპის რაიონი) ძვ. წ. III საუკუნე


ამ პერიოდის არქეოლოგიური მონაპოვრიდან სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ინვენტართან ერთად, ყურადღებას იმსახურებს ფლორისტული მასალებიც, რომლებიც მიკვლეულია მთელ საქართველოში. ამპელოგრაფიულად დახვეწილი კულტურული ვაზის წიპწები სოხუმიდან (სურ. 25), ნასტაგისი (სურ. 26), საგაჩეჯოდან (სურ. 27), ურბნისიდან (სურ. 28, 29, 30) (სამ სხვადასხვა ადგილას), ციხიაგორიდან (სურ. 31) და ვაზის რქის ნარჩენები ბედენიდან, კავთისხევიდან, მკათიოდ მიუთითებს ვაზის მრავალრიცხოვანი ჯიშის არსებობაზე. ეჭვს აღარ იწვევს დაბალსაყრდენიანი (დაბლარი) ვენახის და ვაზის აღზრდის „ქართული ფორმის“ (ეს სახელწოდება ჩვენ დროს შეერქვა) არსებობა, ოკცირტიანი „სამამულე“ და 5-6 კვირტიანი „სანაყოფე“ რქის ელემენტებით. რკინის სასხლავების

სიუხვე, სწორედ რომ უდაოს ზღის მევენახეობის აგროტექნიკის მატარებელია.

არქეოლოგების მიერ უხვად არის აღმოჩენილი ელინისტური და გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი საღვინე ჭურჭლები: სამტუნა დოქები, ნასვრეტებიანი ტიხრის მქონე ტუჩიანი სამაჭრეები, ვიწროყელიანი, ორყურიანი „ჭინჭილა“, დოქისებრი მათარა, სხვადასხვა სახის სასმისები, ფიალები და ა. შ. (129).

მევენახეობის მნიშვნელობა იზრდება არა მარტო სოფლად, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იბერიის და კოლხეთის საქალაქო ცხოვრებაში. ღვინო სასაქონლო-კომერციულ თვისებებს იძენს, საჭირო ზდება ვენახის ფართობების გადიდება, რაც თავის მხრივ მოვლა-მოშენების მეთოდების გაუმჯობესებას მოითხოვს. დღის წესრიგში დგება ღვინის დასაყენებელი და შესანახი ტარა-ჭურჭლის სრულყოფა (10).

ელინისტური პერიოდის იბერიის შესახებ საინტერესო მასალებია მოპოვებული მცხეთაში, არმაზისხევი, ურბნისში, უფლისციხეში და სხვ. (10, 9, 214, 218). უფლისციხის ნაქალაქარზე ე. წ. „შიდა ქალაქში“, ბაგინეთის, სამთავროს და ბაშბების მიდამოებში კლდეში ნაკვეთი საწნახლები და საკმარად დიდი ზომის მარნებია მიკვლეული. ამავე პერიოდში, მტკიცედ იციდებს ფეხს საკულტო-სარიტუალო მარან-ნაგებობები, რომელთა საუკეთესო ნიმუშებია უფლისციხის და ციხისგორის მარნები (სურ. 32).



სურ. 32

ციხისგორის ტაძრის მარნის გეგმა (კასპის რ-ნი), ძვ.წ. III საუკუნე.



უფლისციხის, კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს მევენახეობის და მღვინეობის უძველეს ისტორიაში, უამრავ მასალას იძლევა აღმოსავლეთ საქართველოში დარგის განვითარების პროცესზე, თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე, მე-2 ათასწლეულიდან ანტიკური ხანის (III ს. ძ. წ.) ჩათვლით (215). ნაქალაქარის დასავლეთით მიმდებარე ერთ-ერთ ხევში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ყათლანისხევის უწოდებს, დ. ხახუტაიშვილის მიერ შესწავლილი იქნა წინაანტიკური ხანის წარმართული სალოცავი, რომლის საყურთხვევლები შემყული იყო ხარის თავის თიხის მოდელებით. ხარის კულტი, როგორც ჩანს ხენა-თესვის პროცესთან იყო დაკავშირებული და როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს იგი ასტრალური ღვთაების როლს ასრულებდა (16). „ხარი-მხენელის“ კულტს ამ გზით მზის კულტის სამყაროში შევყავართ, რომელიც ქართველურ ტომებში დიდი დედა ნანას სახით იყო წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი კი, როგორც ჩანს ვაზის კულტთან დამოკიდებულებას ამჟღავნებს, რაზეც ტაძრის საყურთხვეველში, თიხის მკირე ჭურჭელში აღმოჩენილი ყურძნის წიპწებიც მეტყველებს.

ვაზისადმი ქართველური ტომების საყრალული დამოკიდებულება II ათასწლეულის დასასრულს უნდა დამკვიდრებულიყო (215), თუმც ურარტული ხოლო უფრო ადრე შემერულ-აქადური მასალები ამ პროცესის დაწყების გაცილებით ღრმა ფესვებზე მიუთითებს. ვაზის, როგორც საღმრთო მცენარის კულტი ურარტულ წყაროებშიც კარგად არის გამოკვეთილი, რაც ამ ხალხის მსხვერპლთშეწირვაში გამოიხატება (111), ხოლო როგორც ზემოთ იყო აღნიშნული შემერულ-აქადური ეპოსის მიხედვით ღმერთების წალკოტის ერთერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი ვაზიც იყო (38). ამასვე ადასტურებს ღმერთთან დაახლოებული პირის, ბიბლიური ნოეს (ან შესაძლოა შემერ ზიუსუდარას) ცნობილი ვენახიც. თუკი თამედროვე ქართულსა და უძველეს შემერულ ენებში საკმაოდ ბევრი ლექსიკური ანალოგი არსებობს (196), არ არის გამორიცხებული, რომ იმდროინდელი შუამდინარული ან საერთოდ მკირეზიური რელიგიური წარმოსახვები მოსაზღვრე ამიერკავკასიაში დასახლებულ ტომებშიც ასახულიყო და როგორც ირკვევა ამ პანთეონში ერთერთი ცენტრალური ადგილი ვაზს-ღვინოს ეკავა.

ქართველთა რელიგიურ რიტუალებში ვაზის, როგორც საღმრთო მცენარისადმი თაყვანისცემა ორ ადგილას ვენახში და ღვინის სახლში ანუ მარანში დამკვიდრდა და საყურადღებოა, რომ ეს პროცედურა სხვადასხვა ფორმით, ჩვენს უახლოესი წარსულის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ

საუკუნის 20-30-იან წლებამდე შემორჩა. სამწუხაროდ მეოცე საუკუნის ანტირელიგიურმა კომუნისტურმა პროპაგანდამ ეს პოეტის ნაწარმოები ტრადიციები, თითქმის ძირფესვიანად აღმოფხვრა. ძველად კი ჩვენის როგორც საკულტო მცენარის წყალობით, ვენახი და მარანი სათაყვანებელ წმინდა ადგილად იქცა. მარანში სრულდებოდა სხვადასხვა სახის რიტუალი - მსხვერპლთშეწირვა, ჭორწილი, ნათლობა და სხვ. (17).

საქართველოში ასეთი რიტუალიც სრულდებოდა: საახალწლოდ, ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მიზნით საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიამი იგი კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა. საახალწლო დღესასწაულზე სახლეულის მეთაური ჯალაბითურთ, დანთებული თაფლის სანთლებით, შედიოდა მარანში ან იქ სადაც საწნახელი იდგა. თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსი, გადაყირავებულ საწნახელს თოხის ან ნაჭახის ყუას ურტყავდა, თან სიმღერით ღვთაებას შეთხოვდა:

„აგუნა, აგუნა გადმოიარე,
ბახვი, ასკანა გადმოიარე,
ჩვენს მამულში ყურძენი,
სხვის მამულში ფურცელი,
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი,
სხვის მამულში კიმპალ/კიმპალი“ და ა.შ.

სიმღერა სამჭერ მეორედებოდა და თან მოტანილ საქმელსა და ღვინოს აყოლებდნენ. როგორც ჩანს, აღნიშნავს ცნობილი მეცლევარი ე. ნაკაშიძე, აგუნა ჭერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროს, მიწიერი ნაყოფიერების და სიუხვის მფარველად იყო მიჩნეული. რაც შეეხება გურიის, მევენახეობით განთქმულ სოფლებს ბახვსა და ასკანას, ისინი ღმერთის დიონისეს ანუ ბახუსის და მისი ერთერთი შთამომავლის, ენეასის ვაჟს ასკანიას უკავშირდებოდა, სწორედ ძველი იბერიის და კოლხეთის ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობამ განაპირობა დიონისეს კულტის გავრცელება, რომლის კვალი ნათლად შეიმჩნევა თანამედროვე საქართველოს ზოგიერთ კუთხეში.

ბერძნულ მითოლოგიაში, დიონისე იყო მცენარეულობის, ღვინის და მევენახეობის მფარველი, ზევსისა და თებეს მეფის კადმეს ასულის სემელეს შვილი. იგი იყო მხიარულებისა და განცხრომის მომნიჭებელი ღვთაება, ამავე დროს მუხებმის მეგობარი და მფარველი. თავდაპირველად იგი დაბალ ფენებში იყო პოპულარული, მაგრამ უკვე ძვ.წ. VIII – VI საუკუნეებში

დიონისეს კულტი მთელ საბერძნეთში დამკვიდრდა. უფრო მოგვიანებით დიონისეს კულტმა თავაწყვეტილი დროსტარების ხასიათი მიიღო და ამიტომ დაერქვა სახელი – ბაკქოსი (Bacchus) ანუ ხმაურიანი. რომში იგი მხოლოდ ბაკქუსის ანუ ბახუსის სახელით იყო ცნობილი. დასავლეთ საქართველოში სწორედ ამ სახელით შემოვიდა და გავრცელდა.

აგუნა-აგუნას მსგავსი წესი ჰქონდათ სამეგრელოშიც. საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში (მალღარზე ყურძნის საყრდენი კონუსისებური მოწნული კალათა) აწყობდნენ და გოგონას მარნის მიმართულებით ატანდნენ. ამავე დროს, პატარა ბიჭს მარნიდან გამოჰქონდა ერთი დოჭი ღვინო და გოგონასაკენ მიემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, ნადავლის წართმევამდე. გამარჯვებულს მარანში შეჰქონდა ნადავლი, ღვინო და ხაჭაპური, სადაც თავმოყრილი იყო ოჯახის წევრები. იწყებოდა სარიტუალო სმა-ჭამა, გადაბრუნებულ საწინახელს გობს ურტყამდნენ, თან მღეროდნენ:

„ო გიდელი, გიდელი,
ჩემს ვენახში ყურძენი,
სხვის ვენახში ფურცელი და ა.შ.“

ჭიდილში თუ ბიჭი გაიმარჯვებდა იმ წელიწადს ღვინის და პურის კარგი მოსავალი იქნებოდა. ხოლო თუ გოგონა – აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარეების, რომელთაც ქალი უვლიდა (121).

უძველეს ქართულ საკულტო ნაგებობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ძვ.წ. IV – III სს ნაგებობებს. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გამართულია კარიბჭე, რომელიც რთულ არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. კარიბჭის ძირითად კედელზე შიდა მხრიდან მიშენებულია გაუთლელი ქვით ნაგები საკულტო ნაგებობა, ხოლო კარიბჭიდან სამხრეთ-დასავლეთით, 200 მეტრის მოშორებით, აღმოჩენილია ძვ.წ. II საუკუნეში აგებული საკმაოდ დიდი ზომის, სწორკუთხად ნაგები ტაძარი. ტაძრის მოზაიკური იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილი შეწირულობანი: კოლხური ჰვევრი, 40-ზე მეტი ამფორა, სპილენძის მონეტები, სარიტუალო ჭურჭელი, რომელიც ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკებით და დიონისეს წრის ღვთაებათა გამოსახულებით არის შემკული, ექვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაძარი სწორედ მევენახეობა-მელენეობის კულტთან იყო დაკავშირებული (108). მარნის, როგორც საკულტო ნაგებობის არსებობა, აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ადგილას არის დადასტურებული, ხოლო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ავღნიშნეთ, ამ საუკუნის 20 – 30-იან წლებამდე იყო შემორჩენილი.

საქართველოში მარანი წმინდა ნაგებობად იყო მიჩნეული. ზოგიერთი რელიგიური წეს-ჩვეულება სწორედ მარანთან იყო დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეწირული საცლავი მარანში აქედნობოდა (68). ალბათ ამიტომ მიიჩნია ვ. ბარდაველიძემ ვანის ტაძრის ერთერთ მონოლითში ამოკვეთილი როფი (გეგა), შეწირული ცხოველის სისხლის ჩასაღვრელ ჭურჭლად (108). „ერთი სიტყვით, აღნიშნავს ო. ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი სურათის შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მასალასთან, უაღრესად საინტერესო პარალელს ავლენს. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება ქართული რელიგიური წარმოდგენების ღრმა და ადგილობრივი ფესვები. ამავე დროს მას, გარეგნულად მაინც, იმდროინდელი დროის შესაბამისად, გარკვეული ელინური იერიც აქვს მიღებული. მხედველობაში გვაქვს სწორედ ის რიტუალური საგანი, მეღვინეობა-მევენახეობის მფარველი ბერძნული ღვთაების დიონისეს წრის მხატვრულ-რელიგიური სახეებით რომ არის მორთული და მოწმობს დიონისეს კულტის არსებობას ვანში, მით უფრო, რომ ამის მოწმობად შეიძლება სხვა საბუთებიც დავასახელოთ, არქეოლოგიური გათხრებისას ვანში აღმოჩენილია ერთი ნაწილი ტერაკოტული ნიღბებისა, დიონისეს, აგრეთვე მის თანამჭაფრებს – სილენსა და სატირს რომ გამოსახავს“ (108), და არა მარტო ვანში, მსგავსი ტერაკოტული ნიღბები აღმოჩენილია საჩხინეს ნაქალაქარზე, ხოლო ა. ბოხოჩაძის მიერ გათხრილი რომაული აბანოს მოზაიკური იატაკი, რომელიც დიონისეს ყოფას ასახავს, ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია.

ვაზისა და ღვინის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ისიც, რომ ანტიკურ ხანაში ჩნდება ადამიანის ქვევარში დაკრძალვის ორიგინალური წესი.

ქვევარსამარხები ჯერ კიდევ პირველი ათასწლეულის პირველ ნახევრიდან იღებს სათავეს და საუკუნეთა მიჯნაზე მასობრივად ვრცელდება არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც, ამ საკითხისადმი მრავალი შრომაა მიძღვნილი (10, 66, 71, 210, 221), რომლებიც სხვადასხვაგვარად აშუქებენ დაკრძალვის ამგვარი წესის წარმოშობის და გავრცელების არსს, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ქვევარში იკრძალებოდა მისივე პატრონი – მევენახე და რაც ყველაზე საყურადღებოა, დაკრძალვამდე ეს ქვევარი თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდა – ღვინის დასაყენებლად გამოიყენებოდა (71, 221).

ანტიკურ კოლხეთში მევენახეობისა და მეღვინეობის მაღალ დონეზე მიუთითებს მახარიის, სოხუმის, დაბლაგომის, ვანის, ჩხოროწყუს, ბიჭვინთის, ანაკლისის და სხვა ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალები. გარკვეულ

ინტერესს იწვევს ვანში აღმოჩენილი შავი ფერის ქვევრები, რომლებიც როგორც ჩანს, არა მარტო ღვინის შესანახად, არამედ ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა. საყურადღებოა, რომ ქვევრები ყირიმის ნახევარკუნძულზეც არის დადასტურებული მრავალფეროვანი მასალა მოპოვებული ჩხოროწყეში, სხვადასხვა ზომის და ფორმის თიხის ნაქეთობებისა და ყურძნის საყრდენი სპეციალური დაწების სახით (170, 221).

გვიანანტიკური ხანის, აღმოსავლეთ საქართველოში კი ყურადღებას იპყრობს მცხეთის მახლობლად, არმაზისხევში აღმოჩენილი I – III სს. მარანი 55 ზე მეტი ქვევრით. როგორც ჩანს, მთელი კომპლექსი ერისთავ-პიტიახშების საყურადღებო წარმოდგენდა (170, 209). ერთერთი ქვევრის გაქვავებული ლექის ქიმიურმა ანალიზმა (ანალიზი ჩატარდა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში) დიდი რაოდენობით ღვინის მჟავა გამოავლინა. ქვევრების უმრავლესობას საკმაოდ კარგად ემჩნეოდა საგანგებო სარეცხით ხევის კვალი რაც მიუთითებს, რომ იმდროინდელ მეღვინეს კარგად ჰქონდა შეგნებული ღვინის ჭურჭლის სწორედ გამოყენების და სისუფთავის მნიშვნელობა (209). ამბევე მიუთითებს სპეციალური ე.წ. სამაქრე ქვევრების ფართო გავრცელება, რომლებიც მხოლოდ ტბილის დასადღლებლად იყო განკუთვნილი.

მარნები აღმოჩენილია მცხეთაში (75), თბილისში (1), ზღუდერში (128), ახალ ცინვალში (149), არაგვისპირში (12), კარსისხევში, ერწოს ველზე (150) და სხვ. აღნიშვნის ღირსია ერწოს ველზე ქვევრის აღმოჩენის ფაქტი. როგორც ცნობილია ერწოს ველი თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ივრის ხეობაში, ზღვის დონიდან 1000-1100 მ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც სამრეწველო მევენახეობა არ არსებობს. უნდა ვიფიქროს, რომ საქმე გვაქვს კიდევ ერთ „სამთო მეღვინეობის“ კერასთან, ვენახების გარეშე.

ამ პერიოდის გამოყენებით ხელოვნებაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვაზისა და ღვინის თემატყას, რაც კარგად ჩანს არმაზისხევში, ბაგინეთში, ბორში და სამთავროში აღმოჩენილ თიხის, ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭელზე (სურა, აბარფეშა, პინაყი), რომლებზეც ნატიფად არის გამოსახული ვაზის ნაწილები – მტევანი, მარცვალი, ფოთოლი და სხვ.

ურბნისის ნაქალაქარის საცხოვრებელი უბნების ნანგრევებში გამოვლინებული იქნა მკირე ზომის მარანი. მსგავსი მარნები საქართველოში ბევრგანაა მიკვლეული, მათ შორის სამთავროს, ბორის და ზემო ავქალის ტერიტორიაზე და როგორც ჩანს ისინი „წერილი ერის წარმომადგენლებს

ეკუთვნოდა, რომელთაც საბოლოოდ თავიანთ ქვეყრში, სამუშაო ინვენტართან ერთად კრძალავდნენ“ (170).

ურბნისში და საქართველოს სხვა რაიონში აღმოჩენილი ეტიკეტური ხანის, ამპელოგრაფიულად დახვეწილი, კულტურული ვაზის ჯიშების წიშლები და უამრავი ვაზის სასხლავები მიუთითებს, რომ მევენახეობის დონე ახალ, პროგრესულ ფორმას იღებს (28, 224, 210), იხვეწება ამა თუ იმ რაიონის ჯიშური სორტიმენტით.

მევენახეობისა და მეღვინეობის აღმავლობის ფონზე, ქართველთა ყოფაში კიდევ უფრო მყარად იყიდებს ფეხს საკულტო-რელიგიური ინსტიტუტები, რაც ეგრე დამახასიათებელი იყო საქართველოს წინაქრისტიანული ეპოქისათვის. ვ. ბარდაველიძის (17) და ნ. თოფურიას (69) გამოკვლევებით, მთისა და მთისწინეთის მოსახლეობის ისეთი საყოფაცხოვრებო მომენტები, როგორცაა ბავშვების დაბადება, ქორწილი, ნათლობა და სხვ., რიტუალი ღვინის სმის გარეშე არ ტარდებოდა. ღვინო ითვლებოდა წმინდა სასმელად, ხოლო შარანი წმინდათა-წმინდა, ბარაქიანობის, ნაყოფიერების ძალის შემცველ ობიექტად იხაზებოდა (68). მეორე მხრივ, აღნიშნავს ნ. თოფურია, „ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საყურადღებო ნაგებობასთან, რომელშიც მხოლოდ სხვადასხვა ღვთაებისადმი შეწირული ზედაშეები იხაზებოდა. იგი სამეგრელოში „საჯვარეს“, და „ოხვამერის“ სახელით იყო ცნობილი. საჯვარე და ოხვამერი პატარა ნაგებობა ყოფილა, ჩარდახული ტიპის, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი და წმირად ოთხივე მხრიდან ამოშენებული. იგი სახლიდან მოშორებით იდგა. ხალხის რწმენით, ხატზე უფრო მეტად მისი მორიღება და შიში ჰქონდათ. ქიზიყში არა მარტო შესაწირავი ღვინოა ზედაშე, არამედ ქვევრსაც და შენობასაც ზედაშეს უწოდებენ.

მარანთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა უხვი მოსავლის მიღების მიზნით შესრულებულ რიტუალს. ოჯახის წევრები ახალწელიწადს მარანს მიულოცავდნენ და უსურვებდნენ, რომ სულ სავსე ყოფილიყო, შემდეგ მაგიურ სიტყვებს წარმოთქვამდნენ – „ასე სავსე გვამყოფე, ასე მთელი გვამყოფე“ და ა.შ. ბარაქიანობისა და სიმართელის უზრუნველსაყოფად, გურიამი საკალანდო ჭურის თავზე კალმასს კლავდნენ. მარნის ირგვლივ ეკლისა და ტყემლის ტოტებს შემოავლებდნენ, ხალხის თქმით ავ თვალს რომ არ შეეხებდა. „უწმინდურ“ ქალს მარანში არ უშვებდნენ და სხვ.

როგორც ზედაშე, ისე მარნის კულტი, მისი წმინდა ადგილად გამოცხადება, იმ პერიოდს უნდა ეკუთნოდეს, როდესაც ადამიანებმა ვაზი ღვთის მცენარედ მიიჩნიეს. თუ თვალს გავაყოლებთ შუმერთა გილგამეშის



სურ. 33

სოფ. პირღებულის ღია მარნის ნაშთი საწნახლით, შუასაუკუნეები, ჩანახატი

დროინდელ „ღმერთების წალკოტის“ აღწერას („მარჯანს ასხია თავისი ნაყოფი, ვაზი იხვევა ხილვად კეთილი“ და ა. შ.), კარგად შევამჩნევთ მასთან, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ცალკეული პასაჟის მსგავსებას:

„შენ ხარ ვენახი აბლადაყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
აღვა სურნელი, საშოთხესა მოსული,
ღმერთმან შეგამყო, ვერვინა გჯობს ქებული“.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს ვაზის იდეალობაციის კიდევ ერთ, ორიგინალურ შეხვედრასთან, კერძოდ წმინდა მცენარეთა პანთეონში, ვაზთან ერთად აღვიღოს იყავებს აღვა – ალვისზე.

ალვისზე, როგორც უნაყოფო, არასდროს არ ყოფილა მოსაშენებლად ხემცენარეთა სიაში, იგი არც ვაზის საყრდენად გამოდგება, ვინაიდან მისი ვიწრო, მკირედგანტოტვილი ვარჯი ამის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ მას საქართველოში გავრცელებულ ხემცენარეთა შორის ერთი უპირატესობა აქვს – საოცრად სწრაფი ზრდა და მაღალი, წერწყეტა ტანი ახასიათებს. სწორედ ეს უპირატესობა იქნა გამოყენებული ღმერთსა და ვაზს შორის მანძილის შესამოკლებლად. ადამიანმა, წარმოსახვით ედემში, ვაზსა და ალვას ერთად მიუჩინა ადგილი. ალვაზე შემოხვეული ვაზი ერთიან სიმბოლოდ იქცა. ქრისტიანულ საქართველოში ამ ჰიმნის ფესვები უდაოდ ღრმად არის გადგმული და იგი ძალზე შორეული ხანის ანარეკლი უნდა იყოს.



ახალი ათასწლეულის პირველი საუკუნეები ევრაზიის ქრისტიანობაზე დიდი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ძვრებით აღინიშნა. რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში საფუძველი ჩაეყარა ახალ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას – ქრისტიანობას, რომელმაც დროთა განმავლობაში უზარმაზარი ტერიტორიები მოიცვა.

საქართველოში ქრისტიანობამ პირველ საუკუნეებშივე შემოაღწია ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგებათა მეშვეობით, მაგრამ სიხელმწიფო სარწმუნოებად მხოლოდ IV საუკუნის 30-იან წლებში იქცა, რაშიც მთავარი ღვაწლი კაპადოკიელ ნინოს მიუძღვის.

ნინო კაპადოკიელმა, იცოდა რა ქართველთა სულიერ თუ ყოფით ცხოვრებაში მევენახეობისა და მეღვინეობის როლის შესახებ, სწორედ ვაზის ნასხლავისაგან შეკრული ჭვარი შეარჩია ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისათვის. ვაზის ნასხლავი, მერქნის სუსტი აღნაგობის გამო, შეიძლება არ იყოს საუკეთესო მასალა ჭვრის შესაქმნელად, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი საოცრად მტკიცე აღმოჩნდა და საუკუნეებს გაუძლო. „შემდეგ წმინდამან პოვა გარე ზღუდისა ქოჩი ბრწყამლისა ერთი, სადა აწ არს ზემო ეკლესიის საკურთხეველი განგებითა ღვთისათა; შევიდა მას შინა და დაასუენა ჭუარი რომელი გამოეკუეთა ნასხლავისაგან და იყოფებოდა მას შინა ლოცვითა და ვედრებითა ღვთისათა“ (ქართლის ცხოვრება).

წმინდა ნინოს ქადაგებამ გასჭრა, კერპების თაყვანისმცემელი ქართლი ახალ სარწმუნოებაზე მოექცა და ამ სასწაულის მთავარი შემოქმედი ნინოსთან ერთად ვაზი აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ქართველ ხალხთან ერთად ვაზიც „მოექცა“ და ღმერთების, გნებავთ კერპების სწორი მცენარე ჭვარცმულ ქრისტეში გაიდევალდა. (სურ. 34)

* * *

ფეოდალურმა საქართველომ საკმაოდ კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა მიიღო მემკვიდრეობად. ძირითადი დარგები მემინდვრეობასთან, მევენახეობასთან და მესაქონლეობასთან, რომლებიც ამ ეპოქაში დაწინაურდა იყო: მებაღეობა, მეფუტკრეობა, მებარემუფეობა, მებაშხეობა და ერთწლიანი კულტურები (224). საირიგაციო სისტემების სრულყოფისა და გაფართოების შედეგად, სარწყავი მიწების ფართობიც



სურ. 34

ჯვარი ვაზისა – ქრისტიანობის ემბლემა საქართველოში – წმ. ნინოს ჯვარი.

იზრდებოდა, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას და მოსახლეობის ეკონომიკური საფუძვლების გამყარებას უწყობდა ხელს.

ამ დროისათვის ძველ არხებითან ერთად მოქმედებდა ისეთი სარწყავი სისტემები, როგორცაა: რუისის (V–VI სს), ზრამ-ალგეთის და ატენის (V–VII სს), წილენის (VI–VIII სს), მთელი რიგი სარწყავი არხებისა მდ. იორზე – ნინოწმინდის, გიორგიწმინდის და სხვ., აგრეთვე რუსთავისა და თბილისის ირგვლივ და ა. შ.

მრავალრიცხოვან და საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენებიდან მცხეთაში (9), ჟინვალში (149), ურბნისში (214^ბ), რუსთავში (105, 215^ა), მლაშების გორასა და იალსარზე (148) და სხვ., სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საგნებთან ერთად, კულტურული ვაზის წიპწებიც იმსახურებს ყურადღებას.

ახალი ჟინვალის III–IV სს ახ. წ. ფენებში, სამეურნეო იარაღებთან და ნივთებთან ერთად, აღმოჩენილია სხვადასხვა ზომის ქვევრები. ჟინვალში მათი რაოდენობა 200 ცალს აღწევს და მთელ ტერიტორიაზე გაბნეული თითო-თითო ან მცირე ჯგუფების (2-3 ცალი) საბით (147, 149). როგორც ჩანს, ამჟამად ეს ნაკლებად ვენახოვანი მხარე, ადრეფეოდალურ ხანაში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა.

როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ძველი საქართველოს მევენახეობის მხარეებიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა შიდა ქართლი, კერძოდ

ურბნისის ტერიტორია და მისი შემოგარენი. აქ აღნიშნული, თითქმის ყველა ისტორიული ეპოქის ყურძნის წიპწები არაჩვეულებრივი სიზუსტით ასახავს შესაბამისი ეპოქების ვაზის ჯიშური ასორტიმენტის დახვეწილ ხასიათს და მრავალფეროვნებას.

სიზუსტით

ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი აღრეფერდალური ხანის წიპწების ერთი ჯგუფი, რომლებიც ე. კილაშვილის მიერ V-VI საუკუნეებით არის დათარიღებული (ნაპოენია 10 წიპწა), ამპელოგრაფიული ნიშნების ანალიზის საფუძველზე შემდეგ სურათს იძლევა: წიპწის საშუალო სიგრძე ნისკარტიანად - 6,5 მმ-ია, ქალაძა მომრგვალო ფორმისაა და წიპწის შუა ნაწილში მდებარეობს; მუცლის მხარეზე ღარები კარგად ემჩნევა და ნისკარტისადმი პარალელურად არიან განწყობილნი; ნისკარტის სიგრძე 1,0-1,5 მმ-ია. საანალიზო წიპწები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ცალი დაზიანებულია, ერთნაირი ნიშნებით ხასიათდებიან. ამკარაა, რომ ვაზის ერთ ჯიშთან გვაქვს საქმე (სურ. 29) თანამედროვე ვაზის ჯიშების წიპწებთან შეჯერების საფუძველზე დადგინდა, რომ ისინი ევრაზიულ სახეობას (*v. vinifera L. ssp. sativa D. C.*) ეკუთვნიან და ქართლში ამჟამად გავრცელებულ ჯიშებიდან ყველაზე მეტად წითელყურძნიანი საღვინე ჯიშის თავკერის წიპწებს უახლოვდება.

მეორე ნიმუში, რომელიც ამავე ნაქალაქარზე იქნა მოპოვებული (ერთი ცალი) VI-VIII საუკუნეებით თარიღდება, იგი შედარებით მომცრო ზომისაა და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით სხვა, უცნობ ჯიშს ეკუთვნის. (სურ. 30)

ნაქალაქარის IV - VI და VII საუკუნეების ფენებში დიდძალი თიხის ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი, რომელთა შორის უზრაველბას იმსახურებს სქელყელღიანი ჭვევრები, სხვადასხვა ზომის საღვინე ჭურჭლები - ხელადები, დოქები, ქოთნები და სხვ. (214^ა).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინებულია რამოდენიმე, საშუალო ზომის, 13 - 15 ჭვევრიანი მარანი, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს მევენახეობის და მეღვინეობის როლზე შიდა ქართლის ეკონომიკაში. ზოგიერთი ჭვევრის ყელზე გვარია დასმული, რაც მათ საეკლესიო დანიშნულებაზე მიუთითებს. არ არის გამორიცხული, რომ თვით მარანი ყოფილიყო საეკლესიო საკუთრებაში. სამწუხაროდ VIII საუკუნის 30-იან წლებში, არაბი დამპყრობლის მურვან ყრუს გამოჩენის შემდეგ, ურბნისმა როგორც ქალაქმა შეწყვიტა არსებობა. საკმაოდ სქელი ნახანძრალი ფენა, დანგრეული და დაშვარა ნაგებობები, ქალაქის ტრაგიკულ დასასრულზე მიუთითებენ (214^ბ).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებული IX-X საუკუნეების მრავალფეროვანი მასალები მიუთითებს, რომ შეცვნიშობა და მელვინეობა გაცილებით მაღალ ხარისხში აღის და ქართველი ხალხის ეკონომიკაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. სამეურნეო ნაგებობათა ნარჩენები - დახურული (სურ. 40) და ღია მარნები (სურ 33). მარცვლეულის ორმოები (ხაროები), სადღულარი და ღვინის შესანახი ორი ტიპის (კვერცხისებური, პრიალა ზედაპირით და წიბოიანი)



სურ. 35

მეორე ნახევარი.

ვერცხლის სურა შედგენილი ვურით ერწოს ველი სოფ. თრანი. III საუკუნის



სურ. 36

თიხის ზოომორფული ჭურჭელი, რიტუალური სასმელისათვის, კინვალი, დუმეთის რაიონი, II-III სს.



სურ. 37

მინის სასმისი, ნეძიხი, არაგვის აუზი IV საუკუნე



— — IX 57

სურ. 38

ხელადა, არაგვისპირი დუშეთის რაიონი, III საუკუნე.

ქვევრები, ვაზის სასხლავი იარაღები, ღვინის ჩამოსასხმელი მცირე ზომის ჭურჭელი – საღვინე, სამაჭრე, კოკა, ხელადა, ვაზის მერქნის და ყურძნის – მარცვლების დანაწმირებული ნაჩიხნები და რაც მთავარია კულტურული ვაზის წიპწები, სრულიად დამაჯერებლად ადასტურებს ზემოთქმულს (105, 214^b). საყურადღებოა, რომ მცირე ზომის საღვინეები და სასმისები დღესაც შემორჩენილია ხალხურ ყოფაში.




XI საუკუნიდან, საქართველოში დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა იწყება. კახეთში, ჯერ კიდევ VI საუკუნეში დაარსებულ იყალიბდა სამონასტრო კომპლექსის ერთერთ შენობაში, ცნობილი ქაჩხუჭულა ფილოსოფოსის და მეცნიერის არსენ იყალთოელის ინიციატივით, ყალიბდება უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია, სადაც როგორც, ვარაუდობენ ისეთ საგნებთან ერთად როგორცაა გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, მუსიკა, არითმეტიკა და ასტრონომია, ისწავლებოდა მევენახეობა და მეღვინეობაც.

ეჭვი არ არის, რომ ამ დარგისადმი ეგზომ დიდი ყურადღება იმ საკრალური დამოკიდებულების გაგრძელება იყო, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე ათასეული წლების წინად ჩაისახა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი უფრო გაძლიერდა და ქართული სულისა და გონების ორგანულ ნაწილად იქცა.

იყალთოს აკადემიას, დღევანდელი გაგებით, საუცხოო სასწავლო-პრაქტიკული ბაზაც გააჩნდა. მარანი, რომელიც 1938 წელს გამოვლინდა, როგორც ჩანს არა მარტო უტილიტარული მიზნებით გამოყენებოდა, მას საკულტო-საბედაშე დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. მისი ინტერიერი და გარეგნული იერსახე, ეხლაც კი საუცხოო ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მარნის საწნახელი, რომელიც ლამაზი თაღებითაა დამშვენებული, ორი განყოფილებისაგან შედგება. ამავე დროს საწნახელს ჰქონდა სპეციალური მისადგომი ბაქანი, სათანადო კიბითურთ. არ არის გამორიცხული, რომ საქვეყნოდ განთქმული იყალთოს საწნახელი მიბაძვის საგანი გამხდარიყო (148). ამის ერთ-ერთი დადასტურებაა კახეთშივე, ახმეტის რაიონში, სოფელ მატანთან აღმოჩენილი მლაშეების გორის, საკმაოდ მოზრდილი მარანი, რომელიც XI–XIII საუკუნეებით არის დათარიღებული.

მარანი წარმოადგენს, ოდნავ დამრეც ადგილზე მდებარე დამოუკიდებელ შენობას, რომელიც ამ დანიშნულების ნაგებობისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტისაგან შედგება. მარნის ჩრდილოეთ კედელზე ორნავიანი, ჭკითყირის საწნახელია მიშენებული (წითელი და თეთრი ღვინის დასაყენებლად), რომელთაგანაც ტკბილის საღვნი ორი მილი გამოდის და იქვე ახლოს ამოშენებულ ისარნას უერთდება. ამ დეტალით იგი იყალთოს საწნახლის მსგავსია. მარნის ძირითადი, ქვევრების განყოფილება 73 კვადრატულ მეტრამდე ფართობისაა, სადაც 50-მდე სხვადასხვა ზომის ქვევრი იქნებოდა ჩარგული. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მარანი ქვევრების მოპარვის მიზნით აღრევე გადაუთხრიათ და აღმოჩენის



სურ. 39

1. შლაშეების გორის მარანი, კახეთი (ახმეტის რაიონი), განვითარებული შუასაუკუნეები
2. საწნახელის ნიშეში საქაჩავი განყოფილებით კახეთი (ახმეტის რ-ნი) განვითარებული შუასაუკუნეები
3. მარანი ორი საწნახლით იალსრის ნასოფლარზე სოფ. შატნის მიდამოები XVII საუკუნე

მომენტში შოლოდ ხუთი დამსხვრეული ქვევრიდა იყო შემორჩენილი. (სურ. 39) ქვევრებთან ერთად, მარნის ძირითად ნაწილში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის მოჭიქული ქურჭლის ნატეხები, რომლებიც გეომეტრიული სახეებით და ფრინველის გამოსახულებებით იყო შემკული. აქვე იყო ჩალისფრად გამომწვარი წვრილი ქურჭელი, საღვინე ხელადები და სხვ. (148).

ამ ზომის მარანში, როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, 1500 დეკალიტრი ღვინო უნდა მოთავსებულიყო, რისთვისაც, ჩვენი გაანგარიშებით, ალბათ 30 ტონამდე ყურძენი (თუ ტყბილის საშუალო გამოსავლიანობას 50% ვიანგარიშებთ) იქნებოდა საჭირო. ამ რაოდენობის

მოსავლის მისაღებად კი მის მეპატრონეს 5-7 ჰექტარი ვენახი უნდა ჰქონოდა. ღვინის ამ რაოდენობის მოსავალი, ყოვლად შეუძლებელია, მთელი წლის განმავლობაში ერთ ოჯახს შეესვა. როგორც ჩანს, ღვინის ამ კომერციული მიზნებით მზადდებოდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მწვერვალად XII საუკუნე გვევლინება, ხანა, როდესაც ქვეყანა ფეოდალური განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს, რომლის ეკონომიკის საფუძვლად სოფლის მეურნეობა, ხოლო წამყვან დარგად მევენახეობა ყალიბდება. იმ დროს შესაძლებლობების გათვალისწინებით, გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევს საირიგაციო მშენებლობა. ი. კიკვიძის (86) მონაცემებით, XII-XIII საუკუნეებში, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 200000 ჰექტარი ნაყოფიერი მიწები ირწყვებოდა. სარწყავი მიწების ზრდამ ვენახის საერთო ფართობის ზრდას შეუწყო ხელი, გაცილებით მრავალფეროვანი გახდა ვახის ჯიშობრივი შედგენილობაც. ი. ჯაფარიძის მიხედვით, ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ვარაუდობს, რომ იმ დროისათვის გავრცელებული უნდა ყოფილიყო ისეთი ჯიშები, როგორიცაა: ძველშავი, ხიხვი, ხევარდული, რქაწითელი, ზერდაგი, ბუტკო, სამარხი და სხვ. (224).



სურ. 40

რუსთავი, მარნის ხედი ნაქალაქარის ტერიტორიაზე XII საუკუნე

მევენახეობა და მეღვინეობა ვითარდება არა მარტო ბარში, იგი ფართოდ ვრცელდება საქართველოს მთიანეთში და მთიან ზონაშიც. ამის საუკეთესო დადასტურებაა სამხრეთ საქართველოში, ზღვის დონიდან 1100

მეტრზე, სოფელ დმანისის მარანი (119), მრავალრიცხოვანი საწნახლეები და ქვევრები არაგვის ხეობაში, შშვენიერი სარწყავი ტერასები სამცხე-ჯავახეთში. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, მესხური ტერასები გრძელად ბალ-ვენახებს ეკავა (19, 142). ეს არც არის გასაკვირი, მვეწნახეობა ამ შედარებით მაღალმთიან მხარეში ხომ უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ VI საუკუნეში, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერდა: „მესხეთის მთები არც შწირია და არც ნაყოფიერება აკლია, იგი ყოველი სიკეთითაა სავსე, ვინაიდან თვით მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედები არიან და მათ ვენახებიც აქვთ (83).

სამთო მელეინეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XII საუკუნის საქართველოს უნიკალური ძეგლი ვარძია. იგი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით – 300 კმ-ზე, მესხეთის მთებში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მდებარეობს.

ვარძია წარმოადგენს ციკაბო კლდეზე გამოკვეთილ 13 იარუსიან ქალაქ-გამოქვაბულს, რომლის 500 მეტრი სიგრძის ცენტრალური ანსამბლი, სტრატეგიული, სამეურნეო და საკულტო-რელიგიური დანიშნულების 450-ზე მეტი გამოქვაბულისაგან შედგება – კლდეში გამოკვეთილია: ეკლესია, საცხოვრებელი, სატრაპეზო, საკრებულო, სათავსოები, სასმელი და სარწყავი წყლის გაყვანილობა, საუნჯეები, საწნახლეები, საქაჯავები და სხვ. (32, 114). ამ გამოქვაბულებიდან ჯვენითვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარწყავ სისტემებს და მელეინეობის სათავსო-საუნჯეებს.

გვირაბი, რომელშიც სარწყავი სისტემის ნარჩენები აღმოჩნდა, მიანიშნებს, რომ იგი 1,5 კმ სიგრძისა იყო. სარწყავი სისტემიდან მიწოდებული წყალი აბლომდებარე ტერიტორიების ბალ-ვენახებს რწყავდა.

ქვევრები, ვარძიის კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულ 20 საუნჯესა და ექვს დარბაზშია განლაგებული. სულ აღრიცხულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის 235 ქვევრი, რომელთა შორის უმცირესები 60–100 ლიტრის, ხოლო უდიდესები 1800-მდე ლიტრის ტევადობისაა. ქვევრების საერთო ტევადობა 91 ათას ლიტრს შეადგენდა (114). ჯვენი გაანგარიშებით ამ რაოდენობის ღვინის დასაყენებლად კი 180 ტონა ყურძენი (ყურძნიდან ტკბილის 50% გამოსავლიანობის ანგარიშით) (ანუ დაახლოებით 35–45 ჰექტარი ვენახი იქნებოდა საჭირო. თუ გავითვალისწინებთ ვარძიის შემოგარენში ნაყოფიერი მიწების სიმცირეს და იმას რომ აქ ხეხილის ბაღებს და ვენახებს დაახლოებით თანაბარი ფართობი ეკავათ, უნდა ვიფიქროსხმოთ,




რომ ვენახები მდინარე მტკვრის ხეობის ორივე მხარეს მოწყობილ ტერასებზე, საკმაოდ მოზრდილ მანძილზე იქნებოდა გადაჭიმული.

უშუალოდ გამოქვაბულის საუნჯეებში მოთავსებულ მარნებში, სადა მხოლოდ ახლომდებარე სოფლებში – ზემო ვარძია, პატარა ვარძია, ქვემო და სხვ. მოწყული ყურძენი იწურებოდა. რაც შეეხება კომპლექსიდან დაშორებული ვენახების ყურძნის მოსავალი ადგილებზე, ვენახის განაპირას მოწყობილ ქვის საწინახელებში (რომლებიც ამჟამადაც საკმაო რაოდენობითაა მიმოფანტული ასპინძის რაიონში) იწურებოდა და გამოზადებული ტკბილი აპქონდათ გამოქვაბულში, რომელსაც სადღღარ ქვევრებში ასხამდნენ.

ღვინის დაყენების (ტექნოლოგიის) მთლიანი ციკლი, უთუოდ მეტად შრომატევად სამუშაოს წარმოადგენდა. მარტო ყურძნის ან დაწურული ტკბილის ტრანსპორტირება გამოქვაბულის ვიწრობილიკების გავლით, კოლოსალურ შრომას მოითხოვდა, ამას თუ დაუმატებთ 235 ქვევრის გარეცხვა-მომზადებას, ყურძნის დაწურვის პროცესს, ჭაჭის გამოწნევის, ღვინის რამოდენიმეჯერ გადაღებას და მოვლას, სავარაუდოა, რომ ვარძიის მარნებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეღვინე მუშაობდა.

შუა საუკუნეების სამცხე-ჯავახეთის მევენახეობასა და მეღვინეობაზე საუბრისას, ერთ მნიშვნელოვან მომენტს უნდა მიეკცეს ყურადღება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახლებული მხარის სავენახედ გამოსადეგი ტერიტორია ზღვის დონიდან 1100–1300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, რაც საქართველოსთვის მევენახეობის ვერტიკალური გავრცელების კრიტიკულ ზღვრად ითვლება. ცივი და წმირად მეტად მკაცრი ზამთარი, როდესაც მინიმალური ტემპერატურა მინუს 26 გრადუსზე დაბლა ეცემა, ვაზისთვის დამლუპველია, ასევე არასასურველია ხანმოკლე და შედარებით გრილი ზაფხული, გარდა ამისა, ზაფხულში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რომელიც 10 გრადუსზე ზევით იანგარჩება და რაც ყურძნის ნორმალურად დასამწიფებლად არის საჭირო, გაცილებით ნაკლებია საქართველოს ბარის მევენახეობის ტრადიციულ რაიონებთან შედარებით. ამიტომ შუა საუკუნეების მევენახეებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდებოდათ ვაზის მოშენებისა და მოვლისათვის შესაფერისი აგროტექნიკის და ამ ზონისათვის გამოსადეგი საადრეო სიმწიფის პერიოდის ვაზის ჯიშების შესაქმნელად, ვინაიდან ე. წ. საშუალო პერიოდის სიმწიფის ვაზის ჯიშები, როგორცაა რქაწითელი, ჩინური, გორული მწვანე, თავეკერი, საფერავი და სხვ. აქ წმირად სრულ სიმწიფეს ვერ აღწევენ. შესაფერისი საადრეო ჯიშები კი უთუოდ იქნებოდა იმდროინდელ სამცხე-ჯავახეთში. საშუალოდ ისტორიულმა

უკუღმართობამ, სხვა ეროვნულ ტრადიციებთან ერთად ვაზის ეს უნიკალური ჭიშებიც გაანადგურა ან ერთეული ძირების სახით შემოგვინახა ნასოფლარებზე, ნავენახრებზე, ტყეებსა და ტყისპირებში. ამჟამად სამცხე-ჯავახეთის დასახელებულ ტერიტორიაზე შემორჩენილი იმდროინდელი საუცხოო საბაღე და სავენახე ტერასები საროში, ზიზაბავრაში, მარგასტანში, ფიაში, გულსუნდაში, წუნდაში, ჭაჭკარში და სხვ., თითოეორივე უძველესი ვაზის ბუჩქით თუ ღალადებენ გარდასულ დროთა დიდების შესახებ (სურ. 41).



სურ. 41

მესხეთის ტერასები, სადაც განვითარებულ შუასაუკუნეებში ვაზი იყო გამწვანებული

სამწუხაროდ, თანამედროვე სამცხე-ჯავახეთის მევენახეობის მიკროზონებში ფართოდ გავრცელდა ვეროპიდან შემოსული, იოლად მოსასვლელი ე. წ. ფრანგულ-ამერიკული პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები, რომელთა ღვინის ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ ამ ჭიშების გავრცელებამაც შეუწყო ხელი, საქართველოს ამ ძირძველ მხარეში ვაზის ადგილობრივი გენოფონდის გადამწვანებას.

* * *

მეცამეტე საუკუნის ოციან წლებიდან ახლო აღმოსავლეთის და



ამიერკავკასიის ქვეყნები შუა აზიიდან შემოჭრილმა მომთაბარე მონღოლთა ურდოებმა წააღწია. ამ ტალღას ვერც საქართველო გადაურჩა. ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომების შედეგად მტრებმა დაძლიეს ფეოდალური საქართველოს წინააღმდეგობა და ქვეყანა საბოლოოდ მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის ქვეშ მოექცა. მონღოლთა ბატონობის ხანაში (XIII-XIV სს), საქართველოში ყოველგვარი მეურნეობა მოიშალა, ქალაქები და სოფლები დაიცილა და გავერანდა, მოსახლეობა ბრძოლებში გაწყდა და გაიქცა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ჩაკედა, ხელოსნური წარმოება დაეცა. ქვეყანა დაქვეითების გზას დაადგა (23, 88).

საქართველო მე-16 საუკუნეს პოლიტიკურად დამლილ-დაქუცმაცებული შეხვდა, გამოიკვეთა ე. წ. დამოუკიდებელი სამეფოები – სამთავროები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, მესხეთი. ჩამოყალიბდა ცალკეული სამთავროები, რაც ხელს უშლიდა მმართველობის ცენტრალიზაციას.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია არაფრით არ განსხვავდებოდა წინა, მომიჯნავე საუკუნეებისაგან. გრძელდებოდა გამანადგურებელი ომები თურქების, ირანელების, ლეკების და სხვა მტრების წინააღმდეგ. მტრებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ეკონომიკის საყრდენი მევენახეობა და მეღვინეობა იყო, ამიტომ სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, პირველ რიგში ვენახებს ანადგურებდნენ – წვაებდნენ და ძირცვაებდნენ. ჩნდებოდა ახალი ტოპონიმები: „ნასოფლარი“, „ნაქალაქარი“, „ნავენახარი“, „ნაბაღარი“ და სხვ. (224).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება არ შეჩერებულა, როგორც კი შეიქმნებოდა ცხოვრების მშვიდობიანი პირობები, მაშინვე იწყებოდა აღორძინება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ქალაქების აღდგენა და ზრდა, ვაჭრობა-ხელოსნობის გამოცოცხლება, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისთვის მებრძოლი ძალების გაძლიერება (153).

განსახილველ პერიოდში, დაქუცმაცებული საქართველოს ნაწილებიდან შედარებით უკეთეს პირობებში კახეთი აღმოჩნდა, რომლის ბუნებრივი პირობები და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დიდ გზებთან სიახლოვეში გამოიხატებოდა, მნიშვნელოვნად განასხვავებდა საქართველოს სხვა ნაწილებისაგან (23).

კახეთი ეკონომიურად ძლიერ მხარედ იქცა. ფართოვდება ქალაქმშენებლობა და სოფლის მეურნეობა, იწყება მჭობელ ქვეყნებთან ვაჭრობა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საგანი ხდება ღვინო. ღვინო, რომ უხვად მოდიოდა კახეთში იმდროინდელი მარნების სიმრავლეც მეტყველებს.

რომელთაგან ყურადღებას იმსახურებს ახმეტასთან აბლოს, იატოსის ნამოსახლარზე აღმოჩენილი უნიკალური მარანი, რომელიც რამინ რამიშვილის ვარაუდით XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. მარანის მთავარ სათავსოში, არქეოლოგიური გათხრების დასაწყისში შემორჩენილი იყო საწნახელი და მხოლოდ 12 ქვევრი. როგორც გაიკვავა, ადგილობრივ მცხოვრებლებს, 20-25 წლით აღრე, მარნიდან საღი ქვევრები მთლიანად ამოულიათ. დარჩენილი ქვევრების და ნაქვევრალი ადგილების მოცულობის გათვალისწინებით, მარანში სულ 1000 დეკალიტრის ტევადობის ჭურჭელი უნდა ყოფილიყო (148), ამ რაოდენობის ჭურჭლის გასაფხვრად კი საჭირო იქნებოდა 20-25 ტონა ყურძენი ანუ დაახლოებით 2-3 ჰექტარი ვენახი. სამულო შეძლების მევენახეთა ზვრების ფართობი, როგორც ჩანს, 2-3 ჰექტრის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო აქ ანუ ახმეტის სანახევში მოწყული ყურძნიდან, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, დგებოდა „ღვინო კეთილი E (61).



სურ. 42

ღვინის სასმისი იერის სონიდან, XII საუკუნე.

ამ პერიოდის კახეთში, დიდი და საუკეთესო ბალ-ვენახები ჰქონდათ მეფე-მთავრებს, ეკლესია-მონასტრებს და დიდ ვაჭრებსაც. ამ დროის სპარსი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის სიტყვით, შიგნით კახეთის ულამაზეს ადგილას აგებული გრემის სასახლე სამაგალითო ადგილი იყო თავისი სამოთხისებური წალკოტის წყალობით, რომელიც ამქვეყნიური

მშვენიერების განსახიერებას წარმოადგენდა. ეს დიდებული სასახლე XV საუკუნის დასაწყისში, შაჰაბასმა მიწასთან გაასწორა (49).

ქართლის სამეფოში, მევენახეობა და მეღვინეობა, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილში (შიდა ქართლი) ყოფილა დაწინაურებული. ნაშრომ მაღალ დონეზე იყო, აგრეთვე ქვემო ქართლშიც. ვახუშტი ბატონიშვილი დეტალურად აგვიწერს იმდროინდელი ქვემო ქართლის სანახებს და რაც მეტად საყურადღებოა, ამა თუ იმ ხეობის თუ მხარის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ვენახი მიანია. მაგ. მდინარე დებედის ხეობას ასე აფასებს: „გარნა მოვალს მუნც ყოველნი მარცვალნი, ბრინჯ-ბამბისაგან კიდე, ვენახნი, ბროწეული, ლელუი და სხუანი ხილნი მრავალნი“; მდ. მაშავერის ხეობაზე შენიშნავს – „ამას ქუეით სამხრიდამ მაშავერს ერთვის ბალიქის ხევი, ლოქიდან გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი...“; შემდეგ განაგრძობს – „...ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შუენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი...“ „...ვენახი, ხილნი და მტილოვანი არარაი არს აქა და შთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ იჭა და დაღვების ღვინო კეთილი და გემოიანი“; მდ. ქციის (ხრამის) ხეობა ასე აქვს აღწერილი – „...ხოლო მოდიმნახეს ციხის ქუეითი არს ხრამი ქციისა ვიდრე ნახიდურამდე...“ „...მაღალი, განიერი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხილიანი“; საბარათიანოს ერთ ნაწილზე ამბობს – „...ამ შთის დასავლით, ხოშაგერმას იქით არს ობის ციხე ველსა ზედა, და აწ შემუსვრილი, და ამის ჩრდილოდ კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე...“ „...ამ ტბის დასავლით არს კუმისი დაბა დიდი, ვენახოვანი, ლელვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი და ა. შ.“



სურ. 43

სასმისი „მარანი“ ცინჯალის ნაქალაქრიდან XIII ს.-ის პირველი ნახევარი.

გარეშე მტრების წშირი შემოსევების შედეგად (ქვემო ქართლში სომეხთა დასახლებების ფორპოსტზე იდგა), დასახლებული პუნქტების განადგურებასთან ერთად ვენახებიც ისპობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვენახების გარკვეული ნაწილი ტყეს და ნასოფლარებს აფარებდა, სწრაფად ტყემ შემოგვიანა უძველესი ვენახების ნიმუშები.

განადგურებულ ტერიტორიებზე არაქართველები, ძირითადად ყიზილბაშები და სომხები სახლებოდნენ, რომლებიც სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული ამ ტრადიციული დარგის აღდგენით, განსაკუთრებით მუსულმანები, რომელთაც ღვინის ხსენებაც კი ყურანით ეკრძალებოდათ.

შიდა ქართლში, ისტორიულად მევენახეობის ორი მიმართულება ჩამოყალიბდა – სასუფრე ყურძნის წარმოების და მეღვინეობის (ძირითადი მიმართულება). სასუფრე ყურძენს, უპირატესად ზამთარში შესანახად აწარმოებდნენ ქ. თბილისის შემოგარენში – სოფ. გლდანში, ავჭალასა და დიღომში, რისთვისაც ძირითადად ადგილობრივ სასუფრე გიშს გორულას ანუ გლდანურას იყენებდნენ, რომელიც საუკეთესო შენახვისუნარიანობით ხასიათდება.

მაღალხარისხოვანი ღვინოები დგებოდა: მდ. არაგვის ხეობის შუა და ქვემო წელში; მდ. ქსნის და არაგვის წყალგამყოფში – მუხრანის ვაკის, ზედა, სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე და მდ. ლეხურის, კავთურის, თემის და ტანის ხეობებში. აი როგორ აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი შიდა ქართლის სანახებს: „...არაგვის დასავლით, ნარეკვავსა ზედა, არს ქალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ხობით სავეს. და არს მდინარე ესე უქანამდე ვენახითა და ხილითა“; „...სარკინეთის მთის ჩრდლოს გვერდი, ქანდა-ციხის ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი...“; „...არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი და მეფეთა სადგური... მოსავლიანი მტილითა, წალკოტითა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს“; „მისაქციელიდან ანანურამდე არს ვენახოვანი“; „ამ კლდის ქუთით მტკუარამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი...“; „...და ამის დასავლით არს ხეობა ატენის მდინარისა. მტკუარის სამხრით დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის ხევი. წედისს არს ციხე მხირე, და არს ხეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი...“; „...ამის დასავლით არს ქალაქი გორი... არამედ არს ადგილი ჰავითა შუენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი წალკოტნი მრავალნი...“ (ვახუშტი).

როგორც ვხედავთ, გვიანფეოდალური ხანის შიდა ქართლის სოფლის მეურნეობაში, მიუხედავად არასახარბიელო პოლიტიკური ვითარებისა, მევენახეობას მაინც წამყვანი პოზიციები ეკავა და იგი ქვეყნის ეკონომიკის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებლად საცმარისია მასალები ქვემო და შიდა ქართლში, ორბელიანთა საგვარეულო ვენახების შემოსავლიანობის შესახებ XVII საუკუნის დამდგენი წყაროები, რომელსაც ი. ჭავჭავაძის გვაწვდის. 1619 წელს მუხრანის, ბაღინის, ტანძის, ბაღაურის, ვარდისუბნის და სხვ. ვენახებიდან (სულ დასახელებულია 20 ზეარი) 875 საპალნე, ხოლო 1620 წელს კი 938 საპალნე ტყბილი შემოსვლიათ (227). თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი საპალნე 300-340 კგ უდრიდა, გამოდის რომ ორბელიანების ვენახებიდან მიღებული ტყბილის საერთო რაოდენობა (საყუთარი ვენახები + სოფლის კულუხი ანუ ღვინის ღალა) 1619 წელს უდრიდა 26250-29750 დეკალიტრს, ხოლო 1620 წელს - 28140-31892 დეკალიტრს.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ორბელიანთა, ყაფლანიშვილთა და სხვა თავადთა მამულებში დაყენებულმა ღვინოებმა შეუქმნა ის რეპუტაცია ქართულ ღვინოს, რომლის შესახებაც ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა: „დაბეჭითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენ და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ როგორც აქ. ისევე, როგორც კოლხეთში, აქაც ვახები ხეებზეა გამწვანებული. მეფეთა სასამელად თბილისიდან ღვინო გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისფაჰანში. ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით სამ ფუტს უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანგი ცირს, მე ვლაპარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგან ჩვეულებრივ საშუალო ღვინოს ამის ნახევარი ფასი აქვს. ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისად ფასობს“ (197).



სურ. 44
1

სპილენძის სასმისები, XVII-XVIII საუკუნეები

მევენახეობა-მელენეობის აღმავლობას, საქართველოსთვის ასეთ არასახარბიელო პოლიტიკურ ვითარებაში, მნიშვნელოვნად შეუქმნა ხელი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1675-1737) თაოსნუბეფი მექმნეობა კანონთა კრებულმა, რომლის მიხედვითაც მიწებზე მათ მტკიცე მფლობელებს და საკუთარ ვენახებიდან მიღებული მოსავლის გამოსაღები (კულუბი) მხოლოდ ერთი მეხუთედიდან ერთი მემედიდები წილის ფარგლებში მერყეობდა. ამ ვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა გლეხების დაინტერესება და მათი ვენახების საერთო პროცენტი (15).

ვენახების ფართობების გაზრდას მე-18 საუკუნის ბოლოსთვის ხელი შეუწყო აგრეთვე ე. წ. „ხიზანთა“ ინსტიტუტის არსებობამ. ხიზანი წარმოადგენდა საკუთარ სამკვიდრებლიდან აყრილ გლეხს, რომელიც ყმა გლეხისგან განსხვავებით, პირადად თავისუფალი იყო და მისი დამოკიდებულება მემამულეზე ამ უკანასკნელის მიწა-წყლის უვადო სარგებლობით განისაზღვრებოდა. მას ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული ჰქონდა მიწიდან მიღებული მოსავლის უცვლელი გადასახადი (ღალა, კულუბი, გამოსაღები).

ხიზნები მემამულის მიწაზე ამენებდნენ ვენახებს. არსებული კანონის საფუძველზე, გაშენებული ვენახის ნახევარი გადადიოდა ხიზნის ხელში, ხოლო მეორე ნახევარი მემამულეს რჩებოდა. თუ ხიზანი თავის ნებით მიდიოდა მემამულისაგან, იგი ყველაფერს ტოვებდა, ხოლო თუ მემამულის ინიციატივით ტოვებდა მიწას, მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა მის მიერ შექმნილი ნაგებობის თუ მამულის კეთილმოწყობისათვის გაწეული ხარჯები და ვენახის ღირებულების საზღაურის ნახევარი (15, 50).

აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, დასავლეთი და განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (იმეამინდელი სამცხე-საათაბაგო) მეტად მძიმე პირობებში მოექცა. მე-16 საუკუნის დასაწყისიდან, თითქმის მთელი რვა ათეული წლის განმავლობაში სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ 13 ომის გადახდა მოუწია (21). ამ უთანასწორო ბრძოლაში სამცხე-საათაბაგო დამარცხდა და საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი ნაწილი თურქეთის უშუალო მფლობელობაში მოექცა (49). მიუხედავად ამისა, მევენახეობა და მელენეობა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად რჩებოდა. აქ, მრავალ სოფელში, ზეხილის ბაღებთან ერთად, საკმაო რაოდენობის ვენახებიც იყო. მიუხედავად არახელსაყრელი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებისა (სიმაღლე ზღვის დონიდან, მკაცრი ზამთარი და სხვ.), ადგილობრივმა მეურნეებმა, უდიდესი შრომის და დარგისადმი სიყვარულის ფასად შექმნეს და შეინარჩუნეს ისეთი

უნდალური ვაზის ჭიშები როგორცაა: ცხენისძუძუ, საწური, გურგლოურა, ხარისთვალა, ასპინძურა, სამარიობო და სხვ. (142).

სამცხე-საათაბაგოს იმ პერიოდის მეცნიერების მასშტაბების შესახებ, სამწუხაროდ ქართული წყაროები იმდენად მცირეა, რომ მეტად სოგად წარმოდგენას გვიქმნის. ვახუშტი ამ მხარის ერთბ სქემატურ დახასიათებას იძლევა: „...ამ საზღვართა შორის არს სამცხე, შიგნით მთიანი, გორიანი, ღრანტიანი, ხევიან კლდინი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი მრავლად“. იძლეული ვხდებით ვისარგებლოთ თურქი დამპყრობლების მიერ შედგენილი კანონთა და საგადასახადო ნუსხათა წიგნით, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია და სამ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში მოცემულია მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის, სხვადასხვა გადასახადისა და სოციალურ დამოკიდებულებათა კანონები. მეორეში – იმ ადმინისტრაციული დანაწილების პუნქტებია, რომლებიც გამოსაღებს იხდიან, ხოლო მესამე, ძირითად ნაწილში მოცემულია სოფლის გამოსაღებთა ძირითადი სახეობები და მცხოვრებთა სიები. როგორც ირკვევა, მხარის, სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება მინდვრის კულტურები (ზორბალი, ჭვავი, ფეტვი, ჭერი, სელის თესლი, შირა, ბოსტნეული, იონჯა, თივა) ყოფილა. ასევე, მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ეკავა მეცხოველეობის პროდუქტებს (ღორი, ცხვარი, ფუტკარი), ხოლო ვენახები და ბაღები ერთად არის აღრიცხული (ზოგან მარტო ვენახებია აღრიცხული) და მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანები ღვინის სმას კრძალავდნენ, მოსახლეობას გამოსაღები მაინც შეწერილი ქონდა. დავთარში აღრიცხული 829 სოფლიდან, ვენახიანი 50 სოფელი იყო და საკმაოდ დიდ გამოსაღებსაც (ახჩას) იხდიდა (48). თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახელებული მხარის სოფლების უმრავლესობა არასავენახე – მალაღმთიან ზონაშია მოქცეული, მოტანილი ციფრი, მეცნიერების გეოგრაფიის საკმაოდ მალალ მაჩვენებლად შეძლება ჩაითვალოს.

ენ შარდენს სამხრეთ საქართველოში 1872–1873 წლებში გაუვლია. როგორც მოგზაური აღნიშნავს: „აქ ბევრი სოფელია გამენებული, ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მალლა აღის, რომ წმირად მტვენებს ვერ ჰკრეფენ. როცა აქ გავიარე, სოფლებში რთველი იყო, შესანიშნავი მეჩვენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკიულ ყიდიან. რადგან მთელ მოწულ ღვინოს ვერ ასაღებენ, გლეხები წმირად ყურძენს არ კრეფენ და ვაზზე ტოვებენ...“; „...ღვინო, პური

და ხილი ბლომად გვექონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოაქონდა. ჩემგან ფულს არ იღებდნენ...” და ა. შ.

გვიანფეოდალური ხანის დასასრულს მძიმე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა დასავლეთ საქართველოშიც. თურქეთის ექსპანსია ქვეყნის განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობებს სპობდა. მხარე ისევ დაქუცმაცდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები დამოუკიდებელ ერთეულებად იქცნენ. ერთიანობა მოიშალა. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკა დაღმავლობის გზით წავიდა (21). ეკონომიკის ძირითადი საფუძველი კი, მოგვხსენებათ სოფლის მეურნეობა და კერძოდ მვეენახეობა იყო. მიუხედავად ამისა, მე-17 საუკუნის შუა პერიოდში, მაგალითად იმერეთში ვენახებს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა, რაზედაც იმ პერიოდის (1650-1652 წ.წ.) რუსეთის ელჩებიც აღნიშნავდნენ: „...ბოსტნეული, ვაშლი, მსხალი, გულაბი, არმუდი, ქლიავი, შინდი, ნიგაზი (ბერძნული და რუსული), საღვინე და საჭმელი ყურძენი აურაცხელი იყო“ (178).

არასახარბიელო ვითარება შეიქმნა მე-18 საუკუნის შუა პერიოდში, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა დარგის განვითარების პროცესი, რაც ძირითადად დაბლარი მვეენახეობის გაფართოებით უნდა მიმართულიყო. მთელ დასავლეთ საქართველოში, ამ პერიოდისათვის, დაბლარი ვენახები მხოლოდ იმერეთის გარკვეულ ნაწილში იყო. ვახუშტის ცნობით ასეთი ვენახები გააჩნდა არგვეთისა და ვაკის მიმდებარე სანახებს, რაც პრაქტიკულად თანამედროვე შუა იმერეთს და ნაწილობრივ ზემო იმერეთის ქვედა მხარეს მოიცავდა, ძირითადად მდ. ყვირილის, ძირულის, ჩხერიმელის, ჩოლაბურის და მათი შენაკადების ხეობებში. „პირუტყვი მრავალნი და არა ქართლისებრ, ვენახი დაბლარი და ღვინო კეთილი, გარნა ქართლის კერძო ადგილთა – თხელი“, წერს ვახუშტი არგვეთის შესახებ. ხოლო ვაკის საზღვრისათვის, რომელიც მოიცავდა „...ქუთაისის დასავლით, და მალღარის და ოფშკვითის აღმოსავლით, და გუბისწყლის სათავის გორეშხედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამდე. და არს სამკუთხედ ადგილი ესე ამას შინა, ცხენისწყლისა და რიონისაკენ, არს საჭილარო, სამიქელარო და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი...“, „...ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყრილნი, და უწოდებენ ეწერს; და ეწერნი არიან არგვეთს, საჩხეიძოს, საჩიგავაძოსა შინაცა“ და ა. შ. იმერეთის დანარჩენ ნაწილში, ვახუშტის მხოლოდ მალღარები აქვს მინიშნებული. იმერეთში, მალღარს ბაბილოსაც უწოდებდნენ და საკმაოდ უხვ და ხარისხიან

ლენოსაც იძლეოდა. ბუნებრივი მალღარები, როგორც ჩანს აქ ხემაოდ დიდი რაოდენობით იყო თხელ ტყეებსა და ტყისპირებში, ხოლო კარმიდამოსთან ახლოს ხელოვნურად მოშენებული, შერეული ნარგავები (მალღარი და დაბლარი) უნდა ყოფილიყო.

მალღარი ვენახებით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა საჩინო – სალომინაოს ხაზის, სვირის სანახები, ოკრიბის მიდამოები და სხვ. ერთი სიტყვით, დღევანდელი შუა და ზემო იმერეთის მევენახეობას იმ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოხმარების დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ როგორც ვახუშტი, ხაზგასმით მიუთითებს, ღვინო ყველგან „მსუბუქი, მზნე და გემოიანი“ ღვებოდა.

მთლიანად მალღარებით იყო დაფარული ოდიშის (სამეგრელო) სანახებიც. აქ უხვად ხარობდა: „ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული, ადგილ-ადგილს და სხუანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მალღარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარდაგი, ფერისათვის ეგრედ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. როგორც ვახუშტი იქვე მიუნიშნებს „ზარ“ სპარსულად ოქროს ნიშნავს, ე. ი. ზარდაგი მოოქროსფრო, თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში ყოფილა. ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ი. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ზერდაგის სახელწოდებით ჯიში XII–XV საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. ეს ჯიში 1940–1950-იან წლებამდე ათეული მალღარის სახით, სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში (სენაკი, უმაფათი, ფოცხო) გვხვდებოდა. ამჟამად მხოლოდ ამპელოგრაფიულ კოლექციებშია.

ზარდაგი, ამპელოგრაფიულად, პირველად მ. რამიშვილმა შეისწავლა და აღწერა-დახასიათებაც მის მიერვე არის შესრულებული (7). სენაკისა (1955 წ.) და დიღმის (1975 წ.) ამპელოგრაფიულ კოლექციებში ზარდაგისგან დაყენებულმა ღვინოებმა მაღალი სამეურნეო და ენოლოგიური თვისებები გამოავლინა, რითაც სავსებით მიესადაგა ამ ჯიშიდან დაყენებული ღვინის ვახუშტისეულ შეფასებას.

სამეგრელოს შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის მე-17 საუკუნის დომინიკელი პატრი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც საქართველოში როგორც მისიონერი, მთელი 20 წლის განმავლობაში (1633–1653 წ.წ.) ცხოვრობდა, ეხება რა სამეგრელოს მიწათმოქმედებას, იგი აღნიშნავს: „არცერთი ერი ისეთ პატრის არა სცემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ზეპრე გლეხები. სამეგრელოში კი რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ მუშაობს თავის ყანებში და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე

სათაკილოდ როდი მიაჩნიათ. პირიქით, წინდახედული მეოჯახე მხარე მეტად ეტანება ამ მუშაობას. თვითონ იღებს ხელში თოხსა და ბევრ ოფისსა ღერის თავისი ყანების შესამუშავებლად". შემდეგ ლამბერტი განაგრძობს: „მეგრელებს დიდის გულმოდგინებით მოჰყავთ ღომი (ჩვეუბურად panigo და მათი ჩვეულებრივი საჭმელი) და ამისთვის სამეგრელოში, როგორც ჩვენშიც, ყოველგან შეხვედებით ბუჩქებს დიდი ხეების მაგიერ, რათა ხეების ჩრდილმა არ ავნოს ღომს. ხეებს ერთიანად შემოსხეპავენ ტოტებს, ისე, რომ დატოვებენ მარტო ღერს ხისას, რომელზედაც ძლივს ადის ვაზი". ეხება რა ღვინის გამოყენების წეს-ჩვეულებას ლამბერტი მოგვითხრობს*: „საუკუთესო ღვინო, რომელიც კი აქვთ, შეინახავენ ხოლმე იმ დროისათვის, როცა მარგვლა აქვთ, ხოლო რადგან მათ ხახას ვერ გადაურჩებოდა ეს ღვინო, ისეთი ხერხი მიუგონიათ: ამ ღვინოს სწირავენ წმინდა გიორგის იმ პირობით, რომ პეტრე-პავლობამდე არ ახადონ თავი ამ ჭურს, რომელშიც ღვინო არის. მართლაც ვერავენ გაბედავს ამ დრომდე მას ხელი ახლოს, რადგან მღვდლები ხალხს ეუბნებიან, ვინც დაარღვევს წმ. გიორგის წინაშე დადებულ აღთქმას, ის ცოცხალი ვერ გადარჩებაო. პეტრე-პავლობის დღეს კი, რომელიც მარგვლის წინ არის, დიდი ამბით უნდა მოხსნან თავი ქვევრს. ამისათვის მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსება საეკლესიო ტანისამოსით, რამდენიმე ლოცვას იტყვის ქვევრის თავზე და შემდეგ ამისა მოხსნის თავს ამ ქვევრს; იქიდან პატარა ღოქში გადმოასხამს ღვინოს, რომელსაც გაჭავინის წმ. გიორგის ეკლესიაში შესაწირავად. ამის შემდეგ შეუძლიათ იხმარონ ეს ღვინო.

გვიანფეოდალური ხანის აფხაზეთის მევენახეობა და მეღვინეობა დიდად არ განსხვავდებოდა ოდიშ-სამეგრელოსაგან. აი როგორ აგვიწერს ვახუშტი აფხაზეთის სანახებს: „ხოლო ანაკოფიის (ახალი ათონის და გუდაუთის მიდამოები. რ. რ.) დასავლით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგრისისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომ განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აბზაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე". „ხოლო ესე აფხაზეთი შექმული არს ყოველთა ნაყოფიერებითა

* ლამბერტის, რომ კარგად სცოდნოდა საქართველოს ისტორია, ასეთ ნახევრად გამარჯვებულ ინტერპრეტაციას არ მისცემდა ამ მოვლენას. აქ საქმე გვაქვს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ წეს-ჩვეულებასთან, ღვინისადმი, როგორც წმინდა სასმელისადმი ანუ „ზეღამესადმი“ დამოკიდებულებასთან.

და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყენი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი”.

მე-17 და მე-18 საუკუნეების გურიაშიც მხოლოდ მალაქის მკვდარება იყო გავრცელებული და საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოებიც დგებოდა. აი როგორ აღწერს იმდროინდელ გურიას ვახუშტი: „აღმოსავლეთით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამხრით ქოროხის მდინარე და მთა მცირე ფერსათიდან ჩამოსული დასავლეთით, აჭარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდისის შორისი და დასავლეთ შავი ზღუა, ზოლო რიონის თუალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ-ლევ, ქართულსა უიგ, ნავსადგურობისათვის, და დგანან მუნ მჭლომარის ფაშით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლეთ რიონის კიდესა ხედა არს ლანჩქუთი. ამ ლანჩქუთის სამხრით წარმოვადის მთა საჯავახოსა მთიდამ დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალ თხემსა ზედა ეკლესია ჭუმათის, დიდი, გუმბათიანი, დიდმენი, მჭურეტი ზღუასა და გურია-ოდისსა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხული საამო, მშუენი, კეთილ-ჰაოვანი; ზის ეპისკოპოსი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა. და არს მთა ესე ჭუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნეზიანი, ვენახ-ხილ-მოსაველიანი და ნადირ-ფრინველიანი”. „ზოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღუამდე და განი ქოროხიდან რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშუენი, ზაფხულის ცხელი, წუმიანი, სუელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდთოვლიანი ვითარცა იმერეთი და უყვირო...” და „ბათომს, გონიას და ერგეს და ზღუას კიდესაცა. ვენახნი მალაქარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიანი და სუნიანი მრავლად”.

ვენახოვანი, ხილიანი და მოსავლიანი იყო თანამედროვე და ისტორიული აჭარის ვიწრო ხეობებიც. დღევანდელი საქართველოს ფარგლებში მოქცეული ტერიტორიებიდან, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მდ. აჭარისწყლის ხეობის ქედა – შუახევის მიდამოებში, თვით ხულომდე. ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებიდან მდ. ფორჩხის ხეობა – „არამედ არს ესე ვენახოვანი, ხილიანი, ვიწრო კლდიანი და მოსავლიანი, რაოდენიცა მიწანი იხვნიან”, მიუნიშნებს ვახუშტი. საყურადღებოა, რომ დაბა შავშეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) დასავლეთით, მდ. მერჯხევის მახლობლად, ოპიზიდან დაახლოებით 6-7 კილომეტრზე იყო დაბა სახელწოდებით დიდვენახი (ამჟამად, ალბათ თურქებს, ისე როგორც ყველა ქართული დასახლება, შეცვლილი ექნებათ).

გვიანფეოდალური ხანის რაქაში, როგორც ჩანს, უაღრესად რთული ოროგრაფიული პირობები, მცირე მიწიანობა და მოსახლეობის სიმჭიდროვე, უფრო რთული პრობლემების წინაშე აყენებდა ადგილობრივ მოსახლეს. პირველ რიგში სარჩო-საყვების მოყვანის პრობლემა იდგა დღის წესრიგში და თუ კი საშუალება მიეცემოდა, ვენახს უეჭველად საპატიო ადგილს მიუჩენდა ხოლმე. დაწვრილებით აღწერს, რა რაქის გეოგრაფიულ საზღვრებს, ვახუშტი განაგრძობს: „და ამ საზღვართა შინა არს, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან, ჰავით არს კეთილმშენი, ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი და უჭარო, მოსავლიანი თუნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი“.

ისტორიულ რაქაში, დაბლობი და სწორი ადგილები, ძირითადად მარცვლეულისა და ბოსტნეულის მოსაყვანად ჰქონდათ ათვისებული, ვენახები კი, მხოლოდ და მხოლოდ ფერდობ, ზმირ შემთხვევაში ციცაბო ფერდობებზე ჰქონდათ გაშენებული (ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე). მიწისადმი ასეთი, მომპირნე დამოკიდებულება ორმხრივ იყო რაციონალური, ჯერ ერთი შესაძლებელი ხდებოდა სავარგულების მაქსიმალური გამოყენება და რაც მთავარია, ფერდობებზე მოწეული ღვინის ხარისხი, დაბლობზე გნებავთ რიონისპირა ვენახებში მოწეულ ღვინოსთან შედარებით, გაცილებით მაღალი იყო.

რაჭველის ვაზისადმი, ღვინისადმი დამოკიდებულება იმდენად ორგანული იყო, რომ სავენახე მიწების ძებნაში, ზმირად მუშობელ, იმერეთის ტერიტორიაზეც კი გადადიოდნენ. თავად რაქის, სავენახედ ვარგისი მიწების ძირითადი ნაწილი, როგორც ჩანს მდ. ტოლისხევის ახლომახლო მიდამოებში – ხვანკარის, ჩორჯოს, ბოსტანას, ძირაგოულის, ქვევისის, ქრებალოს და სხვ. სოფლების ფერდობებზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. „არს კავკასიადამ ჩამოსულს მთის კლდეზედ ციხე ტოლა შენი, ფრიად მაგარი და არს ხეობა ესე ხილ-ვენახიანი“. რაქის მევენახეობის ვერტიკალურ საზღვრად, ვახუშტი მიიჩნევს მდ. ჭეჯორის ხეობის მიდამოებს: „არამედ ჭეჯორის მდინარეზედ, სამხრიდამ ჩრდილოეთად დინებულზედ, არს დაბნეები ვენახოვან-ხილიანი და მოსავლიანი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი, და უვენახო და უხილო, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი“.

ლექსუმი, რაქის მსგავსად მცირე მიწიან მხარედ ითვლებოდა, მაგრამ ვენახები აქაც საკმაო რაოდენობით ჰქონდათ. „არამედ არს ლექსუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი

მარცვალნი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სივიწროვისა და
კლდიანობისათვის არა ეგოდენი სიმრავლით" მიუნიშნებს ვახუშტი.
დაახლოებით ასეთი ვითარება იყო საქართველოს მევენახეობის
მელვინეობაში ფეოდალური ხანის ანუ მე-18 საუკუნის დასასრულს.

საქართველოს მიწინააღმდეგობა XIX-XX საუკუნეებში

საქართველოს, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასიის მევენახეობა და
მელვინეობა, უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის
ინტერესებს ემსახურება.

რუსეთის მთავრობამ, შეიერთა რა მე-19 საუკუნის დასაწყისში,
სამხრეთით მდებარე ქვეყნები, იმთავითვე იაფი ნედლეულის ძიებას შეუდგა.
უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები სამუდამოდ რჩებოდნენ რუსეთში
საცხოვრებლად, დაიწყო ზრუნვა, სამხრეთში ისეთი დარგების
განვითარებაზე, რომელთა კულტივირება იმპერიის ცენტრალურ და
ჩრდილოეთ რაიონებში წარმოუდგენელი იყო. ამასთან დაკავშირებით,
საქართველოში შემოსულამდე რამდენიმე წლით ადრე, 1797 წელს, რუსეთში
გამოვიდა დადგენილება, ახალ დაპყრობილ ქვეყნებში მებაღეობის და
მებაღეუმეობის ფართოდ გავრცელების შესახებ (15).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე, ცენტრალურმა
ხელისუფლებამ რამოდენიმე ღონისძიება გაატარა, მაგ. სახაზინო
მფლობელობაში გადაიტანა 90-მდე ვენახი, ხოლო ზემოთ ხსენებული
დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავარმართებელმა გუდოვიჩმა,
1807 წელს, მევენახეობისა და მელვინეობის ეფექტიანობის ამაღლების
მიზნით, თბილისის სასწავლებლის მასწავლებელს უნგრელ მარტინის,
სახაზინო ვენახებში, ღვინის გაუმჯობესებული მეთოდებით დაყენების ცდების
ჩატარება დაავალა.

სახაზინო მამულეში ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგები
გამოიღო, მიუხედავად ამისა, საქართველოს ადმინისტრაციამ, მევენახეობის
განვითარება მაინც ვენახების კერძო მესაკუთრეთა ზრდის ხარჯზე
გადაწყვიტა. ამის საბაზს ისიც იძლევა, რომ სწორედ ცნობილ თავადთა
მამულეებში დგებოდა საუკეთესო ხარისხის ღვინოები, რაზედაც ადრე
ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა.

მევენახეობისა და მელვინეობის საერთო მდგომარეობის შესწავლის

მიზნით, 1811 წელს საქართველოში იმოგზაურა კავკასიის მხარის მრჩეველმა სტევენმა. ამ პერიოდისთვის, საქართველოში ყველაზე დიდი ვენახები კახეთში იყო და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის, თითქმის ერთხელეულობით წყაროს ღვინო წარმოადგენდა, რომელიც ამავე დროს საეკონომიკური ხარისხით გამოირჩეოდა. თბილისის შემოგარენისა და ქართლის ღვინოები, როგორც სტევენის მოხსენებით ბაჩათშია აღნიშნული, საშუალო ხარისხისა დგებოდა. სწორედ ამ პერიოდში (1817–1823 წწ.) მოხდა თბილისის გუბერნიამი გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება (სულ ჩამოსახლეს 486 ოჯახი), რომელთა ძირითადი დანიშნულება იყო მეღვინეობის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანა (ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ოფიციალური ვერსია ასეთი იყო).

ევროპელ მოგზაურთაგან, რომლებიც საქართველოს შესახებ წერდნენ ყურადღებას იმსახურებს ეაკ ფრანსუა გამბა, რომელიც თბილისში საფრანგეთის კონსულად მუშაობდა. მან 1820–1824 წლებში მთელი საქართველო შემოიარა და უაღრესად საინტერესო მასალებიც მოიპოვა. გამბა, აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის მევენახეობით და მეღვინეობით დაინტერესებულა, სადაც მისივე თქმით დიდძალი ვენახები ყოფილა გაშენებული. იგი განსაკუთრებით ჭავჭავაძეების მამულებს (წინანდალსა და მუკუჭანში) გამოყოფდა, სადაც მოსავლიან წლებში 30000 თუნგამდე (ერთი თუნგი – 5 ბოთლს უდრის) საუცხოო ხარისხის ღვინოს იწვედნენ. მეორე ადგილზე აყენებდა სოფელ კონდოლოში, საბაზინო მამულეებში და თავად ივანე აბხაზის ვენახებიდან (სოფელ კარდანახში) დაყენებულ ღვინოებს. ჯ. გამბა დაწვრილებით აღწერს კახური მარნის აღჭურვილობას, ღვინის ქვევრებში დაყენების, მოვლის, შენახვის და ტრანსპორტირების წესებს. ღვინის დაყენების მსგავსი წესები ყოფილა გავრცელებული საქართველოს (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო) სხვა რაიონებშიც, მაგრამ ღვინის ხარისხი გაცილებით დაბლა მდგარა და მხოლოდ ადგილობრივი დანიშნულებით გამოიყენებოდა (15).

დასავლეთ საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის პერიოდის, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთო მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა XVII–XVIII საუკუნეების მდგომარეობისაგან. მხარის მთელი ტერიტორია, სურამის მთებიდან შავი ზღვის დაბლობი ზონის ჩათვლით, ერთ მთლიან ეგზოტიკურ ტყე-ბაღს წარმოადგენდა, რაიც უზარმაზარ ხეებზე ფორმირებული მალღარებით იყო მოფენილი (14).

იმერეთის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ, 1810 წლისათვის, ქვეყნის



უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის უძველესი, შესანიშნავი ბალ-ვენახები მთლიანად რუსეთის მეფის ხაზინამ ჩაიგდო ხელში. შემდგომ, ეს ვენახები, შესყიდვის წესით კერძო მფლობელებს გადაეცათ, მაგრამ მხოლოდ არახელსაყრელი პირობების გამო, ასეთ კონტრაქტზე უარი თქვენს, საბოლოოდ ეს უნიკალური ბალ-ვენახები მთლიანად განადგურდა (Кавказ, 1855, № 98). ე. გამბა, როდესაც 20-იანი წლების დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ იმერეთი, გურია და სამეგრელო შემოიარა, სწორედ ასეთ მდგომარეობას შეესწორო. მიუხედავად ამისა იგი მაინც გაუკვირვებია ვენახების სიმრავლეს, რომელთაც შეცდომით ველურ ვაზებს უწოდებს. მოგზაურს მაღლარები ველურ ვაზებში აღრევია. რაც შეეხება დაბლარებს (როგორც ჩანს მაღალ ჭიგოზე ფორმირებულ ოლიხნარზეა საუბარი), ისინი შუა იმერეთის, კერძოდ სალომინაოს მიდამოებში უნახავს და ღვინოც მოსწონებია, მაგრამ მაინც მიუნიშნებს, რომ ადგილობრივმა გლეხებმა ღვინის უკეთესი დაყენება რომ იცოდნენ, იგი მშშვნელოვან საექსპორტო საგნად იქცეოდაო (30).

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი გურია-სამეგრელოში არსებული მაღლარები, რომ ველური ვაზები არ იყო, სულ მალე დაამტკიცა ინგლისიდან ჩამოსულმა პრაქტიკოს-აგრონომმა იაკობ მარმა. ი. მარი საქართველოში მე-19 საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ჩამოვიდა და გურიის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში, იანოულში (ბუკისციხის მახლობლად) დასახლდა. მიწები, რომლებიც მევენახეობის თვალსაზრისით საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა, უსასყიდლოდ გადასცა მას გურიის უკანასკნელმა მთავარმა მამია V გურიელმა. იაკობ მარმა გამოყოფილ მიწებზე მხოლოდ გურული ვაზის ჭიშების ჭანის (ძირითადად), მტევანდილის და სხილათუბნის მაღლარები გააშენა. როგორც ირყვევა მას წინასწარ ჰქონდა გამოკვლეული გურიის კლიმატური და ნიადაგური პირობები, ამიტომ დაბლარი ვენახი საერთოდ არ გაუშენებია. სულ მალე საუკეთესო შედეგები იქნა მიღებული. მისი დაყენებული ღვინოები არა მარტო გურიასა და ქუთაისის გუბერნიაში იყიდებოდა, მან ევროპაშიც კი შეაღწია. ამრიგად, ი. მარი ითვლება ქართული ღვინის პირველ ექსპორტიორად ევროპაში. მარის ტექნოლოგიის მთელი საიდუმლოება იმამი გამოიხატებოდა, რომ მიწვე უურძენს შერჩევით კრეფდა, გარდა ამისა ჭიშებს აცალკევებდა და ახარისხებდა. ტკბილის დადუღება, ტრადიციულად საწნახელში ხდებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი თავდახურული იყო, რის გამოც ტკბილს ნაყლები შეხება ჰქონდა ჰაერთან და ღვინოც ნაყლებად

დაქანგული გამოდიოდა. მზა ღვინოს ბოთლებში ასხამდა და ისე რინანკდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი რეალიზაციას უკეთებდა. 1841 წლის გურიის ცნობილი მღელეუარების დროს, მარის მამულში მოხუცუნად განადგურდა, ხოლო 60-იან წლებში მან მიატოვა იანოული და ქუთაისში გადასახლდა (121).

მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ვინმე პლატონ ზუბოვი, რომელსაც 1833 წელს ჩვენში უმოგზაურია და საკმაოდ დაკვირვებით შეუსწავლია ქვეყნის ყოფა-ცხოვრება. თავის მეექვსე წერილში (სულ მას რუსეთში, მეგობრისადმი ექვსი წერილი აქვს გაგზავნილი, რომლებიც მოგვიანებით ცალკე გამოაქვეყნა), ეხება რა საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, იგი წერს: „მევენახეობა ამიერკავკასიისათვის იმდენად მნიშვნელოვანი დარგია, რომ შეიძლება შემოსავლის ოქროს საბადოდ იქცეს, სინამდვილეში კი უმნიშვნელო მოგებას იძლევა“. ზუბოვს, ყოველივე ამის მიზეზად ყურძნის გადამამუშავებისას დაშვებული ხარვეზები მიაჩნია, იგი კატეგორიულად აცხადებს – ადგილობრივი ყურძნიდან იმდენად მაღალი ხარისხის ღვინის დაყენება შეიძლება, რომ არაფრით იქნება ბურგუნდიის, შადერის, შამპანის და სხვა ცნობილ ღვინოებზე ნაკლები და რომელთაც რუსეთი უცხოეთში ოქროზე ყიდულობსო. ღვინის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებად, მას მიაჩნია რთველის დროს ყურძნის გიმური დახარისხება და ღვინის დუღილის სათანადო კონტროლი. ამასთან დაკავშირებით ზუბოვი განაგრძობს: „ამიერკავკასიაში (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო. რ. რ.), ყველა ჯიშის ყურძენს ერთიანად წურავენ (შხოლოდ თეთრ და წითელ ჯიშებს ანცალევეებენ), შემდეგ მთელ მასას, დასადუღებლად ქვევრებში ათავსებენ და დროდადრო ურევენ, დუღილი დიდხანს მიმდინარეობს (ალბათ გულისხმობს ჭაჭაზე დიდხანს დაყოვნებას), რის გამოც უხარისხო ღვინო მიიღება. ასეთი ღვინო კაპიყებში იყიდება და მთელი შრომა დაკარგულად ითვლება. მართალია ზოგიერთი მეპატრონე ჯიშებს წინასწარ ახარისხებს და ისე წურავს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთიაო (64)“.

მსგავსი ემოციურობით აფასებს კახურ ღვინოებს ორესტ ვეეცკი, რომელიც ცოტა მოგვიანებით იმყოფებოდა კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. მის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ვენახები ყოველგვარი



მოვლის გარეშე იძლევიან უხვ მოსავალს, მაგრამ მეღვინეობა, დასტემს, ახალშობილის ასაკშიაო. მას ვერ წარმოუდგენია თიხის ქვევრებში (ალბათ პირველად ასეთი ქვევრები საქართველოში ნახა) ღვინის დაყენება და ტყეპის ქურჭლით (ტიცი, კოლოტი) ტრანსპორტირება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი (განსაკუთრებით თელავის და სიღნაღის) ღვინოები მაინც მოსწონებია და მიუნიშნებს, რომ ისინი საუცხოო თვისებებით გამოირჩევა და არაფრით ჩამოუვარდება კარგ ფრანგულ ღვინოებსო (56).

მე-19 საუკუნის საქართველოს პირველი სამი ათეული წლის მევენახეობასა და მეღვინეობაზე, სრულყოფილი სტატისტიკური მასალები არ მოიპოვება, მეტნაკლებ წარმოდგენას, მხოლოდ თბილისის გუბერნიამე არსებული მასალები გვქმნის, რომელიც მ. ბალასს უდიდესი შრომის ფასად მოუფროვებია. იხილავს, რა ქართლისა და კახეთის მევენახეობის რაიონებს, გამოყოფილი აქვს მხარის, შედარებით პერსპექტიული მიკრორაიონები (სოფლები). შიდა ქართლში პერსპექტიულად მიუჩნევია: მცხეთის, კასპის, ტეგვის, ატენის, მუხრან-საგურამოს, დამპალო-ალიანის, წილენის და სხვ. მიკრორაიონები. განსაკუთრებული ყურადღება გაუმაბვილებია მდ. ტანას ხეობაზე, სადაც საკმაოდ სასიამოვნო დასალევი ბუნებრივი შუშხუნა ღვინოები დგებოდა. როგორც ირკვევა, ზოგიერთი მეპატრონე, მაგ. თავადი ერისთავი (ჩვენ სამწუხაროდ არ ვიცით რომელ თავად ერისთავზეა საუბარი), შაქრის ხელოვნური დამატებით, შამპანურის მსგავს შუშხუნა ღვინოებსაც კი აყენებდა. თუ მ. ბალასის ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ (ალბათ არაერთი საბაბი არ გვაქვს რომ არ მივიჩნიოთ სარწმუნოდ) საქართველოში ხელოვნური შამპანურის დამზადების საწყისად მე-19 საუკუნის 30-იანი წლები, ხოლო ამ საქმის პიონერად თავადი ერისთავი უნდა ჩაითვალოს.

ბორჩალოს ზონაში (თანამედროვე ქვემო ქართლი) გამოყოფს ეკატერინფელდის (ებლანდელი ბოლნისი) და შულავრის მიკროზონებს, ხოლო კახეთში მთელ წინამხარს) თელავის, ნაწილობრივ სიღნაღის და თიანეთის მხარეები), სადაც ტრადიციულად უმაღლესი ხარისხის ღვინოები დგებოდა.

აჯამებს რა თბილისის გუბერნიაში მევენახეობისა და მეღვინეობის საერთო მდგომარეობას, გვაწვდის ვენახების საერთო მდგომარეობის და ღვინის მოსავლის ამსახველ მასალას (ცხრ. 1).

მენახების ფართობები და მოსავლიანობა თბილისის
 გუბერნიის 1830-იან წლებში
 (მ. ბალასის მიხედვით)



რაიონების დასახელება	ვენახების რაოდენობა	ფართობი ღესეტებში*	ღვინის წარმოება ვედროებში
ქართლის რაიონი: გორის მაზრა ღუშეთის „	4500 900	დაახლ. 600 600	ცნობები არ არის 200000-ზე მეტი
თბილის-ბორჩალოს რ-ნი: თბილისის მაზრა	900-ზე მეტი	200-ზე მეტი	100000-მდე
ბორჩალოს დისტანცია	620	200	40625
კახეთის რაიონი: თელავის მაზრა	მონაცემები არ არის	700	2-დან 4 მლნ-მდე
სიღნაღის „	6286	3000	
სულ	13206-ზე მეტი	11600	2340626 მეტი 4340625-მდე და მეტი

30-იანი წლების დასაველეთ საქართველოზე სტატისტიკური მასალები საერთოდ არ მოგვეპოვება, მხოლოდ შიახლოებითი გაანგარიშება გვიქმნის გარკვეულ სურათს. ამ პერიოდისათვის მთელ დასაველეთ საქართველოში ღვინო ადგილობრივი მოხმარების საგანი ყოფილა, მხოლოდ იმერეთში, სადაც წელიწადში ნახევარ მილიონამდე ვედრო ღვინო დგებოდა, ვაკის და შორაპნის მაზრებში ჰქონდა სამრეწველო მნიშვნელობა. ღვინო აქედან, გასასყიდად აღმოსაველეთ და სამხრეთ საქართველოში გაჰქონდათ. ღვინის წარმოების მიახლოებული სურათის შესაქმნელად, ს. ვეცკი ორიგინალურ ხერხს მიმართავს – ამ პერიოდისთვის იმერეთში ცხოვრობდა 100000, გურიაში – 36700, სამეგრელოში – 68000, სულ – 204700 მოსახლე. თუ კი თითოეული მოსახლე წელიწადში საშუალოდ 5 ვედრო ღვინოს დაღვედა, რაც მისი ვარაუდით მეტად დაბალი ციფრია, ღვინის საერთო წარმოება ერთ მილიონ ვედროს გადააჭარბებდა (56).

* ერთი ღესეტინა უდრის 1.09 ჰექტარს.

მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, დარგის განვითარების დინამიკა არაერთგვაროვანი იყო. თუ კახეთში, სადაც მთელი ალაზნის ველე ერითან ვენახს წარმოადგენდა, აღმავლობა შედარებით ნაკლებად შეიმჩნეოდა, მხარეებში კი აშკარად მოიმატა გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობამ და ხარისხმა.

1842-1845 წლებში, კახეთის ვენახები ძლიერმა ყინვებმა, თითქმის განადგურებამდე მიიყვანა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა შემდგომი პერიოდის საერთო მოსავალზე. 1849 წლისათვის ღვინის მოსავალმა, მხოლოდ ორ მილიონ ვედროს მიაღწია, რომლის ერთი მეოთხედი თბილისის ბაზარზე იყიდებოდა, ხოლო დანარჩენიდან 50000 ვედრო არაყს ხდიდნენ, რითაც განსაკუთრებით რუსული მოსახლეობა იყო დაინტერესებული. არადაამკმაყოფილებელი იყო ვენახების მოვლის დონეც - ნიადაგის ზედაპირული, არადაამკმაყოფილებელი გაფხვიერება, ვაზის ზერელე დარგვა, სარველა ბალახების სიჭარბე, არადროული რთველი, ხარვეზები ღვინის დაყენებაში და სხვ. (103).

გარკვეული აღმავლობა შეიმჩნეოდა ქართლის მევენახეობის რაიონებში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ვენახების გეოგრაფიის ზრდა, განსაკუთრებით გორის მხარაში, მდ. მტკვრის მიმდებარე სოფლებში და სურამის მონაკვეთზე. 1849 წლისათვის გორის მხარაში დაყენებული იყო 110000 ვედრო ღვინო და 11000 ვედრო არაყი, ხოლო სოფელ ატენის სანახევში დამზადებული იქნა 120000 ბოთლი შამპანურის მსგავსი შემზუნა ღვინო (15).

1850-იან წლებში, ქუთაისის გუბერნიამი წარმოების მასშტაბებით, ღვინის ხარისხით და პოპულარობით, პირველი ადგილი სამეგრელოსა და გურიას ეკავა. მაგ. სამეგრელო მთლიანად ვაზის მაღლარებით იყო მოფენილი, ყოველი გლეხი თუ წარჩინებული ერთ გოჭ მიწას არ ტოვებდა აუთვისებლად და თხემლის თუ ხურამის ხეები ვაზის მაღლარებად ჰქონდათ ფორმირებული. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის წითელი ღვინოები დგებოდა ოჯალეშიდან (უწინ მას სენურს ან შონურს უწოდებდნენ), სოფ. სალხინოს, უმაფათის, თამაყონის, სკურდის, აბედათის, ხუნწის, შხეფის და სხვ. სოფლების სანახევში. თეთრყურმნიანი ჯიშებიდან გამოირჩეოდნენ თეთრა და კახური მწვანე, რომლებიც დიდი რაოდენობით იყო სოფ.: ელალის, წალენჯიხის, საჩინოს, ჭვარის და სუჭუნოს (ამ უკანასკნელში ძირითადად გავრცელებული იყო ჯიში პუმპულა) მიდამოებში (14).

ამ პერიოდისათვის მთელ სამეგრელოში (ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრები) მოყვდათ 5268750 ვედრო ღვინო. ემოწმება რა ამ ციფრს ბოროდინის ინფორმაციიდან, მ. ბალასი ეჭვს ებღუწება ვის რეალობაში, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ვენახების მასშტაბები მართლაც, რომ უზარმაზარი იყო (14).

გურია, ისევე როგორც სმეგრელო ვაზის მალღარებით იყო მოფენილი. ამ პერიოდში საუკეთესო ხარისხის, ნაზი და ბუკეტით მდიდარი ღვინოები დგებოდა ზემოხეთის, ასყანის, ერკეთის, ლიხაურის, შემოქმედის, ბახვის,

ჩოხატაურის და საჯავახოს მიკროზონებში. მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოები მიიღებოდა ადგილობრივი ჯიშებიდან – ჩხავერი, მტრედისფეხა და ორონა. ორიგინალურ, ქარვისფერ ღვინოებს იძლეოდნენ საკმიელა და ათინაური, ხოლო შემოქმედში, ასყანაში და ბახვში გავრცელებული ჯიშებიდან (სამწუხაროდ წყაროში ჯიში არ არის მითითებული), მაღალხარისხოვანი, ნაზი და ბუკეტისანი თეთრი ღვინოები მიიღებოდა. საინტერესო ცნობას ვაწყდებით ვინმე გოგმაისტერის პუბლიკაციაში, სადაც იგი ლიხაურსა და საჯავახოში დაყენებულ წითელ ღვინოებს, ცნობილ ბერგუნდიულ წითელ ღვინოებს ადარებდა. (30)

1857 წლამდე, ვიდრე გურიაში სოკოვანი დაავადება ნაცარი (*Oidium tucherii* Rehl.) შემოიჭრებოდა, ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ვედრო ღვინო მოდიოდა. 1864 წლისთვის კი, როდესაც დაავადებამ ადგილობრივი ვენახები მნიშვნელოვნად დაზიანა, ღვინის მოსავალი 300000 ვედრომდე დაეცა.

მეტად მცირე მასალები გაგვაჩნია ამ პერიოდის აფხაზეთის შესახებ. მხოლოდ ის ვიცით, რომ სუბუმის მაზრაში დგებოდა 50000 ვედრო ღვინო, რომელიც ძირითადად სამხრეთ რუსეთში (კერჩი, ანაპა) გაჰქონდათ გასასყიდად.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში მოსავლიანობის შემცირების ძირითადი მიზეზი ვაზის ნაცარი აღმოჩნდა. ნაცარი არა მარტო გურია-სამეგრელოს, აფხაზეთისა და იმერეთისთვის იქცა საუკუნის დაავადებად, სადაც მას გავრცელების შესანიშნავი პირობები დაუხვდა, (სითბო და ტენი), იგი მთელ საქართველოს მოედო.

ორიოდ სიტყვით შევჩერდები ვაზის ნაცრის გავრცელების ისტორიის შესახებ. ეს დაავადება პირველად 1845 წელს იქნა აღმოჩენილი ინგლისის სათბურებში, ცნობილი მებაღის ტუკერის მიერ. საქართველოში იგი შემოვიდა სამეგრელოსა და გურიის მთავრების დადიანისა და გურიელის მიერ ოდესიდან გამოწერილ ამერიკული წარმომობის ვაზის ჯიშის ოხაბელას ნერგებს და კატასტროფიული სისწრაფით გავრცელდა. ნაცრის გავრცელებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს მევენახეობის დაქვეითების საქმეში.

1850-იან წლებში საქართველოს მევენახეობის საერთო მდგომარეობის შესაფასებლად სრული სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო ვკმაყოფილდებით მხოლოდ ღვინის მოსავლის ამსახველი ციფრებით, რომლებიც სხვადასხვა პუბლიკაციიდან იქნა ამოკრეფილი ცხრ. 2.

ცხრ. 2

1850 წელს საბატონებლოში დაზარალებული ღვინისა და სხვა სასმელების რაოდენობა (მეზრეობში)

რაიონი	დამზადებული ღვინო	შუშხუნა ღვინო	არაყი
კახეთი	2000000	—	—
ქართლი	110000	12000	11000
სამეგრელო	5000000		
გურია	523122		
აფხაზეთი	50000		

მცირემოდენი გადახვევა

ორიოდ სიტყვით მინდა შევხო ქართული და კერძოდ კახური ღვინის უცხოელთა თვალ-გემოვნებით შეფასების და ქართველ მოღვაწეთა რჩევა-დარიგებათა საკითხს.

დღეს უკვე ცნობილია, რომ მეღვინეობის პრაქტიკაში, ისტორიულად, თეთრი ნატურალური ღვინის დაყენების საში ძირითადი წესი (ტექნოლოგია) დამკვიდრდა, კახეთში – დაპყლუტული ყურძნის მთლიანი

მასის ქვევრში დადუღება-დაწმენდით, იმერეთში – ასევე ქვევრში (ქვევრში) ტკბილის ნაწილობრივ ჭაჭაზე დადუღებით და ევროპაში – ჭაჭიდან მოცილებული ყურძნის წველის, მუხის კასრებში ან ბუტეტში დადუღებით. პირველ შემთხვევაში მიიღება მუქი ჩაისფერი, ტანინებით და ვიტამინებით მდიდარი, ხავერდოვანი (ზოგჯერ ძელგი) სუფრის ღვინო; მეორე შემთხვევაში, თაფლისფერი ან როგორც იმერეთში უწოდებენ ბატისტუკისფერი, შედარებით მაღალმჟავიანი, მაგრამ ჰარმონიული სუფრის ღვინო, ხოლო მესამე შემთხვევაში დაუყანგავი, გამჭვირვალე, ნაზი, ჰარმონიული, სრულიად თეთრი ღვინო.

პირველმა წესმა მიიღო კახური (კახური ტიპის ღვინის ტექნოლოგია), მეორემ იმერული (იმერული ტიპის ღვინის ტექნოლოგია), ხოლო მესამემ ევროპული (ევროპული ტიპის ღვინის ტექნოლოგია) ღვინის სახელწოდება. მსოფლიოში არსებობს თეთრი და წითელი ღვინის დაყენების კიდევ მრავალი ტექნოლოგია (ბერძნული, შუმაგრებული, არომატიზირებული, შამპანური და სხვ.), მაგრამ ამ ტექნოლოგიებით მიღებული ღვინო არ ითვლება ნატურალურად, ამიტომ ჩვენ მათ დახასიათებას არ შეუდგებით. ჩვენ გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ უცხოელთა მიერ კახური (ზოგჯერ იმერული) ღვინის შეფასების იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ ასპექტებზე, რასაც ხშირად ვხვდებით ძველ და ახალ ლიტერატურულ წყაროებში.

საქართველოში, რუსული რეჟიმის დამყარებამდე (XIX საუკუნემდე) ბევრი კეთილი თუ უკეთური სტუმარ-მოგზაური შემოსულა და თავიანთი შთაბეჭდილებები ჭაღალდზე გადაუტანია. უძველესი დროიდან (ბერძნული კოლონისტური პერიოდიდან) გვიანფეოდალურ ხანამდე, მათ მიერ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ, მხოლოდ ქაბათა-ქება (შეიძლება ნამეტნავიც) ამოგვიცოთხავს.

გვიანფეოდალურ ხანაში მდგომარეობა შეიცვალა. არამყარმა პოლიტიკურმა ვითარებამ სოფლის მეურნეობას და კერძოდ მევენახეობას უარყოფითი დალი დაასვა. მიუხედავად ამისა, ქართული ღვინის გენი არ გამქრალა, იგი მაინც აწონებდა თავს კეთილ სტუმარს.

რუსული რეჟიმის დამყარების შემდეგ, მოგზაურთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იმატა. მათი სტუმრობის მიზნების შესახებ ჩვენ ზემოდ გვქონდა საუბარი. მოგზაურთა შორის ძირითადად გარუსებული ევროპელები ქარბობდნენ, რომელთა ღვინისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. მოგზაურ-სტუმართა ერთი ნაწილი ობიექტურად აფასებდა ქართული და კერძოდ კახური ღვინის ორგანოლექტიურ თვისებებს, ნაწილი კი უარყოფით შეფასებას აძლევდა. მათთვის კახური

ლვინო სრულიად უცნობი იყო და ევროპულ ღვინოს შეჩვეულნი არასასიამოვნოდ აღიქვამდნენ ტანინებით მდიდარ ამ სასმელს. გარდა ამისა, ობიექტურნი თუ ვიწვნებით, კარგად დაყენებულ ღვინოს ძლიერ მემდებლური მარნებში თუ მიაკვლევდა კაცი. გლეხების დაყენებული ღვინოები კი ნიჩორად, მართლაც რომ არასასიამოვნო დასალევი იყო და თუ ასეთს წააწყდებოდა სადმე უცხო მოგზაური თუ სტუმარი, მიღებულ შთაბეჭდილებას იმწამსვე საჭაროდ აქვეყნებდნენ.

კახური ღვინის ნაკლსა და სიკეთეზე თავისი, ზოგჯერ საკმაოდ ემოციური მოსაზრება აქვს გამოთქმული მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში, ცნობილ გამომცემელსა და მოლგაწეს ი. კერესელიძეს. მოვიტან რამდენიმე გამონათქვამს მისი პუბლიკაციიდან: „სხუათა ქვეყნის ხალხნი, აქ მოსულნი არ აქებენ ჩვენს ღვინოს, თუმცა იმახიან, რომ უკეთესის ღვინის დაყენება შეიძლება კახურის ყურძნიდანო, ესე იგი ისეთისა, რომელიცა კმაყოფილს გახდის იმათს გემოვნებას. ეს სრულებით სიმართლით ლაპარაკი არ არის, ამისთვის რომ ყოველი სხუათა ქვეყნის ხალხი აქებს თავის მამულისას, უმეტესად თუ სარგებელიც არის რაიმე თავისი ქვეყნისა. იქნება არ მოსწონდეთ იმისთვისაც, რადგანაც შეუჩვეველნი არიან. გამოცდილი და დახელოვნებული ამ გვარ სახლოსნობის საქმეებში, ზღვების გაღმითგან ჩვენ ჰკუთას ვერ გვასწავლიან“. შემდეგ განაგრძობს „ჩუენ მხოლოდ გვაკლია ერთი რამ. მკითხავთ რა? აი რა: შევიტყოთ გამოვიციტხოთ და გამოვიძიოთ, თუ ვითა აყენებენ ევროპელნი თავიანთ ნაჭებ ღვინოს? რა შევიტყოთ ეს, შემდგომს ვეცადნეთ, დავაყენოთ ისე ხელოვნებით და მცოდნეობით, რომ არც ბუნება შეუცვალათ ჩვენს ყურძენს და არც ისე მოვიქცეთ, რომ რაც არ მოუხდებდა ისე არ შეუწყოთ ხელი. ჩუენთა კახეთის საყვარელთა მებატონეთა კარგად იციან, რომ ჩუენი ღვინოები კიდევ ისეთნი არ არიან, როგორც იმედი გვაქუს გამოსავლისაგან. ცხადია, რომ გვაკლია მხოლოდ ხელოვნება, თუ ვითა დავაყენოთ.

უპირველესი ნაკულევანება ჩვენი მდგომარეობს იმაში, რომ აქამომდენ არ ვიცით გადაღება ერთის ჰურჯულიდან მეორეში, რომლისგანაც წარმოსდგება სიბრწყინვალე და სიწმინდე, რადგან აქამომდე არ ვხმარობთ განმანათლებელ საშუალებას. ეს ამისათვის უფრო წარმოსდგება, რომ ჩუენ ძველებურათ იმას ვფიქრობთ, მხოლოდ ღვინო გვკონდეს უხვად და აღარ დავზდევთ ღვინის სიკეთესა“ (82). საკმაოდ მკაცრი და ობიექტური შეფასებაა.

და კიდევ ერთი კერესელიძისეული, პარტიოტული სულიცვეთებით გაქდნთილი, ამავე დროს ღრმად პროფესიონალური რჩევა-დარიგება:

„ცხადია, რომ ჩუენის კახურის ყურძნითგან შესაძლებელია დაეყვნოთ ევროპულზედ უკეთესი ღვინოები, მაგალითად: დაეყვნოთ ხერესი, მადერა, სოტერნი, ბურგონისა და სხ. მაგრამ მგონია საქიროებას არ მიახლოებდნენ ბუნებითის შეცვლა რისამე. ჩვენ უნდა გვქონდეს როგორც სკოლა, ისე სხვა საკუთარი ღვინო, საკუთარი გემოთი, საკუთარი სურნელებით, რომელსაც შეგვიძლია გაბედვით მივყარათ დაბეჭდილი ქაღალდი და ვუწოდოთ ნაცვლად მადერა, ხერესი, სოტერნი, – კარდანახული, ყვარლისა, ბეჯანიანისა, ლალოდებისა და სხ.“ (82).

ასეთსავე გულისტკივილის გამოთქვამს კახური და საერთოდ ქართული ღვინის ბედილობაზე, XIX საუკუნის 70-იანი წლების მოღვაწე, თავადი ლ. ე. ჯორჯაძე, მისსავე, პირველად ქართულ ენაზე დაბეჭდილ მვეენახეობის სახელმძღვანელოს შესავალში. იგი წერს, რომ ევროპის ქვეყნებში სადაც საქართველოდან გატანილი ვაზის გიმებიდან დიდძალი, საუცხოო ღვინო დგება, ჩვენ ერთ ადგილზე ვართ გაჩერებულიო. ამიტომ არის, რომ მათი ღვინო ევროპის სხვა ქვეყნებში კარგად იყიდება, ხოლო ჩვენი, ქართული ღვინო კი ადგილზე რჩებათო და ბოლოს დასძენს: „დრო არს დავანებოთ თავი ჩვენს ძველებურ ჩვეულებასა (იგულისხმება ღვინის მოუვალობა და სხვ. რ. რ.), ვეცადნეთ და დავადგეთ ახალ გზას, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ პირ და პირ ჩვენ ახალ მნიშვნელობაზედ“ (233).

მოტანილ გამონათქვამებში მკაფიოდ არის მითითებული, რომ კახური ღვინის ბუნება, მისი ორიგინალობა – ქართულობა შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო. ამავ დროს, ისინი არ უარყოფდნენ ევროპული ტექნოლოგიის გზით, დაწმენდილი, დაკრიალებული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების დამკვიდრების შესაძლებლობასაც. ამ სურვილების განხორციელება გვიან, მაგრამ მაინც მოხერხდა, შეიქმნა უამრავი ქართული მარკის ღვინო, კახური, იმერული თუ ევროპული ტიპისა, რომელთა შორის, თავდაპირველად გამოირჩეოდა კახური „კარდანახი“ და „ტიბაანი“, ხოლო იმერეთში სვირისა და ზესტაფონის ღვინოები. მოგვიანებით, დიდი რაოდენობით დაიწყო ევროპული ტიპის ღვინოების – „წინანდალი“, „ფურჯაანი“, „მანავი“ და სხვა ღვინოების გამოშვება, მაგრამ რუსეთის ბაზარი სხვას მოითხოვდა – რაც შეიძლება დიდი რაოდენობით გამოგვეშვა მაგარი სასმელები (დასპირტული ღვინოები, არაყი, კონიაკი). მე-20 საუკუნის 60–70-იან წლებიდან ასეთმა სასმელებმა, საქართველოს მეღვინეობაში საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი დაიკავეა... და, როდესაც კი რუსეთმა, საქართველოს მვეენახეობას ხელი აუქნია (ეს კი ამჟამად, 1990-იან წლებში), ქვეყანა უბაზროდ დარჩა და ქართული ღვინო, ძირითადად კვლავ შინამოხმარების საგნად იქცა.

მაგრამ დრომ მაინც თავისი ჰქმნა, ობიექტურმა სინამდვილემ გაიმარჯვა. კახურ ღვინოს თაყვანისმცემლები გაუჩნდნენ არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც. აი რას წერს მე-20 საუკუნის შორეული ნახევრის ცნობილი რუსი მეღვინე მ. გერასიმოვი: „კახური ტიპის ღვინოებს სრული უფლება აქვს არსებობისა საქართველოს სხვა ღვინოების გვერდით. არ არის მართებული ყოფილ საუფლისწულო მამულში გავრცელებული ტენდენცია ღვინის ადგილობრივი წესის გაუქმებისა და სანაცვლოდ ევროპული ტიპის ღვინოების დანერგვისა. ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ „სამტრესტის“ მისწრაფებას – ხელი შეუწყოთ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კახური ტიპის ღვინის არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მისი წარმოების გაფართოებას“ (57). კახური ღვინის ორგანოლუპტიკური და ბიოქიმიური ანალიზის საფუძველზე, საკმაოდ კვალიფიციურ შეფასებას იძლევა გერმანელი მკვლევარი პაჩი. ზემოთ აღნიშნული კომპონენტებით, აღნიშნავს პაჩი, კახური ღვინო მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა თეთრი ღვინოებისგან. მასში დიდი რაოდენობით არის, მაღალი ბიოლოგიური აქტივობის ნივთიერებები, კერძოდ კატეხინები, რომლებიც სწორედ, რომ კახური ტექნოლოგიის დროს ყურძნის მაგარი ნაწილებიდან (კლერტი, მარცვლის კანი, წიპწა) გადადიან ღვინოში. ამ თვისებების გამო იგი ძლიერად შეფერილ წითელ ღვინოებს უახლოვდება. კახური ღვინო მცირე რაოდენობით შეიცავს ისეთ არასასურველ უმაღლეს სპირტებს, როგორიც არის ოზამილოლი, ოზობუთანოლი, ნ – პროპანოლი, ნ – ბუთანოლი კი მხოლოდ კვალის სახითაა. სამაგიეროდ მასში დიდი რაოდენობით არის მრავალატომიანი სპირტი სორბიტი და პენტოზები, დუღილის მეორადი პროდუქტები – გლიცერინი და ბუთილენგლიკოლი. მკვლევარი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ არსებულ ლიტერატურულ მონაცემებთან შედარებით ამ ღვინოში გაცილებით მეტია PP ჯგუფის ვიტამინები და მთარიმლავი ნივთიერებები. ყოველივე ეს და მკვეთრად გამოსახული ფიზიოლოგიური აქტივობა მას სამყურნალო თვისებებს სძენს. იგი გაცილებით უკეთ მოქმედებს ადამიანის სისხლძარღვთა სისტემაზე, ვიდრე ევროპული ტიპის ღვინო და ა.შ.

ერთი სიტყვით, კახურ ღვინოს (და არა მარტო კახურს), დღეს ყველა პირობა უნდა შეექმნას, რათა მან თავისი უპირატესობა სხვა ღვინოებთან შედარებით საერთაშორისო მასშტაბებით დაამტკიცოს და ეს უნდა მოხდეს არა მარტო გამოფენებზე და დეგუსტაციებზე, არამედ მაღაზიათა დახლებზე.



მე-19 საუკუნის 50-იანი წლების შემდგომი პერიოდში მშენებლობის ჩათვლით, საქართველოს მევენახეობის განვითარება ამერიკიდან შემოკრილი (ევროპის გამოვლით) სოკოვანი დაავადების ოიდიუმის ანუ ნაცრის გავრცელების ფონზე წარიმართა, რაც მეტად ართულებდა დარგის წინსვლას. რუსეთის დაინტერესება კი კავკასიური და უპირატესად ქართული ღვინით, კიდევ უფრო ცხოველდებოდა. თვლიდა რა საქართველოს იმპერიის განუყოფელ ნაწილად, სასმელების ტრანსპორტირების გაიოლების მიზნით, კოლოსალურ ხარჯებსაც არ ერიდებოდა. სწორედ ამ მიზნით, 1871 წელს გაიხსნა თბილისი – ფოთის რკინიგზის ხაზი და თელავ – თბილისის (გომბორის გავლით) გზატკეცილი, რის შემდეგაც დაიწყო ქართული ღვინოების, რუსეთის ცენტრალურ ოლქებში გატანის ცდები (15). მაგრამ, ამ გეგმას ფორსირებული განხორციელება არ ეწერა, რაც 80-იანი წლებიდან, საქართველოში ახალი ამერიკული სოკოვანი დაავადების მილდიუს (ჭრაქი) და ასევე ამერიკიდან შემოსული მავნებლის ფილოქსერის გავრცელების ბრალი აღმოჩნდა. მანამდე კი, მევენახეობის შემდგომ ბედზე გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მეფის მიერ 1864 წელს გამოცემულმა კანონმა გლეხთა განთავისუფლების შესახებ. ამ აქტის შემდგომ, საქართველოს მსხვილ მევენახეთა მეურნეობებს, რომლებიც ძირითადად თავადთა ხელში იყო, ერთბაშად გამოეცალა იაფი მუშახელი და ერთ დროს აყვავებული ვენახები განადგურებამდე მივიდა. სამაგიეროდ გაიზარდა გლეხური მეურნეობები, რამაც ოდნავაც ვერ შეუწყო ხელი დარგის კულტურის გაუმჯობესებას. ამგვარად, ხარისხი კვლავ კახური ღვინის აქილევსის ქუსლად რჩებოდა და ამიტომ იყო, რომ ძირითად მომხმარებლად კვლავ თბილისი და მიმდებარე რაიონები რჩებოდა.

მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა ქვემო და შიდა ქართლის მევენახეობის რაიონებშიც, მაგრამ აქ მაინც გამოირჩეოდა გერმანელი კოლონისტების (ბრჩალოს მხარა), ატენ-კასპის (გორის მხარა) და მუხრან-დამპალოს (ღუშეთის მხარა) მეღვინეები. განსაკუთრებით კარგი ღვინოები ღებოდა მუხრანბატონის, გურამიშვილის და ხიმშიაშვილის მამულებში. მაგ. მუხრანბატონის მამულებში დაყენებულ ერთ ვედრო ღვინოში, თბილისელი მომხმარებელი სამ მანეთსაც კი იხდიდა, იმ დროს როდესაც სხვა რაიონების (თვით კახეთისაც კი) ღვინოების ფასი 0,4–2 მანეთს შორის მერყეობდა.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი გურჯისტანსა და სამეგრელოში როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაცრის მოქმედების შედეგად ვენახების ფართობი კატასტროფულად შემცირდა და 70-იანი წლებისათვის მდგომარეობა შეიქნა, რომ საკუთარი საჭიროებისათვის ღვინო იმერეთიდან შემოჰქონდათ.

იმერეთის ვენახების საერთო ფართობმა, ამ პერიოდისათვის 9000 დესეტინას, ხოლო ღვინის მოსავალმა მილიონ ვედროს გადააჭარბა. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობას, იგი ადრეც და ამ პერიოდისთვისაც ადგილობრივი მოხმარებისათვის საკმარის ღვინოს თუ იძლეოდა.

1870-იანი წლების საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დონეზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვა შრომიდან ამოღებული სტატისტიკური მასალები (ცხრ. 3).

მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში, როგორც აღვნიშნე, საქართველოს მევენახეობას მავნებელ-დაავადებათა ახალმა ტალღამ შემოუჭია (ჭრაქი, ფილოქსერა), რომელმაც რადიკალურად შეცვალა არა მარტო დარგის ეკონომიკური მახეებლები, არამედ თვით მევენახეობის აგროტექნიკის საფუძვლები – ვაზის ნერგის წარმოების ტექნოლოგია და ჯიშობრივი ასორტიმენტიც კი და ამის უმთავრესი მიზეზი ფილოქსერა იყო.

ფილოქსერის (*Phylloxera vastatrix* Planch) სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტია. როგორც ჩანს ეს მავნებელი ამერიკაში ქრისტეფორე კოლუმბამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, რაზეც შემდეგი ეპიზოდი მეტყველებს – XVII საუკუნის დასაწყისში, ლონდონის ერთ-ერთი საზოგადოების ინიციატივით, ამერიკაში ევროპული ვაზის ჯიშები შეიტანეს, მაგრამ სულ ცოტა ხანში, ამ ჯიშებიდან გამეზნებული ვენახი მთლიანად დაიღუპა. როგორც შემდეგ გაირკვა (რასაც 200 წელზე მეტი დასჭირდა) მიზეზი ფილოქსერა ყოფილა, რომელიც აქ მხოლოდ 1854 წელს იქნა აღმოჩენილი ამერიკელი ენტომოლოგის აზა ფიტჩის მიერ.

ევროპაში, მავნებელი 1863 წ. ლონდონის მახლობლად, ნამერსმიტის ვაზის სათბურში იქნა მიკვლეული. როგორც ჩანს, იგი ამერიკიდან შემოტანილ ნაცრისადმი გამძლე ვაზის ჯიშებს შემოჰყვა. იმავე წლებში, ფილოქსერა საფრანგეთში, კერძოდ მდინარე რონის ქვედა წელის ორივე მხარეს დასახელდა, ხოლო 1867 წ. ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ფრანგი მევენახეების შემფოთება გამოიწვია. 1872 წლისათვის ფილოქსერით დაზიანებული იყო 700 ათასი ჰექტარი, 1879 – 974520 ჰა, 1895 წელს კი დაზიანებულმა ფართობებმა 2164500 ჰექტარს მიაღწია (სულ

საფრანგეთში, ამ პერიოდისათვის იყო 2400000 ჰა ვენახი). ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ევროპის სხვა ქვეყნებში: იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხვ. 3

ვენახების ფართობები და მიღებული ღვინის რაოდენობა
1870-იანი წლების საპარტოვებლოში
(ნ. ბალასის, ვ. ბაქსისის და ბ. შირაძის მიხედვით)

მარე	მარა	ვენახების ფართობი (დუს)		ღვინის მოსავალი (ვედრ.)
		დაბლარი	მალარი	
კახეთი	თელავი სიღნაღი	12000	-	1500000
თბილისი-ბორჯალო	თბილისი ბორჯალო	3252	-	475000
ქართლი	გორი	1800	-	450000
	დეშეთი	1200	-	120000
ახალციხე-ახალქალაქი	-	9	-	240
სულ თბილისის გუბერნიაში		18261	-	2595240
სამეგრელო	სენაკი- ზუგდიდი	მკორე	110000	125000
გურია იმერეთი	ოზურგეთი ქუთაისი	მკორე 4000	4500 5000	75000
	შორაპანი	8320	2250	767000
რაკა-ლეჩხუმი	რაკა ლეჩხუმი	1274 1000	- 800	
სულ ქუთაისის გუბერნიაში	-	14594	23550	2924000
საქართველოში		32855	23550	5469240
სულ მაღლარი და დაბლარი			56405	5469240

საქართველოში ფილოქსერა პირველად 1881 წ. სუხუმის მახლობლად, ვედენსკის მამულში იქნა შემჩნეული, 1884 წ. შემთხვევით მიაკვლიეს თბილისში, ზუბალაშვილის სასტუმროს ბაღში, მაგრამ კერა სასწრაფოდ ჩააქრეს, ხოლო 1889 წ. ქუთაისის მახლობლად სოფელ აღისუბანში იგი ვ. გვეცკიმ აღმოაჩინა. აქედან მწერი მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიის მოედო (მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ჩრდილოეთ სომხეთი და დასავლეთ აზერბაიჯანი) და სამუდამოდ დასახლდა.

ერთ-ერთი უმძიმესი დაავადება, რომელიც ამავე პერიოდში თავს დაატყდა საქართველოს მევენახეობას იყო მილდიუ (ქრაქი). ეს დაავადება ისევე, როგორც ნაცარი, ევროპაში ამერიკიდან იქნა შემოტანილი. მას შემდეგ



რაც საფრანგეთში ფილოქსერა იქნა შემჩნეული, ფილოქსერაგამძლე ვაზის ჯიშების მოძიების მიზნით, ჩრდ. ამერიკაში სპეციალური ექსპედიცია იქნა გაგზავნილი. სწორედ ამ ფილოქსერაგამძლე ჯიშებს შემოყვდა ევროპაში ვაზის ქრაქი. დაავადება, პირველად სამხრეთ საფრანგეთში იქნა აღმოჩენილი 1878 წელს. აქედან იგი მთელ ევროპას მოედო და 1905 წლისათვის ვენახების მასობრივი განადგურების მიზეზი გახდა.

საქართველოში ქრაქი გასული საუკუნის დასასრულს იქნა შემჩნეული. ამ დაავადების გამომწვევია სოკო *Plasmopara viticola* Bert et Toni, რომელიც უდიდესი სისწრაფით ვრცელდება და ვაზის მწვანე ნაწილებს აზიანებს, რაც საბოლოოდ მცენარის გახშობას იწვევს.

ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხასიათი მიიღო არა მარტო ევროპის მევენახეობის ქვეყნებში, არამედ რუსეთის იმპერიაშიც. იმპერიის სამხრეთ პროვინციები, როგორც თვითონ უწოდებდნენ ოდესის ოლქს, ბესარაბიას, ყირიმს და კავკასიას, მთლიანად ფილოქსერამ და სოკოვანმა დაავადებებმა მოიცვა. განადგურების საფრთხე შეექმნა იაფი სასმელების მომწოდებელ რაიონებს. მთავრობის რეაქციამაც არ დააყოვნა და 1885 წლის რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრის განკარგულებით, რაც შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებთან იყო შეთანხმებული, შეიქმნა კავკასიის, ყირიმის და ოდესის საფილოქსერო კომიტეტები (შემდგომში კომიტეტები).

კავკასიის კომიტეტის მოქმედების არეალი ვრცელდებოდა ამერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის და ასტრახანის გუბერნიებზე (62). სწორედ კავკასიის კომიტეტის განკარგულებით იქნა მივლინებული ქუთაისის გუბერნიაში სპეციალური გლეხი ვ. გევესკის ხელმძღვანელობით, რომელმაც 1889 წ. მიაკვლია ფილოქსერის კერებს, რის შემდეგაც შეიქმნა ქუთაისის ფილოქსერის საწინააღმდეგო პარტია, რომელიც კავკასიის კომიტეტს ემორჩილებოდა. ქუთაისის პარტიამ დიდი სამუშაოები ჩაატარა არა მარტო ფილოქსერის, არამედ ქრაქის, ნაცრის და სხვა დაავადებათა კერების გამოსავლინებლად და ბრძოლის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

მანამდე კი, საფრანგეთის მეცნიერული ელიტა გამუდმებულ ძიებაში იყო, რათა მიეგნო ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებისათვის. გამოცდილი იქნა მრავალი მეთოდი, მათ შორის ქიმიური, აგროტექნიკური და რადიკალური. ქიმიური მეთოდი ითვალისწინებდა გოგირდნახშირბადისა და გოგირდნახშირბადიანი კალიუმის პრეპარატების შესხურებას. აგროტექნიკური მეთოდებიდან მიმართავდნენ ვენახების დატბორებას და

რწყევებს, ხოლო რადიკალური მეთოდი გულისხმობდა ფილოქსერასთან ერთად ვენახების ამოძირკვასა და დაწვას. არცერთმა მეთოდმა პრაქტიკაში არ გაამართლა, ვიდრე საძირეთ საფრანგეთის მევენახეებმა მანამდე შექმნეს ამერიკულ საძირეებზე მუხობის მეთოდი. მათთვის ცნობილი შექმნა, რომ ამერიკული სახეობის ვახები ფილოქსერისადმი პრაქტიკულ გამძლეობას ამჟღავნებდნენ. ფრანგმა მეცნიერებმა ვილამ და რავაზმა ამ სახეობათა ფილოქსერაგამძლეობის 20 ბალიანი შკალაც კი შეიმუშავეს. ამ შკალის მიხედვით, ყველაზე მაღალი ქულა მიენიჭა *V. rotundi folia*-ს (20 ბალი), შემდეგ მოდიოდნენ *V. cordifolia* და *V. rupestris* (19,5), *V. Berlandieri* (18) და ა. შ., ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება ერგო *V. labrusca*-ში შემავალ ჭიშებს – (3–5 ბალი). ვახის ევროპული სახეობის (*V. vinifera* L.) ჭიშების გამძლეობა 0–1-ის ფარგლებში მერყეობდა (187).

წმინდა სახით ამერიკული სახეობების სამუხრამლად გამოყენება, როგორც შემდეგ გაირკვა, არაპრაქტიკული გამოდგა, ვინაიდან ზოგიერთ სახეობას, ფილოქსერაგამძლეობასთან ერთად ახასიათებდა ცუდი დაფესვიანება ან მუხობის დროს არასაკმარისი აფინიტეტი (შეთავსებადობა), ამიტომ მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა მიმართეს ჰიბრიდიზაციის მეთოდს, რის შედეგადაც მიიღეს უამრავი შიგასახეობრივი (ამერიკული სახეობა შეგვარებული ამერიკულ სახეობასთან) თუ სახეობათაშორისი (ამერიკული სახეობა შეგვარებული ევროპულ სახეობის ჭიშებთან ან პირიქით) ჰიბრიდი.

ხანგრძლივი სელექციის შედეგად კი ამ ჰიბრიდებიდან გამოარჩიეს პრაქტიკულად გამოსადეგი საძირეები. ამგვარად, დადებითად გადაიჭრა მევენახეობის ისტორიაში მცენარის დაცვის ყველაზე რთული პრობლემა. ევროპულ-აზიური სახეობის ვახის გენოფონდი განადგურებას გადაურჩა.

საქართველოში ამერიკული საძირეების გამოყენების და საერთოდ ფილოქსერის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა გადაწყვიტა ქ. ქუთაისში სპეციალური საცდელი სადგურის გახსნა. სადგური გაიხსნა 1890 წელს, ზესტაფონის მახლობლად, სოფ. საქარის ტერიტორიაზე, საქარის სანერგის სახელწოდებით. მანამდე კი, როგორც ირკვევა, გარკვეულ დაინტერესებას კერძო მევენახეები იჩენდნენ. ასეთი ორგანიზატორი იყო შორაპნის მზრამე მცხოვრები თავ. ი. გუნცაძე. მან საკუთარ მამულში 1887 წელს, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ იმ დროისათვის უახლეს პრეპარატების გამოყენება. მან, ასევე პირველმა (1888 წ.) საქართველოში შექმნა ამერიკულ საძირეთა ნაცვეთი, რისთვისაც გამოიყენა ჩრდ. ამერიკულ სახეობა *V. riparia*. მას გათვალისწინებული ჰქონდა სანერგის გაფართოება



და ადგილობრივი ჯიშების მასობრივი მყნობა (35). სამწუხაროდ ამ ენთუზიასტის შემდგომი მუშაობის მასალები ჩვენ არ გავაჩნია. რაც შეეხება საქარის ამერიკულ სანერგეს, რომელსაც საკმაოდ სოლიდური დოკუმენტაცია გააჩნდა, ფართომასშტაბიანი კვლევა გამალა არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში. შედეგებმაც არ დააყოვნა და 1900 წლის დამდევისათვის, სანერგის ცხრა საცდელ ნაკვეთზე ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ დესატიანზე 633 ფუთი (ერთ ჰექტარზე – 9,3 ტონა), ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 2182 ფუთი შეადგინა (42). აი ასეთი ვითარება იყო დარგში მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში.

მაგნებელ-დაავადებათა გავრცელების ფონზე, ქართული ვაზის სორტიმენტში ნელ-ნელა იყვებოდა მდგრადი, შედარებით მდგრადი და არამდგრადი ჯიშები. ჯიშების გარკვეულმა ნაწილმა, მაგნებელ-დაავადებათა გავრცელების დასაწყისშივე შეწყვიტა არსებობა, ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ აგრძელებდა მსხმოიარობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1877 წ. იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარებული საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომისიის მასალები, რომელიც კავკასიაში გავრცელებულ ვაზის ჯიშებს ეხება. კომისიის ოფიციალურ კატალოგში მოხედრილია კავკასიაში გავრცელებული 24 წამყვანი ჯიშის ილუსტრაცია. ამ ჯიშებიდან 13 ქართული დასახელებისაა: რქაწითელი, პარტალა, თეთრი ბუდეშური, გორულა, თითა შავი, თითა თხელყანიანი, საფერავი, მწვანე, თეთრი, თაგვერი შავი, ხარისთვალა თეთრი, დიღმურა და ღრუბელა (180). დასახელებულ ჯიშებიდან დღეს წარმოებას მხოლოდ ოთხი – რქაწითელი, გორულა (ნაწილობრივ), საფერავი და მწვანე შემორჩა, დანარჩენებმა თავი დამარცხებულად ცნო და მხოლოდ მინარევების სახით ან ამპელოგრაფიულ კოლექციებში გვხვდება. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა გურიის, სამეგრელოს და იმერეთის ვაზის სორტიმენტშიც. მაგ. გურიის აუარებელი ჯიშიდან, დღეს მხოლოდ ერთი – ჩხავერია მეტნაკლებად გავრცელებული, ხოლო სამეგრელოდან – ოჯალეში. იმერეთში უკეთესი მდგომარეობაა, აქ დღევანდლობას შემორჩა ცოლიკოური, რომელმაც შემდგომ მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრო, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე და სხვ. მაგრამ ეს ჯიშები მთლიანად კი არ განადგურდა, მათ მხოლოდ საშრეწველო მნიშვნელობა დაკარგეს. ასე რომ გენოფონდი საერთო განადგურებას გადაურჩა, რაც შემდგომმა გამოკვლევებმაც დაადასტურა. ჯიშების გადაარჩენის საქმეში ვადამწყვეტი როლი მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებამ, კერძოდ კი ნაცრისა და ქრაქის საწინააღმდეგო პრეპარატების აღმოჩენამ შეასრულა.

ევროპაში, ნაცრის აღმოჩენიდან ერთი წლის თავზე, 1846 წელს, ინგლისის სათბურებში, სრულიად შემთხვევით გახსნილი იქნა გოგირდის ფუნგიციდური თვისებები, სადაც ამ ფუნგიოს საერთო დენიფიკაციის მიზნით აბოლებდნენ ხოლმე. ასევე შემთხვევით აღმოაჩინეს ჭრაქის საწინააღმდეგო პრეპარატი. საფრანგეთში, ეირონდის დეპარტამენტის მევენახეები, ყურძნის ქურდებისაგან დაცვის მიზნით, ჭისპირა ვაზის რიგებს შაბიამნის ხსნარით ასხურებდნენ. მალე მათ შეამჩნიეს, რომ შესხურებული რიგები ჭრაქით არ ავადდებოდა. ფრანგმა მეცნიერმა ა. მილარდემ 1882 წ. შეისწავლა ეს მოვლენა და უკვე 1886 წლისთვის ჭრაქის საწინააღმდეგო პრეპარატის (რომელიც ბორდოული სითხის სახელწოდებით გავრცელდა) გამოყენების ინსტრუქციაც კი გამოაქვეყნა (138).

1880-90-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობა-მელენეობაში, ერთი შეხედვით გარკვეული პროგრესი შეიმჩნეოდა. მხარის მელენეობის მთავარ კერად კვლავ კახეთი რჩებოდა. იზრდებოდა ვენახების ფართობი, განსაკუთრებით წვირლ მფლობელთა ხარჯზე, ხოლო მსხვილ თავადთა მამულები, თანდათან მეფის რუსეთის ხაზინის ხელში გადადიოდა. იმ იმედით, რომ ღვინო დიდ შემოსავალს მოუტანდა, გლეხებმა ვენახების მასობრივი გაშენება დაიწყეს. ზვრების უკონტროლო ზრდამ კი მიწდვრის და სხვა სასიცოცხლო დარგების მნიშვნელოვანი შევიწროვება გამოიწვია. ამას დაერთო პროდუქციის გასაღების და ფასების პრობლემები, რაც ღვინის დაბალი ხარისხით იყო განპირობებული.

მელენეობაში, მთავარ ხარისხოვან მწარმოებლად ისევ და ისევ მსხვილი თავადები რჩებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მასალებს ვხვდებით ა. სოლომონის გამოკვლევებში. საქართველოში ყოფნის დროს, ა. სოლომონს ქართლის და კახეთის ღვინის ნიმუშები მოუგროვებია და ყირიმში, ნიციტის ბოტანიკურ ბაღში ჩაუტანია საანალიზოდ. ანალიზები, ტრადიციული და მის მიერ მოდიფიცირებული მეთოდებით ჩაუტარებია და საკმაოდ საინტერესო შედეგებიც მიუღია. (ცხრ. 4).

ცოტა მოგვიანებით, თავად ზ. ჯორჯაძეს, რომელიც უაღრესად დანტერესებული იყო კახური ღვინის ბედ-იღბლით, თვით შეუგროვებია კახეთის სხვადასხვა მცროზონის და მამულის ღვინის ნიმუშები და ისინიც ნიციტის ბოტანიკურ ბაღში გაუგზავნია საანალიზოდ. ეს უნიკალური მასალა ჩვენ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 100 წლის წინათ დამზადებულ კახური ღვინის ხარისხზე (ცხრ. 4).

1879-1880 წწ. დამზადებული ღვინის ნიმუშების ენოქიოზური
გამოკვლევის შედეგები (174).



ნიმუში	ხვედრითი წონა	ალკოჰოლი % მოც.	გრ 1000 სმ ³				
			სუბილი შივი (ფე. შე.)	ღვინის შივი	ტანინი	საღებავ ნივთიერება	შხალი ნივთიერება
ა. თეთრი ღვინოები							
კახეთის							
თავ. ქორაქანისა							
1. ბოლი, ფსი 1 ჰან 50 კ.	0,9911	10,8	6,6	-	1,0	-	25,0
2. ბოლი 60 კა.	0,9921	12,7	5,0	2,2	-	-	18,5
3. ბოლი 1 ჰან	0,9903	13,4	5,2	2,0	1,3	-	12,0
ქართლის							
თავ. მურატოვს მუხრანისა							
4. მუხრანი 1879 წ.							
ბოლი 30 კა.	0,9961	12,2	7,7	1,4	-	-	24,0
5. ცხისბერი 1879 წ. 60 კა.	0,9914	13,7	7,0	1,5	-	-	13,5
6. " 1878 წ. 50 კა.	0,9921	13,7	7,0	0,99	-	-	29,5
7. დამსლო 1878 წ. 1 ჰან	0,9935	14,5	8,0	1,5	-	-	15,0
8. წი. ნინო 1878 2 ჰან	0,9966	14,4	7,0	-	0,41	-	56,0
ბ. წითელი ღვინოები							
კახეთის							
თავ. ქორაქანის საფურავი							
9. ბოლი 60 კა.	0,9964	15,6	7,5	-	1,9	14,0	40,0
10. ბოლი 1 ჰან 50 კა.	0,9959	14,3	5,9	1,0	1,3	4,2	37,0
ქართლის							
თავ. მუხრანს ბატონის საფურავი							
11. ცხისბერი 1879							
ბოლი 60 კა.	0,9933	12,6	7,0	1,1	1,8	8,8	25,0
12. მუხრანი 1880 ზ. 30 კა.	0,9933	11,7	7,0	1,49	-	3,8	75,5
13. დამსლო 1878							
ბოლი 1 ჰან	0,9940	13,5	8,0	3,09	-	2,4	31,0

ქიმიური ანალიზების გარდა, ა. სოლომონს ადგილობრივი ექსპერტების: ბლინდენის, შევერიეს და დემანის მონაწილეობით ღვინის ნიმუშების სადეგუსტაციო შეფასება ჩაუტარებია. საუკეთესო თვისებები გამოუმჟღავნებიათ, თეთრი ღვინოებიდან - № 12 (ცხრ. 5), რ. ვაჩნაძის მიერ სოფ. ბაყურციხის მამულში დაყენებული ღვინის ნიმუშს, ხოლო წითელი ღვინოებიდან, თავ. ლ. ჯანდიერის ნიმუშს, სოფ. ვაჩნაძიანიდან (174).

საუკუნის ბოლოსთვის, როგორც ირკვევა, კახეთში გავრცელებული ყოფილა 20-ზე მეტი ადგილობრივი და შემოტანილი ჯიში, კერძოდ: წითელ-

ნიმუში	ხვედრი თი წონა	ალკო- ჰოლი % მოც.	გრ 1000 სმ ³					
			სუფრო მედი- წონა თ-შე	მკალო მე- წონა	ალკანი	მზალო წონა- თიწონე	ტანი	შეიწი- ქონე
ა. წივილი ღვინოები								
1. სოფ. შაქრანი (სქადასხე)	0,9951	11,9	0,750	0,12	-	3,03	0,110	2,08
2. ზემო ხოდაშენი თევ. მ. სლინაშვილის	0,9954	12,8	0,710	-	-	3,41	0,150	0,93
3. ძაშენი დ. ვიციშვილის	0,9948	14,0	0,750	-	-	3,17	0,150	0,93
4. მუკუზანი თევ. ნ. ქავჭავაძის	0,9938	13,5	0,675	0,18	0,49	2,90	0,075	0,48
5. წინანდლი, თევ. დ. ჯორჯაძის	0,9944	13,7	0,563	0,09	0,98	2,87	0,09	0,73
6. წინანდლი, კობინაშვილის	0,9946	14,2	0,64	0,09	-	3,35	0,18	1,04
7. ვანძაძანი თევ. ლ. კანდიფის	0,9955	11,5	0,67	0,14	-	3,03	0,13	1,76
ბ. თვირი ღვინოები								
8. კარდანი თევ. ი. აფხაზის	0,9932	11,7	0,49	0,15	-	2,21	0,28	-
9. ხობელი თევ. თურქეს- ტანიშვილის	0,9919	10,1	0,49	0,09	-	2,25	0,12	-
10. წინანდლი, კობინაშვილის	0,9925	12,8	0,49	0,21	-	2,79	0,08	-
11. ივლის. აბელაშვილის	0,9936	12,9	0,525	0,12	0,81	2,23	0,05	-
12. ბაყრცხე რ. ვანძაძის	0,9929	12,0						
13. წინანდლი თევ. ს. ანდრო- ნიანაშვილის	0,9911	13,4	0,525	0,15	0,86	1,90	0,05	-
14. ხობელი, რეზინაშვილის	0,9926	9,8	0,49	0,09	0,95	2,10	0,05	-
15. ვანძაძანი, კანდიფის	0,9935	11,9	0,56	0,15	-	2,26	0,08	-

ყურძნიანი – ჯაფერავეი, შავკაპიტო, თავკვერი, ქლია; თეთრყურძნიანი – მწვანე, რქაწითელი, ბუღმუხური. მცირე ნარგავების სახით გავრცელებული იყო: ხიხვი, ძუვანი, კუმსი, მცვივანი, ბუერვაზი, არაგვისპირული, ძაღლიარქამა და წობენურა; სუფრის ყურძნის ჯიშებიდან – ხარისთვალა, თითა, ქიშმიში და სააბი. გარდა ამისა, თბილისის მხარეში (ხაშმის მიკროზონაში) გვხვდება კახური წარმოშობის კიდევ ორი ჯიში: საფერავეი ბუღმუხური და საფერავეი თავკვერი (14).

ქართლის მევენახეობის რაიონებიდან მაღალი ხარისხის ღვინოები დგებოდა ტრადიციულ მიკროზონებში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე განლაგებულ სოფლებში: ხიდისთავი ატენი, ახალქალაქი, მეტეხი, კავთისხევი და ძეგვი. მტკვრის მარცხენა მხარეს კი გამოირჩეოდა სოფლები: ლამისყანა, მეჭვრისხევი, ჭვემოქალა, კასპი და ცხინვალი. ამ უკანასკნელში თევ. ვ. მაჩაბლის მამულში საუცხოო ღვინოები მიიღებოდა, რაც მეპატრონის



დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მას გააჩნდა საუკეთესო სასარდაღე მეურნეობა, სადაც ღვინის დაყენების და შენახვისათვის ოპტიმალური პირობები იყო შექმნილი.

ღუშეთის მახრამში საუკეთესო მიკროზონებად რჩებოდა: მუხრანში, დამბალო, ქსოვრისი, ოძისი, ბიწმენდი, ჭოპორტი და სხვ.

მე-19 საუკუნის დასასრულისათვის, ქართლში მეტნაკლებად გავრცელებული ჯიშებიდან ყურადღებას იმსახურებდა: თეთრყურძნიანი - რქაწითელი, გორულა, გორული მწვანე, ჩინური და შაბა, ხოლო წითელყურძნიანებიდან - რკო, თავკვერი, ძველშავი, საფერავი (კახური), დანახარული, ხარისთვალა, ბუზა და ანდრეული. ამით გარდა, მცირე ნარგავების სახით გავრცელებული იყო: კასპური, დიღმური, შავკაპიტო, მტრედისფეხა, საკმეველა, თითა, არაგვისპირული, ყლია და სხვ. დასახელებული ჯიშებიდან ყველაზე დიდი ფართობი ეკავა გორულ მწვანეს, თავკვერსა და საფერავს, ხოლო მდ. ტანის ხეობაში საუკეთესო ღვინო ღებოდა ჩინურიდან.

შიდა ქართლის (და არა მარტო შიდა ქართლის) მეღვინეობის ეტალონად რჩებოდა თავ. ი. ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ დაარსებული მეურნეობა. ი. მუხრანბატონი სამართლიანად ითვლებოდა ახალი ტიპის მეღვინეობის მამამთავრად მთელს ამიერკავკასიაში. მისი ვენახები მოქცეული იყო მდ. ქსნის და არაგვის წყალგამყოფზე, შემდეგ სოფლებში: მუხრანში (12 დესეტინა), დამბალოში (45 დეს.), ციხისძირში (18 დეს.), ძაღისში (5 დეს.) და ნატახტარში (10 დეს.) გარდა ამისა, გორის მახრამში მას ჰქონდა კიდევ 20 დესეტინა, ე. ი. სულ მის საკუთრებაში იყო 110 დესეტინა ვენახი. გარდა ამისა, გლეხების განკარგულებაში მყოფ სანადელო ვენახებიდან (148 დესეტინა), მოსავლის ნახევარი შემოუღიოდა (76).

ვენახების მოვლა-დამუშავება, ბაგრატიონთა მამულეში, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული წესებით ხდებოდა. სამწუხაროდ, სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, რაც საერთო მოსავალზე უარყოფითად მოქმედებდა. მას შემდეგ, რაც 1896 წელს დაიწყო ქრატისა და ნაცრის წინააღმდეგ წამლობა, მოსავლიანობამაც მნიშვნელოვნად იმატა.

მუხრანბატონს საკმაოდ მოზრდილი (120000 ვედროს ტევადობის) ღვინის ქარხანა ჰქონდა სოფ. მუხრანის განაპირა მამულში. ყურძნის მისაღები, საწნები და სადულარი განყოფილებები იმ პერიოდისათვის, საუცხოო დონეზე ჰქონდა მოწყობილი. მიწის ქვეშ მოთავსებულ სარდაფში, ღვინის საძველო განყოფილება და ენოთეკა იყო განლაგებული, სადაც 1874

წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ახალი ნიშნუშებით იცვებოდა. 1894 წლისათვის ქარხანაში 60000 ვედრო ღვინო ინახებოდა. მუხრანბატონის ღვინოები ძირითადად თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში და იმპერიის სხვა ქალაქებში გაჰქონდათ, სადაც ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, რაც მათი მაღალი ხარისხით იყო განპირობებული. ამიტომ იყო, რომ ამ ღვინოებმა უმაღლესი ღირებულებები დაიმსახურეს 1882 წ. მოსკოვსა და 1889 წ. პარიზში გამართულ დეგუსტაციებზე (76).

1899 წელს ბაგრატიონ-მუხნარელთა მამულის ვენახები და ღვინის ქარხანა (ამ დროისათვის მამულს კონსტანტინე მუხრანბატონი განაგებდა) საუფლისწულო უწყებამ შეიძინა, რამაც უარყოფითი დალი დაასვა მთელ მეურნეობას, მაგრამ მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან მდგომარეობა გამოასწორა გიორგი მუხრანბატონმა. მან სოფელ შვადიჭვარში მთლიანად ამოძირკვა ძველი ფილოქსერისაგან დაზიანებული ვენახები და მის ადგილზე ახალი, ფილოქსერაგამძლე ამერიკულ საძირებზე დამყნობილი ზვრები გააშენა.

სამწუხაროდ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ეს უნიკალური ძეგლები ამჟამად მთლიანად განადგურებულია. მუხრანის ენოთეკა, ჯერ კიდევ 1950-1960-იან წლებში დაინგრა და გაიძარცვა, ხოლო ღვინის სარდაფი და სხვა სათავსოები ცოტა მოგვიანებით განადგურდა. 1992-1995 წლების ანტიეროვნულმა მოვლენებმა კი სულ მთლიანად მოუღო ბოლო ამ იშვიათ ძეგლს, დაწვეს და საბოლოოდ გაძარცვეს თვით სასახლეც კი.

იმერეთში, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის, ვენახების დიდი ნაწილი გლეხების ხელში იყო, რომლებიც თვით, დაქირავებული მუშების გარეშე ასრულებდნენ აგროტექნიკურ სამუშაოებს. მხოლოდ ზოგიერთი სამუშაო სრულდებოდა დამხმარე ძალის გამოყენებით. მაგ. რთველში ახლობელ-მეზობლებს იწვევდნენ და მთელი ეს პროცედურა სადღესასწაულო სახეს იღებდა.

ღვინის სამუშაო მოსავლიანობა „დაბლარი“ და „ოლიხნარიდან“ 200 ვედროს უდრიდა, ხოლო მოსავლიან წლებში 300 ვედროს აჭარბებდა. „მაღლარზე“ უფრო მცირე მოსავალი მოდიოდა და ერთ დესტინაზე 100 ვედროს არ აღემატებოდა.

იმერეთში, ამ პერიოდისთვის აღრიცხული იყო 70-ზე მეტი ვაზის ჭიში, რომელთაგან მეტნაკლებად გავრცელებული იყო, წითელი ჭიშებიდან: - ოცხანური საფერე, არგვეთული საფერე, რკო, ადანასური, აკილო, რცხილათუბანი, ალადასტური, ჩხავერი, იზაბელა (განსაკუთრებით ქუთაისის მხარეში); თეთრყურძნიანი ჭიშებიდან: ციკქა, ცოლიყოური, შწვანე, კრაბუნა, კაპისტონი და თეთრი კამური. დასახელებული ჭიშებიდან

მაღალშაქრიანობით გამოირჩეოდნენ: ციკქა (18–22%), ცოლოყური (21–22%), კრახუნა (22–24%), კუნბა (19–23%), დანარჩენი ჯიშების შაქრიანობა 17–21%-ის ფარგლებში მერყეობდა (120).

რაჭის მევენახეობა-მელენეობა, ამავე პერიოდში, თითქოს ვარჯიშულ აღმავლობას განიცდიდა. იგი მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ მცირე მიწიან მხარეში, ვენახების საერთო ფართობმა 3000 ღესეტინას გადააჭარბა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დიდი მოგების იმედით გლეხები, ხშირად სახნავ მიწებზეც კი ვენახებს ამენებდნენ. რბილი კლიმატი, შესაფერისი ნიადაგები და აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმარისი რაოდენობა, ყველა პირობას იძლეოდა მაღალხარისხოვანი ღვინის მისაღებად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სადმელის, ძირაგოულის, ხვანჭკარის, ბუგეულის, ამბროლაურის და წესის მყარობების და უბნების სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობები. დიდი მოწონებით სარგებლობდა მომხმარებლებში, ამავე სოფლებში, თავ. ყიფიანის მიერ დაყენებული ღვინოები, რომლებიც „ყიფიანის ღვინის“ სახელწოდებით მთელ ქუთაისის გუბერნიაში გაჰქონდათ გასაყიდად. მოსავლიანობის მხრივ რაჭის ვენახები მაინცდამაინც ვერ დაიკვებინდა. ერთი ღესეტინიდან მიღებული ღვინის რაოდენობა 200 ვედროს არ აჭარბებდა. 1890-იან წლებისთვის, რაჭაში წლიურად, მხოლოდ 60000 ვედრო ღვინო დგებოდა, რომლის დიდი ნაწილი გასაყიდად გაჰქონდათ. ესოდენ მცირე მოსავლიანობა ვენახების მოვლის დაბალ დონეს და სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო პრეპარატების უკმარისობას (განსაკუთრებით გოფრდის) უნდა მიეწეროს.

რაჭაში, ამ პერიოდისათვის უამრავი ადგილობრივი თუ შემოტანილი ვაზის ჯიში იყო აღრიცხული, რომელთაგან მეტნაყლებად გავრცელებული იყო: წითელყურძნიანებიდან – ალექსანდროული, რცხილი, შავი კაპისტონი, არაბეული, ნაყუთენეული, კიდორაული, მოქათური, ანადასტური (აღბათ ალადასტური), რკო, ფეროვანი, მუჭურეთული, ყორნისთვალა და ხოტევეური, ხოლო თეთრყურძნიანებიდან – მწვანე, თეთრი კაპისტონი, თეთრა, ლაბილაძის თეთრა, ჩაქვინაური, უსახელო, ხიხვა, მეკენხალა, თხმორულა და სხვ. გარდა დასახელებული ჯიშებისა, გავრცელებული იყო: რქაწითელი, საფერავი, კახურა, ჩაბელა, თითა, სააბი, და სხვ. ჩამოთვლილი ჯიშებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდროული. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ჯიშს ეს სახელი იმერეთის მეფის ალექსანდრეს საპატივცემულოდ ეწოდა, ვინაიდან ამ ჯიშის რაჭაში შეტანას, სწორედ რომ მას მიაწერენ (51).

ლექსუმის მევენახეობა, თავისი დონით და ეკონომიკურ მნიშვნელობით რაჭის მევენახეობის იდენტური იყო. ვენახების ძირითადი ნარგავობები განლაგებული იყო შემდეგ სოფლებში: ოყურეში, ზუბი, ლუხვანა, ორბელი, ლაილაში, დეხვირი, ნაყურალეში, ალპანა, ჭყვიში, დერაი და ლენტეხი. 1890-იანი წლებისათვის, ვენახების საერთო ფართობი უდრიდა 2128 დეკტინას, რაც მთელი სახნავი მიწების 25% შეადგენდა.

ლექსუმში, ისევე როგორც რაჭაში, საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული, როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ჯიშები, რომელთა დიდი უმრავლესობა საღვინე მიმართულებისაა. წითელყურძნიანი ჯიშებიდან ყურადღებას იმსახურებდა ალექსანდროული, უსახელოური, არაბეული, აბხაზური, საირმულა, სამაჭრე, საფერე, მაური, იზაბელა, დამპალა, გორთანა, დაქცეული და ოჯალეში. თეთრყურძნიანი ჯიშებიდან გვხვდებოდა: მწვანე ოკრიბული, ფაჩხატა, თეთრი კაპისტონი ანუ თეთრა, კახური, წმინდა თეთრა, რქაწითელი, ბერაულა, ხიხვი, უცხვეი, ორხულა, თითა, ტოჩა, თეთრი ალექსანდროული, ხარასულა, ცხერო, ცარცხია, ქედურა, ყუნწმაგარა და დიდმტევანა. დასახელებული ჯიშებიდან გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ფაჩხატას (ორბელში), ნაყურეულსა და ალექსანდროულს (სოფ. ჩხუტელში), შავკაპიტოს (ს. ლაილაში) და ა. შ. საუკუნის ბოლოსთვის ლექსუმის სოფლები: ჭყვიში, ალპანა, ოყურეში და ზუბი დაბლარ მევენახეობაზე იყო გადასული, დანარჩენ სოფლებში გაბატონებული მდგომარეობა მალღარებს ეკავა.

მევენახეობის საერთო დონით და მიღებული ღვინის ხარისხით, ლექსუმში გამოირჩეოდა სამი ზონა – ჭყვიშის, რომელიც რაჭის საზღვარზე მდებარეობდა; ოყურეშის, მდ. ცხენისწყლის მარცხენა მხარე და ორბელის. ამ უკანასკნელში, ძირითადად გავრცელებული იყო ადგილობრივი ვაშის ჯიში ფაჩხატა, რომელიც მალღარებზე იყო ფორმირებული და საკმაოდ ალკოპოლიანი ღვინოს იძლეოდა (70).

გურია-სამეგრელოს მევენახეობა-მეღვინეობა საუკუნის ბოლოსთვის აღარ იყო იმ მასშტაბების, როგორც 50–70-იან წლებში. სოკოვანმა დაავადებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ვენახების საერთო ფართობი, ბევრი წამყვანი ჯიში ამოვარდა სორტიმენტიდან და ადგილი ამერიკულ იზაბელას დაუთმო. ამ პერიოდისთვის იზაბელას ფართობი გურიაში მთელი ვენახების 50%, ხოლო სამეგრელოში 75% შეადგენდა. ადგილობრივი ჯიშები, რომელთა რაოდენობა ორივე მხარეში 150 აქარბებდა, გაველურებულ მალღარებზე ერთეული ძირების სახით თუ იყო შემორჩენილი.



გურიის წამყვანი ვაზის ჯიშებიდან, ამ პერიოდისათვის აღსანიშნავი იყო: თეთრყურძნიანებიდან – თეთრიშა, ათინაური, ზენათური, საყბილა; წითელყურძნიანებიდან – ჩხავერი, ჯანი, მტევანდიდი, პუშქუტი, სხილათობანი, ალადასტური, ორონა, სამჩხავერა, მტრედისფეხა, ჩუპში. გარდა დასახლებულისა, გურიაში კიდევ 40 ჯიშზე მეტი იყო აღრიცხული.

მეგრული ჯიშებიდან ყურადღებას იმსახურებდა: თეთრყურძნიანებიდან – კვიტილური, ჩეჭიბეში, ჩეში, ჩერგვალი, ზერდაგი; წითელყურძნიანებიდან – სევანური ანუ შონური, გადაათური, პუმპულა ანუ პუმპულაში, ხარდანი, ტორაკუჩხი, პანეში, კიკანა და კლოში. გარდა ამისა, ერთეული ძირების სახით, მაღლარებზე შემორჩენილი იყო 28 ადგილობრივი ჯიშ (121).

გურია-სამეგრელოში, როგორც ავღნიშნეთ ვენახების ძირითად ნარგაობას მაღლარი წარმოადგენდა, დაბლარებს მცირე ფართობი ეკავა. დროთა განმავლობაში, მთელ რიგ მევენახეთა სეკტორული დამოკიდებულების საპირისპიროდ, მოსახლეობამ აღიარა დაბლარი. მევენახეობის ტექნიკური და ეკონომიკური უპირატესობა და მიუხედავად ნიადაგური და ატმოსფერული ტენის სიჭარბისა, ნელ-ნელა ვაზის ჰიგონზე მოშენება დაიწყო. ამას აგრეთვე ხელი შეუწყო სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგო პრეპარატების გამოჩენამ. თუ 1870-იან წლებში, გურია-სამეგრელოში არცერთი დესეტინა დაბლარი არ იყო, 90-იანი წლების ბოლოსთვის 360 დესეტინა იყო გაშენებული.

დაბლარი მევენახეობის ინიციატორებად სამეგრელოში ითვლებიან პრინცი მიურატი და თავ. დიმიტრი დადიანი, ხოლო გურიაში სოფ. ბახვის სკოლის მასწავლებელი გ. შარაშიძე, თავ. ა. და ი. მაჩუტაძეები და მზნაური ს. ვაშალომიძე.

დაბლარი ვენახების მოსავლელად, გურია-სამეგრელოში, თავდაპირველად იმერეთიდან იწვევდნენ მევენახე-სპეციალისტებს. ისინი 3-4 წლის განმავლობაში რჩებოდნენ იქ და შემდგომ უკან ბრუნდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მხარეში ძირითად ნარგაობას კვლავ მაღლარი წარმოადგენდა, რომლის მოვლა-დამუშავება დიდ დანახარჯებს არ მოითხოვდა. ერთადერთი, რაც გარკვეულ სირთულესთან და ნშირად რისკთანაც კი იყო დაკავშირებული, გახლდათ მაღალ ხეზე ყურძნის კრეფა. მეტად ორიგინალურად და რომანტიკულადაც კი აგვიწერს გურია-სამეგრელოში, მაღლარზე ყურძნის კრეფის პროცესს ე. ნაკაშიძე. ყურძნის კრეფავად არჩევდნენ ისეთ მამაკაცს, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ხეზე ასვლა და ტოტებს შორის ძრომა. მტევნები იკრიფებოდა ხელით,

ყოველგვარი დამხმარე იარაღის გარეშე*. მოკრეფელი მტევნები, სპეციალურ, მოწულ, მოგრძო – კონუსური ფორმის კალათაში ანუ გიდელში თავსდებოდა. გიდელს სახელურის ნაცვლად მიწის ქონდა, რომელზეც მიბმული იყო ხის კაუჭი – „გაგვალი“ (შეგრაულად „გვარგვალი“). გიდლის ძირითადი ატრიბუტი იყო გრძელი, 4–6 მ. სიგრძის „სახელური ბაწარი“ („ოწილარი თაყი“), რომლის ერთ ბოლოზე ყულფი ქონდა გაკეთებული. ყურძნის მკრეფავი (ყურძენიშა მაწილარი), ქამარზე კაუჭით გამობმული გიდლით, რომელშიც თოკი იყო მოთავსებული, იწყებდა ხეზე ასვლას. როდესაც ყურძნიან ზონას მიაღწევდა, გიდელს იხსნიდა, ხის ტოტზე ჩამოკიდებდა და ყურძნის კრეფას იწყებდა. როგორც კი ჭურჭელი გაივსებოდა, გიდლის კაუჭს თოკის ყულფში გამოდებდა და ნელნელა ჩამოშვებას იწყებდა, თან ხმამაღლა დასძახებდა – „ა გიდელი!“ (ო გიდელი!), რითაც ხის ძირში მდგომ გიდლისმცლელს (შეგიდელე) ამცნობდა, რომ შზადყოფნაში ყოფილიყო. გიდლის მცლელს, ჩამოშვებული გიდლიდან, ფრთხილად ისე რომ მტევნები არ დაზიანებულიყო, ყურძენი გოდორში (კალათში) გადაჰქონდა. გოდორი ორგვარი იყო, სამხრეებიანი (ზურგზე მოსაკიდებლად) და უსამხრეებო, (ურემზე დასადებად). გიდლისმცლელი, დაცლილ გიდელს კვლავ ბაწარს ყულფში გამოდებდა და ყურძნის მკრეფავს ატყობინებდა, რომ გიდელი ზევით წაეღო, თან შესძახებდა – „შშვიდობით ჩამოდი!“ („შშვიდობით ვიშართი“). გიდლის მცლელეზად, ძირითადად ქალებს, ხანში შესულ მამაკაცებს ან მოზარდ ბავშვებს ამუშავებდნენ.

მოკრეფელი ყურძენი, თუ მარანი ახლოს იყო იმთავითვე სამხრეებიანი გოდრებით გადაჰქონდათ დასაწურად, ხოლო თუ შორს იყო, ყურძენს საღამომდე აგროვებდნენ, და შემდეგ ურმით გადაჰქონდათ.

მარანი, სადაც ყურძენი იწურებოდა წარმოადგენდა ხის მარტივ ნაგებობას, რომლის ერთ-ერთ კედელთან საწნახელი (ოჩინახი) იდგა, ხოლო შუაში მიწაში ჩაწყობილი ჭურები (ლაგვანი) იყო. იქვე ელაგა მარანისთვის განკუთვნილი ხელსაწყო-ინვენტარი. ზოგჯერ მარანს ნალიის ან სასიმინდის ქვეშ ათავსებდნენ, ხოლო ჭურები ღია ცისქვეშ იყო ჩარგული, გარშემო კი

* ქართული კერძოდ კი გურია-სამეგრელოს ვახის ზიმების მტევნები იმდენად მკვრივად არის რქაზე ყუნწით მიმაგრებული, რომ მისი ხელით, საკრეფი დანის გარეშე კრეფა ყოველად შეუძლებელია. ალბათ ე. ნაკაშიძე რბაბელას რთველს დაესწრო, რომლის მტევნებიც, უწინის მუხლში ადვილად ტყდება და ხელის ოდნავი შეხებითაც კი იყრითება. თუ ამ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, იოლი წარმოსადგენია რა რთული იქნებოდა მაღალარზე, საკრეფო დანებით, ადგილობრივი ზიმების ყურძნის კრეფა.

მკიდროდ დარგული მარადმწვანე (უპირატესად წყავი) ან სხვა მცენარეთა შემოგარენი უკეთდებოდა, რაც იმ ადგილზე ჭურისთავის ან ჭურისპირის (მეგრ. ოლაგვანი) არსებობაზე მიუთითებდა.

გურიასა და სამეგრელოში, თეთრი ღვინის დაყენებისას, ახალდაჭყლეტილ ყურძენს, იმთავითვე აცლიდნენ ჭაჭას და ჭურში, დასადუღებლად თვითნაღენ ტკბილს ასხავდნენ. წითელი ღვინის მისადუღად კი დაჭყლეტილ მასას, სამი-შვიდი დღის განმავლობაში, თავდახურულ საწნახელში ტოვებდნენ, შემდეგ კი ტკბილს ჭაჭიდან ხსნიდნენ და სუფთა წვენი (მაჭარი) ჭურებში გადაჰქონდათ დუღილის დასამთავრებლად. ჭაჭიდან მაჭარის ან ღვინის გამოსაჰაჩად იყენებდნენ საეციალურ წნებს, რომელსაც ჭახრაკი (მეგრ. ხაჩხენი) ეწოდებოდა. გამოწნეხილი წვენი ჭურში მოთავსებულ ტკბილს ემატებოდა, ხოლო ჭაჭა სხვა ჭურში გადაჰქონდათ, რომლისგანაც ან შუა ღვინოს აკეთებდნენ ან არყად ხდიდნენ. აქტიური დუღილის დამთავრების შემდეგ, რომელიც 7-14 დღეს გრძელდებოდა, ღვინო წყნარი დუღილის პროცესში გადადიოდა. ასეთ ღვინოს ანუ მაჭარს (მეგრ. მანჩარი), ხშირად სასმელადაც იყენებდნენ. ადრე, 1850-იან წლებში, როდესაც გურია-სამეგრელოში დიდძალი ვენახები იყო და ღვინო გასაყიდად გაჰქონდათ, დუღილის დამთავრების შემდეგ, სასაქონლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ახალ ღვინოს წითელი ყურძნის წვენით ღებავდნენ. საუკეთესო შესაღებ ჯიშად, გურიაში ჩუბემი, ხოლო სამეგრელოში პანემი ითვლებოდა. შესაღებად განეყუთენილი ყურძენი, ერთი-ორი კვირით კალათში ინახებოდა, ვიდრე ე. წ. სიღამპლის დუღილი დაიწყებოდა. ამის შემდეგ, ყურძნის მთელ მასას ჭეაბში ან კარდალში (თუჯის მრგვალძირიანი ჭეაბი) ათავსებდნენ, ხელით ჩაჭყლიტავდნენ, მცირე რაოდენობით იმ ღვინოს დაუმატებდნენ, რომლის შეღებვაც სურდათ და ნელ ცეცხლზე ადუღებამდე მიჰყავდათ. გაცივების შემდეგ, მთელ მასას კლურტებს აცლიდნენ, რის შემდეგაც შესაღებ ღვინიან ჭურში ამატებდნენ. ჭვევრს მკიდროდ ახურავდნენ სარქველს (როგოს) და აყალო მიწით გონავდნენ. ღვინო ასეთ მდგომარეობაში პირველ გადაღებამდე ინახებოდა. დაგოზილ ჭურებს შევსება არ ესაჭიროებოდა, პირიქით გურია – სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული ღვინის ამოკლება ან როგორც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებდა, კლიმობა ან დაბაჟვა. ამ მიზნით, იანვარში ან თებერვლის დასაწყისში, სრული მთვარის ფაზაში, ყველა საესე ჭურს თავს ხდიდნენ და ტევადობის გათვალისწინებით, ნახევარ ან ერთ ვედრო ღვინოს ამოაკლებდნენ, რის შემდეგ ჩვეულებრივი წესით, კვლავ დაგოზავდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, უფრო ხშირად გაზაფხულზე, ყველა ჭური კვლავ საესე აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამ, როგორც ე. ნაკაშიძე უწოდებს, ფენომენალურ მოვლენას თვით შესწრებია და მისი აზრით იგი ჭვევრში

გრუნტის წყლების დიფუზიას ან გაბათხულზე, სითბოს დადგენისას ანავე მეორადი დუღილის დაწყებას უნდა მიეწეროს.

მარტსა და აპრილში ხდებოდა ღვინის სხვა ჭურჭელში (მაგ. მუხრანის ჭურჭელში) გინოწუნვა ღვინოში). 1880-90-იან წლებში, როდესაც გრუნტის წყლებში იზაბელას სუსტმა და უხარისხო ღვინოებმა იჭარბა, გადაღებას უფრო ხშირად ახდენდნენ. ადრე კი, როგორც ძველი გადმოცემებიდან ირკვევა ერთი გადაღება სრულიად საკმარისი იყო და რაც უფრო დიდხანს ინახებოდა ღვინო მთხლესა და ქაჭაზე, მით უკეთეს თვისებას იძენდა.

გურულ-მეგრულ მარანში მრავალი სახის ჭურჭელ – ინვენტარს იყენებდნენ. მთლიანი ხისგან (უპირატესად ცაცხვისგან) გამოთლილი საწნახელისა და ჭურების გარდა, აუცილებელი ატრიბუტი იყო სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი: კვიბარი (მეგ. ლახუტი), საწყავეი (კოკა), დორა (ფობალა), ჩარქა (კოკამია), ფიჩხაური (ჩაბაკია), დოჭი (ორკოლი), ლაგინა (ნირთა) და ა.შ. ხოლო ინვენტარიდან: ორჩხუმი (ორჩხუმი) – ჭურის სარეცხი მოწყობილობა, რომელიც გრძელ ჯოხზე წამოცმულ თაგვისარასა ან ძმერხლის ბუჩქის შეკვრას (კონას) წარმოადგენდა; სარცხი – ბლის ქერქისაგან შეკრული კონა; ორკოპე (ხეპარა) – მწარე კვახისაგან გაკეთებული ჭურჭელი, რომელსაც ორი თოკი ჰქონდა გამოძმული (ერთი ფსკერზე) და გრძელი ჯოხების მეშვეობით ჭურის ფსკერიდან დარჩენილ სითხეს ხაპავდნენ; კოპე (ხეცე) – სხვადასხვა ზომის და ფორმის მწარე კვახის ჯოხგაყრილი, ღვინის ამოსაღები ჭურჭელი და ა. შ.

გურია – სამეგრელოში, როგორც ავღნიშნეთ, საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოები დგებოდა. მათი უმრავლესობა თავიანთი სახელებით იყვნენ ცნობილი, მაგ. ჩხავერის ღვინო (ჩხავერიდან), ჯანის ღვინო (ჯანიდან), საჯავახოს ღვინო (სხილათუბნიდან და მტევანდიდიდან), მარის ღვინო (ჯანიდან), ბაღდადის, ასკანის, ბახვის ღვინოები და სხვ. სამეგრელოში კი ცნობილი იყო ოჯალემის ღვინო (სევანურიდან ან შონურიდან), კვიტილური, სალხინოს ღვინო და სხვ.

აფხაზეთის მევენახეობა და მეღვინეობა, თავისი ხასიათით თითქმის არ განსხვავდებოდა სამეგრელოს მევენახეობისაგან. აქაც ვაზები მაღლარეზე იყო ფორმირებული, რომლებიც ჯგუფურად ან გაბნეულად იყო გაშენებული. ღვინოსაც, ადგილობრივი მოსახლეობისაგან ნაყიდი ყურძნიდან, ძირითადად მეგრელები აყენებდნენ. მხოლოდ მასშტაბები იყო გაცილებით მცირე. ის თერთმეტობედ ადგილობრივი კიმი (ამლახუ, კაჭიკი, აპანევი, აგბივი, ავაბილი, ავასირხვა, ატპიუევი, აფიში, ავუტარი, აფივა, აფიპში), რომლებიც სოკოვან დაავადებათა შემოჭრამდე იყო გავრცელებული, თითქმის მთლიანად იზაბელას მაღლარეებმა შეცვალა რომლებსაც აფხაზები ზაბელს უწოდებდნენ (184).

მოგვიანებით, როდესაც აფხაზეთში დაბლარ მვეენახეობაზე იწყეს გაღასვლა და სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა სირთულეს აღარ წარმოადგენდა, გაეროცვლება იწყო იმერეთიდან, გურჯისტანს და სამეგრელოდან შეტანილმა ვიშებმა: ცოლიყოური, ჩხავერი, ცოცქა და სხვ. გარდა ამისა, მხარეში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყირიმიდან კერძოდ ნიციტის ბოტანიკური ბაღიდან შემოტანილი საღვინე თუ სასუფრე ვაზის ვიშები (განსაკუთრებით გაგრის ზონაში).

აფხაზეთის ხარისხოვანი მელვინეობის ძირითად რაიონებად აღრეც და საუკუნის დასასრულისთვისაც ითვლებოდა გუდაუთის და გაგრის მთაგორაკიანი ფერდობები და ზეგნები, სადაც საუცხოო კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები იყო. საინტერესოა რომ უკვე მოგვიანებით, გუდაუთის მიკროზონაში მეორე სამშობლო ჰპოვა გურულმა ვიშმა ჩხავერმა, რომელიც დიდ მოსავალთან ერთად, საუკეთესო ხარისხის ღვინოს იძლეოდა. რაც შეეხება ცოლიყოურს, მან ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, აქაც მთელი სავენახე ფართობების 90% ზე მეტი დაიყავა.

და ბოლოს ორიოდ სიტყვით შევეხეთ აქარის მხარის მვეენახეობა – მელვინეობას. გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოს ტერიტორიაში შემოდიოდა ამ მხარის ორი ოლქი – ბათუმის და ართვინის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე).

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, აქარაში (ბათუმის ოლქი) მვენახეობას, მხოლოდ რამოდენიმე ჩამოსული ჩინოვნიკი მისდევდა. რაც შეეხება მელვინეობას იგი თითქმის აღარ არსებობდა. მხარის სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება იყო: მარცვლის (სიმიონდი), ბრინჯის, ლობიოს, თამბაქოს, ზეთის ხილის და სხვ. წარმოება. ყურძენს, მხოლოდ საქმელად იყენებდნენ. ვაზის გენოფონდში წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი ასევე გურულ-მეგრული წარმომომის ვიშები: ჩხავერი, ზოფათური, კლარჯული, მეკრანჩხი, ვინეში, მწვანე, წვიტა, კიოტი, საწური, კიჭიბე, ბროლა, ჩხუში, ბურძგლა, ბუტკუა, მატანაური, ხარისთვალა, ცხენისძეძუ და იხაბელა.

ართვინის ოლქში, იქ სადაც ძირითადი მოსახლეობა გამაჰმადიანებული ქართველები იყო, მვეენახეობა მეტნაკლებად განვითარებული იყო მდ. ჭოროხის, იმერხევის და მურღულის ხეობებში, აგრეთვე არტანუჯის მიდამოებში. მაჰმადიანური სარწმუნოების ზეგავლენით საღვინე ვაზის ვიშები იშვიათობას წარმოადგენდა და ძირითადად სასუფრე-საქიშმიზე ყურძენი მოჰყავდათ. მიუხედავად ამისა, თითოორჯოლა საღვინე ვიში აქაც იყო შემორჩენილი, მაგ.: მწვანურა, მელციულა, ბუტკო, საფერავი და სხვ.

ასე გამოიყურებოდა საქართველოს მევენახეობა და მცდენიერება მე-19 ს. ბოლო ათწლეულში. დარგის საერთო მდგომარეობა რომ უფრო ნათლად წარმოგიდგინოთ, ინტერესმოკლებული არ იქნებნენ შემწიქნითი სტატისტიკური მასალის გაცნობა. მასალები სხვადასხვა წყაროდან არის ამოღებული, რომელთა სიზუსტე ზოგჯერ ეჭვს იწვევს, მაგრამ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად სრულიად საკმარისია (ცხრ. 6).

ცხრ. №6

ვენახების ფართობი და ღვინის მოსავალი საქართველოში
1880 – 1890 იან წლებში*

მხარე	მხარე ოლქი	ვენახის ფართობი	ვენახების რაოდენობა	ღვინის მოსავალი (ვედრა)
კახეთი	თელავი	6783	16584	-
	სიღნაღი	5232	8856	-
	თიანეთი	475	576	-
თბილის-ბორჯღო	თბილისი	3105	6855	-
	ბორჯღო	1800	3528	-
ქართლი	ყვრი	4400	12693	-
	ღუშუბი	2200	2435	-
ახალციხე-ახალქალაქი	ახალციხე	2	10	-
	ახალქალაქი	22	178	-
	ზაქათალი	718	3424	200000
სამეგრელო				
სულ აღმოსავლეთ საქართველოში		24737	55139	2860124
	სამეგრელო	ზუგდიდი	2829	-
	სენაკი	974	-	-
ვერია იმერეთი	ოზურგეთი	1240	-	-
	ქუთაისი	7716	-	-
	შორაპანი	9222	-	-
ჩაქალაქებში	ჩაქა	5154	-	-
	ლყბუბი	1461	-	-
აჭარა**	მათეზის	300	-	-
	არდენის	450	-	-
აფხაზეთი	სუხუმის	2538	-	147000 მდე
სულ დასავლეთ საქართველო		31884	-	2476778
სულ საქართველოში		56621		5336902

* მასალები შეკრებილია მ. ბალასის, ე. ნაკაშიძის და ს. ტომოფევის მიხედვით.

** ორივე ოლქში ყურძნის მოსავალი შეადგენდა 75000 ფუტის (ს. ტომოფევი).



მე-19 საუკუნის 60-80-იან წლებში, საქართველოში საემაოდ დიდი ჩაოდენობით მზადდებოდა ყურძნის მეორადი გადამუშავების შედეგად მიღებული მაგარი სასმელები. თავდაპირველად, ძირითადი პროდუქტი ჯაჭის და ნაწილობრივ ღვინის არაყი იყო, რომელთა გამოხდა, ძირითადად კუსტარული წესით ხდებოდა. გამოხდილი არყის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი მოხმარებისთვის გამოიყენებოდა, მხოლოდ მცირე ჩაოდენობით გაჰქონდათ იგი ქვეყნის გარეთ.

ზემოთ დასახელებულ პერიოდში იწყება ამ მეტად შემოსავლიანი დარგის სამრეწველო საფუძველზე გადასვლა, რაც ძირითადად საქართველოში კონიაკის წარმოების დაწყებასთან არის დაკავშირებული.

კონიაკის წარმოებას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მას წინ უსწრებდა ღვინიდან არყის გამოხდის მრავალსაუკუნოვანი პერიოდი. მე-16-17 საუკუნეებში, განსაკუთრებით დიდი ჩაოდენობის ღვინის არაყი იხდებოდა საფრანგეთში, რომელსაც ეს სასმელი ვეროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისში გაჰქონდა გასაყიდად. 1701 წელს დაიწყო ინგლის-საფრანგეთის ომი, რომელიც 13 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, საფრანგეთმა ღვინის არყით ვაჭრობა თითქმის მთლიანად შეწყვიტა. მწარმოებლები იძულებული გახდნენ სპირტის მოჭარბებული შარავი მუხის კასრებში შეენახათ. ომის დამთავრების შემდეგ, მუხის კასრებში შენახული სპირტი მომხმარებელს ძლიერ მოეწონა, რის შემდეგაც სპირტის შენახვის ამ „მეთოდმა“ მასობრივი ხასიათი მიიღო. ყოველივე ეს კი მოხდა შარანტის დეპარტამენტის ქალაქ კონიაკში, ამიტომ სასმელმაც ამ ქალაქის სახელწოდება მიიღო.

საქართველოში კონიაკის სამრეწველო წარმოების დაწყება ორი დიდი პიროვნების გ. ბოლქვაძისა და დ. სარაჯიშვილის სახელებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში, კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ბოლქვაძის სახელი, ქართველი საზოგადოებისათვის, უკანასკნელ პერიოდამდე სრულიად უცნობი იყო. ამ სასმელის ჩვენში გავრცელება და სამრეწველო საწყისებზე გადასვლა დ. სარაჯიშვილის სახელთან ასოცირდება, ხოლო კონიაკის საწყისად მიჩნეული იყო 1887 წელი. სწორედ ეს თარიღი გახდა ქართველი და სომეხი მეკონიაკეების საჯილდაო ქვა. ათეული წლების განმავლობაში, პრესაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, კონფერენციებზე თუ სამეცნიერო სესიებზე, მიდიოდა გაუთავებელი დავა – 1886, 1887 თუ 1888 წელი იყო კავკასიაში კონიაკის წარმოების საწყისი თარიღი?! და აი გამოჩნდა ქ-ნი მარი შოშიტაიშვილი, ფუტკარივით მშრომელი,

ჩაკირკიტებული მკვლევარი და მოღვაწე, რომელმაც ბოლო მოუღო ამ ბავშვურად მიაშიტურ დავას. მან მრავალი წლის, მუხლჩაუხრელი ძიების შედეგად მიაკვლია ისეთ საარქივო მასალას, რომელმაც მთელი 20-25 წლით ჩააღრმავა ამ სასმელის ისტორიის ფესვები. ქ-მა მარი შომიტაძემ იღმა საქართველოს სბოგადღობას აღმოუჩინა ამ საქმის შესაძირკველ დოქტორი გიორგი ბოლქვაძე.

გიორგი ბოლქვაძე დაიბადა გურიაში, ქ. ოზურგეთის მახლობლად, 1835 წ. უმაღლესი განათლება მიიღო საბერძნეთში, ათენის აგრარულ აკადემიაში, ხოლო მანამდე კონსტანტინეპოლში, მეორადი მეღვინეობის – არყის ხდის და დამუშავების, კუპაჟისა და სარეალზაციო დონემდე მიყვანის პროგრესულ მეთოდებს ეუფლებოდა. გ. ბოლქვაძე იყო უაღრესად განსწავლული პიროვნება, იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ, თურქულ, ბერძნულ და ფრანგულ ენებს.

გიორგი ბოლქვაძე, სწავლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება და პრაქტიკულ საქმიანობას იწყებს. მისი ოცნება იყო, რომ საქართველოში ევროპულ დონემდე აეყვანა მაგარი სასმელების წარმოება. ამ მიზნით იგი 1865 წელს, ქ. ქუთაისში აარსებს, ამიერკავკასიაში პირველ არყის ქარხანას, სადაც მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქციას უშვებს, რომელთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სამი სხვადასხვა რთული ლიქიორი, ცხრა სახეობის სპირტი, ორი სახის რომი, მაღალი ხარისხის სამეფო არაყი და სხვ. სამუშაოდ ჩვენთვის უცნობია კიდევ 26 დასახელების ნაწარმის სახელწოდება. გ. ბოლქვაძის დამსახურება მარტო დასახელებული პროდუქციის გამოშვებით არ ამოიწურებოდა. მან პირველმა დაიწყო ფრანგული ტექნოლოგიით, ქართული კონიაკის გამოშვება. იგი ითვლება არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში, ამ კეთილშობილი სასმელის დანერგვის მამამთავრად.

გიორგი ბოლქვაძეს შემუშავებული ჰქონდა კონიაკის დამზადების ორგვარი ტექნოლოგია – ნატურალური, რომლის გამოშვება დაიწყო 1865 წელს და ხელოვნური, რომელიც 1873 წლიდან გამოდიოდა.

ქართული კონიაკის ისტორიაში ღირსსახსოვარ თარიღად ითვლება 1878 წელი, ამ წელს გ. ბოლქვაძის „კავკასიის ნატურალურმა კონიაკმა“, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ეს იყო საოცარი აღმასვლის დასაწყისი. ამის შემდეგ მისმა კონიაკებმა და სხვა სასმელებმა 100-ზე მეტი ჯილდო მოიპოვა, რომელთაგან 49 ოქროსა და ვერცხლის მედალია, მარტო ნატურალურმა კონიაკმა 25, ხოლო ხელოვნურმა 9 ჯილდო მიიღო.



გიორგი ბოლქვაძე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს გარეთაც. მრავალფეროვანი და მალაღობარი მემკვიდრეობის პროდუქციის შექმნისათვის მას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა კვანძის ქვეყნის პროდუქტები. მათ შორის: „ვაზის რესტავრაციისათვის“ („Merite agricole“) – ორი სახის; პარიზის ნაციონალური აკადემიის და ბრიუსელის მსოფლიო მეცნიერების და ინდუსტრიული ხელოვნების აკადემიის ორდენები და ნიშნები. იგი არჩეული იყო საფრანგეთის სამიწათმოქმედო აკადემიის წევრად, რომლის შესაბამისი დიპლომის მიღების შესახებ, 1890 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა. გიორგი ბოლქვაძე გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, 1921 წელს (198).

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ასპარეზზე გამოდის კონიაკისა და მაგარი სასმელების მეორე თვალსაჩინო სპეციალისტი, მრეწველი და კომერსანტი, უდიდესი ეროვნული მოღვაწე დავით სარაჯიშვილი, რომლის სახელის გარეშე ყოველად წარმოუდგენელია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები.

დავით სარაჯიშვილი დაიბადა თბილისში, ტრადიციული კომერსანტების ანუ როგორც ადრე უწოდებდნენ სოფდაგრების ოჯახში 1848 წელს. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ე. წ. „ჰაკეს“ პანსიონში და თბილისის ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1866 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიემგზავრება პეტერბურგს, სადაც წარმატებით აბარებს გამოცდებს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ლექციებს ისმენს ჯერ კ. მიუნჰენში, შემდეგ კი კ. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც 1871 წელს ამთავრებს, ჭიმიის მაგისტრის ხარისხით. ამით არ კმაყოფილდება და 1877 წლის ბოლომდე ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას კ. ჰოპენჰაიმსა და ჰალეში. 1878-79 წლებში მიემგზავრება საფრანგეთში და სწავლობს მევენახეობისა და მეღვინეობის საფუძვლებს, განსაკუთრებით გაიტაცა იგი ფრანგული კონიაკის საიდუმლოებამ, რომელსაც შემდგომ მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, დ. სარაჯიშვილმა ხელი მოჰკიდა მაგარი სასმელების წარმოების ორგანიზაციას და 1884 წელს, თბილისში აგებს კონიაკის დიდ საწყობს, სადაც თავს უყრის, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთიდან შემოტანილ სპირტებს. 1888 წელს აშენებს კონიაკის სპეციალიზებულ ქარხანას.



1889–1913 წლებში, დავით სარაჯიშვილის ფირმის (რომლის სათავეშიც იგი 1884 წლიდან იდგა) კონიაკმა და სხვა ჯიშის მღვანელებმა, საერთაშორისო გამოფენებზე, ბაზრობებზე და კონკურსებზე მსაჯულთა თერთმეტი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი.

დ. სარაჯიშვილის ცხოვრება მარტო პროფესიული საქმიანობით არ ამოიწურებოდა, იგი დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო. სჯობს მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ეს მხარე ალ. ხაბანაშვილის სიტყვებით წარმოვანიხოთ, რომელიც გაზეთ თეში დაიბეჭდა 1911 წელს: „არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას-ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს: ჟურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოწყობა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დაშვებება, ღარიბ-ღატაკთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება, ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა“.

* აი მოკლე ჩამონათვალი იმ სიყვითისა რაიც დავით სარაჯიშვილმა თავის ცხოვრების მანძილზე მოიმოქმედა: 1907 წელს სამხრეთ საქართველოში (ახალციხე-ახალქალაქი-არტაანი) ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დაფინანსება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობაში წვლილის შეტანა (ძმებ ზუბალაშვილებთან და სხვა პატრიოტებთან ერთად); ისტორიული ძეგლების რესტავრაციაში გულუბვი მონაწილეობა; ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობა; თავისი ჭარხნისათვის სპეციალისტთა აღზრდა – სტაჟირება და საგანმანათლებლო მოღვაწეობა და ა. შ.

დავით სარაჯიშვილს ყოველწლიურად 100-მდე სტიპენდიანტი ყავდა გაგზავნილი რუსეთში თუ ევროპის სხვა ქვეყნებში. საქველმოქმედო საქმიანობა მისი გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა, რასაც მისი მუდღეუ ეკატერინე ფორაქიშვილი ანხორციელებდა.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს. იგი დაკრძალული იქნა დიდუბის ეკლესიის ეზოში, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა არ ჩათვალა ღირსად „კაპიტალისტის“ დიდუბეში განსვენება და მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოზე იქნა გადატანილი. 1990-იან წლებში, თბილისის კონიაკის ჭარხნის ხელმძღვანელთა თაოსნობით დ. სარაჯიშვილის ნეშტი კვლავ

გადაასვენეს, მაგრამ ამჯერად მის მიერვე ამწებული ქაშვეთის ეკლესიის ეზოში დაუშვეიდრეს სამუდამო სასუფეველი (177).



* * *

XX საუკუნე – საქართველოში რუსეთის ბატონობის მეორე ასწლეული. იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი უცვლელია, საქართველო არის რუსეთის „ორგანული“ ნაწილი, საქართველოს სოფლის მეურნეობა და კერძოდ მევენახეობა-მელვინეობის აკკარგი რუსეთის „საბრუნავია“.

საუკუნის დასაწყისში, დარგის განვითარებას კვლავ ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა გავრცელება ამუხრუქებდა. მიუხედავად ამისა, გარკვეული ნაბიჯები მაინც იქნა წინ გადადგმული. თუ აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობას, ჯერ კიდევ ფილოქსერის შემოტევის არასასურველი ტალღა ელოდებოდა, დასავლეთ საქართველოში, ამ სფეროში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

საქარის ამერიკული სანერგე, რომელიც კვლავ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის შემადგენლობაში იმყოფებოდა, თუ 1891–1996 წლებში მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმით იყო დაკავებული, მომდევნო წლებში წმინდა პრაქტიკულ მოღვაწეობას იწყებს. უკვე შესწავლილი იქნა იმერეთის ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რაც ამერიკული სახეობის ვაზებისთვის უაღრესად ხელსაყრელი აღმოჩნდა. დაიწყო ამერიკული საძირგების ფართო პროპაგანდა, ცალკეულ სოფლებში ეწყობოდა საჩვენებელი ნაკვეთები. მოსახლეობა დიდ დაინტერესებას იჩენდა ყოველგვარი სიახლისადმი და თამამად ნერგავდა საკუთარ ვენახში. ამერიკულ საძირგზე დამყნობილი ვაზიდან რომ ხარისხოვანი და უხვი მოსავლის მიღება შეიძლებოდა, იმ პერიოდში ჩატარებულმა ანალიზებმაც დაადასტურა (42). როგორც ამ მასალებიდან ირკვევა (იხ. ცხრ. 7) ადგილობრივი ჯიშები გაცილებით მაღალი ხარისხის ღვინოებს იძლეოდა, ვიდრე ევროპიდან შემოტანილები. მაგ. კრახუნამ უხვმოსავლიანობასთან ერთად იდეალური გლუკოაციდომეტრული მაჩვენებლები გამოავლინა, რის გამოც იგი კლასიკურ საღვინე ჯიშად მიიჩნიეს. ევროპული ჯიშებიდან, მცირეოდენი უკეთესი მაჩვენებლები მხოლოდ ფრანგულ სემილიონს აღმოაჩნდა.

იმიტაციური გავრცელებული ადგილობრივი და შემოტანილი
 მანის ჯიშების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების
 მაჩვენებლები (1905-08 წწ. საშუალო) გიგ. ლომიძე

ჯიში	შაქრიანობა %		მეფიანობა %	მოსავალი ერთ დესეტინაზე ფუთებში
	საშუალო	მაქსიმუმი		
კრახუნა	22,5	23,6	8,69	633
ციცქა	20,4	21,2	10,47	764
ცოლიყოური	22,2	23,4	10,97	280
შალღარი	20,6	21,6	12,8	336
სემილიონი	20,0	23,6	7,87	536
რისლინგი	19,2	19,9	8,40	415
ზანტი	17,5	18,3	8,87	1180
კაბერნე	20,7	22,1	8,28	267

როგორც მოგვიანებით გაიკვავა, ვერცერთი ევროპული ჯიში (ფრანგული სემილიონი და კაბერნე, გერმანული რისლინგი და ბერძნული ზანტი) ვერ შეეგუა ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და საბოლოოდ ასორტიმეტიდან ამოვარდა. ზოგიერთი რუსი და ევროპელი ექსპერტის დაფინებული მტკიცება იმის თაობაზე, რომ დასავლეთ საქართველოს მელენიუმას ევროპიდან შემოტანილი ჯიშები უშველიდა, უსაფუძვლო გამოდგა (4):

საქარის სანერგის მოღვაწეობის ირგვლივ იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეში, საინტერესო მასალებს გვაწვდის კ. გორაევი (42). 1908 წლისათვის იმერეთის ორივე მხარეში (ქუთაისი, შორაპანი) ვენახების, თითქმის 50% ნაძვენ მევენახეობაზე იყო გადასული, დანარჩენ მხარეებში კი ეს პროცესი მეტად არათანაბრად მიმდინარეობდა. თუ სენაისა და ოზურგეთის მხარეებში 1000 დესეტინამდე ნაძვენი ვენახი იყო გაშენებული, ზუგდიდის, რაჭის და ლეჩხუმის მხარეებში ძალზე დაბალი მაჩვენებლები გვექონდა (ცხრ. 8).

მე-8 ცხრილში ერთი მნიშვნელოვანი მომენტითაა საყურადღებო – ამერიკულ საძირეთა ფართობის ზრდის საკმაოდ სწრაფი ტემპი გამოიკვეთა იმერეთში. 1908 წლისათვის აქ უკვე 125 დესეტინა სადღე იყო გაშენებული, ამ მიმართულებით შედარებით ჩამორჩებოდა სამეგრელო (52 დეს.). მაგრამ მთლიანობაში ამ რაოდენობის (211 დესეტინა) სადღეები სრულიად საკმარისი იყო დასავლეთ საქართველოში ნაძვენ მევენახეობაზე გადასვლის დასაქარებლად.

ვენახეების ფართობი და მიღებული ღვინის რაოდენობა
დასავლეთ საბარათგეოლოში 1908 წლისათვის



მარეები	ვენახეების ფართობი ღვსეტრებში			ღვინის მოსავალი ვეღროებში
	ნამყნი ამე- რკ. საძირეზე	საკუთარ საძირეზე	ამერიკული სადედე	
ქუთაისის	4389	4640	60	917100
შორაპნის	6100	6950	65	1347500
სენაკის	973	487	52	28950
ზუგდიდის	26	2800	5	6750
ოზურგეთის	150	1240	24	-
რაკის	50	1776	3	106731
ლენხუმის	35	1483	2	88328
სუხუმის ოლქი	-	2540	-	-
ბათუმის ოლქი	-	300	-	-
ართვინის ოლქი	-	125	-	-
სულ დას. საქართვე- ლოში	11723	22341	211	
სულ საკუთარ ძირზე და ნამყნი	34064			

გამოყენებულია კ. გორავეის (42), ვ. გულბათაშვილის (46) და სხვ. სტატისტიკური მონაცემები.

ანალიზებდა რა დასავლეთ საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის პერსპექტივებს, ექსპერტებს სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ, გუბერნიაში მაღალი ხარისხის ღვინოების წარმოება. ისინი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს შორაპნის მუზრაში საშამპანე ჯიშების საუკეთესო მოსავალს. ამგვარი დასკვნების გამოტანის საბაზს იძლეოდა ისეთი მსხვილი მემამულეების და სახაზინო მეურნეობების შედეგები, როგორცაა: საქარის სანერგე, ვაკუვის მეურნეობა, ამზანაგობა „არგვეთი“, ი. გუნცაძის, მ. ანანოვის, ვ. ტიებოს – შორაპნის მუზრაში; სალომე დადიანი – მიურატის ვენახები ზუგდიდისა და სენაკის მუზრაში. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ადგილობრივი წარმოშობის ის საუკეთესო ჯიშები, როგორიც იყო: ციცქა, კრახუნა და ცოლიყოური იმერეთში; ჯანი, სხილათუბანი და კამური გურიისში; ოჯალეში სამეგრელოში, ალექსანდროული, წითელი კაპისტონი და უსახელოური რაქა-ლენხუმში და სხვ. (42).



ODJALECHE

LEONIDENKO S.A.

A. M. P. 17

სურ. 45

ქართული სამარკო ღვინო ოჯალეშის ეტიკეტი.

მსხვილ მემამულეთაგან გამოჩეული ადგილი ეკავა სალომე მიურატ-დადიანს. 1902 წლისათვის მის ვენახებს, რომლებიც ძირითადად სოფ. სალხინოს მიდამოებში იყო განლაგებული, 60 დესეტინა მიწა ეკავა. მდინარე წაჩხურას პირას, ფლატეზე აგებულ სამსართულიან მარანში, რომლის ორი სართული მიწის ქვეშ, ბუნებრივ მაცივარში იყო მოქცეული, ადგილობრივი ოჯალეშიდან დაყენებული ღვინოები ძველდებოდა.

ჩვენ, ამ საუკუნის სამოციან წლებში საშუალება მოგვეცა დეტალურად გავცნობოდით ამ შესანიშნავი მამულის ნარჩენებს. ორსართულიანი ხის სახლს, რომელიც საცხოვრებლად იყო გამიზნული ხანძარს გაენადგურებია, მხოლოდ ქვითყარის კარის ეკლესია და მარანი არ იყო დანგრეული. ოდესღაც მშვენიერი ეზო-პარკი, რომელიც შებნით, კვიპაროზებით და სხვა ევროპეული მცენარეებით იყო გაშენებული, სულს დაფავდა, მარანში კი ორი თუ სამი ცარიელი ღვინის კასრი იყო შემორჩენილი.

სალომეს ვაჟის, აშილ მიურატის გამზრდელი და კარის მასწავლებელი (ბიოლოგიას ასწავლიდა) მარკოზ სურმავეა, რომელიც ჩვენს იქ ყოფნის დროს ღრმად მოხუცებული იყო, სინანულით იხსენებდა, რომ სალხინოს მთელი ტერიტორია ვენახებით იყო დაფარული. სამწუხაროდ, იმჟამად მხოლოდ რამოდენიმე მცირე ვენახი იყო შემორჩენილი, დანარჩენი ტერიტორია მთლიანად ჩაის პლანტაციებს ეკავა.

1910-იანი წლების დასაწყისში, მეურნეობას სწორედ ამილ მიურატის ჩაუდგა სათავეში და მისმა ვენახებმა მარტო სენაყის მზარაში 400 ლესეტიანს გადააქარბა (18). ოჯალემის მარცის ღვინოებს ფართო გასავალდ, მქონდა...
 ევროპის ბაზარზე (სურ. 45 და 46).
 ს. ი. ჯ. ლ. ი. მ. ი. მ. ი. მ.



სურ. 46

ოჯალემის ღვინის ემბლემა მიურატის საწარმოდან (დასავლეთ საქართველო)

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც აღინიშნა, მე-20 საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ფილოქსერამ იმძლავრა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, ზომები დროულად იქნა მიღებული. ნამუყენ მევენახეობაზე გადასვლის მიზნით ფართო მუშაობა გაიშალა ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეების გასამენებლად. პირველი ცდები ჭერ კიდე 1896 წ. ივანე ანდრონიკაშვილს, ქართლში დაუწყია. მან იმერეთიდან ამერიკული საძირეები შემოიტანა და სოფ. ალაიანში გაამენა, სადაც შემდეგ სახაზინო საწარმე მეურნეობა ჩამოყალიბდა. სწორედ აქედან გაუტანიათ ვახის მყნობის ტექნოლოგია კახეთში და ბორჩალოს მზარაში (41). კახეთში, 1909 წ. ფილოქსერის მასობრივ გავრცელებამდე, გრაფ ს. შერემენტევის მამულში, ამერიკულ საძირეზე დამყნობილი რამდენიმე ადგილობრივი ჯიმი გაუშენებიათ, ასე რომ პირველი ნაბიჯები გადადგმული იქნა და 1915 წლისათვის უკვე 54 მემამულესა და სახაზინო მეურნეობას გააჩნდა 68 ჰექტარი საძირეთა სადედე ნაკვეთები. ყველაზე მეტი რაოდენობის სტანდარტული საძირე ლერწი გამოჰყავდათ: კახეთში – კონდოლის და ნაფარეულის სახაზინო მეურნეობებზე; ჩოლოყაშვილს, სიღნაღის მზარის სოფ. ივანოვკაში (მამული „ჭიაურა“); მ. ფრიდონიშვილს სოფ. მანავში; ქართლში – ალაიანის სახაზინო საწარმეში; მუხრანის ევროპო მამულში და სოლომონ ჩოლოყაშვილს ქვემოქალაში (ღუშეთის მზარა).

ამავე პერიოდში დაიწყო ფილოქსერაგამძლე საძირეებზე მასობრივი მყნობა, მაგ. 1914-15 წლებში თელავის მხარაში (კონდოლი, კისისხევი, ნათარეული) დაშხადა 436000 ნამყენი, სიღნაღში („კიაურეფი“) 755000, საგურამოში (ი. მალალაშვილი) – 64000-მდე, მანაში (მ. ფრატლანიშვილი) – 45000, გორის მხარაში – 334994, სულ თბილისის გუბერნიაში დაიმყნო 2 მილიონამდე ნამყენი (ცხრ. 9). ნერგის საშუალო გამოსავლიანობა 20-40%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც არ იყო ურიგო მაჩვენებელი (131).

აღმოსავლეთ საქართველოში, 1910-იანი წლების მსხვილი მიწათმფლობელებიდან, რომლებიც მევენახეობით იყვნენ დაინტერესებული და საკმაოდ საინტერესო შედეგებსაც მიღწიეს, ყურადღებას იმსახურებდნენ: ძმები სულხანიშვილები, გორის მხარის სოფ. ტარძინიდან; ძმები სუმბათაშვილები, ბორჩალოს მხარეიდან; ი. რატიშვილი, სოფ. ქსოვრისიდან; მაჩაბლების გვარი ცხინვალიდან; ერისთავები და ციციშვილები გორის მხარეიდან და სხვ. (18).

ვენახების ფართობმა აღმოსავლეთ საქართველოში, მიუხედავად ფილოქსერის შემოტევისა, წინა პერიოდთან შედარებით (1880-1990 წწ.), მნიშვნელოვნად მოიმატა და 28 ათასს, ხოლო მთელ საქართველოში 62 ათას ღესეტინას გადააჭარბა.

ვენახეობის მდგომარეობის ამსახველი მასალები 1915 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში*

მხარა	ვენახების ფართობი ღესეტინებში		ნამყენი ნერგის წარმოება			ღვინის მოსავალი ვერ.
	მხრე	მერყეული საღლე	დამყნო (კალი)	მოღებული ნერგების რაოდენობა	გამოსავლიანობის %	
თბილისის თელავის	503	-	-	-	-	549000
სიღნაღის	10477	16	436000	1118--	25,6	648200
თბილისის	9260	15	755000	11100	14,7	294400
ბორჩალოს	3724	-	45000	-	0	-
ღესეთის •	2164	-	-	-	-	-
გორის	1282	28	63900	27760	43,4	317766
	5072	9	334994	142694	42,6	
სულ თბილისის გუბერნიაში	32482	68	955394	293354	30,7	18093000

* მასალები ამოყრეფილია – “Отчет о деятельности Тифлисского Губернского Комитета За 1915 г. Тифл, 1917.

** ღვინის დაბალი მოსავალი ვენახების სოციალური დაავადებებით იყო გამოწვეული.

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში ვენახების საერთო ფართობმა კვლავ მოიმატა და 32 ათას ღესეტინას გადააჭარბა. ამავე პერიოდის დასავლეთ საქართველოს ვენახების ფართობის ამსახველი მასალები, სამწუხაროდ ვერ მოვიკვლიეთ, მაგრამ იმ გავითვალისწინებთ, რომ მხარის ყველაზე დიდ მევენახეობის რაიონში – იმერეთში, 1908 წლის შემდგომ, ვენახების მატების ტენდენცია, საცმოდ მკვეთრად იყო გამოხატული (ყოველ შემთხვევაში კლებას ადგილი არ ჰქონია), 1915 წლისათვის, სრულიად საქართველოს ვენახების საერთო ფართობი 66546 ღესეტინის, ანუ 72535 ჰექტრის ტოლი უნდა ყოფილიყო (დასავლეთ საქართველოში 34064 ღეს., ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 32482 ღეს.). სამწუხაროდ, არადაამკმაყოფილებელი იყო სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დონე, მოუგვარებელი იყო მევენახეთა შხამ-ქიმიკატებით მომარაგების საკითხი, ეს კი საერთო მოსავალზე უარყოფით გავლენას ახდენდა, რაც მე-9 ცხრილში მოტანილი ღვინის მოსავლის ამსახველი ციფრებიდანაც კარგად შეიმჩნევა. 32 ათასზე მეტი ღესეტინა ვენახიდან ერთი მილიონ რუბლზე მეტი ვედროზე ოდნავ მეტი მოსავალი არაფრით არ იყო ფართობის ადეკვატური. როგორც ოფიციალური მასალებიდან ირკვევა, 1914-1915 წლებში, ნაცრისა და ჭრაქის მასობრივი მოჭმელების შედეგად, ქართლსა და კახეთში მოსავლის 75-80% დაღუპულა (131).

ასე დასრულდა საქართველოს მევენახეობის და მეღვინეობის რუსეთის „მფარველობაში“ ყოფნის პირველი ეტაპი, რომელიც 117 წელიწადს გაგრძელდა.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, რომელსაც ოქტომბრის წითელი გადატრიალება მოჰყვა, საქართველოს ხანმოკლე თავისუფლება მოუტანა. ეს პერიოდი, რომელიც 1921 წლამდე გაგრძელდა, ერთ-ერთი იმ ნათელ წერტილთაგანი იყო, რომელიც ასე მცირედ ჰქონდა ქართველ ერს თავის ხანგრძლივ ისტორიაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდანვე ქვეყანა რევოლუციებისა და ომებისაგან დანგრეული ეკონომიკის აღორძინებას შეუდგა. ეკონომიკის საფუძველთა-საფუძველი კი სოფლის მეურნეობა იყო, სადაც მევენახეობასა და მეღვინეობას მთავარი როლი ეკისრა.

აი როგორ აფასებს შექმნილ ვითარებას, 20-იანი წლების დასაწყისში პროფესორი ვ. ავალიანი: „დღეს ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ საქართველოში შესაძლებელი არის მტკიცე ეკონომიკური წესდებულების შექმნა. ეს ძლიერ კარგად იცოდა რუსეთის მთავრობამაც და მისი მტკიცე მოსაზრებით გვერდი აუხვია მას და ასე წლის განმავლობაში არაფერი არ შექმნა.

შედგე ამ პოლიტიკისა ის იყო, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მყიდროდ დაემორჩილა რუსეთს. საქართველო არსებობდა და საზრდოობდა რუსეთის მრეწველობის ნაწარმოებით, რუსეთის პურიით. როდესაც საქართველო რუსეთს ჩამოშორდა და დამოუკიდებლად დაიწყო თავისი ბედილობის და სახელმწიფოს შენება, რუსეთში წერდნენ და ამტკიცებდნენ და საქართველოშიც ხშირად იმეორებდნენ, რომ საქართველოს რუსეთისაგან დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი არის, რადგან საქართველოში არ არის მრეწველობა, საქართველოს თავისი პური არ ეყოფა და სხვ. ამ მოსაზრებას ბარი და ნიადაგიც ჰქონდა. მართალია, საქართველოში არ არის მრეწველობა, საქართველოს არ აქვს თავისი წარმოება, არ აქვს საკმარისი პურიც, მაგრამ ყველა ესენი საქართველოს აკლია არა იმიტომ, რომ აქ შეუძლებელია მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გაზარება, არამედ იმიტომ, რომ ყოველგვარი ღონისძიება იყო მიღებული რათა საქართველო ეკონომიკურად დაქვეითებული ყოფილიყო. მამასადამე, ეკონომიკური ნიადაგი არის საქართველოში, შესაძლებელი არის წარმოების მყიდრო ნიადაგზე დამყარება. ასე იყო საქართველოსგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზების გამო, დღეს კი, როდესაც საქართველოს დემოკრატია თავისი უნარით ქმნის მომავალს, საქართველოს არსებობის პირობები ძირიანად უნდა შეიცვალოს და შეიცვლება. საქართველოს არსებობას ეკონომიკური ნიადაგი აქვს და საქართველოს დემოკრატია ამ ნიადაგს გამოიყენებს” (2).

ობიექტურად აფასებდა რა მომავლის პერსპექტივებს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობას და საღად მოაზროვნე ინტელიგენციას მიაჩნდა, რომ ქვეყნის აღმშენებლობა საკუთარი მეცნიერული ბაზის გარეშე შეუძლებელი იყო.

პირველი ისტორიული აქტი, რომელიც განხორციელდა, იყო ეროვნული უმადლესი სასწავლებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. იგი შედგა 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თავდაპირველად უნივერსიტეტში ერთი –



საქართველოს
ქრონიკალი

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო, ხოლო შემდგომ, სხვა ფაკულტეტებთან ერთად, აკრონომიული ფაკულტეტიც გაიხსნა.

როგორც აღნიშნეთ, დამოუკიდებელმა საქართველომ რეობად განადგურების პირამდე მისული სოფლის მეურნეობა მიიღო. გამსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მევენახეობა-მელენიეობის სფერო. მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებას თან ერთვოდა ვაზის მავნებელ-დაავადებათა დამლუპველი მოჭმელება. თუ კი დასავლეთ საქართველოში და კერძოდ იმერეთში, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას გარკვეული ტრადიციები გააჩნდა, აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში, ეს კამპანია არათანაბრად მიმდინარეობდა, რის გამოც დარგში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. „დღევანდელი კახეთის ჩინებული ვენახები, რომელიც ზურამუხტის ფრად აბიბინებულნი ალაზნის ველის ბაჭობებზე გადაჭიმულან და ზღაპრულ წალკოტს მოგაგონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უვაზო ქვეყანად იქცევა, იმდენად ბევრ ალაგას არის აღმოჩენილი ფილოქსერა; ერთ-ერთი საშუალება კი ამერყულ ვაზზე მათი გადამწეება არსად წარმოებს – რევოლუციის ქარიშხალმა ჩანთქა და განადგურა ჩვენი ქვეყნის ამერყული ვაზის სანერგეები და დღეს არც კი მოგვეპოვება საშუალება სადმე ვიმოვოთ გინდ შეასედი ნაწილი იმ ვაზისა რაც გვჭირდება; საჭიროა ამერყული ვაზის სანერგეების აღდგენა და გაფართოება“, გულისტკივილით წერდა სოლომონ ჩოლოყაშვილი 1920 წელს თურნალში „ვაზი და ღვინო“ (203).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რასაკვირველია მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ საჭირო იყო სოფლის მეურნეობაში და კერძოდ მევენახეობაში, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ასეთი ნაბიჯები, დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე იქნა გადადგმული.

1918 წლის ბოლოს შეიქმნა კახელ მევენახეთა „კავშირი – კავშირი“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ველისციხის, გურჯაანის და კარდანახის შემნახველ-გამსაღებელ ამხანაგობათა 4400 წევრი, რომელთა ვენახების საერთო ფართობი 4200 დესეტინას უდრიდა. ესენი იყვნენ საშუალო ფენის ვენახთმფლობელები, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ დახმარების ხელის გაწვდენა.

ფუნქციონირებას განაგრძობდა საზოგადოება „კახეთი“, რომელიც 1895 წლიდან არსებობდა და იმ პერიოდისათვის 246 მევენახეს აერთიანებდა. საზოგადოება „კახეთის“ წევრობა შეეძლო ყველა კახელ მევენახეს და აგრეთვე ყველა მას ვინც კი საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ჩააბარებდა. საზოგადოებას გააჩნდა საწყობები თელავსა და

კარდანახში და ღვინის სარდაფი თბილისში. მაგრამ ამ საზოგადოებრივ იგივე პრობლემები აწუხებდა. სწორედ ასეთმა არასახარბიელო სიტუაციამ აიძულა ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოსები, რომ 1979 წელს შექმნილი ნოემბერს მოეწვიათ ქართველ მეღვინე-მევენახეთა პირველი კონგრესი.

კონგრესმა მუშაობა სამში მიმართულებით წარმართა: მევენახეობის, მეღვინეობის და ზოგადი საკითხების განხილვის გზით (140).

მევენახეობის ხაზით მოხსენებით გამოვიდნენ ცნობილი სპეციალისტები: პ. ავერკინი, ტ. ბაკაშვილი, კ. ბერეკაშვილი, ა. ეგოროვი, გ. წინამძღვრიშვილი, რ. ტიმოფეევი, ნ. ნიკოლაძე, ს. ჩოლოყაშვილი, მ. წულუკიძე, ა. შაჩბელი, კ. ნაკაშიძე, გ. ბერიშვილი, ნ. მაჭარაშვილი და ე. ნაკაშიძე. კონგრესმა მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო, კერძოდ გადაწყდა: მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით, სპეციალური და საშუალო სკოლების დაარსება; ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში, მევენახეობა-მეღვინეობის სტატისტიკის საჭირო დონეზე დაყენება; ვაზის მავნებლის, ფილოქტერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, კონკრეტულად კი ვაზის ამერიკული სადედეების, სანერგების სპეციალური საცდელი ნავეეთების მოწყობა; სავენახე და ვენახის ნიადაგების შესწავლა; სოკოვან დაავადებათა კერებში მიკოლოგიური გამოკვლევების ჩატარება; ვაზის სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო შხამ-ქიმიკატების შემოზიდვის მოწესრიგება; სეტყვისაგან დამიანების შემთხვევაში სახელმწიფო დაზღვევის საკითხის მოგვარება; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრომეტეოროლოგიური სამსახურის სადგურის მოწყობა; ქართული ვაზის ჯიშების შეგროვება და საკოლექციო ნარგაობების შექმნა. კონგრესმა საჭიროდ სცნო, რომ საქართველოს მევენახეობასა და მეღვინეობას ყოველგვარი დახმარება ესაჭიროება, რომლის დაქაოფილება ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო. მევენახეთა და მეღვინეთა ინტერესები კი მოითხოვდნენ, რომ მათ საკუთარი ძალებით დაეარსებინათ ცენტრალური ორგანო, რომელიც მევენახეობისა და მეღვინეობის საქმეს გაუძღვებოდა.

მეღვინეობის ხაზით მოხსენებით გამოვიდნენ: ა. ეგოროვი, გ. წინამძღვრიშვილი, ვ. რეხილაძე და ე. კაკულია.

საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ კონგრესმა დაადგინა: როგორც მწარმოებელთა, ისე სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ღვინის ექსპორტის განვითარებას, რისთვისაც კონგრესი აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა მეღვინეობის ტექნიკის განვითარებას, ღვინის ტიპების გაუმჯობესებას და მის დაახლოებას გარე მომხმარებლის გემოვნებასთან.

მეღვინეობისა და ღვინით ვაჭრობის არსებული პირობები, აღნიშნული იყო დადგენილებაში, მოითხოვდნენ გაერთიანებული ძალებით მოქმედებას, ამიტომ კონგრესი საჭიროდ თვლიდა მევენახეთა შეკავშირებას და სხვა კოპერატივების მოწყობას, მათთვის სახელმწიფოს მიერ ფართო კრედიტების გამოყოფით.

კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ღვინით ვაჭრობის მრავალგვარი დაბეგვრის შედეგად პროდუქციის გაძვირების და ღვინის ფალსიფიკაციის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიიჩნევდა საჩქაროდ ღვინის შესახებ კანონის გამოცემას.

მევენახეობის და მეღვინეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით კონგრესზე მოხსენებით გამოვიდნენ: ნ. ნიკოლაძე, პ. მელიქიშვილი, ს. ტიმოფეევი, ა. ეგოროვი, დ. გედევანიშვილი, კ. მოდებაძე და გ. ჩიჩუა. მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს თბილისში მეღვინეობის ცენტრალური საცდელი სადგურის დაარსების, აგრარული რეფორმის მიმდინარეობის და სხვა სოციალურ საკითხებზე. ყველაფერმა ამან ასახვა პპოვა კონგრესის დადგენილებაში. ამ დადგენილებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისში საცდელი სადგურის დაარსების აუცილებლობას. ჩვენთვის სხვა წყაროებიდანაც (ძირითადად მევენახეობის კათედრის არქივიდან) ცნობილია, რომ ამ იდეის ავტორი სოლომონ ჩოლოყაშვილი იყო. მას სწამდა, რომ დაარსებული საცდელი სადგურის ბაზაზე, შემდგომ მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული ინსტიტუტი აღმოცენდებოდა. ამის საბაზს იძლევა ის გულისხმიერება, რასაც იმდროინდელი მთავრობა იჩენდა ყრილობათა საბჭოს ყოველი დადგენილების მიმართ. თითქმის ყველა საჭირობორტო საკითხი, რომელიც საბჭოს სახელით შევიდა მთავრობაში, დადებითად გადაწყდა. ასევე დადებითად გადაწყდა ეს საკითხიც, მაგრამ მას დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელება არ ეწერა. იგი განხორციელდა გაცილებით გვიან (1930-იან წლებში), ზუსტად ისეთი სქემით როგორც ყრილობათა საბჭომ შეიმუშავა – თბილისში ცენტრალური სადგურით და პერიფერიებზე ორი განყოფილებით, საქარის სანერგეში და წინანდლის სახელმწიფო მამულში (ვაზი და ღვინო, № 1, 1920, გვ. 10). ასე რომ მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოში ვაზისა და ღვინის ეროვნული ინსტიტუტის დაარსებას საფუძველი 1920 წელს ჩაეყარა.

ყრილობათა საბჭოს დადგენილებით, 1920 წელსვე გადაწყდა გამოცემულიყო პროფესიონალური ეურნალი „ვაზი და ღვინო“. ეს გადაწყვეტილებაც პრაქტიკულად იქნა განხორციელებული და 1920 წლის თებერვალში გამოვიდა ამ ეურნალის პირველი ნომერი.

დასასრულ კონგრესმა ერთხმად დაადასტურა პრეზიდიუმისა და საგანგებო კომისიისაგან წარმოდგენილი გეგმა საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ცენტრალური ორგანოს დაარსების შესახებ, კერძოდ დადგენილებაში ვკითხულობთ: დაარსებულ იყოს ქ. თბილისში საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობის დროებითი საბჭო შვიდი წევრის შემადგენლობით: საპატიო თავმჯდომარედ ნ. ნიკოლაძე, წევრებად ი. ანდრონიკაშვილი, ლ. გოგინაშვილი, გ. წინამძღვრიაშვილი, ვ. რცხილაძე, ს. ჩოლოყაშვილი, ი. ფორაქიშვილი და ვ. ბერელაშვილი, ხოლო წევრობის კანდიდატებად გ. ჩივაძე და ი. ბარათაშვილი. საბჭომ თავის პირველივე სხდომამზე 28 ნოემბერს ერთხმად აირჩია საბჭოს თავმჯდომარედ ი. ზ. ანდრონიკაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად და ხაზინადარად (დროებით) ი. ფორაქიშვილი, ხოლო მდივნად გ. ყიფიანი. მოგვიანებით (აპრილის დასაწყისში), გ. ყიფიანი შეცვალა ს. ჩოლოყაშვილმა (57).

როგორც აღვნიშნეთ საბჭოს გადაწყვეტილებით, 1920 წელს გამოცემა დაიწყო ჟურნალმა „ვაზი და ღვინო“. ეს იყო პირველი ქართული პროფესიული პერიოდული გამოცემა, რომელიც მხოლოდ მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხებს იხილავდა. ჟურნალს არ ჰყოლია არც მთავარი რედაქტორი და არც რედკოლეგია, მაგრამ როგორც გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რედაქტორის ფუნქციებს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე ანდრონიკაშვილი ასრულებდა. სწორედ მისი სარედაქციო წერილით იხსნება ჟურნალის პირველი ნომერი. წერილის შინაარსი და ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი პათოსი, განსაკუთრებით კი მომავლისადმი ოპტიმისტური ცქერა, მას საეტაპო მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ სტატიის გადმოტანა, მცირედი შემოკლებით.

„სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო დიდის აღტაცებით მოულოცავს საქართველოს მეღვინე-მევენახეთა და ყველა საქართველოს შვილებს პარიზის კონფერენციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დიადი აქტის აღიარების გამო. თორმეტი იანვარი საქართველოსთვის დიდი ისტორიული დღეა; იგი არის საქართველოს სახელმწიფოს „აღდგომის“ დღე. საუკუნეზედ მეტი თავისუფლების დაკარგულმა მან ხელახლა მოიპოვა საპატიო ალაგი ყველა ერთა შორის.

ამერიკიდან საქართველო მეტის ენერჯით, მეტის ძალღონით და მეტის დაკვირვებით უნდა შეუდგეს შინაურ საქმეების მოწესრიგებას. მეტი უფლება გვავალებს მეტს პასუხისმგებლობას. დაუღალავად მუშაობა გვმართებს, უნდა ვიხმართ ყველა ძალები საქართველოს ეკონომიური

აღორძინებისათვის და განმტკიცებისათვის. საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა სასოფლო მეურნეობაშია და მის აყვავებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ დარგში მევენახეობა წარმოადგენს მთავარ წარმოებას, რომელზედაც დამყარებულია დიდძალი მცხოვრებთა სიმდიდრე და მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო ჰგრძნობს ამ დიად პასუხისმგებლობას, რომელიც მას მიუძღვის ამ სასოფლო მეურნეობის წარმოების მესვეურების მიღებით.

საქართველოს „აღდგომის“ დღიდან მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო გაორვეცებული ენერგიით მიესწრაფება თავის მოვალეობის აღსრულებისკენ. სხვათა შორის მან დაისახა მიზნათ და შეუდგა მეღვინე-მევენახეობის ჟურნალის გამოცემას. ეს ჟურნალი, სახელდობრ „ვაზი და ღვინო“ იბადება ბრწყინვალე საქართველოს „აღდგომის დღეს და მეორე მხრით კი სამწუხაროდ მაშინ, როდესაც საქართველოს მევენახეობა კრიზისს განიცდის. ფილოქსერა და სხვა მრავალი ვაზის სნეულებანი წლითი-წლობით იმსხვერპლენ ვაზს და მოსაუვალს; ვენახის დასამუშავებელი და საწამლავე მასალები, იარაღები და მუშა იმდენად გაძვირდა და საშოვნელად გამწვანდა, რომ მევენახე ვერ გასძლოლია ხარჯს; ამასთანავე ჩვენი ღვინის ბაზარი შევიწროვდა; ეს 2-3 წელიწადია, რაც რუსეთი თითქმის სრულიად მოწყვეტილია საქართველოს და მხოლოდ ბაქო-ბათუმზედ დამყარებულია საშლვარ გარეთ ღვინის გატანა. შინა ბაზარზეც აშერბაიჯანის და ერევნის შედარებით იაფი ღვინო ადვილად უწევს მეტოქეობას საქართველოს ღვინოს. ამ მეტოქეობას, როგორც შინა, აგრეთვე გარეშე ბაზარზედ, აადვილებს არსებული სახელმწიფოებრივი წესები ღვინის გატან-შემოტანისა. ამასთანავე, ხანგრძლივმა ომმა და რევოლუციამ თითქმის სრულიად დაამხო წინანდელი სახელმწიფოებრივი მევენახეთა დამმხარებელი დაწესებულებანი და ზომები და ყველა ეს პირობები განსაკუთრებულ საყურადღებო მომავალს უმზადებენ ისეც დაქვეითებულ საქართველოს მევენახეობას და მეღვინეობას.

ეს გათვალისწინებული მოსაზრებანი საფუძვლად დაედვა სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობის (კონგრესი) მოწვევას შარშან ნოემბერში. საჭირო იყო, რომ საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობაზე გამოცევიულიყო მათი იმავდროული ჭირვარამი და მოთხოვნილებანი.

კონგრესმა ერთხმად აღიარა, რომ მხოლოდ საქართველოს მეღვინე-მევენახეთა გაერთიანებული ძალებით შეიძლება სათანადო ურთიერთი დახმარება, რომ აღძრულ დიდ საკითხებს გაძლოლა და პატრონობა უნდა,

რომ თვით მევენახე-მელვინეთაც მკოდნე მძლოლელი ეჭირვება, რაით მათ მიეწოდოს ყველა მათთვის საყოფადღებო და სასარგებლო ცნობები და ცოდნანი. ამ მიზნით კონგრესმა სცნო საჭიროდ და დააარსა შინადაში არჩეულ პირთა შემადგენლობით სრულიად საქართველოს მელვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო, რომელიც მაშინათვე შეუდგა თავის მიზნის და კონგრესისგან დაეაღებების აღსრულებას. საბჭომ სხვათა შორის სცნო, რომ მისი მოღვაწეობა მით უფრო ნაყოფიერი და მიზანშეწონილი იქნება, რაც იგი უფრო დაუახლოვდება და მუდმივ კავშირს იქონიებს თვით მელვინე-მევენახეებთან.

ამგვარი კავშირი, საბჭოს შრით სავსებით მისაღწევი შეიქნება შხოლოდ სათანადო ჟურნალის გამოცემით და მის მელვინე-მევენახეთა შორის გავრცელებით.

საბჭოს მიერ დაარსებული ჟურნალი „ვაზი და ღვინო“, სხვადასხვა ფინანსური და საორგანიზაციო პირობების გამო, ჭერჭერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, შხოლოდ საბჭო მიესწრაფება, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში იგი გადაიქცეს ყოველკვირულად.

ჟურნალი „ვაზი და ღვინო“ შეეხება საქართველოს მელვინეობისა და მევენახეობის ყველა საკითხს. იგი ისახავს მიზნით, რომ რაც შეიძლება მოკლედ და ადვილად გასაგებ ენაზედ მიაწოდოს ყველა საკითხი მკითხველს და ცნობის ანუ ცოდნის შინაარსი. ჟურნალს ექნება პრაქტიკული ხასიათი. მაგრამ, რომ ჟურნალის მიზანი და მისწრაფება სავსებით იყოს შესრულებული, რომ მისი ძირითადი სურვილი და მოთხოვნილება რათა იქონიონ კავშირი თვით მელვინე-მევენახეებთან, საჭიროა რომ მათ გაუწიონ ჟურნალს ფართო დახმარება. საბჭოს გათვალისწინებული აქვს ის ფინანსური და სხვა მრავალგვარი გაჭირვებანი, რომელიც გაუძნელებენ მას ამ ჟურნალის სათანადო გამოცემებს, მაგრამ იგი მაინც ვერ გადაუხვევს ჟურნალის აუცილებლობის ჭიას და იმედოვნებს, რომ ყველა შეგნებული მელვინე და მევენახე არ მოაკლებს მას მოხსენებულს დახმარებას და განახორციელებს ჟურნალთან და საბჭოსთან იმ კავშირს, რომელშიაც არის მკვიდრი საფუძველი ჟურნალის, საბჭოს და თვით მელვინე-მევენახეთა მიზნის და მისწრაფების ნაყოფიერი შედეგისა“.

ჟურნალმა, მიუხედავად იმისა რომ სულ თერთმეტმა ნომერმა მოასწრო გამოსვლა, ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მისია. არ დაჩინილა საკითხი, რომ ამ გამოცემაში არ განხილულიყო. მარტო ამ საკითხების ჩამოთვლაც კი ბევრის მეტყველია, მივყვეთ თანმიმდევრობით: მევენახეთა და მელვინეთა ყრილობის დადგენილებების გაშუქება; ღვინის უცხოეთში

გატანის საკითხები; ვაზის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია; შხამ-ქიმიკატების შემოტანა; საჭირბოროტო საკითხებზე მთავრობისადმი მიმართვის ტექსტების გაშუქება; ქართულ ლეგიონის თავისებურებანი; მევენახეობის აგროტექნიკის საკითხები; ღვინის მოვლის ტრადიციები და სიახლენი; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული მევენახეთა თათბირების მასალები; ფილოქსერის პრობლემა; სიახლენი უცხოეთიდან; ღვინის ბაზრის ანალიზი; შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების საკითხები მევენახეობასა და მეღვინეობაში; ღვინოზე სააქციზო გადასახადების შესახებ; ცალკეულ რაიონებში მევენახეობის არსებული მდგომარეობა; ღვინის კანონპროექტის განხილვა; ქართული ღვინის ენოქიმიური გამოკვლევის შედეგები; წერილები ადგილებიდან და სხვ.

ქურნალის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ოციანი წლების წამყვანი მევენახეები და მეღვინეები: ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ვ. ი. რცხილაძე, გ. წინამძღვრიშვილი, მ. შალამბერიძე, ს. ჩოლოყაშვილი, ა. აბაშიძე, ვინზე გ. წ. (გვარი ჩვენთვის უცნობია), დ. გედევანიშვილი და პ. მელიქიშვილი. ადგილებიდან კორესპონდენტებს რეგულარულად აჭაენდნენ: ა. ლიონიძე (კონდოლიდან), ა. ქვლივიშვილი (ახალგორიდან), დიმ. აზნაური-კობზანიშვილი (წინანდლიდან), ე. ნაჭყებია (გურჯაანიდან), გორთამაშვილი (წინამძღვრიანთყარიდან), გ. დუმბაძე და ხატისკაცია (ველისციხიდან).

სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო და ქურნალი „ვაზი და ღვინო“, საბედნიეროდ მარტონი არ იყვნენ. 1920 წლის 25 იანვარს, საქართველოს აგრონომიული ელიტის ინიციატივით მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რომელმაც სოფლის მეურნეობის სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, სპეციალური ქურნალის გამოცემის საკითხიც დააყენა. ქურნალი „მეურნე“ (ასეთი სახელწოდებით მეცხრამეტე საუკუნეში, ქართულ ენაზე გაზეთი გამოდიოდა), რომლის პირველი ნომერი, იულონ ლომოურის რედაქტორობით იმავე წელს და იმავე თვეში იქნა გამოცემული, სამწუხაროდ უკანასკნელიც აღმოჩნდა. აი როგორი სიტყვებით იწყება ქურნალის სარედაქციო სტატია: „წარსულმა მსოფლიო ომმა ძირიან ფესვიანად შეცვალა ქვეყნიერების პოლიტიკური და ეკონომიური პირობები. დაიმსხვრა უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათ ნანგრევებიდან როგორც ფენიქსი, აღორძინდა მთელი რიგი განთავისუფლებულ სახელმწიფოებისა და ერებისა. ოთხი წლის მძვინვარე ომმა გადააშენა და ბევრგან სრულიად მოშალა მთელი რიგი წარმოებათა

და განახევრა ტრანსპორტი, რამაც დაბადა დიდი ეკონომიური კრიზისი და ამ კრიზისში ყველაზე საგრძობელი გახადა კაცობრიობისათვის სოფლის მეურნეობის და მისგან შვიდროდ დამოკიდებული სურსათის წარმოები". შემდეგ ი. ლომოური განაგრძობს – „ამ საერთო გაკვირვებაში არც ჩვენი ქვეყანა შეადგენს გამონაკლისს. საქართველო, აი თითქმის ორი წელიწადია, რაც თავისუფალი სუვერენული სახელმწიფოა. მის პოლიტიკურ არსებობის განმტკიცებას სჭირია ეკონომიური გამაგრება და უმისოდ მისი არსებობის კედელი ქვიშაზედ აშენებული იქნება. სოფლის მეურნეობა ყოველთვის შეადგენდა და ეხლაც შეადგენს ჩვენი ქვეყნის, ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობის საფუძველს; ეს უდაო კენჭმარიტებაა.

აბრეშუმში, თამბაქო, მატყლი, ღვინო – საგარეო სავაჭრო საქონელს შეადგენდნენ“ „...მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა დღეს ვერა სდგას შესაფერის საფეხურზედ“. შემდეგ ავტორი იხილავს იმ ცნობილ მიზეზებს, რამაც საქართველოს ეკონომიკა ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა და ანაღონს უკეთებს მომავლის ღონისძიებებს, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში დაწყებულ აგრარულ რეფორმას, და განაგრძობს: „როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აგრარული რეფორმის ეხლანდელმა ეტაპმა იმ მტკიცე რწმენამდე მიიყვანა ყველა მეურნე, რომ მარტო ეს რეფორმა ვერ ააყვავებს სოფლის მეურნეობას, რომ საქირაა მეორე ნაბიჯის დაჩქარება: შეკავშირება ყველა, კულტურულ მეურნეობის და აგრონომიულ ძალებსა, რამაც უნდა უჩვენოს გზა განვითარებისა და მიაწოდოს ცოდნა მიწის მუშათ ინტენსიურ მეურნეობის დამყარება – გავრცელებაში. ამ ძალების შეკავშირება უნდა მოხდეს უშუალოდ სამეურნეო ქურნალის საშუალებით, რომელსაც ერთადერთი და დიადი პროგრამა უნდა ჰქონდეს დასახული: ჩვენი მეურნეობის წინ-სვლის საშუალებათა გამონახვა“. შემდეგ ავტორი სვამს კითხვას, რომელსაც თავად პასუხობს: "შესაძლებელია თუ არა ჩვენი მეურნეობის აყვავება?... აქ ორი აზრი შეუძლებელია, იმისთანა მდიდარი და ბუნებით მრავალფეროვანი ქვეყანა, როგორიც არის ჩვენი სამშობლო, სხვა ბევრი არ მოიპოვება. ჩვენმა ხალხმა ამ რევოლუციის დროს დაამტკიცა თავისი სიმწიფე და მოწინავეობა; კულტურული ძალებიც მოგვეპოვებინან, მხოლოდ მათ უნდათ კავშირი და მათი ძალების მიზანშეწონილი გამოყენება და თუ ამ პირობებში ჩვენ ვერ შევძელით ცხოვრებისგან დასმული მოთხოვნილებათა გაძღოლა, ვერ შევიქმნებით ღირსნი ვერც თავისუფლებისა" (104).

რამდენად სამწუხარო და პარადოქსული უნდა იყოს, რომ საქართველომ ვერც 20-იან წლებში შეინარჩუნა თავისუფლება და ვერც

ამჟამად – 90-იან წლებში იბრძოლა სათანადოდ თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ჟურნალ „მეურნეში“ დაბეჭდეს თავიანთი მოსაზრებები შემფარველ ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორც არიან: ვ. ავალიანი, შ. ზუგდიძე, ტიმოფეევი, გ. რცხილაძე, ი. ჭურდიანი, ი. ლომოური და ვ. რცხილაძე. მათი წერილები საქმისადმი სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უდიდესი პატრიოტული სულისკვეთებით არის გაქმნილი. ჟურნალში გამოქვეყნებული ყველა სტატია ცალკე განხილვის და გამომზეურების ღირსია. ისინი ხომ 70-წლიანი კომუნისტური ბატონობის პერიოდში ტაბუდადებული იყო. მათი არამც თუ გამოქვეყნება, წაკითხვაც კი აკრძალული იყო. მენშევიების (როგორც კომუნისტები ირონიულად უწოდებდნენ დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას) პერიოდში ყველაფერი გაფუჭდა, გავერანდა და განადგურდა, მათ (იმ პერიოდის მთავრობას და ინტელიგენციას) თურმე არცერთი სასიყეთო ნაბიჯი არ გადაუდგამთ და ა. შ. აი ასეთ პროპაგანდას ეწეოდა კომუნისტური რეჟიმი 70 წლის განმავლობაში და არც არის გასაკვირი, რომ ახალი თაობა, რომელიც 30-იანი და 40-იანი წლების შემდეგ წარმოიჩნდა ქვეყნის ობიექტურ – ნამდვილ (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) უახლეს ისტორიას სრულებით არ იცნობდა. ამიტომ ჩვენ გვინდა კიდევ ერთი საეტაპო მნიშვნელობის სტატიის ფრაგმენტები შევთავაზოთ მკითხველს. იგი ეკუთვნის ცნობილ აგრონომს და საზოგადო მოღვაწეს გ. რცხილაძეს.

„ომისა და რევოლუციის პერიოდში მკედრებით აღსდგა დამოუკიდებელი საქართველო. ეს ისეთი მოულოდნელი ბედნიერება იყო ჩვენთვის, იმდენად მოუშაადებელი დაუზღვრით ამ ფაქტს, რომ გასაკვირველი არ არის ის მრავალი შეცდომა, რყევა და გაუგებრობა და უმთავრესად კი გარკვეულ, მტკიცე გეგმის უქონლობა, რაიც ფრიად დამახასიათებელია ჩვენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის.

დღეს უკვე არავისთვის სადავო არ არის, რომ ჩვენ სახელმწიფოს არსებობას თავის თავად ვერ განამტკიცებს, ვერც მთელ ქვეყნიერების გამგებელ უცხო სახელმწიფოთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება და მათთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაბმა, ვერც უაღრესად დემოკრატიულ, საუკეთესო პოლიტიკურ წესწყობილების ჩამოყალიბება შიგნით, ვერც ყოველმხრივ უნაყოფო საკანონმდებლო აქტების გამოცემა, თუ ყველა ამას თან არ ახლავს, თუ ყველა ამას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოს მტკიცე და გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა, ქვეყნის რეალურ პირობებთან და მის ინტერესებთან შეფარდებული.

საქართველო მუდამ სასოფლო მეურნეობის ქვეყანა იყო და იქნება კიდევ და თუ მისი განახლება – აღორძინება რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს, მთელი ჩვენი მომავლის იმედები, მთელი ჩვენი ცუდესყოფი განსაკუთრებით აქეთვე უნდა იყოს მიქცეული. აქეთვე უნდა მივართვი მიმართული, როგორც ცენტრალურ სახელმწიფოებრივი, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ყველა საზოგადოებრივ ძალთა ყურადღება.

რამდენადაც გაბედული იყო რევოლუციის ხანაში ჩვენი ნაბიჯები სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში, იმდენადვე, ან უფრო მეტად, თამამი და მტკიცე, მაგრამ ფრთხილი და დაკვირვებულო, მიზანშეწონილი უნდა იყოს ჩვენი დადებითი, შემოკმედებითი მუშაობა სახელმწიფოს ეკონომიურად აღორძინების სფეროში და ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელის შემწყობ დაწესებულებათა შექმნაში. ამისთვის კი საჭიროა მთელ წარსულ გამოცდილების და ყველა ცოცხალ, მომუშავე ძალების ცოდნა-დაკვირვებათა მეტის სისრულით გამოყენება. საჭიროა საფუძვლიანი გადასინჯვა იმ პრინციპებისა, რომელზეც აგებული იყო დღემდის თუნდაც ჩვენი სასოფლო სამეურნეო განათლება და საცდელი საქმე ან აგრონომიულ დახმარების ორგანიზაცია; საჭიროა ყველა ამის ჩვენ ცხოვრების სინამდვილესთან, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და საღმრთოპრატიულ პრინციპებთან შეთანხმება.

დაუმატეთ ამას ისიც, რომ სასოფლო მეურნეობის დარგში მუშაობის მოსაწყობად საჭიროა გარკვეული გზის აღება, ჩვენი მეურნეობის მომავალ პერსპექტივების გათვალისწინება და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შეფარდება ე. ი. გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება, იმ საზოგადო აზრის ჩამოყალიბება, რომელიც გვიხელმძღვანელებს, როგორც თვითველ დაწესებულების შექმნა – გარდაქმნის დროს, აგრეთვე ამა თუ იმ დარგის მოსაწყობად საზოგადო თუ კერძო გეგმის შემუშავების დროს; მაშინ მით უფრო აშკარა იქნებოდა ყველასათვის ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს, ან უკეთ რომ ვსთქვათ უნდა ჰქონდეს, მომავალ პირველ აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობას ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის.

ასეთი საკითხი უკვე თამამად დაისვა თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციაში. ყველა ის, ვინც სასოფლო-სამეურნეო სინამდვილესთან ახლო იდგა აშკარად გრძნობდა არსებულ დაწესებულებათა შექმნილ პირობების და ხალხის ფართო მასების



ინტერესების მიხედვით გარდაქმნის საჭიროებას, სასურსათო კრიზისი რომელიც ნელ-ნელა უფრო გარკვეულ და მწვავე ფორმებს იღებდა, თავის თავად უფრო ფართო საკითხს აყენებდა ჩვენი სასოფლო მეურნეობის საზოგადო გზის და მიმართულების შესახებ. იმავე ხანებში ჩვენ პოლიტიკურ არსებაში შესაძლებელ გარდაქმნათა სილუეტები იხსნებოდა და ჩვენ საკუთარ ეროვნულ ცხოვრების და ადგილობრივ თვითმმართველობის შექმნის საკითხები თანდათან ოცნების სფეროდან სინამდვილის შესაძლებელ რეალობის ფარგლებში გადმოდიოდა და ყველა ის ვინც ცოცხალ საქმესთან ახლო იდგა, გარკვევით გრძნობდა ახალ ორგანიზაციების შექმნის და ამ ორგანიზაციისათვის შესაფერ სამოქმედო გეგმების, ცხოვრებასთან დაახლოებულ პროგრამების შემუშავების საჭიროებას, და საუკეთესო საშუალებად ყველა ამ საორგანიზაციო საკითხების გამოსარკვევად საქართველოს აგრონომიულ ყრილობის მოწვევა იქნა აღიარებული.

მართლაც და მეტისმეტად ძნელი და რთული საკითხებია განსახილველი, მეტის მეტად ძნელია ყრილობის საკმაოდ ფართო პროგრამის სისრულით ამოწურვა, მაგრამ ამას ჩვენ ვერ გავუქცევით, ეს თვით ცხოვრებამ მოიტანა. 117 წლის მონობის შემდეგ თავისუფალ არსებობის შექმნამ უცებ დაგვიყენა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებსაც დაუყოვნებლივ უნდა გავცეთ პასუხი ავად თუ კარგად.

ჩვენ თავს ვერ მოვიტყუებთ უსაფუძვლო ილუზიებით, რომ ყველა საკითხებს და ისიც საკმარისი სისწორით გამუქებას და გადაწყვეტას მოვახერხებთ. ის რაც წლითი წლობით, გამუდმებულ, დაუღალავ მუშაობით ირყევა, შეუძლებელია საკმარისი სისრულით რამდენიმე დღეში, თუნდ ერთ კვირაში გადაწყდეს. მაგრამ ჩვენ მთელი ძალდონე უნდა შემოვიყრიბოთ და შევეცადნეთ რაც შეიძლება მეტად დაფუძნოვდეთ ამა თუ იმ საკითხის საუკეთესოდ იდეალურად გადაწყვეტას. ამას გვაეალებს ჩვენი საშობლოს სიყვარული, ჩვენი მომავალ თაობათა წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება.

და თუ ჩვენ რაიმე ცოდნა, გამოცდილება და საქმიანობის უნარი გვაბადია, ყველა ეს უკლებლივ უნდა მოვიტანოთ, აქ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების სამსხვერპლოზე მხოლოდ ერთი წრფელი სურვილით – რომ გავაყეთოთ ყველაფერი რასაც კი შევძლებთ.

25 იანვრის ყრილობა ეს ქართველი აგრონომების დღესასწაულია! უფრო კი გამოცდა, ქართულ აგრონომიულ ძალების აღლუმი!

და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს აგრონომიულ დარგში მოღვაწეთა პირველი ყრილობა თავის ისტორიულ მისიას პირნათლად შეასრულებს და ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რამ საქართველოს ცოცხალი, მომქმედი ძალები ყოველ დარგში მოუპოვებს და სხვათა შორის იმ დარგშიაც, რომელიც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ არსებობის, მის ხალხის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი გულწრფელი სალამი საქართველოს პირველ აგრონომიულ ყრილობას!

ვუსურვებთ ბრწყინვალე გამარჯვებას!" (165)

ვეტიკრობთ კომენტარი ზედმეტია.

კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდა...

* * *

1921 წლის თებერვლის ოცდახუთში ყველაფერს წერტილი დაესვა და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით.

რუსის წარი, ამჯერად წითლად შეღებილი, ქართველი პეროსტრატების წინამძღოლობით, საქართველოში შემოიჭრა და ჯერ კიდევ ახალადმოცენებულ თავისუფლებას სიცოცხლე მოუსწრაფა.

ყოველივეს ნგრევა, მოსპობა, რეპრესიები, ყაჩაღობა... სიცრუის ზეობა, აი რა მოგვიტანა ლენინური იდეების ჩვენში გადმოშენობამ.

მევენახეობისა და მეღვინეობისათვის არავის ეცალა...

შემდგომ ე. წ. ნების პერიოდში... ხალხმა და სოფელმა მცირეოდენი შვება იგრძნო, ცოტა მოღონიერდა, მაგრამ დროებით.

შემდგომ კი მასობრივი, ძალდატანებითი კოლექტივიზაცია. კვლავ ყველაფრის განადგურება და სოფელი პარალიზებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მევენახეობისა და მეღვინეობისთვის კვლავ არავის ეცალა.

ცნობილი ოცდახვიდმეტი წელი, მასობრივი რეპრესიები, სოფლის მეურნეობასთან ერთად ინტელექტუალური გენოფონდის განადგურება. (ეს უკვე მეორედ, პირველად ამგვარი „წმენდა“ 1924 წელს მოეწყო.).

შემდეგ მეორე მსოფლიო ომი და ა. შ.

ერთი სიტყვით, სოფელს ამოსუნთქვის საშუალება არ ეძლეოდა. მიუხედავად ამისა ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც რეპრესიებს გადაურჩა, საკუთარი რისკისა და წშირად სიცოცხლის ფასადაც კი გარკვეული ნაბიჯის გადადგმა მოახერხა.

ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯთაგანი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოყოფა. ამ იდეას საფუძველი ჯერ კიდევ 1920 წელს ჩაეყარა, რაზედაც ჟურნალ „მეცნიერული აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტის, შალვა ბუაჩიძის“ შიგრი დაბეჭდილი წერილიდან ვიგებთ: „ამ უკანასკნელ ხანებში საზოგადოებაში ხმა დაირბა, რომ ვითომ სამეურნეო დარგის გამოყოფა უნდათ სახელმწიფო უნივერსიტეტიდანო. სჩანს, რომ განათლების უწყების სათავეში მდგომნი პირნი იმ აზრამდის მისულან, რომ სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შესწავლა უმჯობესია ცალკე სწარმოებდეს და ამისთვის ის უნივერსიტეტს უნდა გამოეყოს.“

ჩვენი აზრი ამ საკითხზე მარტივია: დღევანდელი სამეურნეო ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტისა უნდა გამოეყოს უნივერსიტეტს და დაარსდეს მის მაგივრად სპეციალური სამეურნეო ინსტიტუტი.

3. აღმოსავლეთ კავკასიონი – თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და კახეთის

ქედებით.

დაბლობ ოლქში გამოიყოფა:

1. კოლხეთის დაბლობი;
2. ქართლის ვაკე;
3. კახეთის ვაკე;
4. იმერეთის ვაკე;

სამხრეთ მთიანეთის ოლქში გამოიყოფა:

1. მესხეთ-თრიალეთის ქედების ზონა;
2. ჩაქვი – შავშეთ-არსიანის ზონა;
3. ახალციხის ქვაბული და ჯავახეთის მთიანეთი;
4. კეჩუთის ქედის ზონა.

როგორც მოტანილი კლასიფიკაციიდან ჩანს, ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასია ტიპური მთიანი მხარეა, რომლის ტერიტორიის 75% მთებს, ხოლო 25% დაბლობს უკავია.

რელიეფის ასეთმა აგებულებამ გადაწყვეტი როლი ითამაშა ნიადაგებურ სტრუქტურაზე, კლიმატზე და საბოლოო გამში მცენარეული საფარის წარმოქმნისა და ლოკალიზაციის პროცესზე.

ასეთი რთული რელიეფის მქონე ტერიტორიის მქონე მცენარეული საფარის შესწავლა, მისი გავრცელების ზონალობის გაუთვალისწინებლად ყოვლად წარმოუდგენელია, მითუმეტეს რომ მრავალი კულტურული მცენარის ვერტიკალური და პორიზონტალური საზღვრები ხშირად არ გამოხატავს მათი გავრცელების შესაძლებლობების რეალურ საზღვრებს. ხშირად ერთიდაიგივე სახეობის კულტურული და ველურადმოზარდი მცენარეთა ვერტიკალური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ გეობოტანიკურ კვლევას. მაგ. რაჭა-ლეჩხუმის მთიან ზონაში, ველურად მოზარდი ვაზის გავრცელების ზედა



ზღვარი 950 – 1000 მეტრია, იმ დროს როდესაც კულტურული ვაზის არსებობა 1200 – 1300 მეტრზეა დაფიქსირებული.

პირველი მკვლევარი, რომელიც საქართველოს მცენარეთა ზონალურ გაერთიანებას შეეხო, იყო XVIII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (1696 – 1756). მართალია მისი კაპიტალური შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, წმინდა ბოტანიკურ ნაშრომს არ წარმოადგენს, მაგრამ მასში დეტალურად არის განხილული საქართველოს კულტურული და ველური ფლორის ზონალური განლაგება.

ყურდნობა რა კულტურული მცენარეების სამეურნეო მახასიათებლებს, საქართველოს ტერიტორიას ყოფს რამოდენიმე ზონად:

1. ციტრუსოვანთა ზონა, სადაც გარდა ციტრუსოვნებისა გავრცელებულია მცენარეთა თითქმის ყველა სახეობა;
2. ბრინჯისა და ბამბის ზონები – დასავლეთ საქართველოს ვაკე და აღმოსავლეთ საქართველოს ველები;
3. მებაღეობისა და მევენახეობის ზონა – იგი ყველაზე ვრცელია და უკავია ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი ზ. დ. 1200 – 1300 მეტრ სიმაღლეზე;
4. უბაღო და უვენახო ზონა, სადაც ძირითადად ერთწლიანი მარცვლოვანი მცენარეები ჭარბობს (ხორბალი, ქერი, შერია და სხვ.);
5. ბალახეული მცენარეების ზონა – ძირითადად საძოვრები, რომლებიც უბაღო და უვენახო ზონის ზევითაა განლაგებული.

როგორც დახასიათებული შრომიდან ჩანს, ვენახი გარკვეულ წილად, ტერიტორიის ვერტიკალური ზონალობის ინდიკატორად გვევლინება და როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, საქართველოს ტერიტორიის დაყოფა ორ სამეურნეო – ბოტანიკურ ზონად „მთა“ და „ბარი“ სწორედ რომ მევენახეობის გავრცელებას ყურდნობა (227).

კავკასიისა და ვერძოდ საქართველოს მცენარეული საფარის ზონალური განლაგების საკითხებისადმი მრავალი მეცნიერის შრომაა მიძღვნილი, რომლებშიც სხვადასხვა პრობლემასთან ერთად, გარკვეული დოზით, საქართველოში კულტურული და ველურად მოზარდი ვაზების გავრცელების საზღვრებზეც არის მინიშნებული.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპედიციურმა გამოკვლევებმა უჩვენა, ველურადმოზარდი ვაზი ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება, ზღვის დონიდან 20 – 1000 მეტრის ფარგლებში, განსაკუთრებით ტენით უზრუნველყოფილ ადგილებში. იშვიათად, მაგრამ მაინც, ასეთი ვაზები საკმაოდ მშრალ ადგილებშიც არის

დაფიქსირებული (არაგვის ხეობის ციცაბო ტყეებში, პანჯისის ხეობის ჭისპირა ზოლში, სამცხე – ჭავჭავეთის ტყეებში და სხვ.), თუმცა ზრდის დონე გაცილებით სუსტია.

გავეანალიზეთ რა მოპოვებული მასალები, ფილოგენეტიკური მონაცემების და ვაზების კონცენტრაციის ინტენსიობის საფუძველზე, ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორია დავეყავით ვაზის ფორმათა წარმოქმნის ორ ძირითად კერად: ალაზნის, რომელიც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და მის მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებს მოიცავს და კოლხეთის – მთელი დასავლეთ საქართველო, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით (იხ. სქემა) (სქემა სურ. 47).



სურ. 47

ველური ვაზის გავრცელების ძირითადი კერები საქართველოში.

1. საინგილოს, 2. ალაზან-ივრის, 3. ქვემო ქართლის, 4. შიდა ქართლის, 5. ზემო იმერეთის, 6. რაჭა ლეჩხუმის, 7. შავიზღვისპირეთის, 8. სამცხე-ჭავჭავეთის.

ფორმათა წარმოქმნის ალაზნის კერაში, ველარად მოზარდი ვაზების გავრცელების ინტენსიურობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა კონცენტრაციის შემდეგი ცენტრები:

1. საინგილოს ცენტრი – მდ. ალაზნის ქვემო წელი, ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც აერთიანებს ამჟამინდელი აზერბაიჯანის ბელაქნის, ზაქათალის და კახის ადმინისტრაციულ რაიონებს;

2. ალაზნის – ივრის – ცენტრი:
მდ. ალაზნის ზემო და შუა წელი;

მდ. ივრის შუა და ქვემო წელი.

3. ქვემო ქართლის ცენტრი:

მდ. ქციის (ხრამი) ხეობა;

მდ. ალგეთის ხეობა;

მდ. მაშავერის ხეობა;

მდ. დებედის (ისტორიული პამბაკი) ხეობა.

ცენტრი აერთიანებს შემდეგ ადმინისტრაციულ რაიონებს: დმანისს, თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულისა და ალავერდის (სომხეთი).

4. შიდა ქართლის ცენტრი:

მდ. მტკვრის ვაკისი (შიდა ქართლის ტერიტორია);

მდ. არაგვის ხეობა;

თბილისის საგარეუბნო ზონა;

5. სამცხე – ჯავახეთის ცენტრი

შელის მდ. მტკვრის ზემო წელი და ამჟამად თურქეთის ფარგლებში განლაგებული ქართული ტერიტორიები.

ვაზის ფორმათაწარმოების კოლხეთის კერაში გამოიყოფა:

6. რაჭა – ლეჩხუმის ცენტრი:

მდ. რიონის ზემო წელი (იონისა და ამბროლაურის რაიონებში)

მდ. ცხენისწყლის შუაწელი (ლეჩხუმის ტერიტორია).

7. ზემო იმერეთის ცენტრი:

მდ. ყვირილის, ძირულისა და ჩხერიმელის ხეობების ზედა წელი.

8. შავიზღვისპირეთის ცენტრი:

აფხაზეთის და აჭარის ტერიტორია.

საინგილოს ცენტრი. მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. განლაგებულია მთავარი კავკასიონის ქედის ძირზე, მთისწინა კალთებზე და მდ. ალაზნის ქვემო წელში. აერთიანებს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის ადმინისტრაციულ რაიონებს.

უკავია, რა ალაზნის ველის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი, ცენტრს ჩრდილოეთით კავკასიონი ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ყარასაუ ყოფს განჯისა და ნუხის რაიონებისაგან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდ. ყარათუმნის, სამხრეთ-დასავლეთით მდ. ალაზნის ვრცელი ველის ფერდობების მემკვიდრით საქართველოსგან არის გამოყოფილი.

ცენტრის მთელი აღმოსავლეთი მხარე მთის მასივებით არის დაფარული. დასავლეთ ნაწილი, რომელიც მდ. ალაზნის გასწვრივ არის განლაგებული უაღრესად ნაყოფიერ ვაკისს წარმოადგენს, რომელიც ვრცელი სტეპით მთავრდება.

ალაზნის ველისკენ დახრილი მთავარი კავკასიონის ველებო ფერდობები, უამრავ ხრამს, წყაროსა და მდინარეს წარმოშობს, რომლებიც მდ. ალაზნის უერთდებიან. მათგან გამოირჩევა: მდ. მანაში, მდ. მუხრან და ქურმუხი, რომლებიც დაბლობ ნაწილში ჭაობებსა და ბუნებრივ წყალსაცავებს ქმნიან.

კლიმატური და ნიადაგური პირობების საოცარი შეთანაწყობა, ცენტრს კავკასიის ერთერთ ყველაზე ნაყოფიერ მხარეთა რიგში აყენებს.

ცენტრის ნიადაგები მრავალფეროვანია, კავკასიონის ქვედა ფერდობებზე მურა, მთის ტყის, ხოლო დაბლობში, ალაზნის ხეობის ფარგლებში, ნაცრისფერი, ნაყლებად კარბონატული ბარის ტყის ნიადაგებია გავრცელებული.

კლიმატი ზომიერად ტენიანია, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით, რაც კავკასიონის მთავარი ქედის და მისი განშტოებით, ცივი ქარებისაგან დაცვის შედეგია. ტემპერატურა, ამიერკავკასიის სხვა რაიონებთან შედარებით, საკმაოდ მდგრადია და ნაყლები გარდატეხით გამოირჩევა. ზოგჯერ საკმაოდ ცივ ზამთარს გაზაფხულის წაყინვებიც ან ცივ, წვიმიან დღეებს ნათელი და ცხელი დღეები მოსდევს. საშუალო წლიური ტემპერატურა $12 - 13^{\circ}$, ყველაზე ცივი თვის (იანვარი) მინუს $0,5 - 1,4^{\circ}$ შორის, ხოლო ყველაზე თბილი (ივლისი) თვისა $+23,6 - 24,4^{\circ}$ შორის მერყეობს. საშუალო დღეღამური ტემპერატურა 10° -ზე ზევით დგება $3 - 13$ აპრილს, ხოლო 10° ზევით დღეების რაოდენობა $292 - 216$ შორის მერყეობს. პაერის საშუალო მინიმალური ტემპერატურა იანვრის თვეში $2,7 - 2,1$, ივლისში კი $18,3 - 19^{\circ}$ ის ფარგლებშია. ცენტრის ძირითადი ნაწილის ტემპერატურათა მინიმუმი $- 23 - 21^{\circ}$, ხოლო აბსოლუტურ მინიმუმთა საშუალო ტემპერატურა $- 12 - 10^{\circ}$ ფარგლებშია. პაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა $37 - 38^{\circ}$ ის, ხოლო აბსოლუტური მაქსიმალური საშუალო მაჩვენებელი $34 - 35^{\circ}$ ფარგლებშია. უყინვო დღეების რაოდენობა $232 - 248$ დღეს უდრის. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10° ზევით, ზღვის დონიდან $100 - 600$ მ. სიმაღლეზე, $3000 - 3800^{\circ}$. საშუალო წლიური ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ცენტრის უმეტეს ნაწილში, 1000 მმ ფარგლებშია.

საინგილოს ვრცელ ტყეებში, ამიერკავკასიის ფლორის თითქმის ყველა წარმომადგენელი თავმოყრილი, რომელთა დიდი ნაწილი ვაზს საყრდენად აქვს გამოყენებული. მათგან აღსანიშნავია: წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, მურყანი, თეთრი აპყი, კევის ხე, ალვისხე, წაბლი, მუხა, თელა. ხეხილოვანი



მცენარეებიდან: კავკასიური ხურმა, ლეღვი, მსხალი, პანტა, შავალი, ბროწეული, კუნელი, ბალი, ბალაშწარა, თხილი, თუთა და ამ მცენარეების მულდმივი თანამგზავრი ეკალიძი (ეკალა). ცენტრის მთელ ტერიტორიაზე გადაჭიმულია ხელოვნურად გაშენებული კაკლის უნიკალური ხეივანი.

ცენტრის ტერიტორიაზე, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატის თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო მცენარის კულტივირებაა შესაძლებელი.

ისტორიულად, საინგილოში, მევენახეობა აყვავებული ყოფილა, მაგრამ ისლამის გავრცელების შემდეგ ვენახების, განსაკუთრებით კი საღვინე ვაზის ჭიშების ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. ზოგიერთ კუთხეში, ქრისტიანობის აღდგენის შემდეგ, მევენახეობა კვლავ განვითარდა, მაგრამ უწინდელ დონემდე მაინც ვერ ავიდა.

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის, საინგილოს ბაღები და ვენახები საშუალო მემამულეთა ხელში იყო. მთისწინა ზოლიც, ბაღებს ძირითადად მცირე ფართობები ეკავა, ხოლო ქვევით, ალაშნის ველის მთელ ტერიტორიაზე, თითქმის ყველა სოფელში, საკმაოდ მოზრდილი მამულები იყო, სადაც ვაშლთან, მსხალთან, ლეღვთან და სხვა ხეხილთან ვაზიც მრავლად იყო, მაგრამ მას მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ ქ. ზაქათალის მიდამოებში და კახის რაიონში, სადაც ქრისტიანი ქართველები სახლობდნენ, მეტნაკლებად იყო შენარჩუნებული მევენახეობა და მეღვინეობა. აღნიშნულ პერიოდში, ცენტრის ვენახებში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო: რქაწითელი, კახური მწვანე, ბუდეშური და საფერავი საინგილოს მრავალრიცხოვან აბორიგენულ და ინტროდუცირებულ ჭიშთა შორის, ზემოთ დასახელებულ ჭიშებს, ამჟამადაც წამყვანი ადგილი უკავიათ. სამწუხაროდ აგროტექნიკა ძალიან დაბალ დონეზეა. წმირად ვენახები ყოველგვარი მოვლის გარეშეა მიტოვებული.

ექსპედიციური გამოკვლევა ჩატარდა შემდეგი მარშრუტით: ბელაქნის რაიონში – ბელაქანი, კატეხი, ყარაგიელი, იზუნთლა, ქერთალა, იტითალა, კოლმეურნეობა „აბატი“ და მარგამენტი. ზაქათალის რაიონში: ეთერზეთის მეურნეობა, ციბილჩაი, დანაჩი, ჩარდახი, უზუნყაბამადრი, მულანლო, მამბამი, ალამეშური, ალიბეგლო, ქოთოკლო და ნასოფლარი „აზნაურები“. ნუხის რაიონში – კუხა და გონაჩი, ბალანჯუგი, გაინუკი.

ამჟამად ვაზის ნარგაობის ძირითადი ტიპი, გარდა ინგილოებით დასახლებული სოფლებისა, მაღლარია (სურ. 48). ვენახები თითქმის ყველგანაა: ვიხსპირებზე, ხეობებში, ტყეში, სადაც ყოველგვარი მოვლის გარეშეა მიტოვებული, მაგრამ ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო უზარმაზარ ზომებს აღწევენ. ერთი ლიანის სიგრძე, წმირად 25 – 30 მ.



სურ. 48

ტყეში მოხარდი ვაზის შტაბში, საინგილო.

აქარბებს და თუ შესაფერისი ამინდი დაუდგათ, უზვადაც მსხმოიარობენ. მალღარებიდან მიღებულ ყურძენს, ინგილოების გარდა, ყურძნად (საქმელად) იყენებენ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ყველამ ღვინის დაყენება დაიწყო. როგორც ავღნიშნეთ, ცენტრის მთელ ტერიტორიაზე ცნობილი ქართული ვაზის ჯიშებია გავრცელებული, მაგრამ დიდი რაოდენობითაა აგრეთვე მალღარებზე, ხეივანებზე და ოლიხნარზე ფორმირებული, აღმოსავლური წარმოშობის საქიშმიშე ჯიშებიც. ზოგიერთ ადგილებში დიდი რაოდენობით გვხვდება იზაბელას მალღარები (ყარაგიოლი, უზუნთალა, კერთალა, იტითალა), სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა ჯიშების სახელწოდებებში თითქმის ვერ ერკვევა და მათ მხოლოდ მარცვლის ფერით (წითელი, თეთრი) ანსხვავებენ.

როგორც ექსპედიციებმა გამოავლინა, საინგილოს ცენტრში გვხვდება ევრაზიული ვაზის (*V. Vinifera*) ყველა წარმომადგენელი – ტიპური ველური ვაზი *ssp. silvestris* Gmel შუალედური ქვესახეობა – *ssp. silvestris* Ram და კულტურული ქვესახეობის *ssp. Sativa* D. c გავრცელებული ფორმები. ვაზების სიმრავლისა და ნაირსახეობების მიხედვით, ცენტრში გამოვლინებულ იქნა მცენარეთა კონცენტრაციის რამოდენიმე ადგილსამყოფელი მაგ. ბელაქნის რაიონში, სოფ. კატეხი და ბელოკა;



ზაქათალის მიდამოებში სოფლები: დინაჩი, ეთერზეთების მეურნეობის ტერიტორია და ალიბადი; კახის რაიონში, სოფლები: მუშაბაში, ალიბეგლო და ახნაურები, აგრეთვე მუშობელი ნუხის რაიონის სოფელი გოინი.

უამრავი ველურად მოზარდი ვაზის ლიანიდან ინვენტარირებული იქნა 104 ფორმა. მათგან, უმრავლესობა, ნამყენების სახით გამოავლებული, დარგული იქნა საცდელ-საკოლექციო ნაკვეთებზე, სადაც ყველა მათგანი სრული ამპელოგრაფიული სქემით იქნა შესწავლილი.

პერბარიუმის მასალისა და გავრცელების ადგილზე, ცოცხალ მცენარეებზე ჩატარებულმა ანალიზმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ფილოგენეზში, ცენტრის ფორმათა წარმოქმნის პროცესზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რელიგიურმა შეხედულებებმა, კერძოდ კი ისლამიზმმა. სწორედ ამის შედეგია, რომ გაველურებული კულტურული სახეობის ვაზების უმრავლესობა საღვინე მიმართულებისაა, ხოლო მოსახლეობის ბალვენახებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე სასუფრე ჯიშები ჭიარობს. გამოვლინდა აგრეთვე ვაზის შებუსულფოთლიანი ფორმების დომინირება (ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ვაზის ენდემურობის ერთერთი ძირითადი ნიშანი). მაგ. ტიპური ველური ვაზი (*ssp. silvestris* Gmel) აბსოლუტური უმრავლესობა და გაველურებული კულტურული ქვესახეობის (*ssp. silvestris* Ram) საკმაოდ დიდი ნაწილი, ძლიერ ან საშუალოდ შებუსულფოთლიანია. კულტურული ქვესახეობის შიშველფოთლიანი ეგზემპლარებიდან თითქმის ყველა აღმოსავლური წარმოშობისაა და ისინი ისლამის გავრცელების შემდეგ იქნა შემოტანილი ირანის, თურქეთის თუ შუაზიის ქვეყნებიდან (განსაკუთრებით საქინშიმე ჯიშები). აღმოსავლური ელემენტის ასეთი შემოჭრა ალაზნის სხვა ცენტრებშიც და კოლხეთის კრის აფხაზეთისა და აჭარის ზონაშიც შეიმჩნევა. მიუხედავად ამ პროცესის ხანგრძლივობისა (იგი, საერთო ჯამში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა) ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ვაზის გენოფონდმა მაინც შეინარჩუნა საწყისი ბოტანიკური ნიშნები, კერძოდ ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარის სხვადასხვა ინტენსიობით შებუსევა, ყვავილის ტიპი და სამეურნეო ნიშნები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საღვინე მიმართულებისაა. მაგ. მიკვლეული ველურად მოზარდი ფორმირებიდან 78% შებუსულფოთლიანია, ხოლო 22% მღე შეუბუსავები ანუ გლუვფოთლიანებია. ასეთი ჯიშების საქართველოში შემოსვლის გზებზე, ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ალაზან-ივრის ცენტრი. განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოს

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მოთავსებულია მთავარი კავკასიონის, ქართლის, ცივგომბორისა და ივრის მთებს შორის აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება პერბაიჯანი, შორკეთი, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და ლაგოდეხის ადმინისტრაციულ რაიონებს.

ალაზან-ივრის ცენტრი, მვენახეობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ აქ არის განლაგებული საქართველოს ვენახების ძირითადი (50% ზე მეტი) ნაწილი 1985 წლის მდგომარეობით).

ცენტრისთვის დამახასიათებელია საკმაოდ მრავალფეროვანი ნიადაგები. ძირითადად გავრცელებულია: ალუვიური, ნემომპალა კარბონატული, ტყის ყავისფერი, მდელოს არაკარბონატული და რუხი ნიადაგები (162).

კლიმატი ზომიერად ტენიანია, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. საშუალო – წლიური ტემპერატურა – 11 – 13°, ყველაზე ცივი თვისა (იანვარი) – 0,1 – 1 გრადუსის ფარგლებშია, ხოლო ყველაზე თბილი თვისა (აგვისტო) – 22 – 24° შორის მერყეობს. ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზევით, იანვარში, ტემპერატურა – 1,5°-ზე დაბლა ეცემა, ხოლო ივლის-აგვისტოში 21,7°-მდე აღის. ჰაერის საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა 10 – 12° ის ფარგლებშია. აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა, ტერიტორიის მიხედვით, 33 – 38° შორის მერყეობს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10°-ზე ზევით 4300 – 3400° (51°, 178°).

საშუალო-წლიური ნალექები, ცენტრის უმეტეს ნაწილში 600 – 800 მმ-ის ფარგლებშია, ლაგოდეხისა და ყვარლის ზონაში – 1000 მმ, ხოლო საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში – 500 მმ ცივგომბორისა და მთავარი კავკასიონის ტყიან ფერდობებზე მრავალი მდინარე, ხევი თუ წყარო მოედინება, რაც ველურად მოზარდ ვაზებს ხელსაყრელ პირობებს უქმნის.

ველურად მოზარდი ვაზის თანმშლემი ფიტოცენოზი საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადი ტყის მცენარეებია: წიფელი, მუხა, კავკასიური აკაკი, იფანი, ნეკერჩხალი, მურყანი. მცირე ზომის მცენარეებიდან: მსხალი, პანტა, მაქალო, ტყემალი, ჯაგრცხილა, კვრინხი, კუნელი, რომლებიც ერთმანეთში კატაბარდის, მაყვლის, ეკალიჯის ლიანებით არიან გადახლართული და ტყეს, ხშირად გაუვალს ხდიან. დასახელებული მცენარეებიდან ვაზი, ძირითადად მცირე ზომის ხეებზე გვხვდება, მაგრამ ხშირად უზარმაზარ მუხებსა და წიფლებსაც იყენებს საყრდენად.

ადგილობრივი, უხუცესი გლეხების გადმოცემით, სოკოვანი დაავადებებისა და ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ, ველურადმოზარდი ვაზების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მცენებლის დაცვირვებით, ფორმათაწარმოქმნის პროცესი მაინც გრძელდება, რაზეც წყაროებისა და მცირე წყალსატევების ახლომახლო აღმოცენებული თესლნერგებიც მეტყველებს.

ექსპედიციების შედეგად, ცენტრში ველურადმოზარდი ვაზის ყველა წარმომადგენელი გამოვლინდა, კერძოდ: ტიპური ველური ვაზები (*ssp. silvestris* Gmel), შუალედური – *ssp. silvestris* Ram. და გაველურებული კულტურული ქვესახეობა – .

ისტორიულად, კახეთის ტერიტორიაზე ხშირი იყო გარეშე მტრების შემოსევები, რის შედეგადაც არა მარტო დასახლებული პუნქტები, არამედ კულტურული მცენარეებიც ნადგურდებოდა. დროთა განმავლობაში, განადგურებულ ადგილებს ტყე იყავებდა და ვაზი უკვე გაველურებული, თვითშენარჩუნების მიზნით საყრდენს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ტყეში პოულობდა. გარკვეული ხნის შემდეგ, ამავე ადგილზე კვლავ დასახლებული პუნქტები ჩნდებოდა, ადამიანს ვაზი ისევ ტყიდან გამოჰქონდა და როგორც მოხდენილად შენიშნავს ნ. კეცხოველი, ხდებოდა კულტურის მეორადი მოშინაურება (84). ეს უკანასკნელი მოვლენა, ალბან-ივრის ცენტრში დღესაც შეიმჩნევა, განსაკუთრებით ქ. საგარეჯოს (მდ. ივრის შუაწელი) დედოფლისწყაროს (მდ. ალანის ქვემო წელი) და ლაგოდების რაიონის მიდამოებში.

ბუნებრივადმოზარდი ვაზების გავრცელების ინტენსივობით ცენტრში ოთხი ზონა გამოიყვითა: მდ. ალანის ზემო წლებში – პანკის – ილტოს; შუა წელში – ყვარელ – ლაგოდების, ქვემო წელში – ზილხის, ხოლო მდ. ივრის ხეობაში – საგარეჯოს ზონა.

პანკის-ილტოს ხეობაში გამოკვლეული იქნა შემდეგი სოფლები: ნაფარეული, სანიორე, ფშაველი, ლალისყური, ქვემო ალვანი, ზემო ალვანი, ახმეტა. მატაანი, უწართა, დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ბაწარა, კვეტერა, და შახვეტილა. მარმრუტის ტერიტორიაზე უხვადაა ისტორიული ძეგლები, მარნები, საწნახელი თიხის საღვინე ქურქლებით – ქვევრებით, – საღვინეებითა და სხვადასხვა ზომის სასმისებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მაღალ მთაზე, უღრან ტყეში განლაგებული VIII – XI სს ძეგლები – კვეტერის ციხე – ნაქალაქარი. ციხექალაქის ირგვლივ, ჭებისა და ბილიყების გასწვრივ, მრავლად გვხვდება ველური ვაზის (*ssp. silvestris* Gmel.) ლიანები. ანალოგიური სურათია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც.

ყვარელ-ლაგოდების ზონაში გამოკვლეული იქნა სოფლები: ყვარელი, გავაში, ახალსოფელი, მთისძირი, ცოდნისყარი, ყარაუბანი, აფენი, კაბალი, ბაისუბანი, შრომა, ლაგოდების ნაკრძალი, ლაგოდებ-წნორის მისაღობი, ალაზნის სანაპირო ზოლი. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა ლაგოდების მიდამოები, სადაც იმდენი ველურად მოზარდი ვაზია, რომ ყველას აღრიცხვა ვერც კი მოხერხდა. აღნიშნული იქნა მხოლოდ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ეგზემპლარები.

ივრის ხეობაში ველურადმოზარდი ვაზები საგარეგოს მიდამოებში, განსაკუთრებით კი სოფ. თოხლიაურის, მანავის და ცივგომბორის ქედის ქვედა იარუსის ფისპირებზეა შემორჩენილი. მათი უმრავლესობა ტიპურ ველურ ქვესახეობას – *ssp. silvestris* Gmel. მიეკუთვნება.

ზილჩის ზონას, ალაზან – ივრის ცენტრის ყველაზე ვრცელი ტერიტორია უკავია. იგი, ძირითადად მდ. ალაზნის ქვედა წელში, ძირითადად დედოფლისწყაროს რაიონის ფარგლებში მდებარეობს და შირაქ – ტარბანას ველების უშუალო გაგრძელებაა. ზონა მსგავსი კლიმატური და ოროგრაფიული მონაცემებით ხასიათდება. სამხრეთით ვაშლოვანის ნაკრძალი ესაზღვრება, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით, აზერბაიჯანისაგან მდინარე ალაზნით არის გამოყოფილი.

ზონაში გამოკვლეული იქნა სოფლები და ადგილები: მალარო, ზემო ბოდბე, ქვემო ბოდბე, დედოფლისწყარო, ჭაფარიძე, ზემოქედი, არხილოსყალო, ქვემოქედი, შირაქისა და ზილჩის ველები. მიუხედავად იმისა, რომ ზონა ნახევრადუდაბნოს კლიმატითა და ლანდშაფტით ხასიათდება, იგი ცენტრში ერთერთი საინტერესო აღმოჩნდა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ აქ ძირითადად გავრცელებულია ველურად მოზარდი ვაზების მდედრობითი და მამრობითი ფორმები. მდედრობითი ეგზემპლარები 3 – 5 ლიანისაგან შემდგარ ჭვუფებად არიან გაბნეული (სურ. 61. 1%), ხოლო მათ სიახლოვეს, ან საკმაოდ მოშორებით მამრობითი ფორმებია (22, 2%). ორსქესიანი ვაზები გვხვდება იშვიათად და ისიც ადამიანებისაგან მიტოვებულ ადგილებში (16,7%).

ზილჩის ცენტრში, ვაზის ფორმათა წარმოქმნის პროცესში, ძირითადად ველური (*ssp. silvestris* Gmel) და შუალედური ქვესახეობის (*ssp. silvestris* Ram) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. არ არის გამორიცხული კულტურული ქვესახეობის (*ssp. Sativa* D. C.) მონაწილეობაც, მაგრამ ისინი მცირე რაოდენობითაა და მთელ ტერიტორიაზე, მცირე ოაზისების მახლობლად გვხვდება.

ზონის მეტად მშრალ კლიმატურ პირობებში ბუნებრივადმზარდი ვაზების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც აქ ტყიანი და ხეხილოვან მცენარეებით დაფარული ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო, სადაც ბუნებრივად ვაზსაც საპატო ადგილი ეკავა.

ქვემო ქართლისა და დებედის ცენტრი. მდებარეობს მდ: მტკვრის, ქციის, ალგეთის, მაშავრის და დებედის ხეობებში. ჩრდ. აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით ესაზღვრება იალღუჯის მაღლობი, დასავლეთით – ჭავჭავეთის ანუ კეჩუთის ველი, სამხრეთით – სომხეთის ქედი და ჩრდილოეთით – თრიალეთისა და ბედენის მთები, რომელთა მწვერვალები ზღვ. დ. 2500 – 3000 მ-მდე აღწევენ (108°). ადმინისტრაციულად აერთიანებს: ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, დმანისის და ალავერდის (ამჟამად სომხეთშია) რაიონებს.

ცენტრის ქვედა ნაწილში გავრცელებულია მდელოს – წაბლისფერი, ცენტრალურ ნაწილში – წაბლისფერი და შავმიწა, ხოლო ზედა ნაწილში – ტყის რუხი და ყავისფერი ნიადაგები.

მდინარეთა ხეობების ქვემო წელში, ზღვ. დონიდან 500 მ სიმაღლეზე, მშრალი სუბტროპიკული კლიმატია, ზომიერად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ზ.დ. სიმაღლის მატებასთან ერთად, მშრალი სუბტროპიკული კლიმატი ზომიერ ტენიან სუბტროპიკულში გადადის.

ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული – ხანგრძლივი და თბილი. საშუალო-წლიური ტემპერატურა, ცენტრის უდიდეს ნაწილში $10 - 12^{\circ}$ ფარგლებშია. ზ.დ. 1000 მეტრზე ზევით ეცემა 10° ზე დაბლა. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0° ზე ქვევითაა, ხოლო ივლისის – $20 - 24^{\circ}$ შორის მერყეობს. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა $13 - 14^{\circ}$ ფარგლებშია, აბსოლუტური მინიმუმი ზოგჯერ $24 - 25^{\circ}$ მდე ეცემა. აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 36° , ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი $35 - 40^{\circ}$. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10° ზე ზევით, 300 – 1000 მ სიმაღლეზე $3870 - 3000^{\circ}$ ის ფარგლებშია. წლიური ნალექების რაოდენობა 440 – 700 მმ. (51° , 178°).

ცენტრისთვის დამახასიათებელია ტიპური კავკასიური ფიტოცენოზი – მუხნარები, წიფლნარი, ველური ხეხილი, პანტა, მაყალო, ბალი, მუშმულა, კრინჩხი. თხელ ტყეებში გვხვდება: ძეძვი, ხოლო ძველ ნამოსახლარებზე ხშირია 300 – 500 წლიანი მუხები. 800 მ სიმაღლეზე დომინირებს ნეკერჩხალი, იფანი, თელა და სხვ.

ველურადმზარდი ფორმების მრავალფეროვნებით, დასახელებული ცენტრი ყველაზე საინტერესოა მთელს ამიერკავკასიაში. გენეტიკურად იგი

ალაზანიერის და საინგილოს ცენტრებს ენათესავენ. იაქუსიანობის მიხედვით იყოფა სამ ზონად: 1. ქვედა – ზ. დ. 300 – 400 მ (მარნეულისა და გარდაბნის რაიონები); 2. შუა – ზ. დ. 650 – 800 მ (თეთრიწყაროს, ალავერდისა და ბოლნისის რაიონები) და ზედა – ზ. დ. 800 – 1350 მ.) თეთრიწყაროსა და დმანისის რაიონები.



სურ. 49

გარეული ვაზის შტამბი, ბოლნისის რაიონი.

ამჟამად, მევენახეობას სამრეწველო მნიშვნელობა შუა და ნაწილობრივ ქვედა ზონაში აქვს, სადაც საკმაოდ მაღალხარისხოვან ყურძენს იღებენ. ძველად კი დარგი მაღალ ზონაშიც ყოფილა განვითარებული, რაზედაც უამრავი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალაც მეტყველებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მდინარეების: ქციის, ალგეთის, მამაერის და დებედის მიდამოები, სადაც გაუვალ ტყეებში მუხის, ნეკერჩხლის და რცხილის ხეებზე უზარმაზარი ვაზის ლიანებია გადახლართული. სურ. 49 ზოგიერთი მათგანის შტამბის დიამეტრი 50 – 90 სმ აღწევს. ამავე ადგილებში ძველ ნასახლარებზე ხშირია ისტორიული ძეგლები, ქვევრები და სხვ. რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ მხარეში მევენახეობის განვითარების დონეზე. მატერიალური კულტურის ეს ძეგლები მიეკუთვნებიან იქნა: წრაუთის, სამღერეთის, სამშვილდის, პირღებულის, ფიტარეთის, ფოლადაურის,

გომარეთის და სხვ. სოფლების მახლობელ ტყეებში. მდ. ქციის ხეობაში ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა: კორა, დაღეთი, უკანა დაღეთი, სამშვილდე, ახალშენი, სამღერეთი, ფიტარეთი, კლდისი, ხორხები; მდ. ალგეთის ხეობაში მარაბდა, ღურნუკი, ჩხივი, ფარცხისი, ჩხივთა, ტბისი, ენაგეთი, აბელა, სამება, ბირტისი, გორისთავი, გუდარები; მდ. მამავრის ხეობაში: საკინეთი, ხატისსოფელი, მუხრანი, სატრედო, ბოლნისი, სამწვერისი, კალისციხე, ბოგაძორო, ვერკეთილი, კორანთა, რატევანი, ფოლადაური, ქვენი, ისპანი, კარეთი, კვირაცხოველი, აბულიანი, გომარეთი და ტნუისი; მდ. დებედი ხეობაში – ახტალა, ნოგეცი, აირუმი და სადახლო, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახტალის მიდამოები.

ქვემო ქართლისა და დებედის ცენტრში, ექსპედიციების შედეგად მიკვლეული იქნა 1000 ზე მეტი ვაზის ლიანა, რომლებიც თითქმის ყველა სახეობის ტყის მცენარეება შემოხვეული. განსაკუთრებით ძლიერი ზრდის ვაზები გვხვდება საუკუნოვან მუხებზე, აგრეთვე თელაზე, იფანზე, გარეულ ბალზე, მაქალოსა და სხვა მცენარეებზე.

ველურად მოხარდი ვაზის იარუსობრივი ზედა ზღვარი, ქციის ხეობაში, ზ.დ. 1200 მეტრზე, სოფ. ფიტარეთისა და კლდისში მდებარეობს, ხოლო მამავრის ხეობაში – ზ.დ. 1200 მ (ს. დმანისი). საყურადღებოა, რომ ყველა ვაზი რომელიც ზ.დ. 1000 მეტრზე ზევით იქნა მიკვლეული, გავლურებულ *V. silvestris Sativa* მიეკუთვნება, რაც შეეხება ტიპიურ ველურ ვაზს – *ssp. silvestris Gmel*, ძირითადად ზ.დ. 500 – 800 მ არ სცილდებიან (სურ. 50).



სურ. 50

გარეული ვაზის შტაბში, ქვემო ქართლის ბამბაკის კრა. სოფ. ასურეთი.

ყურძნის სიმწიფის პერიოდში, უძველესი ეკლესიებისა და ნამოსახლარების მიდამოებში, გამოვლინებული იქნა ისეთი ცნობილი ჯიშები როგორცაა: რქაწითელი, საფერავი, თავკვერი, ბუერა, ასურეთისა და სხვ. მათი ბოტანიკური ნიშნები, მიუხედავად მრავალნაწიქუნოვანი დისკომფორტისა თითქმის უცვლელი იყო, მხოლოდ ფოთლის, მტევნისა და მარცვლის ზომები იყო შემცირებული.

მდ. ქციის ხეობაში, სოფ. ფიტარეთის, საშვილდის და პირღებულის XV – XVI სს ნასახლარებზე დიდი რაოდენობით იქნა მიკვლეული ძველი ქვევრები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. ფოლადაურის მიდამოები, სადაც ტერიტორიაზე, რომელსაც „ნავენახები“ ეწოდება, არქეოლოგების მიერ გათხრილი იყო უძველესი მარანი, რომლის კედლებიც საუკუნოვანი მუხის ფესვების მიერ თითქმის დანგრეული იყო. სწორედ ამ მუხებზე იქნა ნაპოვნი უზარმაზარი ვაზის ლიანები, რომელთაგან ერთერთის შტამბის დიამეტრი ქვედა ნაწილში ერთ მეტრს აღწევდა.

ექსპედიციები, როგორც აღვნიშნეთ, ვაზის ყვავილობისა და ყურძნის სიმწიფის პერიოდებში ტარდებოდა. ბიოლოგიურად ამ უმნიშვნელოვანესი მომენტების დაფიქსირება საკმაოდ გართულებული იყო სიმაღლეთა მკვეთრი ვერტიკალური სხვაობის გამო. მაგ. თუ ბარში (ზ. დ. 300 – 400 მ) ვაზი უკვე ყვავილობდა, მთაში (ზ.დ. 800 – 1000 მ) ყვავილობა დაწყებული არ იყო. მსგავსი სიტუაცია იყო ყურძნის სიმწიფის მხრივაც, ამიტომ ზოგჯერ მარცვლის ფერს ადგილობრივი მეტყვევებისა და მოსახლეობის გადმოცემით ვაფიქსირებდით. ყოველივე ამის გამო ბოტანიკური ნიშნების სრულყოფილი შესწავლა მხოლოდ მცენარეთა გარკვეულ ნაწილზე (100 მდე ფორმა) მოხერხდა. ცენტრის ველურადმოზარდი გენოფონდის მნიშვნელოვან ნაწილს (43%), ფუექციონალურად მდებარეობით და მამრობითი (36%) სქესის მქონე ყვავილები ახასიათებს. რაც შეეხება პერმაფროდიტულ ფორმებს, რომლებიც ძირითადად გავლურებულ *V. silvestris Sativa* მიეკუთვნებიან, 21% შეადგინა. გავლურებული ვაზის ასეთი დიდი პროცენტი ამიერკავკასიის არცერთ ცენტრში არ გვხვდება, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ქვემო ქართლში, ისტორიულად არასტაბილურ ვითარებაზე. სწორედ აქ გვხვდება ყველაზე დიდი რაოდენობით ამ ვითარების დამადასტურებელი ისეთი ტოპონიმები, როგორცაა „ნაბაღები“, „ნავენახარი“, „ნამარნალი“ და სხვ.

ფოთლის ფირფიტის შებუსის ინტენსიობის მხრივ საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა. ვაზების 70% ზე მეტი შებუსულფოთლიანი (38% – სუსტად, 16% – საშუალოდ და 16%



ძლიერად), ხოლო 30% გლუვფოთლიანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შებუსულფოთლიანების უმრავლესობა ველურ ვაზს, საკმაოდ ხშირად რაოდენობა შეაღებულს *ssp. silvestris* Ram, ხოლო გლუვფოთლიანების უმრავლესობა გაველურებულ ვაზს მიეკუთვნება. საინტერესო სურათს იძლევა ფოთლის პარამეტრული მაჩვენებლები. თუ 10 სმ-მდე სიგრძის ფოთოლს მცირე ზომისად ჩავთვლით; 10-16 სმ - საშუალოდ 16 სმ-ზე ზევით დიდად, მივიღებთ საშუალო და წვრილფოთლიანების ამკარა დომინანტურ მდგომარეობას - 92% (76+16) დიდფოთლიანების (8%) მიმართ, რაც საესებით კანონზომიერად მიგვაჩნია.

ექსპედიციური და სტაციონალური კვლევის საფუძველზე, ცენტრში გამოვლინდა ველურადმოზარდი ვაზების 4 ჯგუფი: 1. ტიპური ველური ვაზი - *ssp. silvestris* Gmel; 2. გაგარეულებული კულტურული ვაზი *V. silvestris* 3. ველურადმოზარდი ვაზები, რომლებიც წარმოიშვა წიპწების ბუნებრივი მოთესვის გზით და 4. ველურადმოზარდი ვაზი წარმოშობილი ტიპური ველური ვაზისა და გაგარეულებული ვაზის ბუნებრივი პიბრიდიზაციის გზით. პირველი ჯგუფის ვაზები უპირატესად ტყეში, ტყისპირებში და ჭა-ბილიცების გასწვრივია გავრცელებული; მეორე - ნასოფლარ-ნავენახარებზე და ძველი ეკლესიების მახლობლად, ხოლო მე-3 და მე-4 - ცენტრის მთელ ტერიტორიაზე. დასახელებული ცენტრი იმითაც არის საინტერესო, რომ ამიერკავკასიაში, მხოლოდ აქ (ბოლნისის და თეთრიწყაროს მახლობლად) იქნა გამოვლინებული ველური ვაზის (*ssp. silvestris* Gmel) ორი თეთრყურძნიანი ფორმა (სურ. 51, 52).



სურ. 51



სურ. 52

ველური ვაზის თეთრყურძნიანი ფორმა, ქვემო ქართლი.

ველური ვაზის თეთრყურძნიანი ფორმა, ქვემო ქართლი.



ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ევრაზიული სახეობის გენოფონდში, თეთრყურძნიანი ვაზის ფორმების არსებობა უწყვეტად მოვლენაა. მაგ. ა. მენდოლა იძლევა იტალიაში ნაპოვნი ველური ვაზის აღწერას „Lambrusca-ს“ სახელწოდებით როგორც ავტორი მიუთითებს იგი ადვილად ემორჩილება გაკულტურებას, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს წვრილ მარცვლებს (A. Mendola Estaratto del catalogo generale della collezione di viti italiane e stranieri radunate... Favara, 1868, Parino e Carino). თეთრყურძნიან ველურ ფორმებზე, ცნობებს სხვა მეცნიერების შრომებშიც ვხვდებით, რომელთა მიხედვითაც ეს მცენარეები ხასიათდება ორსქესიანი ყვავილებით, შედარებით დიდი ზომის მტვენებითა და ძლიერ დანაკვთილი ფოთლებით, რაც ჩვენის მხრით არ იძლევა ამ ფორმების ველურ ქვესახეობაზე მიკუთვნების უფლებას. ქვემო ქართლში ნაპოვნი თეთრყურძნიანი ველური ქვესახეობის ფორმები კი ხასიათდებიან ფუნქციონალურად მდებარებითი სქესის ყვავილით, საშუალო ზომის, ძლიერად შეზუსტული ფოთლით, მცირე ან ოდნავ დიდი მტვენით, საშუალო სიმსხოს მარცვლითა და კომპაქტური, მოკლენისკარტიანი წვრილი წიპწით.

შიდა ქართლის ცენტრი. მდებარეობს მდ. მტკვრის და მისი რამოდენიმე შენაკადის: არაგვის, ქსნის, ლეხურის, ლიახვისა და ტანის აუზი. აერთიანებს თბილისის, მცხეთის, დუშეთის, კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის ადმინისტრაციულ რაიონებს. ველურად მოზარდი ვაზების გავრცელების ინტენსიობით გამოირჩევა მხარის ცენტრალური, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ნაწილები.

შიდა ქართლის ნიადაგები მისი ცენტრალური ნაწილის (მცხეთა, გორი, კასპი) დაბლობში ალუვიური წარმოშობისაა, ცოტათი ზევით (დუშეთი, თინვალი), ძირითადად მდელოს – ყავისფერი, ალუვიური, ტყის რუხი და ტყის ყავისფერია.

კლიმატი, აღმოსავლეთ ნაწილში შშრალ ან ზომიერად ტენიანია, ზომიერი ზამთრითაა და ცხელი ზაფხულით. ჩრდილოეთ ნაწილში – ზომიერად ტენიანი, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით. დასავლეთ ნაწილში კლიმატი ზომიერად ტენიანია, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი, ცხელი ზაფხულით. ცენტრალურ ნაწილში საშუალო-წლიური ტემპერატურა 20,7 – 11,4 °. საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 17 – 19 °, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი – 28-29 °.



საშუალო მაქსიმუმი და აბსოლუტური მაქსიმუმი, შესაბამისად 34 - 35 და 37 - 40° შორის მერყეობს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10°-ზე ზევით, ზღვ. დონიდან 500 მ. სიმაღლეზე - 3700°, 600 მ-ზე - 3500°, 700 მ-ზე - 3100 - 3000° ეცემა.

არაგვის ხეობაში, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა, ზღვ. დ. 500 მ სიმაღლეზე 10,8° ტოლია, 900 მ-ზე - 10°. იანვარის საშუალო ტემპერატურა - 5°-ზე მეტია; 550 - 920 მ-ზე კი 1,1 - 1,4° ფარგლებშია. საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა - 14 - 17°, აბსოლუტური მინიმუმი - 20 - 29°. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10°-ზე ზევით, მთელი ცენტრის ფარგლებში ზღვ. დ. 500 მეტრამდე - 3700°, 550 - 600 მ-ზე - 3400 - 3500°, 700 - 800 მეტრზე - 3100°, ხოლო 900 მ-ზე ზევით - 3050°.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი ცენტრის შუა ნაწილში უდრის 450 - 560 მმ, არაგვის ხეობაში - 510 - 680 მმ, ამასთან ცივ პერიოდში - 120 - 180 მმ, ხოლო თბილ პერიოდში - 190 - 500 მმ (51°, 178°).

ცენტრის ფიტოცენოზი მრავალფეროვანია. განაპირა რაიონებსა და ფერდობებზე, ამჟამად გაბატონებულია ძეძვიანი, მასთან ერთად დიდი რაოდენობითაა: მუხა, თელა, ვერხვი, ბერყენა, ოფი, პანტა, თუთა, ჭაცვი და სხვ. არაგვის, ქსნის, ლეხურის და სხვ. ხეობებში ზღვ. 700 - 900 მ-ზე ფართოდ არის წარმოდგენილი ძლიერი მუხნარები, წიფელი, თელა, ნეკერჩხალი, შინდი, კოწახური, კვრინჩხი, კუნელი, ტყემალი, გარეული თხილი, ეკალიგი, და რასაკვირველია კატაბარდა.

შიდა ქართლში, ისტორიულად მევენახეობა მაღალ დონეზე მდგარა. ამჟამად, მიუხედავად იმისა რომ წამყვანი დარგი მეხილეობაა, მევენახეობას 1990 წლებამდე მაინც მოწინავე პოზიციები ეკავა. ამას უნდა დაერთოს მთელ მხარეში შამპანური მევენახეობის ფართო გავრცელება. შიდა ქართლის დაბლობის მთელი ტერიტორია, სადაც ადრე ერთწლიანი მცენარეები (ხორბალი, ქერი და სხვ). იყო გაბატონებული, ვენახებით დაიფარა, რამაც არსებითად გააუარესა მოსახლეობის საკუთარი პურით და მეცხოველეობის პროდუქტებით უზრუნველყოფა. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, 1990 წლებიდან დაიწყო საპირისპირო პროცესი და ქვეყნის მევენახეობა ერთი უკიდურესობიდან მეორეში ჩავარდა. თითქმის მთლიანად განადგურდა უკვე, რის ვაივაგლაბით გახარებული მსხმოიარე

ვენახების დიდი ნაწილი, ვაზის ნერგის წარმოება შეწყდა და დარგი კატასტროფის პირას მივიდა. ქართლში სამამკანურე ნედლეულის ბაზა თითქმის მთლიანად მოისპო.

შიდა ქართლის ვაზის გენეტიკური რესურსების მასშტაბური კვლევა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებისა, 1930 წლებიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე გამოვლინდა, შეგროვდა და ამპელოგრაფიულ კოლექციებში დამაგრდა ქართლის 60 ზე მეტი აბორიგენული ჯიმი. მეორე ეტაპი, ველურად მოზარდი ვაზების კვლევა 1950 იანი წლებიდან დაიწყო და მეტად საინტერესო შედეგებიც იქნა მიღებული.

ველურად მოზარდი ვაზების გავრცელების მიხედვით, ცენტრში გამოირჩევა არაგვის (საგურამოდან ფასანაურამდე), ქსნის და ლიხვის ხეობები.

ექსპედიციები არაგვის ხეობებში რეგულარულად ეწყობოდა 1958 – 1968 წლებში შემდეგი მარშრუტით: მცხეთა, საგურამო, ქობორტი, ბულაჩაური, წითელი სოფელი, ბოდორნა, დუშეთი, ნარეკვაი, გრემისხევი, ჩინთი, არანისი, ჟინვალი, გურდუხი, ნეძიხი, თვალისი, სწროფავი, სონდის ველი, ხორხი, ანანური, ციხისძირი, პავლეური, დგნალი, მენესო, სონდა, ზუბანი, ბუჩანი, ფასანაური. დადგინდა, რომ ველურად მოზარდი ვაზი ზ.დ. 1000 მეტრზე ზევით არ აღის. მისი გავრცელების ვერტიკალური საზღვარი მთიულეთის არაგვის ხეობაში არის სოფ. მენესო, ფშაველეთის არაგვის – სოფ. სწროფავი, ხოლო ზორხის ხეობაში – სოფ. ლაშმა.

დღევანდელი მდგომარეობით, სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მევენახეობის ინტენსიობით, არაგვის ხეობის მთელი ტერიტორია იყოფა ორ ზონად: 1. ქვედა – ანუ ბარის – მდ. არაგვის ორივე მხარე, სოფ. ნატახტარ-საგურამოდან, არაგვისპირ-ჩინთის ჩათვლით. ამ ზონაში, 1990-იან წლამდე საკმაო რაოდენობით იყო სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ვენახები; 2. მთიან ზონა – ძველი ჟინვალიდან (ამჟამად წყალსაცავს უკავია), ზევით, ჩრდილოეთისაკენ, ზ.დ. 1000 მ სიმაღლემდე. ამ ზონაში სამრეწველო ვენახები საერთოდ არ არის. ვაზი მხოლოდ საცხოვრებელ კარმიდამოზეა ერთეული ძირების სახით ან გაგარეულებულ და ველურ მდგომარეობაშია (სურ. 53). ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ზონამ, განსაკუთრებით კი მისმა ქვედა ნაწილმა მიიბზრო, სადაც იმ პერიოდისთვის ხელოვნური წყალსაცავის მშენებლობა იყო გათვალისწინებული.



სურ. 53

გველურებული ვაზი ცინეალის (ღუშეთის რ-ნი) მიდამოებიდან.

არაგვის ხეობის შედარებით მკაცრმა კლიმატმა განაპირობა ველურად მოზარდი ვაზების სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცირე მდინარეების და წყაროების სიახლოვეს ლოკალიზაცია. ამ ვაზების უმრავლესობა ტიპიური ველური (ssp. *silvestris* Gmel), ხოლო შედარებით მცირე რაოდენობით შუალედური (ssp. *silvestris* Ram) ქვესახეობის ნიშანთვისებებით ხასიათდებიან. რაც შეეხება გაგარეულებულ კულტურულ ქვესახეობას ამ მხარეში მცირე რაოდენობით, მხოლოდ რამოდენიმე ეგზემპლარი იქნა მიცვლელი. საინტერესო ფორმები იქნა აღმოჩენილი მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს, სოფ. მენესოს მახლობლად, ტრასიდან 30-40 მ. დაშორებით, ზღ. 980 მ. სიმაღლეზე. ისინი (სულ სამი.ოთხი ლიანა) მაღალი კლდოვანი მთის ფერდობის ძირში, მცირე ზომის ხემცენარეებზე და ბუჩქებზე (შინდი, თბილი, კოწახური) არიან გადახლართული. აღსანიშნავია, რომ ახლომახლო (რამოდენიმე კომლისაგან შემდგარი სოფლის მენესოს ჩათვლით), ვაზი საერთოდ არ გვხვდება. ზოგიერთი მოსახლის ეხომი მხოლოდ ხეხილოვანი მცენარეებია (ტყემალი, ქლიავი, ვაშლი) ვამენებული. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი

საქმიანობა კი სამთო მეცხოველეობაა (საქონელი, ღორი, ცხვარი, ფრინველი). დასახელებული მთის ფერდობის სამხრეთით ექსპოზიცია და უამრავი ანჯარა წყარო რომლებიც ფერდობზე ზამთარ-ზაფხულში იშვიათობაა, საუცხოო პირობებს უქმნის აქ მოზარდ ვაზის ლიანებს (სურ. 54, 55).



სურ. 54

ველურად მოზარდი ვაზი, სოფ. მენესო (დუმეთის რ-ნი)



სურ. 55

ველურად მოზარდი ვაზი სოფ. მენესო.

სამწუხაროდ საჭაო მშენებლობის და ნაწილი მოსახლეობის უსულგულო ველურმა დამოკიდებულებამ, ორი ლიანის არსებობა სათუოდ გახადა, ვაზები ძირში იყო გადაჭრილი!!! მაგრამ ვაზი ხომ ღვთიური მცენარეა, ისინი ღმერთმა არ გასწირა და როდესაც 1998 წ. ეს ადგილი კვლავ მოვიწინავე ვაზები უკვე ღვებზე წამომდგარი დაგვხვდა. „გენური ეროზიის“ ეს კლასიკური მაგალითი სხვისთვისაც ყურადსაღები უნდა იყოს.

არაგვის ხეობაში გავრცელებული ველურად მოზარდი ვაზი, ისე როგორც შიდა ქართლის სხვა ხეობებში მოზარდი ვაზები, ბოტანიკური ნიშანთვისებების მიხედვით, ალანის კერის სხვა ცენტრების იდენტურია. ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ არის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშებისა და ადგილობრივ ტოპონიმთა შორის კავშირი.

ამჟამად, არაგვის ხეობის მევენახეობისათვის შესაფერის ზონებში გვხვდება ისეთი ჯიშები, როგორცაა რქაწითელი, საფერავი, ჩინური, თავკვერი და სხვ. აგრეთვე ზოგიერთი პირდაპირმწარმოებელი ფრანგულ-ამერიკული ჰიბრიდი და იზაბელა (საკარმიდამო ნაკვეთებზე). დასახელებული ქართული ჯიშები საქართველოს და მათ შორის შიდა ქართლის სხვა ზონებიდან არის შემოტანილი, ხოლო პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები და იზაბელა – საქართველოს გარედან. სამწუხაროდ ადგილობრივი წარმოშობის ისეთი ჯიშები როგორცაა არაგვისპირული და წობენურა (183) თითქმის გადაშენდნენ. არაგვისპირული საერთოდ აღარ არსებობს (შესაძლებელია სხვა სახელწოდებით იყოს რომელიმე საფელში, მაგრამ იგი ჭერჭერობით მიუკვლეველია), შემორჩენილია მხოლოდ წობენურას თითო-ორი ძირი და ისიც კახეთში. არადა ეტიმოლოგიური თვალთახედვით, მათი სახელწოდებები სწორედ რომ ამ ჯიშების ადგილობრივ წარმოშობაზე მიუთითებს – არაგვისპირული თავად მეტყველებს, ხოლო წობენურა სოფ. წობენიდან უნდა იყოს (წობენი, ეინვალის მახლობლად მდებარე, წყალსაცავის აშენებამდე დაუსახლებელი ტერიტორია იყო).

ფშავის არაგვის ზედა ნაწილში, ძველი ეინვალიდან 15 – 20 კმ მოშორებით სოფ. თვალივში და ოქრუას ქალაში მიკვლეული იქნა კულტურული ქვესახეობი (ssp. *Sativa* D. c) გავრცელებული ეგზემპლარები, რომლებიც ხეხილოვან მცენარეებს და შინდს იყენებენ საყრდენად. სამწუხაროდ არაგვის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი – ეინვალიდან ანანურის ჩათვლით ხელოვნურმა წყალსაცავმა დაფარა და ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მოზარდი ვაზები სამუდამოდ დაიკარგა.

შიდა ქართლის ცენტრში მიკვლეული 200 ზე მეტი ვაზიდან 90 დეტალურად იქნა შესწავლილი. მათი უმრავლესობა (56,7%) ფუნქციონალურად მდებარეობითი ყვავილებით ხასიათდება (53,4% მამრობითია, ხოლო 9,9% – ორსქესიანი.

ფოთლის შებუსვის ხასიათის მიხედვით შემდეგი სურათია: დიდი უმრავლესობა (91%) შებუსულფოთლიანია, ამთგან 30% – ძლიერად, 16,8% საშუალოდ, 53,3 სუსტად, ხოლო 9,9% გლუვფოთლიანია. ფოთლის ზომის მიხედვით გამოიყოფა სამი ჯგუფი: მცირე – 10 სმ მდე სიგრძის – 48,9%; საშუალო – 10-15 სმ – 50% მდე და დიდი ზომის – 11%. ეს უკანასკნელი, ძირითადად ტენით უზრუნველყოფილ ნავენახარ-ნაბაღრებშია შემორჩენილი. საინგილოსა და ქვემო ქართლისაგან განსხვავებით, შიდა ქართლის ცენტრში გავრცელებული ველურად მოზარდი ფორმების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ტიპური ველური და შუალედური ვაზის ნიშნებით ხასიათდებიან. ასეთი ვაზები, განსაკუთრებით მთისწინა და მთიან ადგილებშია ლოკალიზებული. როგორც ირკვევა კულტურული ვაზის გავლულების პროცესი დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ქვემო ქართლის ცენტრში – დაახლოებით XIV საუკუნეებში, რასაც გარდა გარეშე მტრების მიერ დასახლებული პუნქტების და კულტურული მცენარეების მოსპობისა, ხელი შეუწყო სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ძვრებმა. მაგ. არაგვის ხეობაში, სადაც შუა საუკუნეებში სოფლის მეურნეობა და მათ შორის მევენახეობა და მეხილეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, ამ მხარის პოლიტიკური სტატუსის დაკარგვის შემდეგ, გამონთავისუფლებული მიწები, მთიდან, კერძოდ ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსახლებულმა მეცხოველეობაში დახელოვნებულმა ფშავ-ხევსურებმა დაიკავეს რომლებსაც ბალ-ვენახების მოვლის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, რის გამოც, ამჟამად ამ ადგილებში, განსაკუთრებით ზ. დ. 800 – 1000 მეტრზე, ვაზი და ხეხილი იშვიათი მოვლენაა. მხოლოდ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ამ ადგილებში, თბილისელ მოაგარაგეთა კერძო მამულების წაბაძვით დაიწვეს კულტურულ მცენარეთა მოშენება.

რაც შეეხება არაგვის ხეობის ქვედა წელს, სოფლის მეურნეობა და კერძოდ მევენახეობა ყოველთვის მაღალ დონეზე იყო.

ზემო იმერეთის ცენტრი. იმერეთს, რომელიც II აღმინისტრაციულ რაიონს აერთიანებს, მთელი დასავლეთ საქართველოს, თითქმის ერთი მუთხედი ნაწილი უკავია ცენტრის საზღვრებია: ჩრდილოეთიდან – რაჭისა და ლეჩხუმის ქედები; აღმოსავლეთიდან – სუხუმის ქედი; სამხრეთით აქარა-



იმერეთის ქედები; დასავლეთით, ზღვამდე მთლიანად ღიაა. ზღვაში, მდ. რიონის შენაკადი მრავალი დიდი და პატარა მდინარე ჩაედინება, რომელთა შორის გამოირჩევა ცხენისწყალი და ყვირილა. ისინი რიონთან ერთად იმერეთის დაბლობ ნაწილს წარმოქმნიან.

იმერეთის ტერიტორიის 70% ზე მეტი მთაგორიანია, განსაკუთრებით ბევრი მთა-გორაა მის ზემო ნაწილში.

ზემო იმერეთის ნიადაგები მეზობელ რაიონებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ძირითადად გავრცელებულია ნემომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც კირქვებისა და მერგელების დამლის შედეგად არიან აღმოცენებულნი. გავრცელებულია აგრეთვე, გარკვეული რაოდენობით კირის შემცველი მძიმე თიხნარები და მეტნაყლებად მსუბუქი, ეწერთან მიახლოვებული ნიადაგებიც (108).

ცენტრი ხასიათდება შედარებით ტენიანი კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრითაა და ცხელი, შედარებით მშრალი ზაფხულით.

საშუალო წლიური ტემპერატურა 11,7°, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0,4°, ხოლო აგვისტოში 22,6°. საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა უდრის - 18°, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი - 31° მდე ეცემა. საშუალო აბსოლუტური მაქსიმუმი და აბსოლუტური მაქსიმუმი შესაბამისად 31 და 41° ის ფარგლებშია. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3580 - 3730° შორის მერყეობს.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 830 მმ არ აღემატება (178°). ატმოსფერული ნალექები არათანაბრად არის განაწილებული: გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში ხშირია უნალექო დღეები, რაც უარყოფითად მოქმედებს ვაზის ზრდა-განვითარებაზე, მაგრამ ახლომახლო ტყეების სიმრავლე, (ცენტრი მათ მაღალ ნაწილში), ხელს უწყობს საჭირო რაოდენობის ტენის შენარჩუნებას ყველაზე ხანგრძლივ გვაღვამიც კი.

ფიტოცენოზის ძირითადი შემადგენლობაა: მუხნარ-რცხილნარი, მუხნარ-ჭაგრცხილნარი, ჭაგრცხილა, რცხილნარ-წაბლნარი, რცხილნარ-წიფლნარი და სხვა. ქვეტყის ძირითადი შემადგენელია ფოთლომცვენი მცენარეები ან როდოდენდრონი (იელი, შქერი). ვაზი საყრდენად ძირითადად დაბალი ტანის მცენარეებს იყენებს, კერძოდ: გარყულ ბალს, პანტას, მავალოს, ტყეშალს, ჭაგრცხილას, მურყანს, კვრინჩხს, შინდს, კავკასიურ ხურმას და სხვ. ზოგჯერ მძლავრ მუხანზე, წაბლზე, რცხილაზე და კაკალზეც კი გვხვდება. საყმაოდ დიდი რაოდენობითაა, მიტოვებულ (გადასახლებულ) ნასოფლარებში კულტურულ ბაღზე, მსხალზე, ვაშლზე და სხვ. მცენარეებზე შემორჩენილი გავლურებული მალღარები.

იმერეთის მევენახეობას, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ყოველთვის მთავარ როლს ასრულებდა მოსახლეობის ეკონომიკაში. სოკოვან დააგადებდა და ფილოქსერების შემოჭრის შემდეგ, მხარის მევენახეობა დაქვეითდა, განსაკუთრებით მის ქვედა (ბარის) ნაწილში. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობამ სხვადასხვა მეთოდთან ერთად, ფართოდ იწყო დაავადებათა მიმართ გამძლე ე.წ. პირდაპირშწარმოებელი ჰიბრიდების გავრცელება. აღმოჩნდნენ, რა ხელსაყრელ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში, ეს ჰიბრიდები მთელ იმერეთში, განსაკუთრებით მის მთიან ზონაში მასობრივად გავრცელდნენ. ამჟამად ეს ვაზები (მას შემდეგ რაც დასახლებული მხარე მოსახლეობას მიატოვებინეს და უკაცრიელი გახდა) გაველურებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

იმერეთი, კლიმატურ-ნიადაგური პირობებისა და ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან დამზადებული ღვინის ხარისხის მიხედვით სამ ზონად იყოფა: 1. ქვემო იმერეთი – ერთწლიანი კულტურების ზონა. მევენახეობას ამ ზონაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ზედმეტი ტენიანობის გამო, ადგილობრივი ღვინოები უმინაარსო და დაბალალუკოლიანი მიიღება და მხოლოდ საოჯახო დანიშნულებით იყენებენ. ზონა მოიცავს სამტრედიის, ხონის, ვანის და ნაწილობრივ ქუთაისის (ქვედა ნაწილი) რაიონებს. ამჟამად ზონაში ველურად მოზარდი ვაზი არ გვხვდება, მაგრამ სოკოვან დაავადებათა გავრცელებამდე, საკმაოდ ბევრი ყოფილა (156). ვენახების განადგურებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიწის ნაკვეთების ხელაღებით ათვისებამ, რაც წმირი, ვენახიანი ტყეების გაჩეხვით ხდებოდა. 2. შუა იმერეთი მოიცავს ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის და ნაწილობრივ ქუთაისის (ზედა ნაწილი) რაიონებს. იგი წარმოადგენს საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ერთერთ მნიშვნელოვან მხარეს და მოიცავს ისეთ უნიკალურ მყრორაიონებსა და სოფლებს, როგორცაა: ბაღდათი, დიმი, ობჩა, როდინოული, სვირი, კვალითი, ცხრაწყარო, ფუთი და სხვ. ველურად მოზარდი ვაზი არც ამ ზონაშია გავრცელებული; ზემო იმერეთი მოიცავს სამ აღმინისტრაციულ რაიონს – ქიათურის, საჩხერის და ხარაგაულის და მათში შემავალ სოფლებს მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე, ზონაში ხარისხოვანი მეღვინეობის არცერთი პუნქტი არ იყო, თუ არ ჩავთვლით სოფ. ჩიხას, საჩხერეს და ორ-სამ სოფელს იგივე ითქმის მდ. ძირულას ზემო წელის სოფლებზეც (156). საქართველოში შამპანურის მეღვინეობის გაფართოების შემდეგ, ამ საქმეში ზემო იმერეთმაც გადაამწყვეტი როლი ითამაშა. ადგილობრივი საღვინე ჯიშები: ციცქა, ქვიშხური, ცოლიყოური,



ძველშავი და სხვ საუკეთესო ხარისხის სამამპანე ნედლეულს იძლეოდნენ, მიუხედავად ამისა, რუსი და ევროპელი ექსპერტების დაფინანსებული ჩარევით, ევროპიდან ცნობილი სამამპანურე ჯიშები შემოიტანეს, კერძოდ პინო, შარდონ, პინო ნაცრისფერი, პინო თეთრი, შარდონე და სხვ. ამ ჯიშებს სამწუხაროდ ფრანგულ-ამერიკული პირდაპირწარმოებელი ჰიბრიდებიც მოაყოლეს ადგილობრივი გენოფონდი კატასტროფულად დაანაგვიანეს. ეს ჰიბრიდები – ადგილობრივი სახელწოდებებით გავრცელდა („ჰიბრიდა“, „ჯიბრიდა“, ნოა, „ნოეს ვაზი“, სებელი და სხვ.). ისინი არა მარტო იმერეთს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსა და ქართლის უდიდეს ნაწილს მოედო. სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეობის წყალობით ისინი უფრო სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდნენ და დღეს სახეზე გვაქვს ბუნებრივი სახეობათაშორისი ჰიბრიდების პირველი (ან შესაძლებელია რამოდენიმე) თაობის პოპულაციები. მსგავსი ვაზები ჩვენს მიერ მივცლელი იქნა არეალის რამოდენიმე ადგილას, განსაკუთრებით კი მიტოვებულ ნასოფლარებში. მიუხედავად „ჰიბრიდების“ მასობრივი გავრცელებისა, მოსახლეობა სულ მალე დარწმუნდა მათი პროდუქციის დაბალ ხარისხში და მოწინავე მევენახეთა ძალისხმევით იწყეს აბორიგენული ჯიშების აღდგენა. ამგვარად უძვირფასესი ჯიშური გენოფონდი შენარჩუნებული იქნა და დღეისთვის სახეზეა ისეთი ჯიშები, როგორცაა: ცოლიგოური, ციცქა, კრაბუნა, კაპისტონი, ოცხანური, საფერე, მაჩანოური საფერე, ქვიშხური, მგალობლიშვილი, ძელშავი და სხვ.

ცენტრის გამოკვლევა ჩატარდა შემდეგი მარშუტებით: მდ. ყვირილას ხეობაში – სოფ. საჩხერე, ყვერეთი, ჩიხა, ჭალა და პერევი; ჭრუჭულას ხეობაში – სოფ.: სარევი, ცხომარეთი, მოხვი; ძირულას ხეობაში – სოფ.: ხუნევი, ლიზი, წმანი, ბერეთიასა, ჭალვანი, ხვანი, ჩონიო, და ცხაკი; ჩხერომელას ხეობაში – სოფ.: იღეში, ლაშე, კიცხი, ფარცხნალი, ბაზალეთი, ჩხერი, ხარაგოული, ლელვანი და დეისი, დუმალას ხეობაში – სოფ.: მერეთისა და კორბოული.

ზემო-იმერეთის ცენტრში გამოვლინებული ველურადმოზარდი ვაზებიდან დეტალურად იქნა შესწავლილი 14 ფორმა. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ უმრავლესობა (63,2%) ხასიათდება ფუნქციონალურად მდებრობითი, ხოლო 36,8% – მამრობითი სქესის ყვავილებით. როგორც აღინიშნა, ცენტრში მრავლადაა პირდაპირ წარმოებული ჰიბრიდები, მაგრამ ვინაიდან ისინი ადგილობრივი ფლორის არაბუნებრივი ელემენტია, მათი ამპელოგრაფიული შესწავლა არ ჩაგვიტარებია.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია ცენტრის კულტურული ვაზის აბორიგენულ გენოფონდში. ჩვენს მიერ დამუშავებული 65 ადგილობრივი



ჩიმიდან 60 ანუ 92,3% ორსქესიანი ყვავილებით ხასიათდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გენოფონდის სელექციური დახვეწა, რეკონსტრუქციული პროდუქტიული, ორსქესიანი ჩიშების გამოვლენასა და მდგრადობის მდგრადობას, ათასწლეულების სიღრმეში უნდა ვეძიოთ.

ფოთლის მორფოლოგიური და ამპელომეტრიული მაჩვენებლებით, ცენტრის ველურად მოზარდი ვაზი შემდეგ სურათს იძლევა: ზომის მიხედვით მათი უმრავლესობა ველურ (ssp. *Silvestris* Gmel) და შუალედურ (ssp. *silvestris* Ram) ვაზს მიეკუთვნებიან. მათი 35,7% პატარაა, ხოლო 64,3% საშუალო ზომისაა. დანაცვულობისა და შებუსვის ინტენსივობის მიხედვით – კოლხეთის კერის ტიპური წარმომადგენელია. მსგავსი სურათია მტყენისა და მარცვლის ბიომეტრიულ-ამპელომეტრიული მაჩვენებლების შხრივაც.

რაჭა-ლეჩხუმის ცენტრი. მდებარეობს მდ. რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში. ჩრდილოეთით, სვანეთიდან გამოყოფილია ლეჩხუმისა და ოდიშის ქედებით. დასავლეთით ესაზღვრება, სამეგრელოს ტერიტორია, სამხრეთით – რაჭისა და სამეგრელოს ქედებით იმერეთს ესაზღვრება, ხოლო აღმოსავლეთის საზღვარი კავკასიონის გასწვრივ გადის და მერიდიანით რაჭის ქედს უერთდება. ადმინისტრაციულად მოიცავს: ონის, ამბროლაურის და ცაგერის რაიონებს.

რაჭა-ლეჩხუმის რელიეფი ძირითადად მდინარეთა ეროზიის და სხვა თანმხლებელი პროცესების გავლენით ჩამოყალიბდა.

ცენტრში ძირითადად ალუვიური და ნემომპალა კარბონატული ნიადაგებია გავრცელებული. აბასიათებს ტენიანი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი – შედარებით მშრალი ზაფხული.

საშუალო წლიური ტემპერატურა ზ. დ. 500 მ სიმაღლემდე 11^o-ის ფარგლებშია, 800 მეტრზე – 10^o-ზე ქვევით ეცემა. იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის 0^o(0,3 – 1,0), ხოლო აგვისტოში 20 – 22^o – შორის მერყეობს. საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 17^o – 16^o, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი – 27^o-მდე ეცემა. საშუალო აბსოლუტური მაქსიმუმი შესაბამისად 35-36^o და 38-40^o შორის მერყეობს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10^o-ზე ზევით – 3150 – 3570^o. წლიური ატმოსფერული ნალექები 970 – 980 მმ ფარგლებშია (51^o, 178^o).

რაჭა-ლეჩხუმს საკმაოდ მრავალფეროვანი ფიტოცენოზი აბასიათებს. ძირითადად გვხვდება: ნეკერჩხალი, მუხა, წიფელი, მურყანი, ჯაგრცხილა, ტირიფი (ძეწნა), კაკალი, შინდი, თხილი, მაჭალო, კავკასიური ხურმა, კუნელი, მაყვალი, კატაბარდა, ეკალიჭი და სხვა.

დ. სოსნოვსკის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში და კერძოდ რაჭა-ლეჩხუმში, ველურად მოზარდი ვაზის ვერტიკალური საზღვარი ზ.დ. 1500 მ-ზე გადის, ნ. სრედინსკი ვერტიკალურ საზღვრად მდ. რიონის სოფ. სხვაეას და უწერას (900 – 950 მ) მიიჩნევს, ხოლო ნ. კეცხოველი (84) – 1100 მ ზღონიდან.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპედიციური კვლევის შედეგად გარკვეული კორექტირება იქნა შეტანილი, როგორც ვერტიკალურ, ასევე პორიზონტალურ საზღვრებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ველური ვაზის (*ssp. silvestris* Cmel) და კულტურული ვაზის ჯიშების (*ssp. sativa* D. c) ვერტიკალური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგ., კულტურული ჯიშები, რომლებიც ზ. დ. 1000 მ ზევით გვხვდება, მოსახლეობის განსაკუთრებული მოვლის შედეგია (სამხრეთის ექსპოზიციის და მყუდრო ადგილის შერჩევა). რაც შეეხება ველურად მოზარდ ვაზს, იგი როგორც ადგილობრივი ფლორის ბუნებრივი ელემენტი, მხოლოდ შესაფერის ეკოლოგიურ პირობებში გრძობს თავს კარგად. მაგ., მდ. კრიხულის ხეობაში საშუალო პერიოდის სიმწიფის ჯიშები 1200 მეტრამდე გვხვდება. რაც შეეხება ველურად მოზარდ ვაზებს მხოლოდ სოფ. კორტში (1000 მ ზ. დ.) ვხვდებით. მსგავსი სურათია მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანის ხეობაში, სადაც ქვემო სვანეთის მთის სოფლებში კულტურული ჯიშები ზ.დ. 1100 – 1200 მ სიმაღლეზე გვხვდება, ხოლო ველურად მოზარდი ვაზები 550 – 900 მ არ სცილდება (სოფ. ჩოლოური, ზუბი, ლარჩვალი, ლაქანა, ლაილაში) (სურ. 56).



სურ. 56

გარეული ვაზის ნიმუში. რაჭა-
ლეჩხუმის კერა

ველურად მოზარდი ვაზების გავრცელების ინტენსივობის მიხედვით რაჭა-ლეჩხუმის ცენტრი სამ ნაწილად იყოფა: 1. მდ. რიონის ზედა ნაწილი, თავისი შენაერთებით; 2. ცხენისწყლის და 3. ლოჭინის ხეობები, რომლებსაც საინტერესოა პირველი, სადაც ასეთი ვაზები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა. აქ გამოიყოფა სამი ადგილი: 1. მდ. ტარულას ხეობა – სოფ. ღარას მიდამოები (960 – 980 მ ზ.დ.), სადაც ვაზები ძირითადად რცხილასა და ნეკერჩხალზე, იშვიათად კი თხილის ბუჩქებზე გვხვდება; სოფ. ზოდოლის მიდამოები – მდ. რიონის ორივე მხარეზე (სიმაღლე 800 მ ზ.დ.), ვაზები საკმაოდ მაღალტანიან კაკლის ხეებზეა ასული, რაც იშვიათი მოვლენაა, რადგან კაკლის ხშირი შეფოთვლა და სპეციფიკური სუნი ვაზზე უარყოფითად მოქმედებს. მიუხედავად ამისა ვაზები საკმაოდ მძლავრ განვითარებას აღწევენ. სოფ. სორის მიდამოები (700 – 730 მ ზ.დ.) ველურად მოზარდი ვაზები საყრდენად ძირითად ტყემალს, ვერხვს, პანტას და დაბალ ბუჩქნარებს იყენებს. 2. მდ. კრიხულოს ხეობა – სოფ. კრიხი, სხვადასხვა, ზემო კრიხი, და კორტი. ამ ადგილების ველურად მოზარდი ვაზი სოფ. კორტის (1000 მ ზ.დ.) ზევით არ გვხვდება. 3. მდ. ასისა და შარგულის ხეობები (700 – 750 მ ზ.დ.). ვაზები ძირითადად მურყანზე, ნეკერჩხალზე, მუხასა და ჭაგრცხილაზეა ასული. მსგავსი სურათია სოფ. წესის მიდამოებშიც. ვაზები, მიუწევდომელ ადგილებში – ღრმა მუხნარში გვხვდება.

მსგავსი ფიტოცენოზია მდ. ცხენისწყლის ხეობაში, მაგრამ ველურად მოზარდი ვაზები აქ შედარებით მცირე რაოდენობითაა. ასეთი ვითარება განპირობებულია ხეობის სივიწროვით და ვაზისათვის ხელსაყრელი ტერიტორიების უკმარისობით. შედარებით ხელსაყრელი ფერდობები და ნაკვეთები კულტურულ მცენარეებს უკავია. ველური ქვესახეობის (*ssp. Silvestris Cmel*) ვაზები აქ ძირითადად ჭებების გასწვრივ გვხვდება და საყრდენებად მაცვლის ბუჩქებით გადახლართული ნეკერჩხალს, კუნელს და ტყემალს იყენებს. მდ. ლაჩანას მიდამოებში ველურად მოზარდი ვაზები არ გამოვლინდა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით საკმაოდ ბევრი ყოფილა, განსაკუთრებით სოფ. ლაჩანაში. ამ ადგილებში ველურ ვაზებს ეწოდება „მემცხარო“ და როგორც გლეხები ამბობენ, უმოსავლონი არიან ან იშვიათად მსხმოიარობენ პატარა თხელ მტევნებს, წვრილი საკმაოდ ტკბილი მარცვლებით. ასეთ ვაზებს რაჭა-ლეჩხუმში „ძღვალოსაც“ უწოდებენ.

ექსპედიციების შედეგად შეგროვებული და დეტალურად აღწერილი იქნა 17 მცენარე. დანარჩენი ლიანების დეტალური აღწერა არ მოხერხდა, ვინაიდან ხეები, რომელზედაც ვაზები იყო ასული, ეკალიტით და მაცვლის

ბუჩქებით იყო დაფარული. მიუხედავად ამისა შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, რომ სხვადასხვა ადგილზე მოკვლეული 17 ლიანიდის უმრავლესობა შებუსულფოთლიან ველურ ქვესახეობას (*ssp. silvestris* Cmel) მიეკუთვნება, რომელთაგან 7 ფუნქციონალურად მდებარეობით, ხოლო 10 მამრობითი ყვავილების მქონეა. ყველა ფორმა შებუსულფოთლიანია. მდებარეობით და მამრობითი ეჭმეშლარი 5 – 10 მეტრით არიან ერთმანეთისაგან დაცილებული.

რაქა-ლენჩუმის ცენტრი შავიზღვისპირეთის ცენტრის უშუალო გაგრძელებაა. ველურად მოზარ ფორმებსა და კულტურულ ვაზებს შორის კავშირის დადგენა არ მოხერხდა, ვინაიდან ცენტრში დიდი რაოდენობითაა სხვა მხარეებიდან და ქვეყნებიდანაც კი შემოტანილი ჯიშები. მიუხედავად ამისა ზოგიერთი ფენოტიპური მსგავსება (ზრდის სიძლიერე, ფოთლის მორფოლოგია და სხვა) მაინც შეიმჩნევა.

შავიზღვისპირეთის ცენტრი მოიცავს შავი ზღვის მთელ სანაპირო ზოლს ქედა-შუახევის რაიონიდან (აჭარა) სოჭამდე, გურია-სამეგრელოს მდებარეობის ჩათვლით.

ცენტრში გავრცელებულია ნემომპალა კარბონატული ნიადაგები. სანაპირო ზოლზე, სადაც სუბტროპიკული მცენარეებისა და ჩაის ნარგაობებია, ძირითადად მოყვითალო-მურა ყვითელმიწებია, ხოლო ოჩამჩირე-გალის ზონაში – ტიპური წითელმიწები. კოლხეთის დაბლობზე, განსაკუთრებით მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გვხვდება ყვითელმიწა-ეწერი, ხოლო დაჭაობებულ ტერიტორიებზე მინერალურ-დაჭაობებული და ორგანო-მინერალური დაჭაობებული ნიადაგები. ცენტრის მთელ ტერიტორიაზე თბილი და ტენიანი კლიმატია, რბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. მთისწინა და მთიან ზონებში ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი და შედარებით მშრალია (სანაპირო ზოლზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $+14,2^{\circ}$, იანვრის საშუალო ტემპერატურა $+5,9^{\circ}$, აგვისტოსი $-23-23,2^{\circ}$. ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლეზე ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენს: $9,5^{\circ}$ – $1,6^{\circ}$ და $19,5^{\circ}$. დაბლობ ზონაში არცერთი საშუალო აბსოლუტური მინიმალური მაჩვენებლები არ ეცემა $-4,5^{\circ}$, ხოლო მთებში -18° . აბსოლუტური მინიმუმი ბარში ეცემა -13° , ხოლო მთაში -27° მდე. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10° ზე ზევით, ბარში უტოლდება 3880° -დან (ქედი შუახევი), 4200° მდე (გაგრა-გულდაუთის რაიონები), ხოლო მთაში ზ.დ. 700 მ სიმაღლეზე – $2800 - 3110^{\circ}$ შორის მერყეობს.

ატმოსფერული ნალექები სამხრეთიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მცირდება. მაგ., ბათუმის ზონაში ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 2500 მმ-ია, ტეხურას ხეობაში იგი 1670-1886 მმ, აფხაზეთის ტერიტორიაზე 1340 - 1440 მმ შორისაა (51, 178).

ზღვის დონიდან 0-250 ზღვის ვიწრო ზოლში გავრცელებულია სამოფილური და ქაობის მცენარეები, აგრეთვე ლიანინი ტყეები. სანაპირო ტყეების ძირითადი სახეებია: ბიჭვინთის ფიჭვი, მურყანი, ხვალა (ვერცხლისფერი ალვა), ოფი, ტირიფი, ლაფნის ხე, იმერული მუხა და სხვა. 400 - 500 მ ზ.დ. ძირითადად გვხვდება: წიფელი, პარტეისის მუხა, ქართული მუხა, ცაცხვი, იფანი, წაბლი, რცხილა. ქვეტყეებში ჩვეულებრივი მოვლენაა: წყავი, შჭერი, იელი, ბაძგი, მოცვი, კავკასიური და სხვა. ამათ გარდა: ეკალოცა, სურა (ჩვეულებრივი და კოლხური), კატაბარდა და სხვა. გარეული ხეხილიდან: კუნელი, გარეული ხურმა, თუთა, ტყემალი, პანტა, შინდი, მაქალო და სხვა.

ველურად მოზარდი ვაზების მრავალფეროვნებითა და რაოდენობით ცენტრში განსაკუთრებული ადგილი უკავია აფხაზეთის ტერიტორიას. გურიასა და სამეგრელოში ველურად მოზარდი ვაზები თითქმის აღარ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ნათელ ტყეებში, მურყანზე (თხმელა) და სხვა დაბალი ტანის ხეებზე გამენებული იზაბელას მდებარეობას. დასახლებულ მხარეებში ვაზის ასეთი შემცირება, ხშირ შემთხვევაში კი სრული განადგურება, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, გასული საუკუნის ბოლოს, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში დაიწყო, როდესაც კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე დასნეულებული კულტურული ვაზის ვენახებთან ერთად ველურად მოზარდი ვაზებიც იძირკვებოდა. ამგვარად იქნა განადგურებული რამდენიმე ასეული ათასი ველურად მოზარდი ვაზის ლიანა (156, 199).

ველურად მოზარდი ვაზების გაქრობაში საბედისწერო როლი ითამაშა მთელ დასავლეთ საქართველოში ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების მასობრივმა გავრცელებამ, რომელიც გაბატონდა და სასოფლო-სამეურნეო კულტურად იქცა მთელ შავიზღვისპირეთის ცენტრში, რის შედეგადაც გარდა აფხაზეთისა ვაზის ფორამათა წარმოქმნის პროცესი თითქმის შეჩერდა და მსოფლიო მევენახეობის ამ ერთ-ერთმა მთავარმა გენცენტრმა ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის სხვა ცენტრებთან შედარებით უკან დაიხია.

თანამედროვე კულტურული მევენახეობის ქრილში, შავიზღვისპირეთის ცენტრში გამოიყოფა: აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის



მეკრორაიონები, მაგრამ დარგის ეკონომიკური პოტენციალით ისინა შევე-
 ნახეობის რაიონებად ნაწილობრივ თუ ჩაითვლება მიუხედავად იმისა, რომ
 წარსულში ამ მხარეებში მევენახეობა აყვავებული იყო ე. ნაკაშიძე (120, 121) წყა-
 აღნიშნავდა: ვაზი გურია-სამეგრელოში საოცარი ზრდის სიძლიერით
 გამოირჩევა, განსაკუთრებით კი ტყეებში: ნახევარ არშინზე (1 არშინი = 71,12
 სმ). მსხვილი შტამბი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ველური ვაზი ამ რაიონში
 ზ. დონიდან 3000 ფუტის (1 ფუტი = 0,30) სიმაღლემდე გვხვდება.

შავიზღვისპირეთის ცენტრის რეგულირებული ექსპედიციურ გამოყ-
 ვლევას ჩატარებული იქნა 1967 - 70 წ.წ. შემდეგი თანმიმდევრობით: სამეგ-
 რელოში - მარტვილის და ზუგდიდის რაიონები; გურიაში - ჩოხატაურისა
 და იზურგეთის და ნაწილობრივ აჭარის რაიონებში.

აფხაზეთის ველურად მოზარდი ვაზის შესწავლაში მნიშვნელოვანი
 წვლილი აქვს შეტანილი ე. ჭამაგუას, რომელიც 1967 წლიდან რეგუ-
 ლარულად იკვლევდა გუდაუთის, გაგრის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებს
 (214^ა).

1969 - 1970 წლებში, წელიწადში ორჯერ: გაბაფხულზე - ყვავილობის
 და შემოდგომაზე - სიმწიფის ფაზებში, იგივე ტერიტორია ჩვენს მიერ ე.
 ჭამაგუასთან ერთად იქნა გამოკვლეული.

აფხაზეთში ველურად მოზარდი ვაზი 20 - 800 მ ზ.დ. გვხვდება.
 ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მიხედვით კოლხეთის ველის მთელ
 ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭა-
 ლეჩხუმში და იმერეთში ველურად მოზარდი ვაზი ზ.დ. 1500 - 1800 მ
 სიმაღლემდე იყო გავრცელებული. მაგრამ ჩვენი გამოკვლევებით ეს არ
 დასაბუთდა, რადგან მთელი ცენტრალური და ნაწილობრივ დასავლეთ
 ამიერკავკასიაში ეს ვაზი 1000 მ ზ.დ., ხოლო აფხაზეთში 800 მეტრზე ზევით
 არ შეგვხვდებოდა. ეს ჭამაგუას მიერ მოკვლეული 3000 ლიანიდან ტიპური
 ველური (*ssp. silvestris* Cmel) აღმოჩნდა 63 ვაზი, 787 ლიანა - პირდაპირ
 მწარმოებელი ფრანგულ-ამერიკული ჰიბრიდი და 1500 იზაბელას (*v*
Labrusca L) და 650 კულტურული ქვესახეობის (*ssp. sativa* D. C.)
 გაველურებული ჭიშები (229). განმეორებითი ერთობლივი ექსპედიციის
 შემდეგ ჩვენს მიერ აღწერილი იქნა 27 ველურად მოზარდი ვაზი, რომლებიც
 5 ადგილსამყოფელში, კერძოდ: სოფ. აჟანდარის, ბლობიჩხვას, ზედა,
 ეშერის, ახუწასა და გაგრის ქედის მიდამოებში იყო განაწილებული.
 აღწერილი ლიანებიდან 19 (70,6%) ფუნქციონალურად მდებარებითი
 სქესის მქონე აღმოჩნდა, 8 - მამრობითი (29,4%). ორსქესიანი ფორმების

გარდა ჩვენს მიერ ამოცნობილი კულტურული ჯიშებისა (ავარსარხვა, კაქიჭი, ამლახუ და სხვა) არ იქნა მოკვლეული. მცენარეთა უმრავლესობა – 40,7% პატარა, ხოლო 5,93% –სამუალო ან სამუალოზე დიდი ფრთილებით ხასიათდება. ფოთლის ჭვედა მხრის შებუსვის ინტენსივობის მიხედვით შემდეგი სურათია: ძლიერად შებუსულ ფოთლიანი აღმოჩნდა 37%, სამუალო – 14,8%, სუსტად შებუსული – 33,4% და მხოლოდ 4 მცენარე აღმოჩნდა შეუბუსავ ფოთლიანი. მცენარეთა საერთო რაოდენობაში რაიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა ფოთლის დანაცვეთის მხრივ, ცენტრის მთელ ტერიტორიაზე, არ იქნა შემჩნეული. როგორც წესი ჭარბობს დაუნაცვეთავი ან სამნაცვეთიანი ფოთლები და ყველა მცენარეს ღია ფორმის ყუნწის ამონაცვეთი აქვს.

**ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის
ველურად მოზარდი ვაზის საერთო შეფასება და
კავშირი
კულტურულ ვაზის ჯიშებთან**

ველურად მოზარდი ვაზის თითოეული ფორმის, ფორმათა ჯგუფის თუ სახესხვაობის ობიექტურად შესაფასებლად და კულტურულ ვაზთან დასაკავშირებლად როგორც ბუნებრივ, ასევე კულტურულ პირობებში *V. vlnifera* L.-ში შემაჯალი ყველა წარმომადგენლის კომპლექსური შესწავლაა საჭირო. სწორედ ასეთი მიდგომა იძლევა სამუალებას მაქსიმალურად მიუახლოვდეთ ლოგიკურ შედეგებს.

სისტემატიზაციის დროს აუცილებელია ობიექტების მსგავსების ხარისხის მიხედვით განლაგება ისე, რომ სისტემის შესაფასებელი, თვით ობიექტის ნიშნები და არა გარედან, ხელოვნურად თავს მოხვეული ნიშნები იყოს.

მეტნაკლებად სრულყოფილად ისეთი სისტემა ითვლება, სადაც ობიექტის ყველა ნიშანი მისი სისტემაში მდგომარეობით განისაზღვრება, რაც მას ბუნებრივსა და მისაღებს ხდის.

მასალის სისტემატიზაციის პროცესში, მცენარეთა ბუნებრივ სისტემაზე დაყრდნობით, გამოყენებული იქნა ტაქსონების განსაზღვრის ე.წ. პოლიატომური პრინციპი, რამოდენიმე წამყვანი კონდიციური ნიშნით, როდესაც საწყისი ჯგუფები ერთდროულად რამოდენიმე წვრილ ქვეჯგუფებად იყოფა. კონკრეტულად, ერთი ან რამდენიმე ნიშანი დომინირებულ მდგომარეობას იკავებს, ხოლო დანარჩენი ნიშნები მათთან კორელაციულ კავშირში იმყოფება.

კონდიციური ნიშნების გამოვლინება ხდებოდა სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში, როგორც ბუნებრივ სამყოფელში, ასევე ამპელოგრაფიულ კოლექციაში, შემდეგ ძირითად ორგანოებში: ფოთოლი, ყვავილი, მტევანი, მარცვალი, წიპწა.

ფოთოლი ყველაზე პელიომორფული, მაგრამ ტაქსონომიურად კონდიციონური ორგანოა. მისი ბოტანიკური ნიშნები ამპელოგრაფიულად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირ შემთხვევაში სახეობის, ქვესახეობის და ზოგჯერ ჯიშის ამოცნობის საშუალებასაც კი იძლევა. ამპელოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვნად ყლორტის შუა ზონის (8 – 10 მ-ზე) ფოთლები ითვლება. ასეთი ფოთლები, ბოტანიკური დახასიათების დროს ნიველირების საშუალებას იძლევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყლორტებისა და კვირტების განსხვავებულობა გამოწვეული ნიშან-თვისებათა ცვალებადობით.

კოცხალი და ჰერბარიუმის მასალის დენტიფიკაციის მიზნით შესწავლილი იქნა ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული 380 ველურად მოზარდი ვაზის და 396 კულტურული ვაზის ჯიშის 20-ზე მეტი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიშანი. როგორც გამოიკვია ტაქსონომიური თვალსაზრისით, სახეობის შიგნით, ყველაზე საიმედო ნიშნებია: ფირფიტის ზომა, დანაკეთულობა, ყუნწის ამონაკვეთის ფირფიტის ქვედა მხარის შებუსუსის ხასიათი. ამგვარ პრინციპზეა აგებული ვაზის გენოფონდის შესასწავლად და მონაცემების ბანკის შესაქმნელად უნიფიცირებული მატრიცების მეთოდი, სადაც გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, შესულია ყუნწის ზაფხულის შეფერვა, სიგრძე და ფოთლის ფირფიტის სისქე (41').

ფოთლის ზომები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველ რიგში აღსანიშნავია ფაქტორის ბიოლოგიური ან გენეტიკური ხასიათი, შემდეგ მოდის ეკოლოგიურ ფაქტორთა კომპლექსი (ნიადაგი, წყალი, ტემპერატურა), ჰაერი, ფიტოცენოზი, სიმაღლე ზ. დონიდან, და ბოლოს თუ სად იზრდებიან ეს მცენარეები (ტყეში თუ კულტურაში).

ბოტანიკურ და ამპელოგრაფიულ ლიტერატურაში ფოთლების ზომის მიხედვით დაგუფების რამოდენიმე ვარიანტი არსებობს. ველურად მოზარდი ვაზის ფოთლებისათვის ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა შემდეგი: – დიდი – 15 სმ-ზე დიდი, საშუალო – 11-15 სმ და პატარა – 11-სმ-მდე. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზის ფოთლები შემდეგ სურათს იძლევა: დიდი ფოთლებით ხასიათდება მხოლოდ 13%, რომელთა უმრავლესობა

აღმოჩენილია ალაზნის კერაში (საინჯილოსა და ქვემო ქართლის ცენტრები) და ძირითადად კულტურული ქვესახეობის (*Sp. Sativa D. C.*) გაველურებულ ფორმებს ეკუთვნიან. შიდა ქართლის ცენტრში დიდფოთლიანი ფორმები თითქმის არ გვხვდება (ერთი-ორი მცენარეა), ხოლო კოლხეთზე ამგვარი ვაზები საერთოდ არ იზრდებიან. ორივე კერაში საშუალო და წვრილფოთლიანი (63,6 და 51,6%) ფორმები დომინირებს და უპირატესად შუალედურ და ველურ ვაზებს ეკუთვნიან. ტიპური ველური ვაზი (*Ssp silbestris Cmel*) წვრილი ფოთლებით ხასიათდება (ალაზნის კერაში – 44,3% და კოლხეთის კერაში 48,4%). როგორც დაკვირვებებმა და ამპელოგრაფიულმა ანალიზმა დაადასტურა, შუალედური და ველური ფორმების ფოთლის ზომებზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგროკულტურა (ამპელოგრაფიულ კოლექციაში), მაგრამ არც ისეთ მნიშვნელოვანს, რომ ტაქსონომიური გადახრა გამოიწვიოს.

ფოთლის ფირფიტის პოლიმორფიზმი, რაც ძირითადად დანაკვთულობის ხასიათში გამოიხატება, ხშირად ართულებს თვით მცენარის სისტემატიზაციას. მიუხედავად ამისა, რიგმა მკვლევარებმა სწორედ ამ ნიშნის (შებუსვის ინტენსივობასთან ერთად) საფუძველზე შეძლეს ველური ვაზებიდან სხვადასხვა ვარიაციის გამოყოფა (160). ანალიზმა ცხადყო, რომ ალაზნის კერაში, (განსაკუთრებით ალაზნ-იორის და ქვემო ქართლის ცენტრებში) დანაკვთულფოთლიანი ვაზები დომინირებს (სამნაკვთიანი – 61%, სამ.ხუთნაკვთიანი – 33%, დაუნაკვთავე – 5%), კოლხეთის კერაში დაუნაკვთავფოთლიანი ფორმების რაოდენობა მატულობს – 22,6%, ხოლო ძირითადი მასა სამნაკვთიანია. ამრიგად, ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ზემოთ დასახელებული ნიშნების მიხედვით ველური ვაზის ყველა წარმომადგენელი იზრდება.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეშენებული იქნა საინტერესო მოვლენა, რაც ფოთლის დანაკვთისა და მცენარის სქესს შორის გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. კერძოდ, ველური ვაზის მდებრობით ფორმებს აღმოაჩნდა დაუნაკვთავე, ხოლო მამრობითებს დანაკვთული ფოთლები (160). მსგავსი სქესობრივი დიმორფიზმი ამიერკავკასიის ველურ ვაზებშიც შეიმჩნევა, მაგრამ მას არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან ძალიან ხშირად „მდებრობით“ ინდივიდებს ორივე სახის ფოთლები ახასიათებს.

ფოთლის ყუნწის ამონაკვითის ხასიათი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაზის სისტემატიკაში, ამიერკავკასიის გამოცვლულ

ტერიტორიაზე დომინირებს ღია ყუნწის ამონაკვეთებიანი ფორმები მხოლოდ ალაზნის კერაში იქნა მოკვლეული დახურულამონაკვეთიანი რამოდენიმე ფორმა ისინიც კულტურული ქვესახეობის (ssp. *Sativa* L.) გავლტურებულ ვაზებს ჰქონდა. ველური ვაზისათვის (ssp. *Silve stris* Cmel) კი ძირითადად დამახასიათებელია ღია ფორმის ისრისებური, მრავალფოთიანი ან მათ შორის გარდამავალი ფოთლები. უმნიშვნელოდ ვარირებს აღნიშნული ნიშანი შუალედური ვაზის ფორმებში (სურ. 57, 58, 59). ვეებები, რა აღნიშნული ნიშნის ტაქსონომიურ მნიშვნელობას, ზახი უნდა



სურ. 57

შუალედური ვაზის
ფოთლები კოლხეთის კერა



სურ. 58

შუალედური ვაზის
ფოთლები. კოლხეთის კერა



სურ. 59

შუალედური ვაზის ფოთლის ნიმუშები, კოლხეთის კერა

გაესვას მის დიდ საიმედოობას შიგასახეობრივი გვარების და სხვისხეობრივების გამოვლინებაში. ეს განსაკუთრებით ნათლად შეიმჩნევა კოლხეთის კერაში, სადაც ბევრი ადგილობრივი ჯიში, როგორცაა: ოჭალეში, ბადაგო, ქაშუტა, სამარხი, ორონა და სხვ. მცირედ განსხვავდებიან ნამდვილ ველურ ვაზიდან. მოტანილი მაგალითები ერთხელ კიდევ მიუთითებს კულტურული და ველური ვაზის ურთიერთყავშირზე, განსაკუთრებით ფორმათაწარმოქმნის კოლხეთის კერაში.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსვის ხასიათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია (6,7, 160, 473 დ) პირველი, ვინც ამ ნიშანს ტაქსონომიური დატვირთვა მისცა იყო ფ. კოლენატი, რომელმაც სწორედ, რომ ამ ნიშნის მიხედვით გამოყო ამიერკავკასიის კულტურულ ჯიშებში ორი – შებუსულფოთლიანი და შეუბუსავფოთლიანი კატეგორია. გაცილებით გვიან ა. ნეგრულმა (25, 125), ველურად მოზარდი ვაზებიდან გამოყო ოთხი ჯგუფი: *Ver. typica* – აბლაბუდისებრი შებუსვით, *var. aberans* – შეუბუსავი, *var. balcanica* შერეული, აბლაბუდისებრ-გაგარისებური შებუსვით და *var. tabasaranica* მჭიდრო თეთრი, ქეჩისებური შებუსვით.

ამიერკავკასიის ველურად მოზარდ გენოფონდში თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები, გარდა გაგარისებრი შებუსვისა, გვხვდება. მაგ., ალაზნის კერაში ველური (*ssp. silvestris* Cmel), შუაღელური (*ssp. silvestris* Ram) და გაველურებული კულტურული ქვესახეობებისათვის (*ssp. Sativa* D. C.) დამახასიათებელია სამუალო სისქის აბლაბუდისებრი შებუსვა (73.6%), ხოლო ამავე რეგიონის კულტურული ჯიშებისათვის – სამუალო ან სუსტი აბლაბუდისებრი შებუსვა. კოლხეთის კერაში ვაზების დიდი უმრავლესობა ძლიერი ქეჩისებრი შებუსვით ხასიათდება (66%), რაც ამავე მხარის კულტურულ ვაზის ჯიშებშიც მეორდება.

ალაზნის და კოლხეთის კერებში შეუბუსავფოთლიანი ფორმების არსებობა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ფორმათა წარმოქმნის პროცესში აღმოსავლური წარმოშობის (რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეუბუსავი ფოთოლი ახასიათებს) ვაზის მონაწილეობის შედეგია.

შებუსული და შეუბუსავფოთლიანი ვაზების თანაფარდობა შემდეგ სურათის იძლევა: ალაზნის კერაში შესწავლილი ველურად მოზარდი ვაზების 90,8% და კოლხეთის კერის – 91,9% შებუსულფოთლიანია, რაც სრულიად კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს. ასეთი შეფარდების კანონზომიერებაზე კულტურული ვაზის ჯიშების მსგავსი თანაფარდობაც მეტყველებს. მაგ., გაანალიზებული ქრილი აბორიგენული 380 ჯიშის ეს მაჩვენებელი ასეთ

სურათის იძლევა: აღმოსავლეთ საქართველოს (ალაზნის კერა) 143 ჯიშშიდან 118 ე.ი. 82% შებუსულფოთლიანია (თითქმის აბსოლუტური მსგავსება). ასეთივე სურათია კოლხეთის კერაში, სადაც ადგილობრივი ჯიშების 94% შებუსული ფოთლებით ხასიათდება.

მოტანილი მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებს ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზის და ამავე ტერიტორიაზე გავრცელებული აბორიგენული ვაზის ჯიშების მჭიდრო გენეტიკური კავშირის ფაქტს და რომ ფორმათა წარმოქმნის პროცესი კვლავაც სინქრონულად გრძელდება. აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე. ლიტერატურაში ცნობილია, რომ ვაზის მდებარეობითი ეგზემპლარები, მამრობითთან შედარებით უფრო ძლიერად არის შებუსული მსგავსი მდგომარეობა შეიმჩნევა ამიერკავკასიის მაგალითზეც, მაგრამ, ისევე როგორც სქესობრივი დიმორფიზმის მოვლენა, ჭერჭერობით აუხსნელია.

ფოთლის ამპელოგრაფიული ნიშნებიდან, როგორც ითქვა, ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ფირფიტის დაკბილვა და ყუნწის სიგრძე. მიუხედავად იმისა, რომ დაკბილვის ზუსტი სახის განსაზღვრა საკმაოდ გართულებულია, რაც კბილების გარშემოწერილობის არაერთგვაროვნებაში გამოიხატება, იგი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ვაზის შიგასახეობრივ კავშირებზე.

ნაკლებად მნიშვნელოვანი ნიშანი გამოდგა ყუნწის სიგრძე. მისი შეფარდება ფირფიტის მთავარ ძარღვებთან, უმნიშვნელოდ ვარიირებს.

ვაჭამებთ რა ფოთლის ნიშნების საერთო მნიშვნელობას, მივიღივართ შემდეგ დასკვნამდე:

1. ტაქსონომიური თვალსაზრისით კონდიციურ ნიშნად ითვლება: ფოთლის ზომა, დანაკეთულობა, ყუნწის ამონაკვეთის ხასიათი და ფირფიტის ქვედა მხარის შებუსება. დანარჩენ ნიშანს მხოლოდ ინფორმაციული მნიშვნელობა ენიჭება.

2. ფოთლის კონდიციური ნიშნების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ველურად მოზარდი ვაზის სამი ჯგუფი: ნამდვილი ველური ვაზი – *ssp. Silvestris* Cmel; კულტურული სახეობის – *ssp. Sativa* D. C. გაველურებული ეგზემპლარები და 3. მათ შორის შუალედური ვაზი, რომელიც თანაარსებობის მსგავს პირობებში ძირითადი ნიშნებით მკვეთრად იმიჯნება, მაგრამ *V. vinifera* L. ჩარჩოებიდან არ გამოდის და ქვესახეობის დონეზეა განლაგებული.

ყ ვ ა ვ ი ლ ი: ვაზის ყვავილი უძველესი დროიდან ითვლება



მრავალრიცხოვანი შესწავლის ობიექტად. სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მრავალი მკვლევარი იყო დაინტერესებული, ვაზის ყვავილეს აგებულებითა და სქესის წარმოშობით. აღწერდნენ ყვავილის ცალკეულ ნაწილებს, სწავლობდნენ ყვავილობის და განაყოფიერების მექანიზმს და ა.შ. (6, 7, 160), ყვავილს, ამავე დროს, დიდი ტაქსონომიური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით სახეობრივი და სახეობის შიგნით სხვაობების დასადგენად.

ბიოლოგიაში უდიდეს მოვლენად ითვლება კარლ ლინეის შრომების გამოქვეყნება, რომელმაც თავის ბოტანიკურ კლასიფიკაციას საფუძვლად სწორედ ყვავილის აგებულება, კერძოდ კი მტვრიანების და ბუტკოს რაოდენობა და მათი ყვავილში ურთიერთგანლაგება დაუდო. (240).

ვაზის ყვავილი სამი სახისაა: **ერთსახლიანი ანუ ორსქესიანი** (პერმაფროდიტული), – ერთნაირად განვითარებული ბუტკოთი, დინგიით და მტერის პარკებით, რომლებიც ბუტკოს ზევით არიან განლაგებული და ფერტილურ მტვრიანას შეიცავენ; **ფუნქციონალურად მდედრობითი** კარგად განვითარებული ბუტკოთი და დინგიით, მაგრამ დამოკლებული, ქვემოთ დახრილი, განაყოფიერების უნარს მოკლებული, სტერილური მტვრიანებით და **მამრობითი** – რედუცირებული ბუტკოთი და გრძელი მტვრიანებით.

V. vinifera L-ის გენოფონდში გვხვდება აგრეთვე ვაზისათვის სრულიად არადაშახასიათებელი ტიპის ყვავილის მქონე ე.წ. „მდედრობითი მურვედრი“, რომლებსაც მტვრიანები საერთოდ არ გააჩნიათ და წმინდა მდედრობით ეგებმპლარად ითვლება ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ მისი ცალკე ტიპად გამოყოფა იქნებ არც ღირდეს. ყოველ შემთხვევაში ასეთი გადახრები სხვა სახეობის მცენარეებშიც გვხვდება, მაგრამ მას კანონზომიერება არა აქვს.

ორიგინალური მოსაზრება არსებობს ორსქესიანი ყვავილების წარმოშობის შესახებ. ლიტერატურული მონაცემებით *Vitis* L-ის გვარის ველურად მოზარდ ვაზის გენოფონდში ორსახლიანი ინდივიდები ჭარბობს. ცალსქესიანი ყვავილი *ssp. silvestris* Gmel სახეობრივი ნიშანია. თუ ველურად-მოზარდ ვაზებში ორსქესიანი ყვავილების მქონე მცენარეები გვხვდება ისინი გავლურებულად ანუ კულტურული ფლორიდან გამოსული ადვენტურ ელემენტად უნდა ჩაითვალოს. (125 125*, 160), მაგრამ თუ დავუშვებთ მამრობით ყვავილელებ მარცვლის გამონაკცის შესაძლებლობას, როგორც გამონაკცის შემთხვევას, ორსქესიანი ყვავილის ამ გზით წარმოქმნის შესაძლებლობაც უნდა არსებობდეს... თუ გავითვალისწინებთ, რომ ორსქესიანი ფორმები, მართალია გამონაკცის

სახით, მაგრამ მაინც არსებობს ისეთ ველურ სახეობებში, როგორცაა *rotundifolia* Mehs, *V. labrusca* L, *V. amurensis*, არ გამოირიცხავს ადამიანის მიერ ვაზის კულტურაში შემოტანამდე ამგვარი ორსქესიანი ფორმების *ssp. silvestris* Gmel-ში არსებობას. შემდგომ ადამიანმა სწორედ ამგვარი ვაზები გამოარჩია და გაამრავლა. ასე, რომ ლ. ლევალოე აღიარებს ორსქესიანი „ანდროიდების“ *ssp. silvestris* Gmel, ხოლო მამრობითი „ანდროიდების“ კერძოდ გავლურებული ვაზის გენოფონდში არსებობას. უამრავი ვაზის ლიანის, (როგორც კოლხეთის, ასევე ალაზნის კერაში) გამოკვლევამ ყვავილების დიდი მრავალფეროვნება გამოავლინა. დადგენილი იქნა თითქმის ყველა ტიპის (გარდა წმინდა მდედრობითის) და გვეფის ყვავილი და ისინი კულტურული ვაზის ხასიათს იმეორებენ

ორსახლიანობა ველური ვაზის (*ssp. silvestris* Gmel) დამახასიათებელი ნიშანია. ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის მაგალითზე მას აბსოლუტური მნიშვნელობა ენიჭება. თითქმის აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს შუალედური ვაზისათვის, ხოლო შეფარდებითი – კულტურული ქვესახეობის *ssp. Sativa* D. C. გაგარეულებული ვაზისათვის. „მამრობითი“ და „მდედრობითი“ ფორმების თანაფარდობა ველური ქვესახეობის შიგნით შემდეგ სურათს იძლევა: ალაზნის კერაში, 60,9% მცენარეებისა მდედრობითი ყვავილებით ხასიათდება, ხოლო 39,1% – მამრობითით; კოლხეთის კერაში, შესაბამისად, – 60 და 40%. შუალედური ვაზის ფორმებში მამრობითი ეჭმეშპლარები არ იქნა მოკვლეული, უმეტესობა (94,4%) ხასიათდება მდედრობითი ყვავილებით და მხოლოდ 3,6% ორსქესიანია.

ფორმათა წარმოქმნის კერებში, ცენტრების შიგნით ორსქესიანი ინდივიდების შეფარდება შემდეგ სურათს იძლევა: საინგილოსა და ალაზან-იორის ცენტრებში – დაახლოებით 8%, ქვემო ქართლისა და პამბაკის ცენტრში – 6,8%, შიდა ქართლის ცენტრში – 1,1%, ხოლო კოლხეთის კერაში ამგვარი ფორმები არ იქნა მოკვლეული.

კულტურული ვაზის ჩიშების გაგარეულების პროცესი განსაკუთრებით ნათლად შეინიშნება საინგილოს, ქვემო ქართლის, ალაზან-იორის ცენტრებში, რომელთა ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში მრავალი პოლიტიკური კატაკლიზმის არენას წარმოადგენდა. ისპობოდა დასახლებული პუნქტები: სოფლები, ვენახები, ბაღები, ამ ადგილებს შემდგომში ტყე იყავებდა. კულტურული მცენარეები და მათ შორის ვაზი, თავს ტყეს აფარებდნენ, სადაც ისინი თანდათან ველურდებოდნენ და ტყის მცენარედ იქცეოდნენ.

ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში *ssp. Silvestris* Gmel. შენარჩუნებული იქნა (ყვავილის ტიპის მიხედვით), როგორც ბუნებრივი ფლორის რელიქტური ელემენტი, მაგრამ გაცილებით პოლიმორფული გახდა სხვა ბოტანიკური ნიშნებით (შებუსვა, ძლიერ აღმსავსებელი ფოთლები), რასაც გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა ხელს უწყობდა დასახლებულ ტერიტორიაზე აღმოსავლური ვაზის (სასუფრე, ძლიერ მოზარდი ჭიშები შეუბუსავი ფოთლებით და სხვა) შემოჭრა.

ველური ვაზის (*ssp. silvestris* Gmel) კულტურული საგან (*ssp. Sativa* D. C.) განმასხვავებელ ნიშნად ყვავილედის (მტევნის) და მარცვლის ზომებიც ითვლება (160).

Ssp. silvestris Gmel პატარა ზომის მტევნებით (ყვავილებით) და წვრილი მარცვლით ხასიათდება, კულტურულ ჭიშებს ისინი შედარებით დიდი, ხშირად ძალიან დიდი ზომისანი აქვთ.

მამრობითი ვაზების ყვავილედეები ზომისა და ფორმის დიდი ამპლიტუდით გამოირჩევა (სურ. 60, 61) მათი სიგრძე 5-დან 35 სმ მერყეობს



სურ. 60

მამრობითი სქესის ვაზის ყვავილის ნიმუში



სურ. 61

მამრობითი სქესის ვაზის ყვავილის ნიმუში

(უპირატესად 15 – 20 სმ) ზუსტად ან თითქმის ზუსტად ასეთივე პარამეტრები ახასიათებს ორსქესიანი ვაზის ჯიშებს. საანალიზო მასალაში ძლიერ დიდი ზომის (25 – 35 სმ სიგრძის) ყვავილელების არსებობა ვაზის ჯიშს აყენებს მათ ველურ ქვესახეობებში (*ssp. silvestris* Gmel.) კუთვნილობას, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ ისინი გავლურებული კულტურული (*ssp. Sativa* D. C.) ქვესახეობის წიპწების მოთესვის შედეგი იყოს. ე. ი. დიდი ყვავილეების არსებობა გავლურებული ვაზის და ველური ქვესახეობის (არ არის გამორიცხული შუალედური ქვესახეობაც) ბუნებრივი ჰიბრიდიზაციის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენ კვლავ გვინდა შევვხვთ ორსქესიანი ყვავილის წარმოშობას მამრობითი ინდივიდებიდან. ამიერკავკასიის მასალის მიხედვით მამრობითი ვაზების გარდა მხოლოდ მტვრიანებს მეტნაკლებად განვითარებული ბუტკოიანი ყვავილებიც შეიცავენ (სურ. 62, 63). მათი განვითარება სინქრონულად მიმდინარეობს და მდებარეობით გამეტოფიტის ფორმირება სხვადასხვა სტადიაზე წყდება. მაგრამ ჩვენს მიერ ასეთ მცენარეებში შემჩნეული მარცვლების გამონასკვის შემთხვევები, მდებარეობით



სურ. 62

მამრობითი ვაზის
ბუტკოს ნიმუში



სურ. 63

მამრობითი ვაზის
ბუტკოს ნიმუში



გამეტოფიტის ნორმალურ განვითარებაზეც მიუთითებს ამგვარად, როგორც ლიტერატურული მონაცემები, ასევე ჩვენი გამოკვლევის შედეგები, კვლავაც ამაგრებენ დასკვნას ორსქესიანი ფორმების მამრობითებიდან წარმოშობის შესახებ. ამას ადასტურებს აგრეთვე მამრობითი და ორსქესიანი ყვავილელების ფენოტიპური მსგავსებაც.

ფუნქციონალურად მდებარებით ყვავილი, როგორც არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, *ssp. silvestris* Gmel, მთავარი ტაქსონომიური ნიშანია. მაგრამ იგი კულტურულ ჯიშებშიაც ხშირად გვხვდება. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით იგი ორსქესიანი ყვავილისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება, მაგრამ მათ შორის არსებითი ფიზიოლოგიური სხვაობაა, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო ტაქსონომიური, არამედ ფილოგენეტიკური თვალსაზრისით.

ველური ვაზის (*ssp. silvestris* Gmel) ყვავილის კოკორი და ბუტკო, (განსაკუთრებით განვითარების საწყის სტადიაში) კულტურულ ვაზთან შედარებით, გაცილებით მცირე ზომისაა, მაგრამ ფორმით თითქმის არ განსხვავდება.

ორსქესიან ყვავილებს გაცილებით დიდი ზომის კოკრები აქვთ და ევრაზიული ვაზისათვის დამახასიათებელი თანმიმდევრობით ყვავილობენ.

ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ორივე კერაში გავრცელებულ ველურად-მოზარდ ვაზში მდებარებითი ყვავილის ტიპი დომინირებს: კოლხეთის კერაში – 59,7%, ხოლო ალაზნის კერაში – 37,8%. სრულიად საწინააღმდეგო სურათია კულტურულ ვაზის ჯიშთა სორტიმენტში. კოლხეთის კერაში (დასავლეთ საქართველო) ადგილობრივი 253 ჯიშიდან 36 ანუ 14,2% მდებარებითი ყვავილით ხასიათდება, ხოლო ალაზნის კერაში 143 ჯიშიდან მხოლოდ 12 ანუ 8,2%.

ორსქესიანი ვაზების რაოდენობით ალაზნის კერა მნიშვნელოვნად ქარბობს კოლხეთის კერას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ფილოგენეზში ვაზის გაცულტურების პროცესი (უფრო პროდუქტიული ორსქესიანი ჯიშების გამოჩენა) გაცილებით ადრე დაიწყო ცენტრალურ ამიერკავკასიაში. ამ მოსაზრებას ამაგრებს ის არქეოლოგიური აღმოჩენებიც (შულავერი, ქვაცხელი), რომელთა შესახებაც ჩვენ გვქონდა საუბარი შრომის ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაწილში.

მტევანი და მარცვალი. ჯიშის, ფორმის ან პოპულაციის ტაქსონომიური Mn მთელი რიგი ცალკეული ნიშნით განისაზღვრება. ამ ნიშნებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება ვაზის ნაყოფს. ვაზში ამ ორგანოებს ყვავილობამდე ყვავილუდი და ყვავილი, ხოლო დაყვავილების შემდეგ მტევანი და მარცვალი ეწოდება.

მიუხედავად ჯიშის, ვაზის ბუჩქის ან ცალკეული ყლორტის ფარგლებში, ამ ორგანოების მნიშვნელოვანი ცვალებადობისა, ისინი ამიერკავკასიის მასალაში რამოდენიმე ჯგუფის გამოყოფის საშუალებას მაინც გვაძლავს. მტევნის აგებულების და არსის ობიექტური შევსების მიხედვით ისინი ნიშნებიდან შეიძლება სამი ჯგუფის გამოყოფა:

– ნიშნები, რომლებიც არსებობის პირობების შეცვლასთან ერთად იცვლებიან;

– ნიშნები, რომლებიც არსებითად იცვლებიან;

– კონსტიტუციური ნიშანი.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება მტევნის და მარცვლის ზომები, აგრეთვე მარცვლის გეომა; მეორეს – მტევნის სიმკვრივე და მესამეს – მტევნის და მარცვლის ფორმა, კანის ფერი და მარცვალში წიწების არსებობა.

იმ მრავალფეროვანი მასალიდან, რომელიც ამიერკავკასიაში იქნა მოპოვებული, მტევნის ზომებიდან გამოიყოფა სამი ჯგუფი: პატარა – 8 სმ-მდე, საშუალო – 14-21 სმ და დიდი 21 სმ-ზე ზევით. პირველ ჯგუფში ძირითადად მოთავსდა ალაზნის კერის ველური ვაზი – *ssp. silvestris* Gmel. მეორე ჯგუფში შევიდა ძირითადად ველური ვაზი ორივე კერიდან, ხოლო მესამეში – კულტურული ქვესახეობის (*ssp. sativa* D. C.) გავლურებული ფორმები.

ამგვარად, ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის მთელი მასალა ამ ნიშნის მიხედვით რეგიონის ფარგლებიდან არ გამოდის ანუ მტევნის ძირითადი მაჩვენებელი (მცირე და საშუალო ზომა) შენარჩუნებულია (სიგრძე-სიგანე სიმსხო, ფორმა და სხვა).

მარცვლის განსაკუთრებულ ამპელოგრაფიულ მნიშვნელობაზე მრავალი მკვლევარი ხაზგასმით მიუთითებს. ეს პარამეტრები გარკვეულ წილად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მარცვლის ფორმა, სწორედ, რომ სიგრძე-სიგანის შეფარდების შედეგია.

ამიერკავკასიის მასალა საშუალებას გვაძლევს მარცვლის ზომის მიხედვით გამოიყოს 5 ჯგუფი: 1. ძლიერ წვრილი – 8 მმ-მდე; 2. წვრილი – 12 მმ-მდე; 3. საშუალო – 19 მმ-მდე; 4. მსხვილი – 22 მმ-მდე და 5. ძლიერ მსხვილი – 22 მმ ზევით. ამგვარ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით გამოკვეთილია შემდეგი სურათი: ძლიერ წვრილი მარცვლები დამახასიათებელია ალაზნის და კოლხეთის კერის ველური ვაზისათვის; მეორე ჯგუფში (წვრილი) გადადის იგივე ვაზები მოვლის პირობებში. მაგ., ამპელოგრაფიულ კოლექციაში; საშუალო მარცვლები ახასიათებს შუალედური ვაზის, კულტურული ქვესახეობის (*ssp. sativa* D. C.)

გაგარეულეულ ფორმებს და ზოგიერთი კულტურული (ამბოლიგენური) ვაზის ჯიშს. ძლიერ მსხვილი მარცვალი ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზის გენოფონდში არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ნასპურულსა და ნავენახარზე შემორჩენილ, აღმოსავლური წარმოშობის გაგარეულეულ სასუფრე მიმართულების ვაზებს (საინგილო, აჭარა).

ველურად მოზარდი და საერთოდ ვაზის ნაყოფის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ყურძნის გემურ თვისებას. აქ შეიძლება გამოიყოს ორი მომენტი: – ყურძენში შაქრების კონცენტრაციის უნარი და სპეციფიკური ან არასპეციფიკური არომატის გამომუშავება. ორივე თვისება სეხეობრივი ან ჯიშური სპეციფიციდან გამომდინარეობს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ეკოლოგიურ ფაქტორთა კომპლექსს (გეოგრაფიული მდებარეობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგური, თუ კლიმატური პირობები და ა. შ.). ნორმალურ ეკოლოგიურ პირობებში მარცვლის (ყურძნის) გემო განისაზღვრება მისი ქიმიური შედგენილობით, რომელიც შეტად რთულია და სხვადასხვა ქიმიური ნაერთების ჯგუფებით არის წარმოდგენილი აღნიშნულ ნაერთებში მთავარ როლს ასრულებს წყალი, ნახშირწყლები (შაქრები) და ორგანული მჟავები.

ვაფასებთ რა მთელ ჯვენ მასალას გემური თვისებების (ორგანოლექტიური შეფასება) და ქიმიური შედგენილობის მიხედვით, შემდეგი სურათი იცვეთება: ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზის ყველა წარმომადგენელი, გემური თვისებებით თითქმის ერთგვაროვანია. მათი უმრავლესობა მალალი შაქრიანობით (16–25%) გამოირჩევა სპეციფიკური გემოსა და სუნის გარეშე, ახასიათებს ნორმალური გლუკოაკიდომეტრიული შეფასება და წყლის საკმაოდ დიდი შემცველობა. მკირეოდენი განცალკევებით დგას ველური ქვესახეობის (*ssp. silvestris* Gmel) გემური თვისებები, რაც შედარებით მალალ მჟავიანობაში გამოიხატება და მალალი შაქრიანობის შემთხვევაშიც კი ყურძენი უმწითარის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მტევნის სიკუმსე (სიმკვრევე) ძლიერ ცვალებადი ნიშანია. ამპელოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს სიკუმსის (სიმკვრივის) განმსაზღვრელი ხუთი კატეგორია: ძლიერ კუმსი (მკვრივი), კუმსი (მკვრივი), საშუალო სიკუმსის, თხელი და ძლიერ თხელი. სიკუმსეზე პირველ რიგში გავლენას ახდენს ყვავილის ტიპი. ეს გავლენა განსაკუთრებით მკვეთრად მკენარის ბუნებრივი თანაარსებობის (ტყეში, ვენახიდან მოცილებულ ადგილებში) პირობებში გამოიკვეთება ხოლმე. მაგ., თუ ფუნქციონალურად მდებარეობითი სქესის ვაზი ბუნებრივ პირობებში სრულიად იზოლირებულად

იზრდება, მეტად თხელ მტევნებს იხვითარებს ან შესაძლოა მტევანზე მარცვლები საერთოდ არ გამოინასკვოს, ჰერმაფროდიტულ ემბრიონარულ გამონასკვის აღბათობა განსაკუთრებით მაღალი და სტაბილურია მშრალ შემთხვევაში მტევნის სიკუმსის ინტენსივობა გარკვეულ წილად შემცირდება ამინდის ცვალებადობით (წვიმა, ძლიერი ქარი) ან მცენარის ფიზიოლოგიური წონასწორობის, პათოლოგიური დარღვევის შედეგად მოხდეს.

მტევნის ფორმას, ძირითადად მისი ჩონჩხი (კლერტი) განაპირობებს. იგი კონსტანტური ბოტანიკური ნიშანია, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მტევნის სიკუმსეც. ველური ქვესახეობის (*ssp. silvestris* Gmel) მტევნის ფორმის განსაზღვრა წმირად შეუძლებელი ხდება, განსაკუთრებით იზოლირებულ ადგილებში, მაგრამ კლერტის მიხედვით შესაძლებელი ხდება მისი ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნება.

ამ ვაზის ქვესახეობის მტევნის ძირითადი ფორმებია: ცილინდრულ-კონუსური, უფორმო ან მათ შორის გარდამავალი. დანარჩენი ქვესახეობისათვის კი (მათ შორის კულტურული ჯიშებისთვისაც) დამახასიათებელია ცილინდრულ-კონუსური და კონუსური ფორმა.

ველურ ქვესახეობას ძირითადად მრგვალი ან მომრგვალო მარცვალი ახასიათებს. შუალედური (*ssp. silvestris* Ram), გავლურებულ კულტურულ ქვესახეობის (*ssp. sativa* D.C.) და კულტურული ჯიშების მარცვლის ფორმა, ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის ჩარჩოებიდან არ გამოდის და მრგვალ, მომრგვალო და ოვალურ ფორმებს შორის მერყეობს.

მარცვლის ფერი კონსტანტური ბოტანიკური ნიშანია. ყველაზე მეტად გავრცელებულია შავი ფერის (მუქი ლურჯი), იშვიათად წითელი ფერის (თითო-ორჯერ ძირი). მომწვანო-მოყვითალო ფერი ახასიათებს გავლურებულ კულტურულ ქვესახეობას და შუალედურ ფორმებს.

ალანის კერის ველურ ქვესახეობის ვაზებში გამოვლენილ იქნა სამი თეთრყურძნიანი ფორმა, რაც იშვიათი შემთხვევაა ამ ვაზის შესწავლის პრაქტიკაში. დეტალური ანალიზის შემდეგ ერთი მათგანი შუალედურს (*ssp. silvestris* Ram), ხოლო ორი ველურ ქვესახეობას მიეკუთვნება.

დასახელებული ნიშნების ურთიერთშემდარებისა და დაპირისპირების შედეგები საფუძველს იძლევა დავასცხნათ, რომ კოლხეთისა და ალანის კერის ველურად მოზარდ ვაზებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა და ქვესახეობის (*ssp. silvestris* Gmel) ჩარჩოებიდან არ გამოდის.

წიპწაპ. წიპწის მორფოლოგია ყოველთვის მრავალრიცხოვანი კვლევის ობიექტად ითვლებოდა.

ვერაზიული სახეობისა (V. vinifera L.) და მასში შემავალი უმრავლესი ფორმის ბოტანიკური ნიშანი სწორედ რომ წიპწიანია კონცენტრირებული. წიპწა შეიძლება სხვადასხვა ზომის იყოს, მაგრამ მას ყოველთვის მთავრობს ფორმა აქვს, მკაფიოდ გამოკვეთილი, შედარებით გრძელი ნისკარტით ჩაზნექილი ოდნავ შესამჩნევად და თითქმის ყოველთვის წიპწის ზედა ნაწილშია განლაგებული ქალაძით. წიპწის ასეთი წაგრძელებული ფორმა და ქალაძის განლაგება არ გვხვდება არცერთ სხვა სახეობაში. პ. ვილის და (244) ლ. რაეზის (242) ეს განსაზღვრება, რომელიც ჭერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს იქნა გაკეთებული ისეთი ზუსტი აღმოჩნდა, რომ ჩვენ არსებითს ვერაფერს დავუმატებთ. იგი შემდგომში საეხებით იქნა გაზიარებული სხვა მეცნიერების მიერ. წიპწის მორფოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჭიმების დაჯგუფების ისტორიული თუ არქეოლოგიური ნაშთების თანამედროვე და ველურ კულტურულ სახეობებთან ნათესაობის დადგენის დროს. ამ ამოცანების გადაჭრისას მკვლევართა უმრავლესობა გადამწყვეტ მნიშვნელობას წიპწის ისეთ ნიშნებს ანიჭებს, როგორცაა: წონა, სიდიდე, სიგრძე, სიგანე, ფორმა, ფერი, ქალაძის მდებარეობა, მუცლის ღარების სიგრძე და განლაგება, ნისკარტის სიგრძე, სხვადასხვა განზომილებათა ურთიერთშეფარდება და სხვა.

გავითვალისწინეთ, რა საკითხის შესწავლაში წიპწის კარდინალური მნიშვნელობა, ჩვენ იგი მაქსიმალურად გამოვიყენეთ საქართველოს ველურად მოზარდი და კულტურული ვაზის გენეტიკური რესურსების კვლევაში. განზომილებები ჩაუტარდა წიპწის 18 ნიშანს: 1) წიპწის სიგრძე, 2) წიპწის სიგანე წვერში, 3) წიპწის სიგანე ნისკარტის ფუძეში, 4) წიპწის სიგანე წვერში, 5) წიპწის სიგანე ნისკარტის წიპწასთან შეერთების ზონაში, 6) წიპწის სიგანე შუა ნაწილში, 7) წიპწის სიგანე ზედა ნაწილში, 8) წიპწის სისქე შუა ზონაში, 9) ქალაძის სიგრძე, 10) ქალაძის სიგანე, 11) მანძილი ქალაძის ქვედა ნაწილიდან ფუძემდე; 12) მანძილი ქალაძის ფუძიდან ნისკარტის წვერამდე, 13) მარცხენა ღარის სიგრძე, 14) მარცხენა ღარის სიგანე, 15) მარჯვენა ღარის სიგრძე, 16) სიგანე, 17) მანძილი ღარებს შორის მათ ქვედა ნაწილში, 18) მანძილი ღარებს შორის ზედა ნაწილში.

ჩავატარეთ რა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ჩვენ შევეცადეთ მათემატიკური მოდელირების სამუშაოებით კავშირი დაგვემყარებინა ველურად მოზარდ, თანამედროვე კულტურული ჭიმებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ წიპწებს შორის.

მიუხედავად კულტურული ვაზის ჭიმების და ველური ვაზის წიპწებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებისა, მათ შორის მაინც მჭიდრო

კავშირი დგინდება. ყველაზე წერილი წიპწებით ხასიათდება კოლხეთის კერის (ssp. *silvestris* Gmel) (5,47 მმ). ამ წიპწების პარამეტრები ევროპის ტერიტორიაზე გავრცელებული ssp. *silvestris* Gmel ჩარჩობებშია (2,30-2,31 - 5,5 მმ). ცოტაოდენი განმარტებით დგას ცენტრალური ამიერკავკასიის ssp. *silvestris* Gmel (5,86 მმ). ასეთი შედარებით მსხვილი წიპწები შუა აზიის ველური ვაზისათვის (დასავლეთ ტიანშანი - 5,5 - 6,8 მმ) არის დამახასიათებელი. მაგრამ ამგვარ სტერეოტიპურ მსგავსებას მოშველებითი ხასიათი აქვს და სხვა ბოტანიკურ ნიმუშში (ფოთოლი, მტყევანი, მარცვალი, ზრდის სიძლიერე და სხვა) სრულიად წაშლილია. არ არის გამორიცხული ამგვარი გადახრები, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მიმდინარე ფორმათაწარმოქმნის პროცესში ე. წ. „აღმოსავლური ელემენტის“ (დიდი ზომის შეუბუსაეი ფოთოლი, მსხვილი მტყევანი და მარცვალი, ძლიერი ზრდა და ა. შ.) შემოჭრის შედეგი იყოს.

როგორც მრავალი მკვლევარი მიუთითებს, ვაზის ფორმათა „კულტურულობის“ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი წიპწის ნისკარტის სიგრძეა ევრაზიის მეცნიერების და ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვან გამოკვებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ssp. *silvestris* Gmel-სათვის დამახასიათებელია 1,16 მმ სიგრძის ნისკარტი. შუალედური (ssp. *silvestris* Ram) ფორმებისათვის - 1,2-დან 1,5 მმ-მდე, ხოლო კულტურული ვაზისათვის - (ssp. *sativa* D.C.) - 1,5 მმ. რასაკვირველია ეს პარამეტრები უცვლელი არ არის, ადგილი აქვს გარკვეულ გადახრებსაც, მაგრამ ძირითადად მაინც რეალურ ვითარებას ასახავს.


სისტემატიზაცია. ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის ველურად მოზარდი ვაზის მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული შესწავლის შედეგების ევრაზიის სხვა რეგიონების იგივე მონაცემებთან დაკავშირებით (ან დაპირისპირებით) ირყვევა, რომ მათ აქვთ როგორც მსგავსი, ასევე განმასხვავებელი ნიმუშები, მაგრამ ევროპული ვაზი - *V. vinifera* L. ერთ სახეობას წარმოადგენს, რომლის შიგნით ssp. *silvestris* Gmel და ssp. *sativa* D.C. მხოლოდ ქვესახეობის დონეზე არსებულ ინდივიდთა ერთობლიობას წარმოადგენენ. ამ ერთობლიობაში ღიად რჩება მხოლოდ შუალედური ვაზის მდგომარეობა, რომელიც გავრცელებულია არა მარტო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, არამედ ევრაზიის სხვა რეგიონებში - შუა აზიაში (23), ჩრდილოეთ კავკასიაში (191), ყირიმში (147) და სხვა ადგილებში. ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიმუშების მიხედვით ეს ვაზი ssp. *silvestris* Gmel და ssp. *sativa* D.C. შორის თავსდება, მაგრამ მკირეოდენად ssp. *silvestris*-კენ არის გადახრილი, რასაც კლასტერიული

ანალიზიც ამტკიცებს. ცენტრალური (ალაზნის კერა) და დასავლეთ ამიერკავკასიის (კოლხეთის კერა) ველური (*ssp. silvestris* Cmel) ვაზი ერთ დონეზეა განლაგებული (სურ. 119) მაგრამ მნიშვნელოვნად განსაკუთრებულია შუალედური ვაზი. ასევე ერთ დონეზეა განლაგებული გაგარეულებული (*ssp. sativa* D.C.) ვაზი და ორივე კერის კულტურული ვაზის ჯიშები. მაგრამ ისინი ველური ვაზიდან (*ssp. silvestris*) უფროა დამორბეული, ვიდრე შუალედური ფორმებიდან. საკვლევ რეგიონში შუალედური ვაზის არსებობამ, რომელიც ლოკალიზების არეალში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ხასიათდება, საშუალება მოგვცა იგი განსაკუთრებულ ქვესახეობად – *ssp. silvestris* Ram გამოგვეყო. ასევე განსაკუთრებულ სახესხვაობად გამოვყავით კოლხეთის კერაში გავრცელებული ველური ვაზი – *var coli chica* Ram, რომელიც ძლიერ შებუსუსი ფოთლით და V-სებური ყუნწის ამონაკვეთით ხასიათდება.

ზემოთ დასახელებული ტაქსონომიური ჯგუფების გამოყოფის შემდეგ, ევრაზიული სახეობის (*V. vinifera* L.) სტრუქტურა შემდეგ სქემატურ გამოსახულებას იღებს.

(სქემა I.)

ევროპული ვაზის კლასიფიკაცია



ევრაზიული ვაზის v. vinifera-ს კლასიფიკაცია

აქვე გთავაზობთ ახლადგამოყოფილი ტაქსონომიური აღწერას.

ჭვესახეობის აღწერა: V. vinifera L. ssp. silvestris Ramisch (სურ. 64, 65).



საქართველოს
აკადემიის
საქონლის
სამეცნიერო ცენტრი



სურ. 64

ჭვესახეობა № 75 ფორმის
ყურძნის მტვეანი (სიგრძე 12.6
სმ). აპპელოგრაფიული
კოლექციიდან



სურ. 65

ჭვესახეობა № 27 ფორმის
მტვეანი ამპელოგრაფიული
კოლექცია (სიგრძე-12.3 სმ)

მცენარეები ძირითადად ორბინიანებია (96,4%). ახალგაზრდა ყლორტის გვირგვინი ძლიერ შებუსუსულია, მონაცრისფრო-მოთეთროა, მოვარდისფრო-მონარინჭისფრო ელფერიით.

ფოთოლი საშუალოზე მკირუა (სიგრძე 12,2 სმ, სიგანე – 12,1 სმ) სამნაკვეთიანი ან სამ-ხუთნაკვეთიანია, ზოგჯერ დაუნაკვეთავია, ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, თაღისებრი ან ჩანგისებრია, ზოგჯერ მახვილი V-სებრი ფუძით. ფოთლის ფირფიტის კბილები სამკუთხედისებრი ან გუმბათისებრია. ფირფიტის ქვედა მხარე შებუსუსულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრად, იშვიათად თხელი წაგრისებრი ან შერეულია. იშვიათად გვეხედება შეუბუსუსავი ფოთოლიც. ყუნწი ფოთლის ფირფიტის მთავარ ძარღვზე მოკლეა.

ყვავილი ფუნქციონალურად მდებრობითია, იშვიათად – ორსქესიანი.

მტევანი მცირე ზომისაა (სიგრძე - 12,8 სმ, სიგანე - 6,1 სმ), ცილინდრულ-კონუსური, იშვიათად კონუსური, თხელი კანსა და მკვრივ სიმკვრივისაა.

მარცვლი საშუალოზე მცირეა (სიგრძე - 15,0 მმ, სიგანე - 14,7 მმ), მომრგვალოა, შავი ფერისაა, იშვიათად გეხედება თეთრი მარცვლებიც.

წიპწა საშუალოზე მცირეა (სიგრძე - 6,3 მმ, სიგანე - 4,4 მმ), ქალაბა მომრგვალოა, იშვიათად მრგვალია, განლაგებულია წიპწის ზედა ცენტრალურ ნაწილში. ნისყარტი საშუალოა - 1,5 მმ-მდე.

სახესხვაობის აღწერა: *V. vinifera* L. ssp. *silvestris* Cmel, var. *colchica* Ramischvili (სურ. 66, 67, 68) გავრცელებულია კოლხეთის კერაში.



სურ. 66

ფორმა № 010-ის მტევანი ულორტითა და ფოთლებით, საჩხერიდან. კოლხეთის კერა



სურ. 67

ფორმა № 011-ის მტევანი ულორტითა და ფოთლებით: კოლხეთის კერა



სურ. 68

ფორმა № 012-ის მტევანი ულორტითა და ფოთლებით: კოლხეთის კერა



სახელით აღწერილია დასავლეთ ვეროპის ცარცის პერიოდის ქვედა ფენებში, კერძოდ პორტუგალიის ალპის ფენებში, ჩეხოსლოვაკიის ზედა ცარცის პორიზონტებში, შუა აზიაში (ყაზახეთი) და თვით გრენლანდიაში. ყველაზე უფრო გაბნეული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში *cissus*-ის გვარის წარმომადგენლები.

